

## სარჩევი

ქეთევან ერემაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
გადაწყვეტილების იურიდიული ქალის საკითხთან  
დაკავშირებული აქტუალური პრობლემები

3

თინათინ ერქვანია

სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების  
სამართლებრივი კონტექსტი – ქართული მოდელი  
*მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა*  
*ევროპული კავშირის მაგალითზე*

24

ჯეფრი როზენი

გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და  
სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა“  
და „ფეისბუქის“ ეპოქაში

43

კარლო გოდოლაძე

საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში –  
პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები

60

ანტონინა პერი

სასამართლო დამოუკიდებლობა სასამართლოს  
ანგარიშვალდებულებასთან მიმართებაში  
საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის მოსამართლეთა  
შერჩევის მოდულები  
*შედარებითი ანალიზი*

86

ანიტა როდინა

დროებითი ღონისძიების არსი და პრობლემური საკითხები,  
ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

116



ქეთევან ერემაძე

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები

*ქეთევან ერემაძე*

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი,  
სამართლის დოქტორი.*

## 1. შესავალი

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის ობიექტური საზომი მისივე გადაწყვეტილებებია, მათში ვლინდება სასამართლოს რეალური დანიშნულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს რა კონსტიტუციის ნორმებს, შედეგად ქმნის ცოცხალ კონსტიტუციას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, სასამართლომ, კონსტიტუციური ღირებულებების სრულყოფილად გააზრების გზით და მათზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ქვეყნის მთავარი კანონის პრაქტიკული ქმედითობა. სასამართლომ, თითქმის ყველა საქმეზე, უშუალოდ ეხება რა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათი განმარტება უნდა დააფუძნოს თითოეული ამ უფლების შინაარსის, ფარგლების, დიაპაზონის სრულყოფილად შეგრძნებასა და გაანალიზებას, რათა განმარტების შედეგად მიღებული უფლების პრაქტიკული შინაარსი სრულად ადეკვატური იყოს ამ უფლების კონსტიტუციური წონისა. საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელს უნდა უწყობდეს სამართლის განვითარებას. რამდენად არის ასეთი თითოეული გადაწყვეტილება, შესაბამისად, რამდენად ქმედითი, ეფექტური და სამართლიანია სასამართლო, ამაზე ობიექტური პასუხები თავად გადაწყვეტილებებშია. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლებები სავალდებულოა შესასრულებლად, იმავდროულად, ისინი ღიაა საზოგადოებისა თუ დაინტერესებული პირების შეფასებებისა და დისკუსიისათვის. ამასთან, ეს გადაწყვეტილებები თვითშეფასების ყველაზე სწორი კრიტერიუმია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის (მოსამართლეებისთვის). ამიტომ, რამდენადაც შეძლებს საკონსტიტუციო სასამართლო, იყოს საკუთარი გადაწყვეტილებების ობიექტური მკითხველი და ადეკვატურად თვითკრიტიკული, იმდენად შეძლებს განვითარებას.

ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების მიზნების რეალიზაციისთვის, პირველ რიგში, არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებების შინაარსს, მაგრამ, იმავდროულად, ამ გადაწყვეტილებების და, შესაბამისად, სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკული შედეგების ხელმისაწვდომობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი (გადაწყვეტილებების) იურიდიული ძალის სამართლებრივი გარანტიების სწორ გააზრებასა და ჩამოყალიბებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას არაერთი აქტუალური და პრობლემატური საკითხი უკავშირდება. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

## 2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა

### 2.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა...“. ხოლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება“.

გადაწყვეტილება „საბოლოოა“ გულისხმობს, რომ, ერთი მხრივ, არ არსებობს მისი (გადაწყვეტილების) მხარეების მიერ გასაჩივრების, ზემდგომი ორგანოს მიერ გადასინჯვის და ამ გზით საქმის თავიდან განხილვისა და გადაწყვეტილების შედეგების შეცვლის სამართლებრივი შესაძლებლობა (კომპეტენცია), ხოლო, მეორე მხრივ, ის მავალბელია და ბოჭავს ყველა შესაბამის სუბიექტს, რაც ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს გადაწყვეტილების დაძლევის, მისი შედეგების იგნორირების კანონიერი შესაძლებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლის მიზნით მართლმსაჯულების განხორციელების სპეციალური უფლებამოსილება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია, რაც გამორიცხავს დანარჩენი ხელისუფლების (როგორც პოლიტიკური, ისე სასამართლო ხელისუფლების) წვდომას ამ კომპეტენციის განხორციელებაზე. პირველ

რიგში, ეს თავისთავადი შედეგია ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ზუსტად მისი (ამ პრინციპის) რეალიზაციის ხელშეწყობისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებისა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ქმედითობას ვერ დავუშვრებ პოლიტიკური ხელისუფლების რომელიმე ორგანოს (თანამდებობის პირის) ან საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის სამართლებრივი შესაძლებლობა, პირველ რიგში, ზუსტად მათ მიერ კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების კომპეტენციის არარსებობის (არქონის) გამო. თუმცა ასეთი კომპეტენციის არარსებობა არ არის საკმარისი გარანტია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოობის და მისი შედეგების შეუცვლელობის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია, იმავდროულად კანონმდებლობაში იყოს საკმარისი და ადეკვატური გარანტიები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისა და მისი საქმიანობის შედეგების დინამიკაში შესანარჩუნებლად.

წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემების განხილვა და გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის/დაძლევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების სრულყოფილებისა თუ ეფექტურობის გაანალიზება. ამ თვალსაზრისით, მივუთითებთ მხოლოდ რამდენიმე საკანონმდებლო გარანტიაზე: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“. ხოლო 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე არაკონსტიტუციურად ცნო ... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

## 2.2. საკონსტიტუციო სასამართლოს თვითშეზღუდვა საკუთარი გადაწყვეტილებებით

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოობისა და სავალდებულო ძალის უზრუნველყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მისივე გადაწყვეტილებებით თვითშეზღუდვის საკითხს.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზოგადი წესი – ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, ის ასეთი ძალის მქონე, პირველ რიგში, თავად საკონსტიტუციო სასამართლოსთვისაა.

მოქმედებს პრეზუმფცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არის სწორი, რაც, მთელ რიგ სხვა საფუძვლებთან ერთად, წარმოშობს ვალდებულებას, რომ ასეთი პოზიცია სასამართლოს მიერ მომავალში არ იყოს გადახედილი. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები შებოჭილი არიან როგორც კონსტიტუციით, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით – როგორც კონკრეტულ საკითხებზე მიღებული საბოლოო და სწორი გადაწყვეტილებებით.

ბუნებრივია, ასეთივეა კანონმდებლობის პასუხი საკონსტიტუციო სასამართლოს მისივე გადაწყვეტილებით შებოჭვის თაობაზე. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: „კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ...“.

ეს ნორმა ადგენს ზოგად წესს როგორც პოტენციური მოსარჩელებისათვის, ისე თავად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. მოსარჩელებს ის მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ უკვე განხილულ და გადაწყვეტილ საკითხებზე დავის განხილვა აღარ შედგება, სარჩელი აღარ იქნება მიღებული არსებითად განსახილველად ზუსტად იმიტომ, რომ სასამართლომ ამ საკითხზე უკვე მიიღო საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება. ამასთან, ეს ნორმა თავად სასამართლოს ბოჭავს მისივე გადაწყვეტილების სავალდებულო სამართლებრივი შედეგებით, რაც არა მხოლოდ სასამართლოს ავტორიტეტის საკითხს უკავშირდება, არამედ, იმავდროულად, სამართლებრივი უსაფრთხოების სტაბილურობას ემსახურება.

ამ თვალსაზრისით, ცალკე შეფასებას მოითხოვს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად: „1. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისგან ... იგი უფლებამოსილია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს...“.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის საოქმო ჩანაწერი/განჩინება, გადაწყვეტილება ან დასკვნა, რომელიც განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, მიღებულია ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი“.

იმავდროულად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ზოგადი წესიდან უშვებს გამონაკლისს და იძლევა შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოს სარჩელი არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი არ არის, გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეს მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი ეჭვები, გადაწყვეტილების მართებულობასთან დაკავშირებით, გადაამოწმოს მისი გასაჩივრების გზით. ეს ნორმა არ არის გამიზნული გასაჩივრებისა და გადასინჯვის მექანიზმის შემოღებაზე, რაც თავად გადაწყვეტილების სავალდებულობას საეჭვოს გახდიდა და, იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადააქცევდა ორ ინსტანციურ დაწესებულებად. მხარეებს აქვთ ვალდებულება, დაემორჩილონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე და აღასრულონ ის.

ზემოაღნიშნული მექანიზმის დანიშნულება და საბოლოო მიზანი არის, პირველ რიგში, კონსტიტუციის დროში მოქნილობის (დროსთან ადეკვატურობის) უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების რეალური, ეფექტური და გრძელვადიან პერსპექტივაში ქმედითი დაცვისთვის დამატებითი გარანტიის შექმნა, ქვეყნის სამართლის კონსტიტუციურ ღირებულებებთან ჰარმონიულად განვითარების ხელშეწყობა. არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლებრივი ურთიერთობები შეიყვანოს ჩიხში. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისობაში მოყვანა შეცვლილ პოლიტიკურ რეალობასთან ან ახალ პოლიტიკურ გამოწვევებთან. სასამართლო, როგორც არაპოლიტიკური ორგანო, ვერ იქნება მგრძნობიარე მსგავსი საკითხების და პროცესების მიმართ, პირიქით, ასეთ დროს ზუსტად სასამართლოა სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ბერკეტი. აქ საუბარია ზოგადად სამართლის განვითარების საერთო გამოწვევების კვალდაკვალ, როგორც ქვეყნის კონსტიტუციის დინამიკურობის, ისე მისი მთავარი დამცველის – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ადეკვატურობის ხელშეწყობაზე, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად უნდა აისახოს როგორც ადამიანის უფლებების, ისე ძირითადი კონსტიტუციური ღირებულებების ეფექტურ დაცვაზე.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია, არსებობდეს შესაბამისი ბერკეტები ამ საკანონმდებლო მექანიზმის სწორად და მიზნობრივად გამოყენების, განვითარების უზრუნველსაყოფად. ყურადღებას გავამახვილებთ ორ მნიშვნელოვან საკანონმდებლო გარანტიაზე:

ა) სასამართლომ უნდა მიიღოს დასაბუთებული განჩინება საქმის პლენუმისათვის გადასაცემად. ხაზგასასმელია ტერმინი „დასაბუთებული“, რაც ნიშნავს, რომ სასამართლოს შემადგენლობამ უნდა წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები იმის თაობაზე, რომ სამართლის საკონსტიტუციო სასამართლოს ძველი პრაქტიკის იდენტურად განვითარება გარდაუვლად წარმოშობს პრობლემებს კონსტიტუციის ცალკეული ნორმების სრულყოფილი ინტერპრეტაციის, უფლებების ეფექტურად დაცვის თვალსაზრისით, რის გამოც, მისი პოზიცია განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში მოყვანილი სამართლებრივი პოზიციისგან.

მაღალია მტკიცების ტვირთი იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც არ ეთანხმებიან ძველ პრაქტიკას. ასეთ დროს მოსამართლე საკუთარ პოზიციას ვერ დააფუძნებს იმ მოთხოვნას ან არგუმენტს, რომ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოტივაცია არასაკმარისია, არაღამაჯერებელი ან ბუნდოვანი, ან რომ ის უბრალოდ სხვანაირად დაწერდა გადაწყვეტილებას. ძალიან ცხადი, აშკარა და თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ სამართლის ძველი პრაქ-

ტიკის შესაბამისად განვითარება გარდაუვლად წარმოშობს პრობლემებს კონსტიტუციის ინტერპრეტაციის, უფლებების ეფექტურად დაცვის თვალსაზრისით, გამოიწვევს სამართლის არასამართლიანი განვითარების რისკებს. თუ ასეთი პრობლემები საკმარისად ხელშესახებია, მოსამართლეთა მცდელობა ამ პრობლემების მოგვარების თაობაზე პატივისცემას და ყურადღებას იმსახურებს.

მაშასადამე, ერთი მხრივ, ეს საკანონმდებლო რეგულაცია არ უნდა გადაიქცეს მოსამართლეთა კვალიფიკაციის კონკურენციის წყაროდ, რადგან ასეთი მიდგომა დაანგრევს სამართლის სისტემას. თუმცა, მეორე მხრივ, მოსამართლეთა ზუტად განჭვრეტილ პრობლემაზე არ უნდა დავხუჭოთ თვალი, თუკი არსებული (აღრე მიღებული) გადაწყვეტილების საპირწონეს წარმოადგენს ადამიანის უფლებების უფრო ეფექტურად დაცვის შესაძლებლობა.

ბ) ასეთ საქმეებს განიხილავს პლენუმი – ანუ სასამართლო სრული შემადგენლობით, რაც ნიშნავს, რომ განხილვაში მონაწილეობს მეტი ინტელექტუალური რესურსი, არსებობს მეტი დისკუსიის, კამათის, მსჯელობის, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენის, შეპირისპირებისა თუ შეჯერების შესაძლებლობა. ეს კი თავისთავად წარმოადგენს მეტ გარანტიას, რომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს არსებულისაგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას, თუ ეს ნამდვილად ემსახურება ზემოთ დასახელებულ მიზნებს.

თუმცა, საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ამ ნორმის ეფექტურობა და მიზანმიმართული ქმედითობა, დამოკიდებულია თავად მისი გამოყენების პრაქტიკაზე. ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა მიერ მის ფრთხილ, გონივრულ, მოზომილ გამოყენებას. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეძლოს მისი გადაწყვეტილებების ეფექტურობის, ქმედითობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, ამასთან, მათი (გადაწყვეტილებების) წონისა და მნიშვნელობის შენარჩუნება, დაცვა.

### 2.3. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლის პრაქტიკული შედეგები

მნიშვნელოვანია, რომ ამ ნორმამ პოზიტიური შედეგები საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში უკვე გამოიწვია. კერძოდ:

1) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ-ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და კონსტიტუციურად ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულების ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სად-

გურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში; დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმაში ჩამოთვლილი იყო ზუსტად ის ადგილები, სადაც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ხელს შეუშლიდა აღნიშნული „ობიექტების დანიშნულებისამებრ სრულფასოვნად ფუნქციონირებას“, რაც, თავის მხრივ, საზიანო იქნებოდა საჯარო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვისთვის.

2010 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საქართველოს სახალხო დამცველმა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთ ნორმასთან ერთად, კვლავ გაასაჩივრეს მე-9 მუხლი, რომლის შინაარსი არსებითად იგივე იყო იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე კონსტიტუციურად ცნო. ამასთან, მოსარჩელები ითხოვდნენ მხოლოდ დასახელებული დაწესებულებებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების აკრძალვის არაკონსტიტუციურად ცნობას.

სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ეს ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა შეკრების თავისუფლების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების მიზნით კონკრეტული ადგილის არჩევის თავისუფლებასაც მოიცავს და ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობის და მიზნის თანაზომადი საშუალების გამოყენების შემთხვევაში არის გამართლებული. სასამართლომ, ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია ჩამოთვლიდა დაწესებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, მათი ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და, ამდენად, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს. ამ მხრივ, სასამართლომ სრულად გაიზიარა 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მოყვანილი პოზიცია. თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ „მსგავსი შეზღუდვის არსებობა ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი კომპეტენციისა და საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი არა. შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე დადგენილი ტერიტო-

რიული შეზღუდვის კონსტიტუციასთან შესაბამისობა, კონკრეტული ვითარების და დაწესებულების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მისი ფუნქციური დანიშნულებისა და მის სიახლოვეს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებით გამოწვეული საფრთხის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება“<sup>1</sup>. მოცემულ შემთხვევაში კი კანონით გათვალისწინებული დაწესებულებების განსხვავებულობის მიუხედავად, კანონმდებელმა ერთგვაროვანი მიდგომა, ყველა დაწესებულებასთან მიმართებით იდენტური შეზღუდვა დაადგინა ბლანკეტური ნორმით. ამასთან, სადავო ნორმა იმ შემთხვევებშიც მოქმედებდა, როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) ადმინისტრაციული ორგანოების და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას საფრთხეს არ უქმნიდა.

ბ) სასამართლომ ასეთი ბლანკეტური აკრძალვის არაკონსტიტუციურობის საფუძველად ის გარემოებაც მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის პირობებში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ლანდშაფტის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და დაწესებულებების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზება, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. რადგან დაწესებულებები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ შეიძლება იყვნენ განლაგებული, რომ მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსები ერთმანეთს კვეთდეს. ეს იმ პირობებში, როცა კანონით ასევე აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა მოითხოვს (ნიშნდობლივია, რომ ეს უკანასკნელი აკრძალვა 2002 წელს ზემოაღნიშნული საქმის განხილვისას არ არსებობდა). „ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს შეკრების უფლების განხორციელებისათვის ნებადართულ საჯარო სივრცეს, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გამორიცხავს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა იმაზე მეტად ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვიდრე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო“<sup>2</sup>.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ, ერთი მხრივ, გაიზიარა 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილების პოზიცია, რომ არსებობს ლეგიტიმური მიზნები, რომელთა დასაცავად შეკრების თავისუფლების ასეთი შეზღუდვა ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება აუცილებელიც იყოს. სასამართლომ უფლების დასაშვები შეზღუდვის მაგალითებიც დაასახელა: „ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს კანონმდებლის უფლებამოსილებას, დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მისი ფუნქციური დანიშნულების, სპეციფიკის ან/და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შესაფერისი ადგილი ისე, რომ კონსტიტუციური უფლების არსი არ

<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

იყოს უგულვებელყოფილი. კანონმდებელი ასევე უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაზე ისეთ შენობებთან ან ტერიტორიაზე, რომელიც დაცვის და უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებს. გამონაკლის შემთხვევაში, შეზღუდვის არსებობა შეიძლება გამართლებული იყოს მაშინაც, თუ შეზღუდვა მანიფესტაციისა და შეკრების ჩატარებას კონკრეტულ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის... ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები განსაკუთრებულად ფართოა, როდესაც უფლებაში ჩარევა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. ამ მიზნით ზოგიერთი ტიპის დაწესებულების სიახლოვეს ბლანკეტური აკრძალვის დადგენა გამართლებული შეიძლება იყოს. ასე მაგალითად, გარკვეული რადიუსით შეკრებებისა და მანიფესტაციის ჩატარებაზე შეზღუდვის დაწესება სადავო ნორმაში ჩამოთვლილ ზოგიერთ ისეთ დაწესებულებასთან, როგორიცაა სამხედრო ნაწილი, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნები ან პენიტენციური დაწესებულება, შესაძლოა გამართლებული იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას პროტესტის ადრესატთან ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის<sup>3</sup>.

თუმცა, იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაორაზროვნად მიუთითა, რომ შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება შესაძლებელი იქნება ყოველი კონკრეტული საქმის ინდივიდუალური შესწავლის შედეგად: მხოლოდ რეალური საჭიროების არსებობისას – როდესაც დასახელებულ საჯარო ინტერესებს მართლაც უშუალო საფრთხე ემუქრება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნება უფლებაში ჩარევის თანაზომადი, პროპორციული საშუალება.

2) საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილებაში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე მსჯელობისას მოუხდა ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შეფასებაც. ეს ნორმა შეკრებებსა და მანიფესტაციებზე კრძალავს ისეთ მოწოდებებს, როგორებიცაა: საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

სასამართლომ ამ საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ „დასახელებული პუნქტი არ კრძალავს სიტყვის თავისუფლებას, აკრძალვა ეხება მხოლოდ ზემოთქმული სახის მოწოდებებს, რომლებსაც კანონსაწინააღმდეგო ხასიათი აქვთ. მსგავსი სახის მოწოდებები დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დავით ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პ.59.

317-ე მუხლი)<sup>4</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგადად მსგავსი ტიპის მოწოდებები საერთოდ არ მიიჩნია სიტყვის თავისუფლებით დაცულ სიკეთედ.

2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილებაში სასამართლო კვლავ მიუბრუნდა ამავე საკითხს და მას უშუალოდ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე მოუწია მსჯელობა. მართალია, სასამართლომ ეს ნორმა კონსტიტუციურად მიიჩნია, მაგრამ, იმავდროულად, მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა შეკრების თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ. კერძოდ: საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ საკითხზე მიღებული წინამორბედი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, მსგავსი ტიპის მოწოდებები სიტყვის თავისუფლებით დაცული სფეროდან არ გაიყვანა და მსჯელობა ამ შემთხვევაში ძირითადად დააფუძნა ბლანკეტური, ზოგადი აკრძალვების შემოღების უსამართლო ბუნებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს. ამასთან, მიუთითა, რომ „ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი. საპროტესტო აქციას, რომელზეც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხი იყრის თავს, ახასიათებს ხელისუფლების შეცვლის ან მის გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები“<sup>5</sup>. „მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბნენ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლას. არსებითად არასწორია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ასეთი პროცესის „ხელისუფლების დამხობასთან“ გაიგივება, მასთან გათანაბრება“<sup>6</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადება, რომელიც ძალადობრივი ან/და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მოუწოდებს, ყველა შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას. „მნიშვნელოვანია რომ კანონი, ისევე როგორც მისი გამოყენების პრაქტიკა, განასხვავებდეს გამონათქვამებს, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაძლოა ძალადობის ენას შეიცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკური, სოციალური თუ

<sup>4</sup> 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>5</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>6</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწოდებას, როდესაც მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას... ფორმალურად ძალადობისკენ მოწოდების შემცველი გამონათქვამები ან ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ერთეულ, იზოლირებულ შემთხვევას წარმოადგენს, ყველა შემთხვევაში არ ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს. ამავე დროს, საფრთხის რეალურობის განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს ის, თუ რა კონტექსტში და რა ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) უნდა შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა განცხადება დამხობისკენ, ძალადობით ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდებას და არის თუ არა ძალადობის საფრთხე. სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს და შეწყვიტოს შეკრება (მანიფესტაცია) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ნორმა კონსტიტუციის შეუსაბამო იქნება, თუ ის გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვას შესაძლებელს ხდის ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად<sup>7</sup>.

სასამართლომ ნორმის სისტემური განმარტების გზით დაადგინა, რომ „ამგვარი კრიტიკული განცხადებები არ წარმოადგენს სადავო ნორმის რეგულირების სფეროს. სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არც ის გამონათქვამები განეკუთვნება, რომლებიც ფორმალურად „დამხობისკენ მოწოდების“ სიტყვებს შეიცავენ, მაგრამ კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვები იქნა წარმოთქმული, მათი ნამდვილი არსი და მიზანმიმართულება არ იძლევა კანონის დარღვევის დადგენის საფუძველს ... სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა უკავშირდება მოწოდებას, რომელიც გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანის სურვილს. მოწოდება, რომელიც ასეთი განზრახვის გარეშეა გაკეთებული, სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება“<sup>8</sup>.

### 3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები

#### 3.1. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და მისი პრაქტიკული შედეგები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, ბუნებრივია, მთლიანად დაკავშირებულია იმ სამართლებრივ შედეგებთან, რომელთა გამოწვევაც მას შეუძლია. ამიტომ საინტერესოა საკითხი, როდის, რა ეტაპიდან ხდება გადაწყვეტილების შედეგები ხელშესახები.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

ლოგიკურია, რომ ცვლილებების მოლოდინი ობიექტურად დაკავშირებულია გადაწყვეტილებებთან, რომლებითაც კონკრეტული სარჩელები კმაყოფილდება. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელიც ზუსტად ასეთი გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგების საკანონმდებლო რეგლამენტირებას ახდენს<sup>9</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „... არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“. ეს ნორმა გვაწვდის ინფორმაციას: ა) გადაწყვეტილების უშუალო სამართლებრივი შედეგის და ბ) ასეთი შედეგის დადგომის დროის თაობაზე.

გადაწყვეტილების უშუალო სამართლებრივი შედეგი არის არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა და ამ გზით კონსტიტუციის/ადამიანის უფლებების შემდგომი დარღვევების თავიდან აცილება ან/და დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესაძლებლობის გაჩენა. თუმცა, იმავდროულად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ შედეგების დროულ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აზრი არ ექნება, თუ ის ვერ გამოიწვევს იმ დადებით შედეგებს, რისთვისაც იქნა მიღებული. ამიტომ, სულ მცირე, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შედეგების გონივრულ დროში დადგომას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უშუალო, პირველადი სამართლებრივი შედეგი – არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვა, როგორც უკვე აღინიშნა, დაკავშირებულია გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან<sup>10</sup>.

თუ რა ითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად, ამაზე პასუხს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი იძლევა, რომლის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერიდან 15 დღეში იგი ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე“.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს 15 დღის ვადაში: ა) საქმის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტის შემთხვევაში 15 დღიანი ვადა აითვლება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის (სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების)

<sup>9</sup> თუმცა პრაქტიკამ თვალსაჩინო გახადა ისეთი გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგების საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობაც, რომლებითაც სარჩელები არ კმაყოფილდება, რაც ნიშნავს, რომ სადავო ნორმა კონსტიტუციურად ცხადდება და იურიდიულ ძალას ინარჩუნებს. ეს საკითხი არაერთ პრაქტიკულ პრობლემას აერთიანებს და ცალკე განხილვას მოითხოვს, ამიტომ წინამდებარე სტატია მის ანალიზს არ დაეთმობა.

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მომენტიდან; ბ) საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერის დღიდან.

ყურადსაღებია, რომ გამოქვეყნების ეტაპს უკავშირდება გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებაც. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. ეს ნორმა, ერთი მხრივ, ადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების ვალდებულებას, თუმცა, მეორე მხრივ, ის ამ ვალდებულების გაჩენის ათვლის წერტილად მიიჩნევს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვას (თუ თავად გადაწყვეტილებით არ იქნება დადგენილი მისივე აღსრულების განსხვავებული ვადა).

მაშასადამე, კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების როგორც პირველად სამართლებრივ შედეგს – არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვას, ისე მისი აღსრულების ვალდებულებას უკავშირებს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას. ასეთ ფონზე, საინტერესოა, რა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს კანონმდებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლას.

ზოგადად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთვის, მისი მხოლოდ ხელმოწერის და, შესაბამისად, მიღების ფაქტი არ არის საკმარისი. ამისთვის აუცილებელია, ის გახდეს საჯარო, ხელმისაწვდომი, რათა შესაბამისი პირებისათვის ცნობილი და გასაგები გახდეს გადაწყვეტილებით განპირობებული მათი უფლებები და ვალდებულებები, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულებისა და ქმედითობისათვის. ამიტომ ზეპირი მოსმენით გადაწყვეტილების მიღებისას ის ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან, რაც პრაქტიკულად მისი ხელმოწერის (მიღების) თანადროული ეტაპია<sup>11</sup>, ხოლო ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებისას – მისი გამოქვეყნების მომენტიდან, ანუ ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში. განსხვავებული წესი ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთვის დაკავშირებულია იმასთან, რომ კანონმდებლობა<sup>12</sup> უშვებს შესაძლებლობას, ასეთი გადაწყვეტილება სხდომათა დარბაზში არ გამოცხადდეს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების განსაჯაროების კანონით გათვალისწინებულ ფორმად მისი გამოქვეყნება რჩება.

როგორც დავინახეთ, არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა ყოველთვის არ არის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თანადროული პროცესი. ეს პროცესები თანადროული ხდება მხოლოდ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის გადაწყვეტისას, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების ძალაში შესვლაც და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვაც გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უკავშირდება.

<sup>11</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>12</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების პირველადი პრაქტიკული იურიდიული შედეგი სხვა არაფერია, თუ არა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა (და შემდგომში ამით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები), მაშინ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან გამოქვეყნებამდე პერიოდში (მაქსიმუმ 15 დღე, ვიდრე არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას დაკარგავს) გაუგებარია, პრაქტიკულად რა შედეგები შეიძლება დააყენოს (გამოიწვიოს) გადაწყვეტილების ძალაში შესვლამ? მით უფრო, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების გაჩენაც მის გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული და არა გამოცხადებასთან, შესაბამისად, ძალაში შესვლასთან.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა თავად გამორიცხავს გადაწყვეტილების რაიმე შედეგების გამოწვევის შესაძლებლობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, რაც თავისთავად გაუგებარს ხდის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მნიშვნელობას. მაშინ, როდესაც კანონზომიერია დაინტერესებული პირების მოლოდინი და მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ მათი კონსტიტუციური უფლებები აღარ დაირღვეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებისას კი, როგორც უკვე აღვნიშნა, ის ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ამავე მომენტიდან კარგავს ძალას არაკონსტიტუციური ნორმა და ამავე მომენტიდან ჩნდება გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება. აქვე უნდა აღვნიშნოს ერთი გარემოება – მართალია, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას გადაწყვეტილება შეიძლება არ გამოცხადდეს სხდომათა დარბაზში<sup>13</sup>, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სხდომათა დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების ზოგადი წესის გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება, ზეპირი მოსმენით მიღებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, ძალაში შედის გამოქვეყნების და არა სხდომათა დარბაზში გამოცხადების მომენტიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სამართლებრივად ლოგიკური იქნება, თუ ზეპირი მოსმენით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლაც (ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების მსგავსად) დაუკავშირდება მის გამოქვეყნებას და არა სხდომაზე გამოცხადებას, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილებას სამართლებრივი შედეგების გამოწვევა ზუსტად გამოქვეყნების ეტაპიდან შეუძლია. კერძოდ, კონსტიტუციის მიხედვით, ზუსტად გამოქვეყნების მომენტიდან კარგავს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა იურიდიულ ძალას და კანონმდებლობის მიხედვით, ამავე დროიდან ჩნდება გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთვის დადგენილი ვადის შემცირებაც, რადგან მაქსიმალურად შემჭიდროვდეს ვადა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ძალაში შესვლამდე.

<sup>13</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: ვინაიდან იურიდიული ძალის დაკარგვამდე ნორმატიული აქტი მოქმედებს, გამოდის, რომ 15 დღის განმავლობაში (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან/ხელმოწერიდან გამოქვეყნებამდე) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას ინარჩუნებს, რაც ნიშნავს, რომ უნარიანია გამოიწვიოს არაკონსტიტუციური შედეგები. ბუნებრივია, ივარაუდება, რომ სამართალშემფარდებელმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ უნდა გამოიყენოს და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უშუალოდ კონსტიტუციაზე დაყრდნობით. თუმცა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე სამართალშემფარდებლისთვის შესაძლოა არც იყოს ცნობილი გადაწყვეტილების თაობაზე, რადგან გამოქვეყნებამდე გადაწყვეტილების ასლები ეგზავნებათ მხოლოდ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. ზუსტად გამოქვეყნება არის დაინტერესებული პირებისათვის გადაწყვეტილების გაცნობისა და ხელმისაწვდომობის ოფიციალური შესაძლებლობა. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში, სამართალშემფარდებელს შესაძლოა პირდაპირი მოქმედების განმსაზღვრელი ნორმა უშუალოდ კონსტიტუციაში არ ჰქონდეს. ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, სპეციალური, კონსტიტუციის შესაბამისი რეგულაციის შემოღების აუცილებლობის შემთხვევაში (ასეთი რეგულაციის არარსებობისას), სამართალშემფარდებელი თავად ვერ გადაწყვეტს, როგორი იქნება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის კონსტიტუციის შესაბამისი მოწესრიგება. ერთი მხრივ, მას არა აქვს ამის კომპეტენცია, მეორე მხრივ, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის არარსებობის შემთხვევაში, სხვადასხვა სამართალშემფარდებელმა შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავებული გზა მიიჩნოს სწორად, რაც ასევე სახიფათოა სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით და არაერთ სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთვის უფრო ხანმოკლე ვადის დაწესება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გამოყენების ალბათობა მისი იურიდიული ძალის დაკარგვამდე. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის (ნორმის) იურიდიული ძალის დაკარგვაც შესაძლოა არ იყოს საკმარისი გარანტია უფლების შემდგომი დარღვევის თავიდან აცილებისათვის. მომდევნო თავში ერთ-ერთ ასეთ პრობლემაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

### 3.2. შეიძლება თუ არა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის შემდგომი გამოყენება?

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ გამოავლინა და აქტუალური გახდა შემდეგი პრობლემის საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვიდან პარლამენტის (ნორმატიული აქტის მიმღები სხვა ორგანოს, თანამდებობის პირის) მიერ ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი რეგულაციის მიღებამდე, როგორ, რა სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები.

ხშირ შემთხვევაში, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მიღება საჭირო არ არის, რადგან არაკონსტიტუციური ნორმის ძალის დაკარგვა საკმარისია უფლებების შემდგომი დარღვევის თავიდან ასაცილებლად (მაგ., ასეთი შემდეგები გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგმა გადაწყვეტილებებმა: 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სხვა).

ცალკეულ შემთხვევაში, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ საჭიროა ახალი ნორმის (ნორმების) მიღება, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას კონსტიტუციის შესაბამისად მოაწესრიგებს ან დამატებითი საკანონმდებლო რეგულირებების შემოღება, რომელთა გარეშეც ეს ურთიერთობა კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკის გარეშე ვერ შედგება (განვითარდება), რადგან, ერთი მხრივ, კონსტიტუციის ტექსტი არ შეიცავს საკმარისად კონკრეტულ ნორმას, უშუალოდ მასზე დაყრდნობით სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის და მეორე მხრივ, მოქმედ კანონმდებლობაშიც არ არის პასუხი ამ ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაზე. ასეთ დროს, როგორ უნდა შედგეს და განვითარდეს კონკრეტული ურთიერთობები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე? მით უფრო, თუ ამ ურთიერთობის განუხორციელებლობამ (სამართლებრივი ურთიერთობების ვერდამყარებამ), ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა ასევე გამოიწვიოს კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების ან/და ლეგიტიმური საჯარო ინტერესების დარღვევა.

როგორც უკვე აღინიშნა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. საკანონმდებლო პროცესი ობიექტურად მოითხოვს გარკვეულ დროს, ამიტომ გადაწყვეტილების „დაუყოვნებლივ აღსრულების“ ვალდებულება ვერ წარმოშობს იმის გონივრულ მოლოდინს, რომ კანონმდებელმა ეს ცვლილებები გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან მეორე ან მესამე დღეს უნდა მიიღოს. თუმცა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა შემჭიდროებულ, გონივრულ ვადებში მიიღოს შესაბამისი ცვლილებები (დამატებები).

ნებისმიერ შემთხვევაში, პარლამენტმა მაქსიმალურად მჭიდრო ვადებშიც რომ მოახერხოს შესაბამისი ცვლილებების მიღება (თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ეს შესაძლოა ობიექტურად დიდ დროს მოითხოვდეს საკითხის სირთულის ან პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისის ვერმიღწევის გამო), მათ მიღებამდე რა ბედი ეწევა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს? არაკონსტიტუციური ნორმა უკვე ძალადაკარგულია (ანუ მას სამართალ-შემფარდებელი ველარ გამოიყენებს), ხოლო ახალი ნორმა ჯერ არ არის მიღებული (კანონმდებელმა არ ან ვერ მიიღო), როგორ უნდა განვითარდეს სამართლებრივი ურთიერთობები და რა პრაქტიკული ძალა აქვს ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას?

კანონმდებლობაში ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მკაფიო პასუხი არ არსებობს. ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან და შევეცდებით გავანალიზოთ გამოსავლის ის გზები, რომელთაც სასამართლო მიმართავდა ამ საკითხის გადაჭრის მცდელობისას:

1) 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში N1/3/136 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო: 1. „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2002 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდ ტარიფებს და 2. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2001 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერგიის საფასურის გადახდის წესი“.

საკონსტიტუციო სასამართლო ამ საქმეზე შემდეგი პრობლემის წინაშე დადგა: კონკრეტული სამომხმარებლო ტარიფის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ მისი მომწესრიგებელი აქტის იურიდიული ძალის დაკარგვა იწვევდა სამომხმარებლო ტარიფის საერთოდ არარსებობას ახალი შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებამდე. რისი კანონზომიერი შედეგი იქნებოდა მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა ახალი ტარიფის დადგენამდე. ამიტომ სასამართლო შეეცადა მოენახა გამოსავალი.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ, ერთი მხრივ, მიუთითა, რომ არაკონსტიტუციური აქტები იურიდიულად ძალადაკარგულია ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, მეორე მხრივ კი, სასამართლომ სემეკს მისცა 2 თვე ახალი ტარიფების დადგენისთვის („III. ეთხოვოს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკს) 2003 წლის 1 მარტამდე დაადგინოს მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ახალი ტარიფები ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის I პუნქტში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით“<sup>14</sup>) და, იმავედროულად, გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწერა: „IV. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულდეს მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ახალი ტარიფების განმსაზღვრელი დადგენილების ამოქმედების მომენტიდან იმ პირობით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროიდან ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის შესასყიდად ამჟამად მოქმედი ტარიფების მიხედვით გადახდილი თანხები გადაანგარიშდება ახლად დადგენილი ტარიფების საფუძველზე“<sup>15</sup>.

<sup>14</sup> 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/136 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

<sup>15</sup> იქვე.

მაშასადამე, სასამართლომ, ფორმალურად, არ დაარღვია კონსტიტუციის და კანონის მოთხოვნა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის დროის (მომენტის) თაობაზე და კანონმდებლობის ეს მოთხოვნები დააფიქსირა სარეზოლუციო ნაწილში, მაგრამ, იმავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში დადგომას შეეძლო ასევე გამოეწვია მომხმარებელთა უფლებების დარღვევა, როგორც სადავო ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა (დასახელებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი), ისე მათი იურიდიული ძალის დაკარგვა (ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი) გადაავადა ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებამდე, რითაც, იმავდროულად, გაახანგრძლივა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების მოქმედება.

შევეცდებით, პრობლემის გადაწყვეტის სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ეს გზა გაანალიზოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების ფონზე.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს რა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, მისი გამოქვეყნების შემდეგ, დაუყოვნებლივი აღსრულების ვალდებულებას, იმავდროულად, ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას: ა) დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების სხვა ვადა, ბ) ამის თაობაზე მიუთითოს გადაწყვეტილებაშივე. ეს ნორმა გათვლილია ზუსტად ისეთ შემთხვევებზე, როდესაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება ობიექტურად შეუძლებელია. მაგრამ, იმავდროულად, იმისათვის, რომ საკითხის გადაწყვეტის გაუმართლებელი გაჭიანურების რისკები გამოირიცხოს, სასამართლოს შეუძლია, კანონმდებელი შებოჭოს საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელი გონივრული დროით, ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა იძლევა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესაძლებლობას და არამც და არამც სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ან არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვის გადავადების შესაძლებლობას (როგორც ეს დასახელებულ გადაწყვეტილებაში მოხდა). გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებად ვერ ჩაითვლება სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის გადავადება, რადგან ეს უკანასკნელი (სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის გადავადება) თავად გადაწყვეტილების მიღების და არა მისი აღსრულების გადავადებას გულისხმობს. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა კი გადაწყვეტილების თავისთავადი შედეგია და ამ შედეგის მიღწევა შესაბამისი ორგანოების რაიმე ძალისხმევას არ მოითხოვს. შესაბამისად, ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა გადაწყვეტილების აღსრულებად ვერ ჩაითვლება. ტერმინი „აღსრულება“ მიუთითებს შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების აღსასრულებლად კონკრეტული ქმედებების განხორციელების აუცილებლობას. ამასთან, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის საკითხი კონსტიტუციით (89-ე მუხლის მე-2 პუნქტით) არის მოწესრიგებული და გამონაკლისის დშეგების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს – კონსტიტუციის დასახელებული ნორმის მიხედვით, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ იძლევა ჩვენ მიერ დასახელებული პრობლემის ბოლომდე გადაწყვეტის შესაძლებლობას. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კანონმდებელი შებოჭოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების მიღების კონკრეტული, გონივრული ვადით, მაგრამ ამ დროის განმავლობაში აქტუალური რჩება საკითხი იმის თაობაზე, შესაბამისი ნორმის არარსებობის პირობებში როგორ უნდა განვითარდეს სამართლებრივი ურთიერთობები.

დასახელებული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტზე მითითებასთან დაკავშირებული უხერხულობები, ბუნებრივია, ცხადი იყო თავად სასამართლოსთვისაც, რის გამოც, მომდევნო საქმეზე, რომელმაც იგივე დილემის გადაწყვეტის წინაშე დააყენა სასამართლო, მას ამ ნორმაზე აღარ მიუთითებია. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ შემთხვევაშიც, კანონმდებელს მისცა დრო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მიღებისთვის, მაგრამ ამჟერადაც სასამართლოს მცდელობამ, საკუთარი გადაწყვეტილებით ნეგატიური შედეგები არ გამოეწვია, ობიექტურად გააჩინა კითხვები. კერძოდ:

2) 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში N2/3/182, 185, 191 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები, რომლებიც შეეხებოდა პირის დაკავებისა და დაცვის უფლებით სარგებლობის საკითხებს. კერძოდ, ეს ნორმები: ა) იძლეოდა პირის დაკავების შესაძლებლობას კანონმდებლობით დაუკონკრეტებელი საფუძვლებით. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ერთ ნორმაში ჩამოთვლიდა დაკავების შესაძლო შემთხვევებს, იმავდროულად, სადავო ნორმით მიუთითებდა „სხვა მონაცემებზე, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“, რაც პირის დაკავების დამოუკიდებელ, იმავდროულად გაუგებარ, ბუნდოვან საფუძველს ქმნიდა და იწვევდა უფლების დარღვევის საფრთხეს; ბ) იძლეოდა შესაძლებლობას, პირი დაკავებიდან 2 საათის განმავლობაში ყოფილიყო დამცველისა და შესაბამისი პროცესუალური გარანტიების გარეშე, რადგან კანონი დაკავების ფაქტს უკავშირებდა არა პირის ფიზიკურად თავისუფლების შეზღუდვის მომენტს, არამედ დაკავების შესახებ შესაბამისი პროცესუალური დოკუმენტების შედგენას, რაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პირის პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში; გ) ადგენდა დამცველთან დაკავებული პირის კომუნიკაციის დაწყების დროს (რომელიც არ ემთხვეოდა თავად დაკავების მომენტს) და დამცველთან შემდგომი ურთიერთობის ხანგრძლივობას.

სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა გარდაუვალი იყო, რადგან ისინი იწვევდნენ კონსტიტუციური უფლებების დარღვევას. თუმცა, იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო აცნობიერებდა, რომ ეს ნორმები, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უმრავლესობა, ყოველწითიერი მოქმედებისაა და ნებისმიერ დროს შეიძლება საჭიროებდეს გამოყენებას პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. ამიტომ აუცილებელი იყო ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმატიული ბაზის არსებობა, რათა სა-

მართლებრივ ვაკუუმს არ მიეცა სამართალშემფარდებლისთვის უფლების ბოროტად გამოყენების უფლებამოსილება და არ გამოეწვია ადამიანის უფლებების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლები შეიცავს შესაბამის გარანტიებს მათი ქმედითობისათვის, საჭიროა დეტალურად გაწერილი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სამართალგამომყენებელს მისცემს საკმარის და ცხად ინფორმაციას, როდის, რა საფუძვლების არსებობისას და როგორ უნდა მოიქცეს. შესაბამისად, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ მხოლოდ კონსტიტუციის ნორმები ან დანარჩენი კანონმდებლობა შესაძლოა საკმარისი არ ყოფილიყო, ერთი მხრივ, უფლებების დაცვისა და მეორე მხრივ, კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევისთვის, რის გამოც, სასამართლომ კანონმდებელს მისცა გონივრული დრო (3 თვე) ამ საკითხების ადეკვატური მოწესრიგებისათვის. კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში ჩაიწერა: „3. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს, ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების გათვალისწინებით, შეიმუშაოს და შეიტანოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებები და დამატებები 2003 წლის 1 მაისამდე“<sup>16</sup>.

თუმცა ამ შემთხვევაში გაუგებარია, სასამართლო იმავდროულად გულისხმობდა თუ არა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებისთვის იურიდიული ძალის შენარჩუნებას ახალი ნორმების მიღებამდე, როგორც ეს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში გააკეთა. მით უფრო, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს ამ აქტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე არ არის მითითება გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებაზე და ასეთი უფლებამოსილების დამდგენ ნორმაზე.

მიგვაჩნია, რომ დასახელებული მაგალითები თვალსაჩინოდ მიუთითებს პრობლემის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების აუცილებლობაზე. როგორც ვნახეთ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი დასახელებული პრობლემის მოგვარების ნორმატიულ საფუძვლად ვერ გამოდგება. ამასთან, ფაქტია, რომ სასამართლო, ორივე შემთხვევაში, ცდილობდა გადაწყვეტილებებით არ გამოეწვია ნეგატიური შედეგები.

2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში N1/3/136 გაკეთებული ზემოაღნიშნული ჩანაწერების საპირწონეს წარმოადგენდა: ა) ადამიანის უფლებების დამრღვევი ნორმების კონსტიტუციურად ცნობა, რათა გადაწყვეტილებას, გარკვეული დროის განმავლობაში (ვიდრე კანონმდებელი ახალ ნორმას არ მიიღებდა), სხვათა ან იგივე ადამიანების უფლებების/საჯარო ინტერესების დარღვევა არ გამოეწვია ან ბ) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იურიდიული ძალის, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, დაკარგვის შედეგად ადამიანის უფლებების ან საჯარო ინტერესების დარღვევის გარდაუვლად გამოწვევა.

ბუნებრივია, სასამართლო არ შეიძლება იდგეს ასეთი გამოწვევის წინაშე, მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება იწვევდეს უფლებების ან საჯარო ინტერესების დარღვევას. როდესაც

<sup>16</sup> 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება N2/3/182, 185, 191 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სასამართლო თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კერძო და საჯარო ინტერესების აწონვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია, მან, ბუნებრივია, უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად დაარღვევს კონსტიტუციას. მაგრამ, იმავდროულად, ასეთმა სწორმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება წარმოშვას უფრო სერიოზული პრობლემები ადამიანის უფლებების თუ საჯარო ინტერესების ხელყოფის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების გადადების მოტივით (საფუძვლით), პრაქტიკულად გადაავადა გადაწყვეტილების მიღებისა და ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის ეტაპები, რომლის სამართლებრივი საფუძველიც მას არ ჰქონდა, მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ასეთი მიდგომა, ნაწილობრივ, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გონივრული გზა პრობლემის გადაჭრისა. კერძოდ: იშვიათ, უკიდურეს შემთხვევაში (როდესაც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ერთი მხრივ, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობებისთვის აუცილებელია ახალი ნორმის მიღება, რადგან არც კონსტიტუცია და არც დანარჩენი კანონმდებლობა არ იძლევა საკმარის ნორმატიულ საფუძველს სამართლებრივი ურთიერთობის კონსტიტუციის შესაბამისად წარმართვისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი რეგულაციის მიღებამდე ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებზე საერთოდ უარის თქმა ასევე კონკრეტული უფლებების/საჯარო ინტერესების დარღვევის გარდაუვალი რისკის მატარებელია) საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება, გონივრული დროით გადაავადოს არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მიღებამდე, ოღონდ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიკეთეთა აწონვის შედეგად დარწმუნდება, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა უფრო მძიმე შედეგს გამოიწვევს, ვიდრე სადავო ნორმის მოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცლილებები ვერ განხორციელდება კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი კორექტირების გარეშე; ბ) ამასთან, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება თავისთავად ნიშნავს არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმაზე დაყრდნობით უფლებების შემდგომი დარღვევების ლეგიტიმაციას თავად სასამართლოს მხრიდან და ამ ნორმის ბაზაზე წარმოშობილი ურთიერთობების საფუძველზე კონკრეტული პირების იმ კონსტიტუციური უფლებების დარღვევას, რომელთა დაცვის მოტივითაც ის არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, უნდა შეიქმნას დამატებითი, შესაბამისი გარანტიები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობიდან მისი იურიდიული ძალის დაკარგვამდე პერიოდში, ამ ნორმით გამოწვეულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და ზიანის ანაზღაურებისათვის.

თინათინ ერქვანია

# სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი – ქართული მოდელი

მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა  
ევროპული კავშირის მაგალითზე

თინათინ ერქვანია\*

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

## შესავალი

ზოგადად, კონსტიტუცია, როგორც ასეთი, აღიქმება როგორც სოციუმის თვითრეალიზაციის სამართლებრივი ფორმა, მისი წარსულის კანონზომიერი შედეგი და ერთგვარი კულტურული ფენომენი<sup>1</sup>. ამ სენტენციის გათვალისწინებით, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მარეგულირებელი ცალკეული საკანონმდებლო დანაწესი არის შესაბამისი ნაციონალური სამართლებრივი (და არა მხოლოდ) კულტურის ნაწილი და განპირობებულია მისით. რელიგიის თავისუფლების სფეროში მოქმედი ქართული კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის პირველი კონსტიტუციის მე-16 თავის (142-ე, 143-ე და 144-ე მუხლები) თანახმად, „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული და

\* თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

გერმანული სამართლის მაგისტრი (LL.M HU Berlin), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდიანტი.

<sup>1</sup> 1982 წლიდან ჩამოყალიბდა კონცეფცია „კონსტიტუციური სწავლების“, როგორც ერთგვარი „კულტურული მეცნიერების“ შესახებ. Habürle, Peter: Das europäische Georgien, მოხსენება (მადლობის სიტყვა) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით (2009 წლის 10 მარტი). Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart. 58, 2010, S. 409-411.

დამოუკიდებელი არიან. არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა. ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია“.

საქართველოს მოქმედი 1995 წლის 24 აგვისტოს მეორე კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში“.

საქართველოს პირველი და მეორე (მოქმედი) კონსტიტუციის ანალოგიური დებულებები აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობას აღწერს: პოსტსაბჭოური სამართლებრივ-პოლიტიკური რეალობა საქართველოში, რელიგიის თავისუფლების სფეროში, მე-20 საუკუნის დასაწყისისგან განსხვავებით, ერთი შეხედვით შედარებით დესეკულარიზირებული ჩანს. როგორია სამართლებრივი რეალობა სინამდვილეში? ამ საკითხის და მოცულობის სტანდარტული პარამეტრების გათვალისწინებით, სტატიის მიზანია რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალიზაციის (forum externum) განმსაზღვრელი ქართული ნორმატივებისა და ევროპული სტანდარტების ანალიზი, მოქმედ კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოჩენა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად წინადადებების შეთავაზება და ამ თემატიკის გარშემო დისკუსიის გაღრმავება. შედარებით-სამართლებრივი და სისტემურ-ლოგიკური მეთოდების საფუძველზე, სტატია ფრაგმენტულად მიმოიხილავს ევროპული კავშირის ფარგლებში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, რელიგიური გაერთიანებების და სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივ მოდელს, სეკულარიზმის და პოსტსეკულარიზმის, პოლიტიკური ეთიკის და ე.წ. ოფიციალური თეოლოგიის ურთიერთმიმართების პრობლემატიკას და აანალიზებს სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის მომწესრიგებელი ქართული ნორმატივების საკანონმდებლო სქემას.

## 1. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თანამედროვე სამართლებრივი მოდელები

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თანამედროვე კლასიკურ ფორმებად კონსტიტუციურ-სამართლებრივი დოქტრინა, ძირითადად, სამ მოდელს განასხვავებს<sup>2</sup>:

<sup>2</sup> სახელმწიფო ხელისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთმიმართების სამართლებრივი ფორმების სამ

- ა) სახელმწიფო ეკლესია ანუ დომინანტი ეკლესია<sup>3</sup>. ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური ურთიერთკავშირი სახელმწიფოსა და დომინანტ რელიგიურ გაერთიანებას შორის. მაგ., გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, დანია, საბერძნეთი, შვეიცარიის რამდენიმე კანტონი.
- ბ) სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების გამიჯვნის მოდელი. გამიჯვნის მოდელი სახეზეა, როდესაც რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ფენომენი, განეკუთვნება მხოლოდ კერძო სექტორს და რელიგიური გაერთიანებები კერძოსამართლებრივი იურიდიული პირების ფორმით თანაარსებობენ. მაგ., ნიდერლანდები, ირლანდია, საფრანგეთი, აშშ.
- გ) სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების კოოპერაციის მოდელი. კოოპერაციის მოდელი სახეზეა, როდესაც რელიგიას და რელიგიურ გაერთიანებებს რელიგიურად ნეიტრალური სახელმწიფო პოზიტიურ კონტექსტში აღიქვამს, მათთან კოოპერირებს და მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს. მაგ., ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, იტალია, გერმანია. კოოპერაციის ფორმები და მასშტაბი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავდება, ძირითადად, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების და საგანმანათლებლო სექტორში ურთიერთთანამშრომლობის სტილისტიკით. კოოპერაციის მოდელი აღიქმება როგორც გამიჯვნის მოდელის ზომიერი სახე, რომელიც ახდენს ინსტიტუციონალური გამიჯვნისა და კოოპერაციის ფორმებისა და შესაძლებლობების კომბინირებას<sup>4</sup>.

ზოგადად, რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუციონალიზაციის ორი ფორმა არსებობს: რეგისტრაცია კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით (შემდგომში – ა(ა)იპ) და რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (შემდგომში – სსიპ) ფორმით. ზოგიერთ სახელმწიფოში, არც არის გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების კონკრეტული სახის იურიდიულ პირად ან საერთოდ იურიდიულ პირად რეგისტრაციის შესაძლებლობა, თუმცა არსებობს სამართლებრივი მექანიზმები მათი ეროვნულსამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციისათვის (ეპარქიები, რწმუნებულები და სხვ.). რელიგიური გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ-ის ფორმით, სხვა სსიპებისგან განსხვავდება სამი ნიშნით: არ ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას, ორგანიზაციულად არ განეკუთვნება სახელმწიფო ორგანოთა სისტემას და არ ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლებას. ა(ა)იპ-სა და სსიპ-ის სტატუსს შორის სხვაობა ვლინდება, ძირითადად, დაფინანსების გაუმჯობესებულ სქემაში და სამართლებრივ-სტატუსობრივ რანგში – სსიპ-ად

კლასიკურ სახეობად დაყოფა, თითოეული ქვეყნის სამართლებრივი და რელიგიური ტრადიციების თავისებურებების გათვალისწინებით, პირობითია. მაგ., ირლანდიაში ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია ერთმანეთისაგან, თუმცა გარკვეულ სფეროებში რომის კათოლიკური ეკლესია მნიშვნელოვნად დომინირებს. *Unruh, Peter, Religionsverfassungsrecht, Baden-Baden 2009, S. 312.*

<sup>3</sup> მითითებული მოდელის მხოლოდ ქრისტიანული კონფესიების ინსტიტუციებზე გავრცელებას, ლოგიკურია, განაპირობებს ევროპული კულტურულ-ისტორიული კონტექსტი. გარდა ქრისტიანული კონფესიებისა, სხვა რელიგიის გავრცელების მასშტაბი ევროპული კავშირის ფარგლებში ისტორიულად გაცილებით მცირე იყო. *რობერსი, გერჰარდ (რედ.), სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 665.*

<sup>4</sup> *Korith, Stefan, Freiheit der Kirchen und Religionsgemeinschaften, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen Hrsg., Handbuch der Grundrechte, Heidelberg 2011, S. 620.*

რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანება, როგორც წესი, განსაკუთრებულ საგანმანათლებლო და საჯარო ფუნქციებს ასრულებს<sup>5</sup>. სისტემაში, სადაც ორივე სახის იურიდიული ფორმის სახით რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაცია დაიშვება, მათ შორის სტატუსობრივ სხვაობას აბალანსებს ყველა რელიგიისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სასურველი სამართლებრივი ფორმატი და საკანონმდებლო სივრცე<sup>6</sup>.

სახელმწიფოს და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის სამართლებრივი ფორმების სამეულად დაყოფის სტანდარტული მოცემულობის პარალელურად, მოქმედებს თეზა რელიგიური გაერთიანებების და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთმიმართების ორსაფეხუროვანი მოდელის შესახებ, რომლის მიხედვით, სახელმწიფო რელიგიის სფეროს რეგულირებისას, უპირველესად, ახდენს რელიგიის თავისუფლების, როგორც ინდივიდუალური, კოლექტიური და კორპორაციული თავისუფლების საკონსტიტუციო დონეზე ძირითადი უფლების რანგში რეგულაციას (პირველი საფეხური) და მომდევნო ეტაპზე, ეროვნული კულტურულსამართლებრივი ტრადიციების შესაბამისად, ქმნის სპეციფიკურ სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ რესურსებს, რელიგიის თავისუფლების განსახორციელებლად (მეორე საფეხური).

ევროპული კავშირის სამართლებრივი სივრცე რელიგიის თავისუფლების განხორციელების სამართლებრივ გარანტიებს ქმნის სწორედ აღწერილი ორსაფეხუროვანი სისტემის ფარგლებში<sup>7</sup>.

## 2. რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუციონალიზაციის ცალკეული ასპექტები ევროპულ კავშირში

რელიგიის თავისუფლება<sup>8</sup> სტანდარტულად მოიცავს რომელიმე რელიგიის აღიარების ან არაღიარების, რელიგიური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაშვებობის ან რელიგიის შეცვლის თავისუფლებას. ასევე, მარტო, თანამოაზრეებთან ან რელიგიური გაერთიანებების წევრებთან ერთად რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის

<sup>5</sup> ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებით იხ., რობერტი, გერჰარდ (რედ.), სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მეორე გამოცემა, 2011.

<sup>6</sup> Walter, Christian, Religions- und Gewissensfreiheit, in: Grote, Rainer/Marauhn, Thilo (Hrsg.), Konkordanzkommentar zum europäischen und deutschen Grundrechtsschutz, Tübingen 2006, S. 860 ff.

<sup>7</sup> Unruh, Peter, Religionsverfassungsrecht, Baden-Baden 2009, S. 321 ff.

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულებით რელიგიის თავისუფლების ერთმნიშვნელოვანი კონკრეტული დეფინიცია ჯერჯერობით არ არის შემუშავებული. Walter, Christian, Religions- und Gewissensfreiheit, in: Grote, Rainer/Marauhn, Thilo (Hrsg.), Konkordanzkommentar zum europäischen und deutschen Grundrechtsschutz, Tübingen 2006, S. 838 ff.

ან არმონაწილეობის უფლებას, სიტყვით/საქმით რომელიმე რელიგიისადმი მსახურების ან რელიგიური სწავლებით სხვათა ინდოქტრინაციის შესაძლებლობას<sup>9</sup>.

რელიგიის თავისუფლებას, სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, არეგულირებს ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტულ სქემაზე მითითებით განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტს ევროპული კავშირის ფარგლებში<sup>10</sup>. რელიგიის თავისუფლებას ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უშუალოდ მე-9 მუხლი<sup>11</sup>, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-10 მუხლი<sup>12</sup>, 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილი<sup>13</sup>, 22-ე მუხლი<sup>14</sup> და სხვ.<sup>15</sup>

ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად<sup>16</sup>, ევროკავშირის ორგანოებს არ გააჩნია წევრ სახელმწიფოთა შიდასამართლებრივ სივრცეში რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფი მექანიზმების შემუშავების კომპეტენცია<sup>17</sup>. ამავდროულად ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ევროპული კავშირი პატივს სცემს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ იდენტიტეტს, რომელიც

<sup>9</sup> Meyer-Ladewig, Jens, EMRK – Europäische menschenrechtskonvention, Handkommentar, 3. Aufl., Baden-Baden 2011, S.228 ff.

<sup>10</sup> Treaty of European Union (TEU), Article 6: „1. The Union recognises the rights, freedoms and principles set out in the Charter of Fundamental Rights of the European Union of 7 December 2000, as adapted at Strasbourg, on 12 December 2007, which shall have the same legal value as the Treaties. The provisions of the Charter shall not extend in any way the competences of the Union as defined in the Treaties. The rights, freedoms and principles in the Charter shall be interpreted in accordance with the general provisions in Title VII of the Charter governing its interpretation and application and with due regard to the explanations referred to in the Charter, that set out the sources of those provisions. 2. The Union shall accede to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. Such accession shall not affect the Union's competences as defined in the Treaties. 3. Fundamental rights, as guaranteed by the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and as they result from the constitutional traditions common to the Member States, shall constitute general principles of the Union's law.“

<sup>11</sup> European Convention on Human Rights (ECHR), Article 9: „1. Everyone has the right to freedom of thought, conscience and religion; this right includes freedom to change his religion or belief and freedom, either alone or in community with others and in public or private, to manifest his religion or belief, in worship, teaching, practice and observance. 2. Freedom to manifest one's religion or beliefs shall be subject only to such limitation as are prescribed by law and are necessary in a democratic society in the interests of public safety, for the protection of public order, health or morals, or for the protection of the rights and freedoms of others“.

<sup>12</sup> Charter of Fundamental Rights of the European Union (CFREU) Article 10 (Freedom of thought, conscience and religion): „1. Everyone has the right to freedom of thought, conscience and religion. This right includes freedom to change religion or belief and freedom, either alone or in community with others and in public or in private, to manifest religion or belief, in worship, teaching, practice and observance. 2. The right to conscientious objection is recognised, in accordance with the national laws governing the exercise of this right“.

<sup>13</sup> Charter of Fundamental Rights of the European Union (CFREU) Article 21, Section 1 (Non-discrimination):

„Any discrimination based on any ground such as sex, race, colour, ethnic or social origin, genetic features, language, religion or belief, political or any other opinion, membership of a national minority, property, birth, disability, age or sexual orientation shall be prohibited“.

<sup>14</sup> Charter of Fundamental Rights of the European Union (CFREU) Article 22 (Cultural, religious and linguistic diversity): „The Union shall respect cultural, religious and linguistic diversity“.

<sup>15</sup> მაგ., ქარტიის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილი იცავს მშობლების თავისუფალ ნებას, უზრუნველყონ შვილები ზოგადი განათლებით საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად და ა.შ. Charter of Fundamental Rights of the European Union (CFREU), Article 14, Section 3 (Right to education): „The freedom to found educational establishments with due respect for democratic principles and the right of parents to ensure the education and teaching of their children in conformity with their religious, philosophical and pedagogical convictions shall be respected, in accordance with the national laws governing the exercise of such freedom and right“.

<sup>16</sup> Koriath, Stefan, Freiheit der Kirchen und Religionsgemeinschaften, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.), Handbuch der Grundrechte, Heidelberg 2011, S. 637-661.

<sup>17</sup> აქ არ იგულისხმება ევროკავშირის ცალკეული დირექტივები ან დადგენილებები, რომლებიც რეგულირებს სფეროს გათვალისწინებით, რელიგიურ გაერთიანებებს მხოლოდ არაპირდაპირ ეხება. მაგ., ევროკავშირის ერთ-ერთი დირექტივის მიხედვით, რადიოგადცემა ღვთისმსახურების შესახებ, რომელიც 30 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობით მიმდინარეობს, არ შეიძლება შეწყდეს სარეკლამო პაუზით. მსგავსი მაგალითი უამრავია. Unruh, Peter, Religionsverfassungsrecht, Baden-Baden 2009, S. 324 ff.

რეგიონალური და ლოკალური თვითმმართველობების ჩათვლით, კონსტიტუციით ძალმოსილი შესაბამისი პოლიტიკური სტრუქტურების მეშვეობით ხორციელდება<sup>18</sup>. ეროვნულ იდენტიტეტს განეკუთვნება კონსტიტუციური წესრიგი<sup>19</sup>, ეროვნულ დონეზე მოქმედი რელიგიის თავისუფლების უზრუნველმყოფი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმატის ჩათვლით, რომელიც წევრ-სახელმწიფოთა სამართლებრივი კულტურის განსხვავებული ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ქმნის რელიგიის და სახელმწიფოს ურთიერთობის სამივე სისტემის თანაარსებობის შესაძლებლობას ერთიან ევროპულ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, საინტერესო რეგულაციას შეიცავს ევროპული კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლი<sup>20</sup>, რომლის მიხედვით, „ევროპული კავშირი პატივს სცემს და არ ლახავს სამართლებრივ სტატუსს, რომელიც ენიჭება ეკლესიებს და რელიგიურ გაერთიანებებს/კავშირებს წევრსახელმწიფოთა შიდასამართლებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ეკლესიების და რელიგიური გაერთიანებების იდენტიტეტისა და განსაკუთრებული წვლილის აღიარებით, ევროპული კავშირი ინარჩუნებს ღია, გამჭვირვალე და რეგულარულ დიალოგს მათ შორის“. ამავე ხელშეკრულების მე-19 მუხლი ასაბუთებს გენდერული, რასობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი და რელიგიური ნიშნით, მსოფლმხედველობის და სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობას და ევროკავშირის ორგანოების პრეროგატივას, მიიღონ განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, სადამფუძნებლო ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, დისკრიმინაციის პრევენციისათვის<sup>21</sup>. საინტერესო ჩანაწერს შეიცავს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენციის<sup>22</sup> პრეამბულა, სადაც აღნიშნულია, რომ ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ კონვენციის ხელმომწერნი და ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები ხელს აწერენ კონვენციას იმ ეთიკური ვალდებულების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებში „პლურალისტური და დემოკრატიული საზოგადოება ვალდებულია, არათუ პატივი სცეს ეროვნული უმცირესობების ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ იდენტიტეტს, არამედ შექმნას სათანადო წინა პირობები მათი რეალიზაციის და შემდგომი განვითარებისათვის“<sup>23</sup>.

<sup>18</sup> Treaty of European Union (TEU), Article 4, Section 2: „The Union shall respect the equality of Member States before the Treaties as well as their national identities, inherent in their fundamental structures, political and constitutional, inclusive of regional and local self-government.“

<sup>19</sup> Unruh, Peter, Religionsverfassungsrecht, Baden-Baden 2009, S. 322.

<sup>20</sup> Treaty of the Functioning of the European Union (TFEU), Article 17: „1. The Union respects and does not prejudice the status under national law of churches and religious associations or communities in the Member States. 2. The Union equally respects the status under national law of philosophical and non-confessional organisations. 3. Recognising their identity and their specific contribution, the Union shall maintain an open, transparent and regular dialogue with these churches and organisations“.

<sup>21</sup> Treaty of the Functioning of the European Union (TFEU), Article 19: 1. Without prejudice to the other provisions of the Treaties and within the limits of the powers conferred by them upon the Union, the Council, acting unanimously in accordance with a special legislative procedure and after obtaining the consent of the European Parliament, may take appropriate action to combat discrimination based on sex, racial or ethnic origin, religion or belief, disability, age or sexual orientation.

2. By way of derogation from paragraph 1, the European Parliament and the Council, acting in accordance with the ordinary legislative procedure, may adopt the basic principles of Union incentive measures, excluding any harmonisation of the laws and regulations of the Member States, to support action taken by the Member States in order to contribute to the achievement of the objectives referred to in paragraph 1.

<sup>22</sup> Framework Convention for the protection of National Minorities, 1. II. 1995. კონვენციის წევრი სახელმწიფოა საქართველოც. საქართველოში კონვენცია ძალაში შევიდა 2006 წლის 1 აპრილს.

<sup>23</sup> Framework Convention for the protection of National Minorities: „The member States of the Council of Europe and the other States, signatories to the present framework Convention, [...] Considering that a pluralist and genuinely democratic society should not only respect the ethnic, cultural, linguistic and religious identity of each person belonging to a national minority, but also create appropriate conditions enabling them to express, preserve and develop this identity...“

რელიგიის თავისუფლებას რეგიონალურ და უნივერსალურ დონეზე იცავს არაერთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი. მაგ., აფრიკაში რეგიონალურ დონეზე მოქმედებს ქარტია ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ<sup>24</sup>; თითქმის ამერიკის მთელი კონტინენტის მასშტაბით მოქმედებს ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ<sup>25</sup>; ლოკალური მასშტაბით რეგიონალურ დონეზე ძალმოსილია აგრეთვე ევროსაბჭოს ეგიდით შემუშავებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დოკუმენტები. უნივერსალურ დონეზე ძალაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ადამიანის უფლებათა დეკლარაცია<sup>26</sup>, ასევე, 1981 წლის დეკლარაცია რელიგიის და რწმენის საფუძველზე ყველა ფორმის შეუწყნარებლობის აღმოფხვრის შესახებ<sup>27</sup>, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ<sup>28</sup> და სხვ.

### 3. სახელმწიფო ხელისუფლების რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიტეტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული ნორმატივების მიხედვით, რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ, ჩამოყალიბდნენ იურიდიულ პირად, წევრ სახელმწიფოთა შიდაკანონმდებლობების შესაბამისად<sup>29</sup>. რელიგიური გაერთიანებების აღიარებისას და რეგისტრაციისას სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებული არიან, დაიცვან ნეიტრალიტეტის პრინციპი, რაც მოიაზრებს რეგისტრაციის პროცესში მსოფლმხედველობრივად რომელიმე რელიგიური გაერთიანებისადმი მიკერძოების დაუშვებლობას<sup>30</sup>. თუ შიდაკანონმდებლობა ითვალისწინებს რელიგიური გაერთიანებების იურიდიულ პირად რეგისტრაციის შესაძლებლობას, ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის თანაბარი სამართლებრივი წინა პირობები შესაბამისი სტატუსის მოსაპოვებლად<sup>31</sup>. სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც რელიგიურად ნეიტრალური სუბიექტი, რომლის მიზანია რელიგიური გაერთიანებების ჰარ-

<sup>24</sup> The African Charter on Human and Peoples' Rights, in force from 21 October 1986.

<sup>25</sup> American Convention on Human Rights, O.A.S.Treaty Series No. 36, 1144 U.N.T.S. 123, entered into force July 18, 1978.

<sup>26</sup> The Universal Declaration of Human Rights (UDHR), adopted by the United Nations General Assembly (10 December 1948 at Palais de Chaillot, Paris).

<sup>27</sup> The Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance Based on Religion or Belief, adopted by the UNGA (resolution 36/55) on 25 November 1981.

<sup>28</sup> The International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), adopted by the United Nations General Assembly on December 16, 1966, in force from March 23, 1976.

<sup>29</sup> Meyer-Ladewig, Jens, EMRK – Europäische menschenrechtskonvention, Handkommentar, 3. Aufl., Baden-Baden 2011, S.230 ff.

<sup>30</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 21.7.2008, 40825/98, Jehovah's Witnesses v. Austria.

<sup>31</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 12.3.2009, 42967/98, Löffelmann v. Austria.

მონიული თანაცხოვრებისათვის ნორმატიული სტანდარტების შექმნა, ტოლერანტობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით.

რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუციონალური რესურსებით უზრუნველყოფის ცალკეულ დეტალებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები არ არეგულირებს. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას არ უდევს საფუძვლად რელიგიური გაერთიანებებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი მოდელი. ზოგადად, მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის მოქმედი სამივე სამართლებრივი მოდელი აკმაყოფილებს კონვენციის წინა პირობებს რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის სფეროში<sup>32</sup>. კონვენციის მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან კომბინაცია, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე აქცენტით, ქმნის გარკვეულ შინაარსობრივ საფუძვლებს წევრ-სახელმწიფოთათვის, შიდაკანონმდებლობით უზრუნველყონ რელიგიური გაერთიანებებისათვის ინსტიტუციონალური ფორმატის შერჩევა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე.

რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის ერთმნიშვნელოვანი კონცეფცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ჯერჯერობით არ შეუმუშავებია<sup>33</sup>. ნეიტრალიტეტის პრინციპი განპირობებულია საერთო ევროპული ისტორიული კონტექსტით და ემყარება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების შიდაკანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმატიულ კონცეფციებს, რომლებიც, თავის მხრივ, მაგ., თუნდაც დიდი ბრიტანეთის გაერთიანების სამეფოს და საფრანგეთის მაგალითზე, ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად ამბივალენტურია. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ და რა პირობებში ისაზღვრება (ლიმიტირდება) სახელმწიფო ხელისუფლების რელიგიური ნეიტრალიტეტი, შეიძლება თუ არა მისი აღქმა უშუალოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამიჯვნის კონცეფციის საფუძველზე, თანამედროვე ევროპულ კონსტიტუციონალიზმში სადავოდ ითვლება<sup>34</sup>. აქსიომატურია მხოლოდ მოსაზრება, რომლის მიხედვით, რელიგიურ გაერთიანებებს შორის დავისას, სახელმწიფო ვალდებულია, იყოს, ზოგადად, მიუკერძოებელი.

უკანასკნელ ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულებაში თანდათან შემჩნევადი ხდება რელიგიური გაერთიანებების მიერ რელიგიის თავისუფლების თანაბარი ხარისხით (თანასწორობის პრინციპი) ფლობის არგუმენტაციით სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის დასაბუთების მცდელობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობის მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს არგუმენტირებს რელიგიის თავისუფლების ზოგადი კონცეფციის და არა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის კონტექსტში. პლურალისტურ გარემოში სახელმწიფოს როლს სასამართლო ხედავს დაპირისპირების განმმუხტველი, განსხვავებული კონცეფციების დამაკავშირებელი ნეიტრალური არბიტრის

<sup>32</sup> *Walter, Christian*, Religions- und Gewissensfreiheit, in: *Grote, Rainer/Marauhn, Thilo (Hrsg.)*, Konkordanzkommentar zum europäischen und deutschen Grundrechtsschutz, Tübingen 2006, S. 859 ff.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 891.

<sup>34</sup> იქვე.

როლში: „However, in exercising its regulatory power in this sphere and in its relations with the various religions, denominations and beliefs, the state has a duty to remain neutral and impartial. What is at stake here is the preservation of pluralism and the proper functioning of democracy, one of the principle characteristics of which is the possibility it offers of resolving a country's problems through dialogue, without recourse to violence, even when they are irksome”<sup>35</sup>. ციტირებულ მონაკვეთში, სასამართლო აღწერს ნეიტრალიტეტის პრინციპის ობიექტურ მხარეს, კერძოდ, ასახულებს, რომ ნეიტრალიტეტი არის რელიგიის თავისუფლების, როგორც ძირითადი უფლების, ნორმატიული კომპონენტი, ასევე, ერთგვარი ეთიკური პრინციპიც, რომლითაც ხორციელდება რელიგიის თავისუფლების ლეგიტიმაცია ძირითადი უფლების რანგში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ (მიუკერძოებლობა, ნეიტრალიტეტი, ჩაურევლობა რელიგიური გაერთიანებების შიდა სფეროში), არამედ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს, რომლის მიზანია, დაიცვას რელიგიის თავისუფლება მესამე პირთა მიერ ხელყოფისაგან <sup>36</sup>.

#### 4. სექულარიზმი, კოსტსექულარიზმი, პოლიტიკური ეთიკა და ოფიციალური თეოლოგია

სახელმწიფო მმართველობის ფორმების თანამედროვე ტიპოლოგია ხშირად აღიქმება როგორც სექულარიზაციის პროცესის კანონზომიერი შედეგი<sup>37</sup>. თავად სექულარიზაცია – როგორც რელიგიის მნიშვნელობის დაკნინება, როგორც რელიგიის კერძო, პრივატულ სფეროში დაბრუნება, როგორც სახელმწიფოსა და რელიგიის ინსტიტუციური და კონსტიტუციური ურთიერთგამიჯვნა<sup>38</sup>. არსებობს თავად სექულარიზმის რამდენიმე სახეობა<sup>39</sup>. ზოგადად, სექულარიზაციის პროცესი პირობითად სამ ეტაპად იყოფა:

- ა) შუასაუკუნეები, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობის დაშლა;
- ბ) რელიგიური დაპირისპირებების და სახელისუფლებო აბსოლუტიზმის ეტაპი, როდესაც სარწმუნოებრივ ერთიანობას ანაცვლებს სარწმუნოებრივი პლურალიზმი;

<sup>35</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 13.12.2001, 45701/99, Metropolitan Church of Bessarabia and others v. Moldova; Zitiert in: *Walter, Christian*, Religions- und Gewissensfreiheit, in: *Grote, Rainer/Marauhn, Thilo (Hrsg.)*, Konkordanzkommentar zum europäischen und deutschen Grundrechtsschutz, Tübingen 2006, S. 892;

<sup>36</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 3.5.2007, 71156/01, Members of Gidani Congregation of Jehova's Witness and 4 others v. Georgia.

<sup>37</sup> *Walter, Christian*, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 23 ff.

<sup>38</sup> *Polke, Christian*, Öffentliche Religion in der Demokratie, Leipzig 2009, S. 33.; *Casanova, José*, Chancen und Gefahren öffentlicher Religion. Ost- und westeuropa im Vergleich, in: *O. Kallscheuer (Hrsg.)*, das Europa der Religionen, Frankfurt/M., 181-210.

<sup>39</sup> სექულარიზმის სხვადასხვა სახის შესახებ იხ. ლოქლინი, რეიდ ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა, V, 2012, გვ. 88-112.

გ) ბუნებითი სამართალი, განმანათლებლობა და საფრანგეთის რევოლუცია, რომელთა შედეგად რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფილ იქნა ძირითადი უფლების ნორმატიული შემადგენლობის სახით<sup>40</sup>.

ზოგადად, საერო და სასულიერო ხელისუფლების გამიჯვნის ტენდენცია ძლიერდება რეფორმაციის პერიოდშიც (1517-1648), თუმცა, როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება<sup>41</sup>, რეფორმაციის შედეგი იყო არა რელიგიის თავისუფლების აღიარება, არამედ ნეიტრალიტეტის პრინციპის შემუშავება მხოლოდ ორი ქრისტიანული კონფესიის ფარგლებში.

თანამედროვე რელიგიის სამართლის თეორიული წანამძღვრები იქმნება ჯერ კიდევ საფრანგეთში მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში. „ბართლომეს ლამის“ (1572) შთაბეჭდილებებით ინსპირირებული ჟან ბოდენი (Jean Bodin, 1529-1596) 1576 წელს აქვეყნებს თავის ცნობილ ნაშრომს „Les six livres de la République“ („ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ“), რომლითაც ხაზს უსვამს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აყალიბებს მისი ლეგიტიმაციის ახალ კონცეფციას: სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს არა რელიგიური ჭეშმარიტების დასამყარებლად მებრძოლ მახვილს, არამედ უნდა ემსახურებოდეს წესრიგის დაცვას, რომელიც შესაძლებელს გახდის მოქალაქეთა მშვიდობიან თანაცხოვრებას<sup>42</sup>. უკანასკნელი მიზნის მისაღწევად ბოდენი აუცილებლად მიიჩნევს ძალაუფლების კონცენტრაციას მხოლოდ მონარქის ერთპიროვნულ ხელისუფლებაში.

სუვერენიტეტის იდეის განვითარებას მოჰყვა ახალი კონცეფციის წარმოშობა სასულიერო ძალაუფლების მიწიერი (სახელმწიფო) ძალაუფლებისადმი დაქვემდებარების შესახებ. კონცეფცია, რომელიც საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, მე-17 საუკუნის ინგლისის სამართლებრივ რეალობასთან შედარებით, თანადროულ საფრანგეთში შედარებით მარტივად რეალიზებადი იყო<sup>43</sup>, ასახულია თომას ჰობსის (Thomas Hobbes, 1588-1679) პოლიტიკურ ფილოსოფიაში<sup>44</sup>. „ლევიათანში“ ჰობსი ავითარებს მოსაზრებას, რომ საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად მოწოდებულ სახელმწიფოს არ შეუძლია აიტანოს კონკურენტი – პარალელური ხელისუფლება, ეკლესიის სასულიერო ძალაუფლების სახით.

ჰობსისეული შეუზღუდავი სუვერენიტეტის იდეა რელიგიის თავისუფლების თანამედროვე სტანდარტებს ვერ უზრუნველყოფდა. რელიგიის თავისუფლების თანამედროვე კონცეფცია იქმნება განმანათლებლობის ეპოქაში, საჯარო სივრცის პლურალიზაციის და ინდივიდუალიზაციის ტენდენციების განვითარების პარალელურად<sup>45</sup>. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ მოძღვრების და განმანათლებლობის შედეგად სახელმწიფოს მიზნების სეკუ-

<sup>40</sup> Walter, Christian, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 23 ff.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე. იხ. ასევე, Bodin, Jean, Sechs Bücher über den Staat“, Buch I-III, München 1981, 11 ff.

<sup>43</sup> Walter, Christian, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 30 ff.

<sup>44</sup> იქვე. იხ. ასევე, Hobbes, Thomas, Leviathan, Frankfurt 1984, 39. Kapitel, 357 ff.

<sup>45</sup> ამ ორი ფენომენის და ზოგადად ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ იხ. Kant, Immanuel, Metaphysik der Sitten, Einleitung in die Rechtslehre, B.

ლარიზაციის ფონზე აქცენტირდება ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლება. ზოგადად, სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ჰობსის იდეებით ტოლერანტობის პრინციპის უზრუნველყოფა მოხდა რელიგიის თავისუფლების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტის – forum internum-ის (შიდა სფერო) დონეზე.

რაც შეეხება ტოლერანტობის პრინციპის შედარებით დახვეწილ ფორმულას, პიერ ბეილის (Pierre Bayles, 1647-1706) შრომებთან ერთად ჯონ ლოკის (John Locke, 1632-1704) *“Letter of concerning Toleration”* რელიგიური ტოლერანტობის დასაბუთების უპირველეს მცდელობად სახელდება. ლოკი ასაბუთებს ტოლერანტობის პრინციპის ამოქმედების აუცილებლობას „განსხვავებულად მოაზროვნეების“ მიმართ, თუმცა ამ უკანასკნელთ შორის (განსხვავებით ბეილისაგან) არ მოიაზრებს ათეისტებს და კათოლიკეებს<sup>46</sup>. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ამერიკულ ლიტერატურაში ლოკის ლიბერალიზმი ხშირად მოიხსენიება როგორც *“theistic liberalism”*<sup>47</sup>.

ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების შესახებ მოსაზრებები შეიმჩნევა ვოლტერის (Voltaire, 1694-1778) შრომებშიც<sup>48</sup>. რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის აუცილებლობაზე ხშირად საუბრობს, ძირითადად, სახელმწიფო რელიგიის არსებობის საჭიროებისკენ იხრება, თუმცა კვლავ ტოლერანტობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფის წინა პირობით. მსგავს მოსაზრებებს ავითარებს მონტესკიე (Montesquieu, 1689-1755) საკუთარ ნაშრომში *“De l’Esprit des lois”*. მისი მოსაზრებით, სავესებით შესაძლებელია სახელმწიფოებრივი და რელიგიური ინტერესების თანხვედრა. მონტესკიე ტერმინს „ეკლესია“, ანაცვლებს ტერმინით „რელიგია“, წარმოაჩენს რელიგიას როგორც სოციალურ ფენომენს და აღიარებს რელიგიური ტოლერანტობის პრინციპის უზენაესობას. რელიგიის ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა მასთანაც ღია რჩება<sup>49</sup>.

საინტერესოა რუსოს (Jean-Jacques Rousseau, 1712-1778) სამოქალაქო რელიგიის კონცეფცია განვრცობილი ნაშრომით *“Contrat Social”*, რომელიც ეყრდნობა ე.წ. ხელშეკრულების თეორიას: სუვერენისადმი გადაცემული უფლებები მოიცავს მხოლოდ ღირებულებებს, რომელიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახურება, ყოველი მოქალაქის უფლების ჩათვლით, გააჩნდეს რელიგია საკუთარი მოქალაქეობრივი ვალდებულებების ინსპირაციისათვის<sup>50</sup>.

ლოკის, ვოლტერის და რუსოს შრომებმა საფუძველი მოამზადეს რელიგიის ინდივიდუალიზაციის იდეის განვითარებისათვის. შემდგომ ეტაპზე, მე-19 საუკუნეში ხდება რელიგიის როგორც სოციალური ფენომენის გათვითცნობიერება მაქს ვებერის (Max Weber, 1864-1920)

<sup>46</sup> Walter, Christian, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 41 ff.; ლოკის და ბეილის პოზიციების შესახებ იხ. Dunn, J., The Claim to Freedom of Conscience: Freedom of Speech, Freedom of Thought, Freedom of Worship?, in: Grell, O./Israel, J.I./Tyacke, N., From Persecution to Toleration – The Glorious Revolution and Religion in England, Oxford 1991, 171-188.

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> იხ. Pomeau, René, La religion de Voltaire, 2. Aufl., Paris 1994.

<sup>49</sup> Walter, Christian, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 59 ფ.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 61.

და ემილ დურკჰაიმის (Émile Durkheim, 1858-1917) მიერ რელიგიის სოციოლოგიის, როგორც დარგობრივი მეცნიერების ჩამოყალიბებით<sup>51</sup>.

განმანათლებლობის შედეგად, რელიგიის ინდივიდუალიზაციის და საჯარო ხელისუფლების სეკულარიზაციის პროცესმა, ისტორიულ-კულტურული სახესხვაობების გათვალისწინებით, განაპირობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ინსტიტუციონალური რესურსების ჩამოყალიბება (მაგ., ლაიციზმი საფრანგეთში, კოოპერაციული მოდელი გერმანიაში, ბრიტანეთის ანგლიკანური ეკლესია მონარქით სათავეში, დანიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია მონარქით სათავეში და ა.შ.), რომლებიც ევროპული კავშირის და ევროსაბჭოს გლობალიზირებულ უნიფიცირებულ სამართლებრივ სივრცეში დღემდე თანაარსებობენ<sup>52</sup>. ინდივიდი, საზოგადოება და სახელმწიფო არის ის სამი ფენომენი, რომელთა ურთიერთმიმართების სამართლებრივი შემადგენლობა კონცეპტუალურად ამოუწურავია და მუდმივად ვითარდება.

სეკულარული საზოგადოების შემდგომ საფეხურად აღიქმება ე.წ. „პოსტსეკულარული“ საზოგადოება, რომელშიც<sup>53</sup> დაცულია ძირითადი უფლების შიდა სფერო – *forum internum*, ასევე, მისი განხორციელების შესაძლებლობა (რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალური რესურსები ჩამოყალიბებულია) – *forum externum* და დისკუსია ეთმობა მხოლოდ ცალკეულ დეტალებს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობის, თანასწორობის პრინციპის პრაქტიკული უზრუნველყოფის შესახებ. სამართლებრივი სისტემის ფორმატი, რომელშიც რელიგიის თავისუფლება სეგმენტურად ძირითადი უფლების რანგში დაცულია, განპირობებულია სამი მახასიათებლით: რელიგიის როლი პოსტსეკულარულ საზოგადოებაში, რელიგიის სამართლის ინტერნაციონალიზაცია, დაბოლოს, რელიგიის თავისუფლების რეგულირება, არა კულტურული ასიმილაციის გარდუვალობის მოტივით, არამედ თავისუფალი სივრცის შექმნის აუცილებლობით, რომლის მიზანია რელიგიური ცხოვრების პრაქტიკული შესაძლებლობის დაცვა და უზრუნველყოფა<sup>54</sup>.

ტოლერანტობის პრინციპთან დაკავშირებით, თანამედროვე დემოკრატიის პოლიტიკური ეთიკის<sup>55</sup> სტანდარტების საინტერესო, ამავდროულად ხშირად გაკრიტიკებულ<sup>56</sup> ვერსიას ავითარებს ჯონ როლსი (John Rawls, 1921-2002) მონოგრაფიებში – „A Theory of Justice“ და „The Law of Peoples“. მისი მოსაზრებით, სეკულარულ და ლიბერალურ საზოგადოებაში მოქალაქეთა კოლექტიური თანაცხოვრების საფუძველს ქმნის არა კანტისეული მორალური ავტონომია, არამედ პოლიტიკური ავტონომია როგორც სამართლებრივი თავისუფლება და პოლიტიკური თანამონაწილეობის თანასწორობის უფლება. როლსის მოსაზრებით, პოლიტიკური ავტონომია არის ასევე ნორმატიული კონცეფცია, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა მორალურ მზაობას, შეუქმნან (შესთავაზონ ურთიერთს და გაუწიონ აქცეპტირება) ერთ-

<sup>51</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>52</sup> Polke, Christian, Öffentliche Religion in der Demokratie, Leipzig 2009, S. 29 ff.

<sup>53</sup> Habermas, Jürgen, Glauben und Wissen, Frankfurt 2001, S. 13.; Walter, Christian, Religionsverfassungsrecht, Tübingen 2006, S. 607 ff.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> პოლიტიკური ეთიკა, ამ შემთხვევაში, მოიცავს პოლიტიკური წესრიგის ინსტიტუციონალიზაციის, პოლიტიკური აქტივობის არსობრივ და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკური პროცესის ნორმატიული კრიტერიუმების ეთიკურ შემადგენლობას.

<sup>56</sup> Kaufmann, Matthias, Moderne Demokratie zwischen Institution und Instruktion, in: Jahrbuch für Recht und Politik, Band 19, S. 3-18.

მანეთს, როგორც ინდივიდებს, თანაცხოვრების სამართლიანი პირობები. სამართლიანობის პრინციპის რაციონალიზმი ვლინდება მოქალაქეთა უნარში, შესთავაზონ ერთმანეთს ისეთი პირობები, რომლებიც განხორციელებადია პლურალისტურ საზოგადოებაში. სოციალური ერთიანობის კონცეფცია, ნაცვლად ანტაგონისტური პლურალიზმისა – ეს არის იდეა, რომელიც, როლის მოსაზრებით, რეალიზაციას პოულობს არა მეტაფიზიკურ, არამედ პოლიტიკურ ლიბერალიზმში. მისივე შეხედულებით, პოლიტიკური ფილოსოფიის ჰერმენევტიკული ამოცანა მჟღავნდება რაციონალურ პოლიტიკურ ლიბერალიზმში, რომელიც მოიცავს, ამ შემთხვევაში, სამართლიანობის პოლიტიკური კონცეფციის სავალდებულობის ფენომენს მოქალაქეთა „ინდივიდუალური ჭეშმარიტებების“ გათვალისწინების გარეშე (ნორმატიული ვალდებულება, სამართლიანობის მოქალაქეთა „ინდივიდუალური ჭეშმარიტებების“ ფარგლებში დასაბუთების აუცილებლობის გარეშე, ერთგვარი პარადოქსი).

რაც შეეხება „პოლიტიკურ თეოლოგიას“, ეს უკანასკნელი, როგორც ტერმინი ახმოვანებს ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციებს სტოიციზმის სახით. პოლიტიკური თეოლოგიის ერთ-ერთი სახეობაა მარტინ ლუთერის (Martin Luther, 1483-1546) კლასიკური თეორია ორი სამეფოს (ზეციური და მიწიერი) არსებობის და, შესაბამისად, სახელმწიფოს და ეკლესიის პოლიტიკური სტატუსის ურთიერთგამიჯვნის შესახებ. პოლიტიკური თეოლოგიის თანამედროვე ფორმაციად ითვლება ე.წ. „ოფიციალური თეოლოგია“ („Public Theology“), რომლის დეფინიციის უპირველესი მცდელობა შეერთებულ შტატებში შეიმჩნევა<sup>57</sup>. ოფიციალური თეოლოგია მოიცავს კონცეფციას, რომლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი კონტექსტის მრავალფეროვნების გამო, მისი (ოფიციალური თეოლოგიის) გამოვლინების კონკრეტული ფორმა ერთმანეთს შესაძლოა არ დაემთხვეს, ამ უკანასკნელთ მაინც გააჩნიათ საერთო ნიშანი, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება რწმენას, ეკლესიის და თეოლოგიის განსაკუთრებული საჯარო ფუნქციის შესახებ<sup>58</sup>. ოფიციალური თეოლოგია ცდილობს, განავითაროს ქრისტიანული ეთიკის ინტეგრაციული კონცეფცია, რომელიც მიემართება არა ეკლესიის წევრებს, არამედ საზოგადოებას, სამოქალაქო სექტორს. ინტეგრაციული ეთიკა არ გულისხმობს ქრისტიანული ეთიკის კონცეფციების დესაკრალიზაციას ან უგულებელყოფას, ის მოიცავს ოფიციალურ სტრატეგიას, რომლის შესაბამისად, ეკლესია უზრუნველყოფს საკუთარ როლს სოციალურ სფეროში, არა მონოპოლიური ძალაუფლების დამყარების ან განმტკიცების მიზნით, არამედ საკუთარი ეთიკური და საგანმანათლებლო რესურსების რეინტეგრაციას პლურალისტურ სოციალურ სივრცეში, სამართლიანი, მიუკერძოებელი, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლური პოლიტიკით, ტოლერანტობის პრინციპზე დაყრდნობით. ოფიციალურ თეოლოგიას ხშირად რელიგიის „თვითსეკულარიზაციის“ პროცესს უწოდებენ. ოფიციალური თეოლოგიის აღწერილი ეთიკური სტანდარტი განხორციელებადია რელიგიის და სახელმწიფოს ურთიერთობის სამივე სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალური თეოლოგია – ეს არის ერთგვარი უტილიტარისტული კონცეფცია, რომელიც ემყარება სამართლიანობის პრინციპის ეთიკურ-რაციონალურ „პროექციას“ და ხორციელდება პოლიტიკურ-სოციალური კონსენსუსის საფუძველზე.

<sup>57</sup> Körtner, Ulrich H.J., Politische Ethik und Politische Theologie, in: Jahrbuch für Recht und Politik, Band 19, S. 28.

<sup>58</sup> იქვე.

## 4. რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუციონალიზაციის ქართული მოდელი

რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დებულებები ქმნის რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის (forum externum) ინდივიდუალურ ფორმატს ეროვნულ-სამართლებრივ სივრცეში. საქართველოს კანონმდებლობა, ამ თვალსაზრისით, შესაბამისი თავისებურებებით ხასიათდება.

რელიგიის თავისუფლება, როგორც ძირითადი უფლება, დაცულია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის (შემდგომში – სკ) ძირითად უფლებათა კატალოგში მე-19 მუხლით<sup>59</sup>. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას განსაზღვრავს მე-14 მუხლი. სკ-ის მე-9 მუხლით სახელმწიფო აცხადებს რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებას და მიჯნავს ეკლესიას და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან. მე-9 მუხლის მიხედვით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა არ არის სახელმწიფო რელიგია, თუმცა ფლობს განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს, განსხვავებით სხვა რელიგიებისა და რელიგიური გაერთიანებებისაგან. მისი სტატუსი წესრიგდება 2002 წლის 14 ოქტომბრის კონსტიტუციური შეთანხმებით „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის და თავად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან მიმართებაში, ქართული საკანონმდებლო აქტების იერარქიაში უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტია.<sup>60</sup>

გარდა უშუალოდ კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა (რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს განსაზღვრავს), ერთდეროვანი ქართული ნორმატიული აქტი საქართველოში, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივ სპეციფიკას ეხება, არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – სსკ). სსკ-ის 1509 და 1509<sup>1</sup> მუხლები ქმნიან საკანონმდებლო ნოვაციას, რომელიც სსკ-ში ინტეგრირდა 2011 წლის 5 ივლისის ცნობილი კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“<sup>61</sup>. ეს უკანასკნელი მოიცავს მხოლოდ ორ მუხლს, ახდენს სსკ-ის 1509 მუხლის 1-ლი პუნქტის მოდიფიცირებას<sup>62</sup> და დამატებით

<sup>59</sup> არსებობს მოსაზრება, რომ სკ-ის 24-ე მუხლი იცავს რელიგიის თავისუფლების გარე სფეროს - forum internum. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მენაბდე, ვახუშტი, რელიგიის თავისუფლება - სად უნდა ვეძიოთ იგი? კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა V, 2012, გვ. 121-137.

<sup>60</sup> კონსტიტუციური შეთანხმების სრული ტექსტი იხ. საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე: [http://www.patriarchate.ge/?action=kons\\_shet](http://www.patriarchate.ge/?action=kons_shet).

<sup>61</sup> მედია ხშირად აღნიშნავს როგორც „რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ კანონს, რაც არასწორ ინტერპრეტაციებს იწვევს.

<sup>62</sup> სსკ-ის 1509 მუხლის 1-ლი პუნქტის მოდიფიცირებული ვერსია ასე გამოიყურება:

„მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები

1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:

ა) სახელმწიფო;

ბ) თვითმმართველი ერთეული;

გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

შეაქვს კოდექსში 1509<sup>1</sup> მუხლი<sup>63</sup>. რომელიც განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესს.

სსკ-ში შესული ცვლილებებით, რელიგიურ გაერთიანებებს მიეცა შესაძლებლობა, გააჩნდეთ სსიპ-ის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო კონსტიტუციური შეთანხმებით სსიპ-ად აღიარება<sup>64</sup>. სხვა რელიგიური გაერთიანებების სტატუსი, რომლებიც დარეგისტრირდებიან ან უკვე რეგისტრირებული არიან სსიპ-ის სამართლებრივი ფორმით, არ არის გათანაბრებული მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსთან შემდეგი მიზეზების გამო:

რელიგიურ გაერთიანებებზე, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სსიპ-ის სახით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, გარდა რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლების ამსახველი კონსტიტუციური ნორმატივებისა, ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მათ სამართლებრივ სტატუსს არეგულირებს, არის სსკ, ჩამოთვლილი ორი მუხლის (1509 და 1509<sup>1</sup>) და პირველი კარის მეორე თავის (იურიდიული პირის რეგისტრაციის, წარმომადგენლობის და უფლებაუნარიანობის შესახებ ზოგადი განსაზღვრებები) უზოგადესი დებულებების სახით. რაც ნიშნავს, რომ აბსოლუტურად გაურკვეველია სსიპ-ის ფორმით დაფუძნებული რელიგიური გაერთიანებების კონკრეტული უფლებამოსილებები რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. კერძოდ, დაფინანსების საკითხი, სახელმწიფოსთან ურთიერთობა-თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო ვალდებულების საკითხები ღვთისმსახურთათვის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შესაბამისი კონკრეტული რელიგიის სარგებლობაში არსებული სა-

დ) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;

ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა);

ვ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;

ზ) ამ კოდექსის 1509<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები“.

<sup>63</sup> 1509<sup>1</sup> რედაქცია:

„მუხლი 1509<sup>1</sup>. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი

1. რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე, ეწეოდეს საქმიანობას, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი.

3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით“.

<sup>64</sup> კონსტიტუციური შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

კულტო ნაგებობების განკარგვის საკითხი და ა.შ. შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სსიპ-ის სახით, უფლებრივად აბსოლუტურად არაფრით განსხვავდებიან ა(ა)იპ-ის ფორმით რეგისტრირებული სხვა რელიგიური გაერთიანებებისაგან, გარდა სახელწოდების (სსიპ ან ა(ა)იპ), რეგისტრაციის პროცედურის და იმ კლასიკური სახესხვაობისა, რომელიც საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს განასხვავებს ერთმანეთისაგან. ზოგადად, თანამედროვე სამართლებრივი პრაქტიკით, სსიპ-ის ფორმით რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია ხდება მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მისანიჭებლად, იგივე სახელმწიფოსთან გარკვეულ სეგმენტებში თანამშრომლობის თუ ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიების მოპოვებისათვის. საქართველოს შემთხვევაში ეს საკითხი დაურეგულირებელია.

რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მისი სტატუსი<sup>65</sup> შედარებით სრულყოფილად არის რეგულირებული საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით და კონსტიტუციური შეთანხმებით. მაგ., სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან; სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და, ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას; სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან, განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები; ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით; სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული; სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა), საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით, მართლმადიდებელი ეკლესია ფინანსდება ასევე საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტით და ა.შ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი თავისი არსით არც მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება. საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია არ საჭიროებს რეგისტრირებას, კონსტიტუციური შეთანხმებით ის აღიარებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მას ეს სტატუსი უკვე გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში რელიგიურ გაერთიანებებს (რომელთა შემადგენლობაში აღწერილი მიზეზების გამო არ მოიაზრება საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია) აქვთ სამი ალტერნატივა: იარსებონ სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის ან არარეგისტრირებული კავშირის სამართლებრივი ფორმით. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. რაც შეეხება

<sup>65</sup> ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სეგმენტური თანამშრომლობის ნიმუშია შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში (2006 წლის 1 მარტი), საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშეკრულება (2001 წლის 20 აპრილი), აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი.

დანარჩენ ორს, მათ შორის სტატუსობრივი სხვაობა, რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, გარდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის კლასიკური ფუნქციური სახესხვაობისა, როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალიზაციის განმსაზღვრელი მოქმედი ქართული კანონმდებლობის ფარგლებში, არ არსებობს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთმიმართების კონტექსტში საინტერესოა, არის რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წინა პირობები, განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტით, რომელიც ადგენს, რომ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად“. რამდენადაც რელიგიის ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია სამართლებრივ კონტექსტში რეალურად არ არსებობს, ციტირებული წინადადების უკანასკნელი ალტერნატივა, სავარაუდოდ, უნდა განიმარტოს როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება, დაარეგისტრიროს რელიგიურ გაერთიანებად იმ რელიგიის მიმდევრები, რომელნიც რეგისტრირებული არიან ამავე ფორმით ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში. რაც შეეხება მეორე ალტერნატივას – დაარეგისტრიროს სსიპ-ად „საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა“, მისი შემადგენლობა აბსტრაქტულია და არც ისე მარტივი დილემის წინაშე აყენებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (დაადგინოს რომელიმე რელიგიურ გაერთიანებასთან საქართველოს ისტორიული კავშირის ფაქტი), რომლის კომპეტენციებს ისტორიული წყაროების/კავშირების მოკვლევა-ანალიტიკა ნაკლებად განეკუთვნება. შესაბამისად, სსიპ-ად რეგისტრაციის 1509<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობა, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სსიპ-ის სახით რეგისტრაციის წინა პირობებს განსაზღვრავს, შინაარსობრივად, და თუნდაც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, დასახვეწია. უმჯობესია, რელიგიური გაერთიანებების სტატუსის განცალკევებული, სპეციალური კანონით სრულყოფილი რეგულაცია, რომელიც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით უკეთეს ვერსიას შექმნის, ვიდრე მისი (რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი) მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ორი მუხლით რეგულირების სქემა, განცალკევებული სპეციალური კანონის არარსებობის ფონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასახვეწია არა მხოლოდ 1509<sup>1</sup> მუხლი, არამედ, ზოგადად, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების/ურთიერთობის თანამედროვე ქართული სამართლებრივი ნორმატივები, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს მხოლოდ ნომინალურად უზრუნველყოფს: საქართველოს კონსტიტუციის მინიმუმ სამი მუხლი საუბრობს რელიგიის თავისუფლებაზე და აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, მაგრამ მათი რეალიზაციის სტანდარტები (გარდა მხოლოდ რეგისტრაციის პროცესის მარეგულირებელი სსკ-ის ორი მუხლისა) არ არის დაკონკრეტებული მოქმედი კანონმდებლობით.

## დასკვნა

სტატიით განხილული სამივე მოდელი სამეულად დანაწევრებულ სამართლებრივ კონსტრუქციას ქმნის მხოლოდ პირობითად, მათი ცალკეული მახასიათებლების კომპილაცია სავსებით შესაძლებელია. მოქმედი ქართული სამართლებრივი სქემის რომელიმე მოდელისადმი განკუთვნება რთულია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიური გაერთიანებების რელიგიის კორპორაციული თავისუფლების რეალიზაციის სამართლებრივი ფორმატი ქართული კანონმდებლობით მხოლოდ სამი სახის ორგანიზაციული ფორმით (სსიპ, ა(ა)იპ, არარეგისტრირებული კავშირი) რეგისტრაციის შესაძლებლობის გარდა, სამწუხაროდ, სხვას არაფერს მოიცავს. უცნაურ სისტემას ქმნის ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტიტუციის საბიუჯეტო დაფინანსების მოქმედი სქემა, რომელიც არანაირ ფინანსურ კონტროლს არ ითვალისწინებს (საბიუჯეტო დაფინანსება მოქმედი კანონმდებლობით სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება). ზოგადად, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საკითხი სახელმწიფოს შიდაანაციონალური ავტონომიის სფეროს განეკუთვნება. შესაბამისად, დაფინანსების სქემის განსაზღვრისას სახელმწიფო მხოლოდ ორ პრინციპს უნდა დაეყრდნოს: სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტი და ტოლერანტობა. ამ თვალსაზრისით, რელიგიური გაერთიანებების (მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტიტუციის ჩათვლით) დაფინანსების ან თვითდაფინანსების რეგულირების საკითხთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა კვლავ დუმს. რელიგიური გაერთიანებების სსიპ-ად რეგისტრაციის ნოვაცია, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალიზაციის (forum externum) ქართული სქემის შექმნას, თავის მხრივ, რომელიც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, გარდა უშუალოდ რეგისტრაციის პროცედურისა, მოქმედი კანონმდებლობით, ჯერჯერობით სხვას არაფერს ეხება. მსგავსი სამართლებრივი ვაკუუმი, სახელმწიფო რელიგიად აღიარებული ქრისტიანული კონფესიების სტატიით აღწერილ ერთ-ერთ სამართლებრივ მოდელშიც (სახელმწიფო ეკლესია, ანუ დომინანტი ეკლესია) არ შეინიშნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამართლებრივ რეალობაში, აბსოლუტურად დაუმუშავებელია რელიგიის კორპორაციული თავისუფლების რეალიზაციის (იგულისხმება რელიგიის თავისუფლების არა forum internum ანუ შიდა სფერო, არამედ გარე სფერო – forum externum) საკითხი (რელიგიური გაერთიანებებისათვის, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიისა). ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების ქართული სამართლებრივი სქემა სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს და აუცილებელია მისი დახვეწა სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის ახალი სამართლებრივი მოდელის შემუშავებით. ახალი მოდელის შემუშავება უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული პირის (საქართველოში წარმოდგენილი ყველა რელიგიური გაერთიანების/კონფესიის, მათ შორის, ცხადია, საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის) ინტერესების გათვალისწინებით, მათი ურთიერთდიალოგის, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამივე თანამედროვე მოდელის დეტალური ანალიზის საფუძველზე და საჯაროობის პრინციპის დაცვით: საკანონმდებლო წინადადებების/პროექტების განხილვის ეტაპზე, თუნდაც საჯარო დისკუსიების წარმართვის მეშვეობით, საქართველოს მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური მოსახლეობის სრული ჩართულობის უზრუნველყოფით.

თავისთავად, ქრისტიანობის დომინანტი როლი (მაგ., საბერძნეთი, გაერთიანებული სამეფო სახელმწიფო ანგლიკანური ეკლესიით სათავეში ან სკანდინავიის ქვეყნები ევანგელისტურ-ლუთერანული სახელმწიფო ეკლესიის ფონზე), როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებულია ისტორიული კონტექსტით, რომელიც, ისევე, როგორც ფრანგული ლაიციზტური (მკვეთრი გამიჯვნის) ან გერმანული კოოპერაციის მოდელი, თანამედროვე პლურალისტურ საზოგადოებაში, თავად სეკულარიზმის პლურალისტური კონტექსტის გათვალისწინებით, პარადოქსულია, მაგრამ არ ქმნის წინააღმდეგობას რელიგიის თავისუფლების სფეროში მოქმედ ევროკავშირის სამართლებრივი სტანდარტების ფარგლებში (სეკულარიზმის პლურალისტურ გაგებაში, თავსდება როგორც ფრანგული ლაიციზმი ან ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს არსებობა, აგრეთვე, რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სქემა და ა.შ.). მსგავსი ისტორიულ-კულტურული განპირობებულობით ახსნადი ფენომენია ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტი როლი საქართველოში. უდავოა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის და ზოგადად სოციალური კულტურული იდენტიტეტის ჩამოყალიბებაში, პირველი საუკუნეებიდანვე ქრისტიანობამ განსაკუთრებული ფუნქცია შეასრულა. ამ თვალსაზრისით, ქართული სოციალური უმრავლესობის არჩევანი მართლმადიდებლური ქრისტიანობისა, როგორც დომინანტი რელიგიური მიმდინარეობისადმი, სავსებით ლოგიკური და გასაგებია. ამ არჩევანის თავისუფლების რეალიზაციის მასშტაბი პლურალისტურ გარემოში სხვა კონფესიებისადმი შემწყნარებლობის და ტოლერანტობის პრინციპის უზრუნველყოფით უნდა დაბალანდეს. პრინციპით, რომელიც როგორც პოლიტიკური, ასევე ქრისტიანული ეთიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. საქართველო ყოველთვის იყო მულტიკონფესიური, რომელშიც ქრისტიანობა, დამოუკიდებელი და ეკლესიისაგან გამიჯნული სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის პარალელურად, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახით და მისი პერსონალური „ოფიციალური თეოლოგიით“ თავისებურ მახასიათებელ ფუნქციას ასრულებდა. პოსტსაბჭოური ქართული რეალობა ამ თვალსაზრისით, იურგენ ჰაბერმასისეული<sup>66</sup> პოსტსეკულარული პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობისგან ჯერჯერობით მკვეთრად განსხვავდება, რაც პოლიტიკური და ქრისტიანული ეთიკის ხელახალი გააზრების და ეკლესიის და სახელმწიფოს უფლებამოსილებების გამიჯვნის საფუძველზე, ქართულ სამართლებრივ სისტემაში რელიგიის კორპორაციული თავისუფლების უზრუნველყოფი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვით (ქართული კულტურული იდენტიტეტის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ევროპული მოდელის ან თუნდაც მათი მახასიათებლების კომპილაციის შედეგად ქართული მოდელის შემუშავება) უნდა განვითარდეს. განახლებულ სამართლებრივ ფორმატში, თანამედროვე სტანდარტების ფონზე (ტოლერანტობის პრინციპი, სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტი) უნდა დაიხვეწოს რელიგიის და სახელმწიფოს გამიჯვნის ის მოდელი, რომელიც პოლიტიკური კონსენსუსის სახით არსებობს და არსებობდა ისტორიულად. ამ პროცესში შესაძლოა არც გამოირიცხოს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგვარი დომინანტი როლი კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში სახელმწიფოსთან თანამშრომლობისას, რაც ასევე თავსებადია რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალიზაციის სფეროში მოქმედ ევროპულ სტანდარტებთან, იმ ქვეყნების სახელმწიფოებრივ არეალში, რომელთა ეროვნული კულტურა ისტორიულად, ძირითადად, ქრისტიანულ ღირებულებებს ეფუძნება.

<sup>66</sup> Habermas, Jürgen, *Glauben und Wissen*, Frankfurt 2001, S. 13.; Walter, Christian, *Religionsverfassungsrecht*, Tübingen 2006, S. 607 ff.

ჯეფრი როზენი

# გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ ეპოქაში

სტატია გამოქვეყნდა ავტორის თანხმობით. ნამუშევარი პირველად დაიბეჭდა Fordham Law Review-ში.

**ჯეფრი როზენი\***

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი.

ერთი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებით მსურდა დამეწყო ჩემი სტატია. შეიძლება ის სულ ცოტა ხანში ჰიპოთეტურად აღარც მოგვეჩვენოს. 2007 წელს „გუგლის“ კონფერენციას ვესწრებოდი. ენდრიუ მაკლაფლინმა, „გუგლის“ პოლიტიკის მმართველების მაშინდელმა უფროსმა მითხრა, რომ ალბათ ახლო მომავალში „გუგლს“ მსოფლიოში ყველა საზოგადოებრივ თუ კერძო საკუთრების ადგილას დამონტაჟებული ვიდეოსათვალითვალო კამერებიდან მიღებული მონაცემების ინტერნეტზე განთავსებას მოსთხოვენ ცოცხალ რეჟიმში. უნდა გითხრათ, რომ, თუ ეს მონაცემები ერთმანეთს გადაება და დაარქივდა, მაშინ ადამიანის გამოსახულებაზე ერთი დაწკაპუნებით, შესაძლებელი გახდება მისთვის თვალყურის დევნება, 24 საათიან რეჟიმში, თვეების განმავლობაში და წლობითაც.

მსგავსი საყოველთაო სათვალთვალო სისტემის ამოქმედება დაუჯერებელი ამბავი სულაც არ არის. ადვილი წარმოსადგენია, რომ საზოგადოებას ან ხელისუფლებას ეს მოთხოვნა გაუჩნდეს რამდენიმე წელიწადში, თუ გავითვალისწინებთ სოციალურ ქსელებში ადამიანთა

\* ჯეფრი როზენი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, „ახალი რესპუბლიკის“ (New Republic) სამეცნიერო რედაქტორი და ბრუკინგსის ინსტიტუტის მიწვეული მეცნიერ-თანამშრომელია. ის 2011 წელს გამოცემული ნაშრომის „კონსტიტუცია, 3:0 თავისუფლება და ტექნოლოგიური ცვლილებების“ თანარედაქტორია. წინამდებარე სტატია, რომელიც 2011 წლის 8 თებერვლის ლექციას ეყრდნობა, მცირედ რედაქტირებულია და შეივსო უახლესი მოვლენების გათვალისწინებით.

ფორდჰამის უნივერსიტეტი; რობერტ ლ. ლევინის საუკეთესო ლექციათა კრებული.

Jeffrey Rosen, The Deciders: The Future of Privacy and Free Speech in the Age of Facebook and Google, 80 Fordham L. Rev. 1525 (2012).

გეზგერდზე: <http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol80/iss4/1>.

აქტიურ ჩართულობას და სხვისი ცხოვრებისადმი არაჯანსაღ ინტერესს, რასაც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ინტერესებიც დაემატება. ისინი ხომ გვარწმუნებენ, რომ ფარული კამერით განხორციელებული ვიდეოთვალთვალი აუცილებელია ტერორიზმისგან ჩვენს დასაცავად.

დავუშვათ, „გუგლმა“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია საზოგადოების მოთხოვნას და დაიწყო ღია ვიდეოდაკვირვების განხორციელება, რა მოხდება ამ შემთხვევაში? დაირღვევა თუ არა კონსტიტუცია? თქვენ ალბათ მეტყვით, რომ „გუგლის“ ვიდეოდაკვირვება კონსტიტუციურ საკითხს სულ არ ეხება. უზენაესი სასამართლოს აზრით, მეოთხე შესწორება, რომელიც უკანონო ჩხრეკისა და ამოღებისგან გვიცავს, და პირველი შესწორება, რომელიც იცავს ჩვენი სიტყვის თავისუფლებასაც, სახელმწიფოსთვის აწესებს ნორმებს და არა კერძო კომპანიებისთვის, მაგალითად, „გუგლისთვის“.

მაგრამ იქნებ სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების დოქტრინის პრობლემა არცთუ ისე მარტივია? მთავრობამ რომ „Open Planet“ გამოიყენოს მოქალაქეებზე თვალყურის სადევნებლად სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით და პლატფორმაში საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული ვიდეოკამერის სისტემები გააერთიანოს, ამ შემთხვევაში, დოქტრინის მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა, სახელმწიფო ქმედებისთვის რაიმე ფორმით ანკესიც გამოგვედო და მეოთხე ან პირველი შესწორების საკითხი წამოგვეჭრა.

დავუშვათ, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პოლიციის მიერ შემთხვევით შერჩეული ადამიანების თვალთვალი „გუგლზე“, რეალურად, ჩხრეკაა, რომელსაც მეოთხე შესწორება არეგულირებს. მოითხოვს თუ არა სასამართლო მთავრობისგან ორდერს ჩხრეკაზე, სანამ ის ერთთვიან თვალთვალს დაუწყებს ვინმეს „გუგლით“? სწორედ ეს პრობლემა წამოიჭრა ამ ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეში „აშშ ჯოუნსის წინააღმდეგ“ (United States v Jones),<sup>1</sup> რომელიც პირად ცხოვრებას ეხებოდა და რომელზეც უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ახლახან მიიღო. ამ საქმის მთავარი სადავო საკითხი იყო, შეეძლო თუ არა პოლიციას მალულად და დაუსაბუთებელი ორდერის გარეშე მიემადგინა GPS-ს მოწყობილობა მოქალაქის მანქანაზე და დაკვირვებოდა მის გადაადგილებას ერთი თვის მანძილზე 24 საათიან რეჟიმში<sup>2</sup>.

სასამართლო დისკრეციის უფლებამოსილებით სარგებლობდა არსებული დოქტრინის ფარგლებში და შეეძლო, როგორც სურდა, ისე გადაეწყვიტა საქმე. ერთი მხრივ, მას შეეძლო ობამას ადმინისტრაციის პოზიციაც გაეზიარებინა. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯოუნსის საქმეში თითქმის იმ განცხადებამდე მივიდა, რომ ჩვენ არ გვაქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი საზოგადოებრივ ადგილებში. სამი ფედერალური საოლ-

<sup>1</sup> 132 S. Ct. 945 (2012). საქმეში აშშ ჯოუნსის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ განიხილა სახელმწიფო უწყების მიერ: 1. სასამართლო ორდერის გარეშე სანავაგიციო სისტემის ხელსაწყოთა დამონტაჟების საკითხი ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ჯოუნსის მანქანაზე და 2. მის გადაადგილებაზე 28 დღის განმავლობაში 24 საათიან რეჟიმში მონიტორინგის საკითხი. 2012 წლის 23 იანვარს სასამართლომ ერთნაირად მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ხელისუფლების მიერ სანავაგიციო სისტემის ხელსაწყოთა დამონტაჟება სამიზნის მანქანაზე და ამ ხელსაწყოთა გამოყენება მანქანის გადაადგილებაზე მონიტორინგის მიზნით, წარმოადგენს „ჩხრეკას“ მეოთხე შესწორების მიხედვით“. თუმცა სასამართლოს არ განუხილავს „ჩხრეკის“ დაუსაბუთებლობის საკითხი და, შესაბამისად, არც ის, დაირღვა თუ არა მეოთხე შესწორება.

<sup>2</sup> *Id.*

ქო სასამართლოც იმავე მოსაზრებას იზიარებდა რამდენიმე საქმეში და ძალაში დატოვა GPS-ს ხელსაწყოთა გამოყენება ადამიანზე სათვალთვალოდ მანქანით გადაადგილების დროს. საოლქო სასამართლოებმა უბრალოდ განაცხადეს, რომ მსგავსი სახის დევნა ჩხრეკას არ წამოადგენს, რადგან ჩვენ არ გავგაჩნია პირადი ცხოვრების დაცვის მოლოდინი საჯარო ადგილებში მოძრაობისას<sup>3</sup>. მათ დაასკვნეს, რომ, თუ ჩვენს ნებისმიერ მეზობელს ან საზოგადოების რომელიმე წევრს შეუძლია გვითვალთვალოს ისე, რომ სულაც არ არღვევდეს მეოთხე შესწორებით დაცულ ჩვენს ინტერესებს, ვირტუალურ კამერებსაც შეუძლიათ რაღაც ხელსაწყოთა საშუალებით ჩვენს გადაადგილებას თვალი ადევნონ.

მაგრამ ეს პარადოქსს წააგავს. ნუთუ შესაძლებელია, რომ საზოგადოების 24 საათიანი თვალთვალი მეოთხე შესწორების საკითხებს არ აყენებდეს? კონსტიტუციის შექმნის პერიოდში მეოთხე შესწორების ჩხრეკის ქრესტომათიულ მაგალითად მეფე ჯორჯის მსახურების გადაწყვეტილება იქნა მიჩნეული. ისინი კოლონიტა სახლებში იჭრებოდნენ მეფის საწინააღმდეგო პამფლეტებისა და ავტორების პოვნის მიზნით<sup>4</sup>. ამ შეჭრებმა და შევარდნებმა შექმნეს სწორედ მეოთხე შესწორება, რომლის პრინციპია: „პიროვნება, საცხოვრებელი, საქმიანი ქალაქები და ქონება“ დაცული უნდა იქნეს არაობიექტური და დაუსაბუთებელი საგამოძიებო მოქმედებებისგან. ადამიანის საკუთარი საწერი მაგიდის უჯრების ჩხრეკა მაშინ პირად ცხოვრებაში აშკარა შეჭრად შეფასდა, თქმა არ უნდა, რომ ყოველ ნაბიჯზე 24 საათიანი თვალთვალი კიდევ უფრო დიდი ჩარევაა ცხოვრებაში.

როცა სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის კონსტიტუციურობის საკითხს აფასებდა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლუის ბრანდისმა აღიარა, რომ პირად ცხოვრებაში შეჭრა, სატელეფონო საუბრის მოსმენის გზით, იმდენად მაღალი ხარისხის ჩარევას წარმოადგენდა, რომ ზოგადი სახის ორდერიც არ იყო საკმარისი მისთვის. ის დაუინებოდა, რომ, თუ კონსტიტუციას ისე არ განვმარტავდით, რომ ტექნოლოგიური წინსვლაც მიგვეღო მხედველობაში, მოქალაქეებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფრო ნაკლები გარანტიები შერჩებოდათ ხელში სადენ-კაბელების ეპოქაში, ვიდრე კონსტიტუციის შექმნის დროს ჰქონდათ<sup>5</sup>. ბრანდისის მაშინდელი განსხვავებული აზრი სატელეფონო მოსმენებზე დღეს, როცა ჩვენ საყოველთაო თვალთვალის წინაშე დავდექით ჩვენსავე ავტომანქანებში თუ „გუგლზე“, უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ანტონინ სკალიას მიერ ჯოუნსის საქმეში წარმოდგენილ უმრავლესობის მოსაზრებაში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ გლობალური სანავიგაციო სისტემით თვალთვალი ჩხრეკას წარმოადგენდა, რადგან პოლიციამ ხელყო ჯონსის საკუთრების უფლება, როცა სისტემის სათვალთვალო მოწყობილობა მიამაგრა მის ავტომანქანას. მოსამართლე სამუელ ალიტო, უნდა აღინიშნოს, რომ თავის ნოვატორულ მოსაზრებაში, რომელიც ემთხვევა სკალიას უმრავლესობის აზრს, მაგრამ განსხვავდება დასაბუთებაში

<sup>3</sup> იხ. საქმეები: United States v. Marquez, 605 F.3d 604, 609 (მე-8 საოლქო სასამართლო, 2010); United States v. Pineda-Moreno, 571 F.3d 1212, 1214–15 (მე-9 საოლქო სასამართლო; 2010); vacated, --- S. Ct. ---, No. 10-7515, 2012 WL 538278 (21 თებერვალი, 2012); United States v. Garcia, 474 F.3d 994, 997–98 (მე-7 საოლქო სასამართლო).

<sup>4</sup> იხ. ცნობილი საქმე Entick v. Carrington, 95 Eng. Rep. 807 (K.B. 1765).

<sup>5</sup> იხ. Samuel D. Warren & Louis D. Brandeis, The Right to Privacy 4 HARV. L. REV. 193 (სამუელ დ. უორენი & ლუის დ. ბრანდისი, პირადი ცხოვრების უფლება); 1890.

(concurrent opinion), ხაზს უსვამს, რომ ხანგრძლივ ვირტუალურ თვალთვალს (რომელსაც ნებართვის ორდერი სჭირდება) და მოკლევადიან თვალთვალს შორის (რომელსაც არ სჭირდება ორდერი) განსხვავება არსებობს. ეტყობა, ალიტო კოლუმბიის ოლქის ფედერალური სასამართლოს მოსამართლის, დუგლას გინსბურგის გავლენას განიცდის, რომელმაც ჯოუნსის საქმეში გადაწყვიტა, რომ GPS-ით განხორციელებული უნებართვო თვალთვალი არაკონსტიტუციურია. გინსბურგმა მართებულად უარყო სანავიგაციო სისტემით თვალთვალისა და მეზობლის თვალთვალის ანალოგია და აღნიშნა, „იმის ალბათობა, რომ უცხო პირი თვალყურს მიადევნებს“ თქვენს ყველა გადაადგილებას ერთი თვის მანძილზე, „არსებითად ნულს უტოლდება“<sup>6</sup>. გინსბურგმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ „ხანგრძლივი თვალთვალის დროს მუდგენდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც, ჩვეულებრივ, მოკლევადიანი თვალთვალისას არ ამკარავდება, მაგალითად, ის, თუ რას აკეთებს ადამიანი ხშირად, რას არ აკეთებს და რას აგროვებს“<sup>7</sup>.

მოდით, ახლა წარმოვიდგინოთ, რომ 2025 წელია და სასამართლო უფრო ამბიციური გახდა. მან გააუქმა „გუგლის“ 24 საათიან თვალთვალზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ ის დაუსაბუთებულ ჩხრეკას წარმოადგენს და რომ პიროვნულ ავტონომიასაც ხელყოფს, როგორც ეს დადგენილი იქნა ამ საქმეებში: *Planned Parenthood of Southeastern Pennsylvania v. Casey* (შობადობის დაგეგმვის სამხრეთ-აღმ. პენსილვანიის სამსახური ქეისის წინააღმდეგ)<sup>8</sup> და *Lawrence v. Texas* (ლოურენსი ტეხასის შტატის წინააღმდეგ)<sup>9</sup>. როცა პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულ ისეთ საქმეებზე ვფიქრობთ, როგორიცაა *Griswold v. Connecticut* (გრისვოლდი კონექტიკუტის შტატის წინააღმდეგ)<sup>10</sup>, *Roe v. Wade* (როი ვეიდის წინააღმდეგ) და *Lawrence* (ლოურენსი), ჩვენ, როგორც წესი, სექსუალურ ავტონომიას ვგულისხმობთ. მაგრამ ლოურენსის და ქეისის საქმეებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ენტონი კენედიმ, რომელიც ფართო ავტონომიის არგუმენტაციის ყველაზე აქტიური მომხრე გახლდათ, პიროვნული ავტონომიის გაცილებით ფართომასშტაბიანი პრინციპი ცნო, იმდენად ფართო, რომ ადამიანებს ყველგან მსუფთვეი თვალთვალისგანაც დაიცავდა, რაც სულ უფრო ტოტალურ ფორმებს იღებს. როგორც კენედიმ აღნიშნა ლოურენსის საქმეში: „თავისუფლება (Freedom) სივრცულ საზღვრებს სცილდება. თამამი თავისუფლება (liberty) უშვებს საკუთარი თავის ისეთ ავტონომიურობას, რომელიც შეიცავს აზრის, რწმენის, გამოხატვისა და გარკვეული ინტიმური მოქმედებების თავისუფლებას“<sup>12</sup>.

<sup>6</sup> *United States v. Maynard*, 615 F.3d 544, 558 (D.C. Cir. 2010), *aff'd sub nom. United States v. Jones*, 132 S. Ct. 9545.

<sup>7</sup> *Id.* at 562.

<sup>8</sup> 505 U.S. 833 (1992). სამხრეთ-აღმოსავლეთ პენსილვანიის შობადობის დაგეგმვის სამსახური ქეისის წინააღმდეგ. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ უფლება აბორტზე კონსტიტუციურად ცნო.

<sup>9</sup> 539 U.S. 558 (2003). ლოურენსი ტეხასის შტატის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება, რომელიც ამ საქმეში მიიღო უზენაესმა სასამართლომ, ისტორიული მნიშვნელობისაა. მან გააუქმა კანონი სოლომონის შესახებ ტეხასისა და 13 სხვა შტატში, რითაც ერთი სექსის ადამიანების სექსუალური ურთიერთობები ლეგალური გახდა აშშ-ის ყველა შტატისა და ტერიტორიაზე.

<sup>10</sup> 381 U.S. 479 (1965). გრისვოლდი კონექტიკუტის შტატის წინააღმდეგ. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებული იქნა, რომ კონსტიტუცია იცავდა პრივატულობას ქორწინებაში. მან გააუქმა კონექტის შტატის კანონი კონტრაცეპციული საშუალებების აკრძალვის შესახებ.

<sup>11</sup> 410 U.S. 113 (1973). როი ვეიდის წინააღმდეგ. უზენაესი სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილებით, უფლება პირად ცხოვრებაზე, მე-14 შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტის (due process clause) მიხედვით, ვრცელდება ქალის მიერ აბორტის გაკეთებაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზეც.

<sup>12</sup> *Lawrence*, 539 U.S. at 562.

კენედისეულ ხედვას საკუთარ თავზე (“self”), რომელიც ეყრდნობა სახელმწიფოსთვის დომინანტური არსებობის შესაძლებლობის არმიცემას როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო საკუთრებაში არსებულ ადგილებში, ახლახან მიმართეს იმ მიზნით, რომ შეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო საყოველთაო, ყველგან მსუფვე თვალთვალს, არამედ ჯანმრთელობის დაცვის რეფორმებს კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ლიბერტარიანელი ექსპერტების მიერ ფორმულირებულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული სარჩელები ვითომ ფედერალიზმს ეხება, ანუ სათანადო ბალანსის დაცვას შტატისა და ფედერალურ ხელისუფლებას შორის.

ლიბერტარიანელები ფიქრობენ, რომ შტატსა და ცენტრალურ ხელისუფლებას საერთოდ არ უნდა შეეძლოს ადამიანების იძულება, იყიდონ ის საქონელი, რაც არ სურთ და მნიშვნელობა არ აქვს, ბროკოლი იქნება ეს, შევროლე იმპალა თუ ჯანმრთელობის დაცვის პაკეტი. მაგრამ ბროკოლის რომ აპროტესტებენ<sup>13</sup>, ლიბერტარიანელები რეალურად იმის წინააღმდეგ კი არ მიდიან, რომ ჯანდაცვის მანდატით ფედერალური მთავრობა შტატების უფლებებში არ ჩაერიოს, არამედ ამის ნაცვლად მათ არგუმენტის საფუძველად ინდივიდუალური თავისუფლება მოაქვთ. მაგალითად, რიჩარდ ეპშტეინი, რენდი ბარნეტისგან განსხვავებით, ღიად აცხადებს, რომ ჯანდაცვის მანდატი ზღუდავს ლიბერტარიანულ თავისუფლებას კონტრაქტის გაფორმებაზე, რაც არა მარტო კონგრესს უბოროკავს ხელს, არამედ შტატებსაც კი. მაგრამ მანდატის დასაცავად ის წერს:

„მანდატი ხელს უწყობს მთავრობას, რომ მან მაიძულოს, ვიყიდო ყველაფერი, სავარჯიშო აპარატურიდან ველოსიპედამდე, რადგან სახელმწიფოს, იძულების უფლებამოსილების საშუალებით ყოველთვის შეუძლია რაიმე სიკეთის წინ წამოწევა და საქმის გაუმჯობესება. აქ ირონია იმაშია, რომ ეს ვაჭრობის მარეგულირებელი პუნქტის არგუმენტაცია არ არის, როგორც ასეთი, რადგან, ჩემი აზრით, ეს რომ ვაჭრობის პუნქტს ეხებოდეს, ნებისმიერი შტატის კანონი ამ პროტესტის სუბიექტი გახდებოდა“<sup>14</sup>.

უზენაეს სასამართლოს ფაქტობრივად რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული, სადაც ამბობს, რომ არც შტატის და არც ფედერალურ მთავრობას „კონტრაქტის თავისუფლებაში“ ჩარევის უფლება არ უნდა ჰქონდეს, ანუ არც ერთს არ უნდა შეეძლოს ადამიანების იძულება, რომ მათთვის არასასურველ ეკონომიკურ ტრანზაქციებში ჩართონ. ეს რამდენიმე საქმე ასოცირდება ცნობილ საქმესთან „ლოჰნერი ნიუ-იორკის წინააღმდეგ“<sup>15</sup>, რომელშიც სასამართლომ ნიუ-იორკის კანონი გააუქმა იმ საფუძველით, რომ ადამიანებმა ისე უნდა მოაგვარონ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობა, რომ „სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ არ აღმოჩნდნენ“<sup>16</sup>. კანონი პურის მცხოვრებისა და მეფუნთუშეებისთვის სამუშაო საათების მაქსიმალურ რაოდენობას აწესებდა. *Roe v. Wade*-ის საქმის კონსერვატორმა მოწინააღ-

<sup>13</sup> See Randy Barnett, If Obamacare’s Mandate Is Approved, Congress Can Require Anything (იხ. რენდი ბარნეტი, თუ ობამას ჯანდაცვის რეფორმები დაბტკიცდა, კონგრესს ყველაფრის მოთხოვნის საშუალება მიეცემა) Wash. Examiner (June 6, 2011), <http://washingtonexaminer.com/opinion/op-eds/2011/06/if-obamacares-mandate-approved-congress-can-require-anything/40085>.

<sup>14</sup> See Richard Epstein, Obamacare Is Now on the Ropes, RICOCHET (Dec. 13, 2011, 12:01 PM), <http://ricochet.com/main-feed/ObamaCare-is-Now-on-the-Ropes>.

<sup>15</sup> 198 U.S. 45 (1905).

<sup>16</sup> Id. at 57.

მდეგეებმა დაგმეს ლოჰნერში მიღებული გადაწყვეტილება იმ მიზეზით, რომ კონტრაქტის გაფორმების თავისუფლების მკვედრებით აღდგენა მოსამართლეებს წააქეზებდა სხვა ისეთი უფლებების დაცვისკენ, რომლებსაც კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა, მაგალითად, პირადი ცხოვრების ისეთი უფლებისა, რომელიც როის საქმეში იქნა აღიარებული.

ალბათ ლოგიკას მოკლებული არ იქნება, თუ დავუშვებდით, რომ ლიბერტარიანული მოსამართლე, როგორიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ენტონი კენედია, გააუქმებდა ჯანდაცვის მანდატს, უნებართვო თვალთვალს GPS-ის ხელსაწყოთი და ფედერალური გამოძიების ბიუროს უნებართვო თვალთვალსაც Open Planet-ზე როეს, ქეისისა და ლოურენსის საქმეებში აღიარებული პიროვნული ავტონომიის უფლების სახელით. თუ გავითვალისწინებთ მის თაყვანისცემას ისეთი იდეებისადმი, როგორიცაა მშობელთა და შვილებს შორის ურთიერთობის დაცვის საჭიროება და პიროვნული ავტონომიის ხელშეუხებლობა, რათა ადამიანმა თავად მიიღოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ცხოვრებაში. ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ ის დადებითად განეწყობა იმ განცხადებისადმი, რომ ჯანდაცვის მანდატი არღვევს ინდივიდის უფლებას – თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ მიხედოს თავისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას და როგორ იმკურნალოს. იმის წარმოდგენაც ადვილია, რომ კენედიმ უზენაესი სასამართლოს იმავე სამუშაო წელს გააუქმოს ჯანდაცვის მანდატი, უნებართვო სატელიტური თვალთვალი და ალიაროს ერთსქესიანთა ქორწინების უფლება ისევ და ისევ იმ საფუძვლით, რომ „თავისუფლება პიროვნულ ავტონომიას გულისხმობს“<sup>17</sup>, მაგრამ მას არც ერთი სხვა კონსერვატორი მოსამართლე არ შეურთდება. ჯონ რობერტსმა, სემუელ ალიტომ, ენტონინ სკალიამ და კლარენს თომასმა თავისი სამოსამართლეო ფილოსოფია ლოჰნერისა და როის საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებების მცდარობაზე ააგეს. რობერტ ბორკი „ამერიკის ცდუნებაში“ წერდა, რომ „ვინც როის ამბობს, მან ლოჰნერი და სკოტი უნდა თქვას“<sup>18</sup>.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, შესაძლოა, პიროვნული ავტონომიის ახალი, ამორფული უფლების შექმნის სურვილი არ ჰქონდათ მოსამართლე სკალიას და დანარჩენ კონსერვატორ მოსამართლეებს, რატომაც მიიღეს გადაწყვეტილება ჯოუნსის საქმეში ვიწრო განმარტებით და არ დაეთანხმნენ მოსამართლე ალიტოს უფრო ფართო აკრძალვას გრძლევადიან თვალთვალზე. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვიწრო განმარტებით მიიღეს უზენაესი სასამართლო საზოგადოებრივ თუ კერძო ადგილებში პიროვნული ავტონომიის დაცვის შესახებ გადაწყვეტილებას თუ ფართოდ განმარტავს მას 2012 თუ 2025 წელს, დამოკიდებულია არა მეოთხე და მე-14 შესწორებების პირად ცხოვრებაზე დაფუძნებული არგუმენტების ლოგიკაზე, არამედ უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაზე და საზოგადოების განწყობაზე. თუკი წარსული გამოცდილება სახელმძღვანელოდ გამოდგება, სასამართლოს პასუხი მეტწილად განპირობებული იქნება საზოგადოების დამოკიდებულებით 24 საათიანი თვალთვალის მიმართ, ანუ მიიჩნევს თუ არა საზოგადოება ამ სახის თვალთვალს უკანონოდ და პირად ცხოვრებაში შეჭრად, თუ იმდენად შეგუებული იქნება ამ მოვლენისადმი ინტერნეტში, ვირ-

<sup>17</sup> Lawrence, 539 U.S. at 562 (ლორენსის საქმე).

<sup>18</sup> იხ. Robert Bork, *The Tempting of America* 32 (1990).

ტრულურ თუ რეალურ სივრცეში, რომ „გუგლზე“ სატელიტური კამერებიდან მიღებული მონაცემების განთავსებისკენ გადაიხრება და არა აკრძალვისკენ.

აი, ამ მოსაზრებაზე მინდა ვისაუბრო და დაგარწმუნოთ, რომ „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ ეპოქაში შესაძლებელია ტექნოლოგიების იმდენად განვითარება, რომ პირად ცხოვრებასა, აზრის თავისუფალ გამოხატვასა თუ სხვა ღირებულებებს შორის გონივრულად იქნეს დაცული ბალანსი. მაგრამ, სავარაუდოდ, მათი დანერგვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, როცა დაინტერესებულ ადამიანთა მცირე რაოდენობა გააპროტესტებს უვარგისად დაპროექტებულ კონსტრუქციებს და მოითხოვს უკეთესს, რითაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ პროექტი, რომელიც აგრესიულად იჭრება სხვის სივრცეში, უკანონოა. აი, ამაში რომ დაგარწმუნოთ, რომ შესაძლებელია კარგი და ვარგისი ტექნოლოგიის შექმნა, ოღონდ მისი გამოყენებისთვის კონსენსუსის მიღწევაა საჭირო, საილუსტრაციოდ სამ მაგალითს შემოგთავაზებთ. . პირველი აეროპორტის მგზავრთა რენტგენული სკანირების აპარატია; მეორე – ინტერნეტი, რომელიც სამუდამოდ იმახსოვრებს ჩვენს მთვრალ მდგომარეობაში გადაღებულ ფოტოებს „ფეისბუქზე“, და მესამე – ვიდეომასალები „იუთუბზე“, რომლებსაც ტვირთავენ და ხსნიან არა სასამართლოს, არამედ „გუგლის“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ბრძანებისა თუ ორდერის საფუძველზე. აქვე მინდა ვთქვა, რომ მათ უფრო დიდი უფლებამოსილება აქვთ სიტყვის თავისუფლებაზე, ვიდრე უზენაეს სასამართლოს.

პირველი: მოდით, განვიხილოთ სკანირების აპარატები, რომლებიც 2011 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სწრაფად მოედო მსოფლიოს აეროპორტებს. ჯერ კიდევ 2004 წელს აშშ-ის მთავრობას მარტივი არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ აპარატს შორის. ერთი კონტრაბანდის, ლითონის ნივთებისა და ტანსაცმლის ქვეშ დამალულ ცელოფნის პარკებს გარდა ადამიანის შიშველ სხეულსაც აჩვენებდა ეკრანზე (ამის გამო „შიშველი“ აპარატიც შეარქვეს), ხოლო მეორე- უსქესო აპარატს საეჭვო ადგილებზე მიმართული ისრებით (ამ აპარატს კი „ბუნდოვანი“ შეერქვა). პრივატულობის დაცვის თვალსაზრისით რომელი აპარატი ჯობდა, ამის გადაწყვეტას, როგორც იტყვიან, ტვინის ჭყლეტა არ სჭირდებოდა, მაგრამ, რაც მთავარია, საფრთხის შემცირებას ორივე ერთნაირად უზრუნველყოფდა. სულ რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ მოითხოვა ის აპარატი, რომელიც ისრებით მიანიშნებდა საეჭვო ადგილებზე, ანუ ე.წ. ბუნდოვანი. მაგრამ უმრავლესობამ უარი თქვა საერთოდ მათ გამოყენებაზე, რადგან გაირკვა, რომ აპარატურა არ ვარგოდა დაბალი სიმკვრივის ფეთქებადი ნივთიერების დეტექციისთვის (მაგალითად, ნივთიერება, რომელიც ერთ-ერთ ტერორისტს თვითმფრინავის ასაფეთქებლად უნდა გამოეყენებინა 2009 წლის შობა დღეს, აეროპორტის თანამშრომლებმა ვერ აღმოაჩინეს)<sup>19</sup>.

აშშ-ის უსაფრთხოების დეპარტამენტმა ევროპელებისგან სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და აეროპორტებში რენტგენული სკანერები გაჩნდა, თანაც ისე, რომ საზოგადოებას აზრის გამოთქმის საშუალებაც არ მიეცა. დეპარტამენტი შემოიფარგლა განცხადებებით იმის თაობაზე, რომ მოწყობილობა პირად ცხოვრებაზე გავლენას არ ახდენ-

---

<sup>19</sup> იხ. Anahad O'Connor & Eric Schmitt, U.S. Says Plane Passenger Tried to Detonate Device, N.Y. TIMES, Dec. 26, 2009, at A1.

და და რომ ე.წ. „ბუნდოვანი“ აპარატურის მოთხოვნას აზრი არც ჰქონდა. მერე კი ის ვითომ შოკში ჩავარდა ხალხის რეაქციით.

რეაქცია კი, უნდა ითქვას, რომ საოცრად ქმედითი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა ობამამ ტრანსპორტირების უსაფრთხოების სამსახურს ყველაფრის თავიდან დაწყება მოსთხოვა, როცა მთელი ქვეყანა სხეულის რენტგენული სკანირებისა და პირადი ჩხრეკის საწინააღმდეგო კამპანიებმა მოიცვა, მას შემდეგ, რაც აეროპორტში ერთ-ერთმა მგზავრმა დაუფიწყარი სიტყვები უთხრა აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომელს: „ხელი არ ახლოთ ჩემს სასქესო ორგანოს!“<sup>20</sup> ის იმ დღეს, გაშიშვლების საწინააღმდეგო მოძრაობის პატრიკ ჰენრიდ იქცა.

2011 წლის თებერვალში, მგზავრთა პირად ჩხრეკაზე გაცემული ნებართვიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ტრანსპორტირების უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ იმ აპარატურის ტესტირებას დაიწყებდა, რომელზეც თავად თქვა უარი ათიოდე წლის წინ<sup>21</sup>. გადაწყდა, რომ ქვეყნის 41 აეროპორტში, რომელიც მილიმეტრული რადიოტალღების ტექნოლოგიას იყენებს, გასაფილტრი კომპიუტერული პროგრამა დაეყენებინათ, თუმცა ის აეროპორტები, სადაც რენტგენულ აპარატურას იყენებენ შებრუნებული გაბნევით, დღემდე გაუფილტრავია<sup>22</sup>.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკურ პროტესტს შედეგი მოჰყვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბედნიერი დასასრული მხოლოდ პოლიტიკური პროტესტის დასახურება არ გახლავთ. ამ შემთხვევაში ტრანსპორტირების უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ სარჩელების შიშმა იქონია გავლენა. პირადი ელექტრონული მონაცემების საინფორმაციო ცენტრმა, რომლის საკონსტრუქციო საბჭოს სიამაყის გრძნობით წარმოვადგენ, შეიტანა სარჩელი ამ ე.წ. „შიშველი“ აპარატების წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ მათი შემოღება დაუსაბუთებელი და არაკონსტიტუციურია<sup>23</sup>. ვფიქრობ, რომ ჩემი ცენტრი გაიმარჯვებს, რადგან არსებული დოქტრინა გვაძლევს ძლიერ, თუმცა არა გადამწყვეტ არგუმენტს. 1983 წელს მოსამართლე სანდრა დეი ოკონორის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებაში გამართლებულია გაწვრთნილი ძალების გამოყენება ნარკოტიკების მოსაძებნად<sup>24</sup>. როგორც ოკონორი წერს, ჩხრეკა დიდი ალბათობით მიჩნეული უნდა იქნეს კონსტიტუციური თვალსაზრისით დასაბუთებულად, თუ ეს ძალიან ეფექტიანი მეთოდია კონტრაბანდის აღმოსაჩენად, ისე, რომ არ გამომჟღავნდეს უვნებელი, მაგრამ ადამიანისთვის საჩოთირო ინფორმაცია<sup>25</sup>. ასე რომ, ძალის ყნოსვა ამ შემთხვევაში იდეალური გზაა. გარკვეულწილად, რენტგენული აპარატურა შებრუნებული გაბნევით – ანუ „შიშველი“ აპარატები – იდეალური ან დასაბუთებული ჩხრეკის ანტითეზაა. ამ აპარატურას საამჟამოზე გამოაქვს ბევრი უვნებელი,

<sup>20</sup> იხ. სტატია მგზავრზე, რომელმაც არ ჩაატარებინა პირადი ჩხრეკა აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლებს. Catherine Saillant, Traveler who Resisted TSA Pat-Down Is Glad His Moment of Fame Is Nearly Over, L.A. TIMES (Nov. 19, 2010), <http://articles.latimes.com/2010/nov/19/local/la-me-screening-tyner-20101119>.

<sup>21</sup> იხ. სტატია ნაკლები გამჟღავნების სკანირების დანერგვაზე. Ashley Halsey III, TSA Debuts System for More Modest Scans, WASH. POST, Feb. 2, 2011, at A2.

<sup>22</sup> იხ. მეორე სტატია ნაკლები გამჟღავნების სკანირებაზე: Ashley Halsey III, TSA to Roll Out Less Revealing Scanner, Boston.Com (21 ივლისი, 2011), [http://articles.boston.com/2011-07-21/business/29798553\\_1\\_scanners-john-spistole-tsa-administrator](http://articles.boston.com/2011-07-21/business/29798553_1_scanners-john-spistole-tsa-administrator).

<sup>23</sup> Elec. Privacy Info. Ctr. v. U.S. Dep't of Homeland Sec., No. 09-2084 (D.D.C. filed Jan. 12, 2011).

<sup>24</sup> United States v. Place, 462 U.S. 696 (1983).

<sup>25</sup> Id. at 707.

მაგრამ უხერხული ინფორმაცია და იგი განსაკუთრებით არაეფექტურია მცირე სიმკვრივის კონტრაბანდის აღმოსაჩენად.

მართალია, უზენაეს სასამართლოს არ შეუფასებია აეროპორტის რენტგენული სკრინინგის ტექნიკა, მაგრამ დაბალი ინსტანციების სასამართლოები ამტკიცებენ, რომ სკრინინგი, თუკი აუცილებელზე ფართო მასშტაბის არ არის ან ძალზე არ იჭრება პირადულ სივრცეში, თანამდეროვე ტექნოლოგიის გათვალისწინებით, კანონერია იმ მიზნისთვის, რომ მოიძებნოს იარაღი ან ასაფეთქებელი საშუალება. 2006 წელს, როცა სააპელაციოს მოსამართლე იყო, ალიტომ გაიმეორა, რომ სკრინინგის ტექნოლოგია უნდა იყოს ეფექტიანი და მინიმალური ხარისხით იჭრებოდეს პირად სივრცეში<sup>26</sup>. ამ სტანდარტებით კი ვერ იტყვით, რომ „შიშველი“ აპარატი ვინმეს აკმაყოფილებს.

მაგრამ სანაძღვოს არ ვღებ, რომ ჩემი ცენტრი დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, რადგან კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ უზენაესი სასამართლო, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ ნორმებს იცავს, როცა მეოთხე შესწორებაზე მიდგება საქმე. მან რამდენიმე წლის წინ, 8 ხმით ერთის წინააღმდეგ, უკანონოდ ცნო უფროსკლასელი გოგონას გახდით გაჩხრეკა, რადგან გოგონების ჩხრეკამ სკოლაში ნარკოტიკების აღმოჩენის მიზნით და თან დაბალი ხარისხის ეჭვის საფუძველზე საზოგადოების ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია<sup>27</sup>. მართალია, „შიშველი“ აპარატი „სერიოზულ შემოთხუბას იწვევს, მაგრამ მხოლოდ მობილიზებულ უმცირესობაში.

თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ „ბუნდოვანი აპარტის“ დროებითი გამარჯვება მაგალითს გვაძლევს, თუ როგორ შევეცადოთ კვლავ და წარმატებით დავაბალანსოთ პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება. მობილიზებულ საზოგადოებას შეუძლია მთავრობაზე ზემოქმედება მოახდინოს, შეუძლია აიძულოს ის, გონივრული წონასწორობა დაიცვას, როცა პირადი ცხოვრების ფასად უჯდება კონკრეტული სახის ტექნიკა. ხალხმა კი თავად უნდა გამოსცადოს, რას ნიშნავს პირადულ სივრცეში შეჭრა და კონტროლის დაკარგვა საკუთარ სხეულზე. ამ ამბავში იყო რაღაც ისეთი, რაც ყველა მგზავრმა განიცადა შინაგანად და რამაც განაპირობა კიდევ საბოლოოდ საპროტესო მოძრაობის წარმატება.

მაგრამ, შეუძლიათ თუ არა მოქალაქეებს, დაირაზმონ და ასეთივე გონივრული ბალანსი მოითხოვონ მაშინ, როცა პირად სივრცეს არა ხელისუფლება, არამედ კერძო კორპორაცია ემუქრება, მაგალითად, „გუგლი“ ან „ფეისბუქი“ და როცა მეტისმეტად ბევრი პირადული სახის ინფორმაციის გამოაშკარავებაზე პასუხიმგებელ მხარეს არა მთავრობა, არამედ ჩვენ თავად წარმოვადგენთ? აი აქ ნაკლებად თავდაჯერებული ვარ. როცა პირად სივრცეში ჩვენი თანამოქალაქე იჭრება და არა სახელმწიფო უწყება, ავტონომიის კი არა, პირადი ცხოვრების სხვა ფასეულობის, კერძოდ, ღირსების სფეროში ვიმყოფებით. გაიხსენეთ, რომ ავტონომია იმუნიტეტია, რომელიც მთავრობის მხრიდან ცხოვრებაში შემოჭრისგან გვიცავს. ღირსება კი სოციალურ ნორმებს იცავს, რომლებსაც ჩვენ ერთმანეთის მიმართ ვიცავთ. ის სოციალურად კონსტრუირებული ღირებულებაა, რომელიც ქვეყნების, საზოგადოებებისა და ეპოქების მიხედვით იცვლება. მაგალითად, გერმანიაში ავტომაგისტრალზე თითოთ თუ მიანიშნებთ

<sup>26</sup> საქმე „აშშ ჰარტველის წინააღმდეგ“, მე-3 საოლქო სასამართლო. United States v. Hartwell, 436 F.3d 174, 179–80 (3d Cir. 2006).

<sup>27</sup> Safford Unified Sch. Dist. No. 1 v. Redding, 557 U.S. 364 (2009).

მძღოლს, ეს შუა თითის ჩვენებად აღიქმება, რაც ღირსების შემლახველიც არის და კანონის დარღვევაც. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა კალიფორნიის გზებზე ამ ნორმის პირობებში? ფრანგები კი ამერიკელებზე გაცილებით მწვავედ რეაგირებენ, როცა ხელფასზე ეკითხებით.

უგუნურობა იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის ნორმების განზოგადება, როცა ღირსებას ეხება საქმე, რადგან ეს ნორმები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცვალებადია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ღირსება სოციალურად კონსტრუირებული ღირებულებაა, მისი შენარჩუნება რთულია მოსამართლის ან კერძო კორპორაციის მიერ მოქალაქეთა აშკარად გამოხატული უპირატესობის ფონზე. ისინი ფაქტობრივად ნაკლებად ნერვიულობენ ღირსებაზე, ვიდრე გაშიშვლებაზე. აი ამას მივყავართ მეორე მაგალითთან, რომელიც ზემოთ ვახსენე: „ფეისბუქზე“ განთავსებული ფოტო, რომელზეც ნასვამ მდგომარეობაში ვიმყოფებით და დავიწყების უფლება („the right to be forgotten“). დღეს ჩვენ ვიცით, რა საფრთხეებს შეიცავს ინტერნეტ ქსელზე დაუფიქრებლად განთავსებული ფოტოები, საუბრის ნაწყვეტები და განახლებული სტატუსები. ეს ინფორმაცია კვალდაკვალ გამოგვედევნება მთელი ცხოვრების მანძილზე, მუდამ ჩვენთან იქნება და მოსვენებასაც დაგვიკარგავს. ამის დასტურია ის, რაც ახალგაზრდა ქალს, მასწავლებელ-პრაქტიკანტს სტივისი სნაიდერს დაემართა პენსილვანიაში<sup>28</sup>. სტივისიმ „MySpace“-ის ვებგვერდზე თავისი ფოტო დადო, რომელზეც მეკობრის ქუდსა და ტანსაცმელში გამოწყობილს პლასტიკისის ჭიქა ეჭირა ხელში. ფოტო კი ასე დაასათაურა: „მთვრალი მეკობრე“. მისმა დამქირავებელმა, საჯარო სკოლის ღირექტორმა ჩათვალა, რომ ამ ფოტოთი ახალგაზრდა პრაქტიკანტი არასრულწლოვანთა შორის ალკოჰოლური სასმელების პოპულარიზაციას უწყობდა ხელს და სკოლიდან დაითხოვა<sup>29</sup>. უნივერსიტეტის რექტორატმა კი, სადაც ის ბოლო კურსზე სწავლობდა, პედაგოგის დიპლომი აღარ მისცა<sup>30</sup>.

სტივისმა საქმე აღძრა უნივერსიტეტის წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლებები. მაგრამ მოსამართლემ არ მიიღო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ, ვინაიდან ის სახელმწიფო მოხელე იყო, მისი სიტყვა არ წარმოადგენდა საზოგადოებრივ ინტერესს და, შესაბამისად, პირველი შესწორებით გათვალისწინებული გარანტიები იმ კონკრეტულ შემთხვევაში მას არ ეხებოდა<sup>31</sup>. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ სტივისი სნაიდერმა პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო სერტიფიკატი ვერ აიღო. იგი ამჟამად ადამიანური რესურსების სფეროში მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ მისი კარიერა იმ ერთ ავბედით ფოტოს შეეწირა.

ამერიკაში რთულია სნაიდერისთვის მიყენებული ზიანისთვის – ინტერნეტ-წარსულისგან თავის დაღწევის შეუძლებლობისთვის – სამართლებრივი დაცვის ფორმულირება: სამართალმცოდნეები სემუელ ჟორენი და ლუის ბრანდისი 1890 წელს, თანაავტოობით შექმნილ ნაშრომში, საუკეთესო წერილში, რაც კი ოდესმე პირადი ცხოვრების უფლებაზე დაწერილა,

<sup>28</sup> იხ. Brett Lovelace, Web Photo Haunts Graduate; MU Sued for Denying Degree (ვებგვერდზე განთავსებული ფოტო მოსვენებას უკარგავს კურსდამთავრებულს. მილერსვილის უნივერსიტეტს ფედერალურ სასამართლოში უჩივიან) INTELLIGENCER J., Apr. 27, 2007, at A1.

<sup>29</sup> *Id.*

<sup>30</sup> *Id.*

<sup>31</sup> Snyder v. Millersville Univ., No. 07-1660, 2008 WL 5093140, at \*14–16 (E.D. Pa. Dec. 3, 2008).

გვეუბნებოდნენ, რომ ახალმა ტექნოლოგიებმა, მაგალითად, კოდაკის კამერამ თუ ტაბლოიდურმა გაზეთებმა ჭორობა საქმიანობად აქციეს, ისინი უსაქმური და ავი ხალხის გართობის საშუალება აღარ არისო<sup>32</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ, იმ ჭორობასთან შედარებით, რაზეც ბრანდეისი წუხდა „მოოქროვილ ხანაში“, დღევანდელი, ინტერნეტზე გაჩაღებული მითქმა-მოთქმა გაცილებით მასშტაბური მოცულობისაა, საფრთხის ქვეშ მაინც ერთია – ღირსება. რა თქმა უნდა, ბრანდეისი ბევრს ცდილობდა, რომ ფასეულობისთვის ფორმულირება მიეცა. როგორც თვითონ აღიარებდა, ამერიკულ სამართალში ღირსების დაცვის განმარტება არ არსებობს. ის ამბობდა, რომ რომელიც სამართლისგან განსხვავებით, ჩვენ ღირსებისთვის არ ვეძებთ განსჯად დანაშაულსო<sup>33</sup>. მის ნაცვლად ბრანდეისმა შემოგვთავაზა დელიქტების მთელი ახალი სერია, რომელიც გემრიელ დესერტს წააგავს, მაგრამ რეალურად სამოქალაქო სარჩელის საფუძვლებს წარმოადგენს ღირსების საწინააღმდეგო სამართალდარღვევათა დასარეგულირებლად. იმის გამო, რომ საზოგადოებაში არ არსებობდა კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა მოცულობით უნდა ჰქონოდათ პირადი ცხოვრების დაცვის მოლოდინი ადამიანებს, ამ დელიქტებმა მხარდამჭერები საზღვარგარეთ მოიპოვეს და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც სამართლის ერთ-ერთი ჟურნალის სტატიამ წერდნენ, ბრანდეისის დელიქტი ჯანმრთელად და ბედნიერად ცხოვრობს საფრანგეთში<sup>34</sup>. ეს ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ შეგიძლიათ უჩივლოთ ჟურნალისტს ცნობილი ადამიანისთვის ფოტოს გადაღებისთვის.

ადამიანს თავის წარსულზე მიბმა ინტერნეტში ღირსებას ულახავს. ამ დამცირების საწინააღმდეგო სასამართლო დაცვის მექანიზმების შექმნაზე ევროპის ქვეყნებში გაცილებით აქტიურად და ენერგიულად მუშაობენ. პირველად ალექს თიურქმა, საფრანგეთის მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ, წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო „დავიწყების უფლება“<sup>35</sup>. ეს წმინდა ფრანგული მოვლენაა. სარტრიდანაა. ამერიკელს გამოჩენა უყვარს, უნდა, რომ ცნობილი გახდეს, ფრანგს კი პირიქით, ურჩევნია, დაივიწყონ. როგორ უნდა დარეგულირებულიყო ეს უფლება ზუსტად, უცნობია. თიურქის აზრით, უნდა შექმნილიყო საერთაშორისო უწყება, ალბათ, „გულმავიწყობის საერთაშორისო კომისია“ ან რაღაც ამის მსგავსი, რომელიც კონკრეტული საქმეების საფუძველზე შეაფასებდა, მიჩნეულიყო თუ არა კონკრეტული თხოვნა კონკრეტული სურათის მოსახსენლად ინტერნეტიდან გამართლებულად და ლახავდა თუ არა სურათი ადამიანის პატივსა და ღირსებას თუ მორალურ უფლებებს. მოკლედ, დეტალები ბუნდოვანია.

ახლახან კი ვივიან რედინგმა, ევროკავშირის იუსტიციის კომისარმა და ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, წამოაყენა წინადადება, მოეხდინათ „დავიწყების უფლების“ კოდი-

<sup>32</sup> იხ. Warren & Brandeis, supra note 5, at 195–96 (უორენი და ბრანდეისი, supra შენიშვნა 5, გვ. 195-96; „ჭორობა აღარ არის უსაქმური და ავი ხალხის გართობის საშუალება, ის საქმიანობად იქცა, რომელსაც გულმოდგინედ და ამასთან, უტიფრად ეწევიან“).

<sup>33</sup> Id. at 198.

<sup>34</sup> იხ. Jeanne M. Hauch, Protecting Private Facts in France: The Warren & Brandeis Tort. Is Alive and Well and Flourishing in Paris (პირადი მონაცემების დაცვა საფრანგეთში: უორენისა და ბრანდეისის დელიქტი ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს პარიზში), 68 TUL. L. REV. 1219 (1994).

<sup>35</sup> იხ. Jeffrey Rosen, The End of Forgetting (ჯეფრი როზენი, დავიწყების დასასრული), N.Y. TIMES, July 25, 2010, at MM30.

ფიცირება“. ბრიუსელში 2011 წლის დეკემბერში ჩატარებულ მონაცემთა დაცვის კონფერენციაზე მან თავის სიტყვაში განაცხადა:

„მინდა, აგრეთვე, რომ დავიწყების უფლებას იურიდიული საფუძველი ჩავუყაროთ, რომელიც შეიქმნება არსებულ წესებზე დაყრდნობით იმ მიზნით, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საფრთხეებს ინტერნეტში უკეთ გავართვათ თავი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებაა ჩვენს ეპოქაში, სადაც მონაცემების შეერთება, მოძიება და შენახვა სულ უფრო სწრაფი ტემპებით ხდება. თუ მომხმარებელს აღარ აქვს სურვილი, რომ მისი მონაცემები შენახული იყოს და თუ არ არსებობს ამ ინფორმაციის შენახვის საფუძვლიანი მიზეზი, ის უნდა მოიხსნას ინტერნეტ-სივრციდან“<sup>36</sup>.

თუ დავიწყების უფლება იმაზე მეტად რთული რამ არ არის, ვიდრე პიროვნების დაარქივებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების წაშლის მოთხოვნა გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაშინ ეს ნათელს მოჰყენდა „მონაცემთა ეკონომიის“ პრინციპს (და მისი აღსრულების მექანიზმსაც შექმნიდა), რაც უკვე იკვეთება ევროპულ დირექტივაში, რომელიც პირად ცხოვრებას ეხება<sup>37</sup>.

თუმცა შემოთავაზებული დავიწყების უფლება, როგორც ჩანს, ადამიანებისთვის სამართლებრივი უფლების მინიჭებაა, მოხსნან თავისი სურვილით განთავსებული ფოტო ქსელიდან მას შემდეგ, რაც მას უამრავი მომხმარებელი გააზიარებს<sup>38</sup>. ამ კუთხით კი ეს მკვეთრ დაპირისპირებაში მოდის გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ კონცეფციასთან. დავიწყების უფლების ფართო განმარტების მაგალითია არგენტინის სასამართლოს მიერ ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შეურაცხმყოფელი ფოტოების გავრცელებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრათ ისეთ საძიებო სისტემებს, როგორიცაა „იაჰუ“ და „გუგლი“<sup>39</sup>. გასულ წელს არგენტინელმა მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ „იაჰუსა“ და „გუგლს“ პასუხი უნდა ეგოთ მორალური ზიანისთვის და პოპარსკვლავის ვირჯინია და კუნჰას პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფისთვის. პოპარსკვლავი წინდაუხედავად მოიქცა და პიკანტური ფოტოები გადაიღო, რომლებიც შემდეგ ინტერნეტზე განთავსდა<sup>40</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოები არც პორნოგრაფიული ხასიათისა იყო, არც უხამსი და ახალგაზრდა ქალის თანხმობით იქნა ინტერნეტში მოთავსებული<sup>41</sup>, მან აზრი შეიცვალა და ფოტოების

<sup>36</sup> იხ. See Viviane Reding, Vice-President of the Eur. Comm’n, Speech at the Second Annual European Data Protection and Privacy Conference, The Future of Data Protection and Transatlantic Cooperation (ვივიან რედინგის მოხსენება: მონაცემთა დაცვის მომავალი და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა (Dec. 6, 2011), ვებგვერდზე: <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=SPEECH/11/851&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>.

<sup>37</sup> იხ. Axel Spies, Analysis: Reform of the EU Data Protection Directive: ‘Right to Be Forgotten’—What Should Be Forgotten and How? (აქსელ სპაისი, ანალიზი: ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივის რეფორმა: „დავიწყების უფლება – რა უნდა იქნას დავიწყებული და როგორ), GLOBAL L. WATCH (Dec. 21, 2011), ვებგვერდზე: <http://www.globallawwatch.com/2011/12/analysis-reform-of-the-eu-data-protectiondirective-right-to-be-forgotten-what-should-be-forgotten-and-how/>.

<sup>38</sup> იხ. ჯეფრი როზენი, დავიწყების უფლება, See Jeffrey Rosen, The Right to Be Forgotten, 64 STAN. L. REV. ONLINE 88 (2012), ვებგვერდზე: <http://www.stanfordlawreview.org/online/privacy-paradox/right-to-be-forgotten>.

<sup>39</sup> იხ. Vinod Sreeharsha, Google and Yahoo Win Appeal in Argentine Case (იაჰუსა და გუგლის სააპელაციო საჩივრები არგენტინის სასამართლომ დააკმაყოფილა). N.Y.TIMES, Aug. 20, 2010, at B4.

<sup>40</sup> Id.

<sup>41</sup> Id.

მოხსნა მოითხოვა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩემი ღირსება და პატივი შეილახა. მოხსენით ფოტოები“. არგენტინელი მოსამართლეც დაეთანხმა და მითითება მისცა „გუგლს“ და „იაჰუს“, მოეხსნათ ფოტოები. „იაჰუს“ პასუხი ასეთი იყო: „ტექნოლოგიურად ამის გაკეთება ძალზე რთულია. ჩვენ არ შეგვიძლია შერჩევით მოეხსნათ ფოტოები, რომლებიც უკვე ფართოდაა გავრცელებული უამრავი მომხმარებლის მიერ, მოგვიწევს ამ პიროვნებაზე ყველა მითითების მოხსნა“. დღეს თუ არგენტინელი მომხმარებელი „იაჰუსზე“ მონიდორებს ვირჯინია და კუნძუას მოძიებას, ის გავა ცარიელ გვერდზე, რომელზეც სასამართლოს ზემოხსენებული ბრძანებაა განთავსებული.

ამ უფლების – ადამიანი დავიწყებული იქნეს – დარღვევის პოტენციალი აშკარაა. პოპვარსკვლავები, რომლებიც პიკანტურ ფოტოებს იღებენ, მოგვიანებით პოლიტიკაში ერთვებიან, განსაკუთრებით იტალიაში. ახლა წარმოიდგინეთ ყოფილი პოპვარსკვლავი, უკვე საარჩევნო კამპანიაში ჩართული, რა სინანულით იხსენებს ახალგაზრდობაში გადაღებულ ფოტოებს და როგორ ცდილობს, მოხსნას ინტერნეტ-სივრცეიდან მასზე ყველანაირი მითითება უხერხული კითხვების თავიდან ასაცილებლად.

ამ უფლების დაცვაც საკმაოდ ძნელია. ვის უნდა უჩივლოს ადამიანმა? „გუგლს“ და „იაჰუსს“? თუ მოლაღატე მეგობრებს, რომლებმაც ფოტოები გააზიარეს? რა გარემოებების შემთხვევაში უნდა დარჩეს ფოტოები ინტერნეტზე საზოგადოებრივი ინტერესის საბაბით? გვჭირდება თუ არა „გულმავიწყობის კომისია“, რომელიც ყოველი კონკრეტული საქმის საფუძველზე გაარკვევს, რა მოთხოვნები იგულისხმება საზოგადოებრივ ინტერესში?

როგორც პიტერ ფლეიჩერი, „გუგლის“ საერთაშორისო მონაცემთა დაცვის საკითხებში მრჩეველი წერს, ადამიანის უფლება, დავიწყებულ იქნეს, იმდენად ფართოა, რომ ძალზე განსხვავებულ სარჩელებს მოიცავს<sup>42</sup>. ადამიანის ყველაზე ნაკლებად საკამათო უფლებაა, წაშალოს მის მიერ „ფეისბუქის“ გვერდზე ან ალბომში განთავსებული ფოტოები ან ინფორმაცია, რასაც უკვე ყველა პლატფორმა გვთავაზობს. მაგრამ წაშლის უფლება სადავო ხდება, თუკი ამ ადამიანის მიერ განთავსებულ მასალას ვინმე „დააკოპირებს“ და სხვა საიტზე გადაიტანს, როგორც ეს მოხდა არგენტინელი პოპვარსკვლავის ფოტოების შემთხვევაში. ფლეიჩერი წერს, რომ, რა თქმა უნდა, საინტერნეტო პლატფორმებს არ უნდა მოსთხოვონ ადამიანის მიერ განთავსებული მასალების წაშლა სხვისი ალბომიდან ამ ალბომის მესაკუთრის თანხმობის გარეშე<sup>43</sup>. და კიდევ უფრო რთული გადასაწყვეტია საკითხი, უნდა ჰქონდეს თუ არა ადამიანს უფლება, მოსთხოვოს ვინმეს წაშალოს მართალი, მაგრამ მისთვის საჩოთირო ინფორმაცია თავისი ვებგვერდიდან – ეს ისეთი მოთხოვნაა, რომელიც პირადი ცხოვრების ფასეულობებს პირდაპირ ამხედრებს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ<sup>44</sup>. გარდა ამისა, ფლეიჩერი აღნიშნავს, რომ ამ საკითხს კიდევ უფრო მეტად ართულებს ის, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად, თუ გერმანიის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გერმანელ მკვლელებს უნდა ჰქონდეთ მათი

---

<sup>42</sup> იხ. Peter Fleischer, Foggy Thinking About Right to Oblivion (პიტერ ფლეიჩერის ბლოგსპოტი: ბუნდოვანი ფიქრები დავიწყების უფლებაზე, 9 მარტი, 2011. ვებგვერდი: <http://peterfleischer.blogspot.com/2011/03/foggythinking-about-right-to-oblivion.html>).

<sup>43</sup> *Id.*.

<sup>44</sup> *Id.*.

დაპატიმრების დამამტკიცებელი მასალების ინტერნეტიდან წაშლის უფლება განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ გერმანიაში უნდა შესრულდეს თუ მთელ მსოფლიოში? და ამასთან, ვინ უნდა აღასრულოს ის<sup>45</sup>?

თუკი გავითვალისწინებთ, რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება სასამართლო, როცა მას პირადი სივრცის დაცულობისა და სიტყვის თავისუფლების დაპირისპირებული ფასეულობების შეჯერება-დაბალანსებას მოსთხოვენ იმ სამყაროში, სადაც ჯერ არ შეთანხმებულან იმაზე, თუ რას ითხოვს პრივატულობა, ინტუიცია მკარნახობს, რომ ამ პრობლემების მოგვარება დღეს ტექნოლოგიურად უფრო არის შესაძლებელი, ვიდრე სამართლებრივი გზით. მაგალითად, არსებობს ე.წ. „ბუნდოვანი“ სკანირების აპარატზე მიღებული გადაწყვეტილების მსგავსი საშუალება, რომელიც სტივის სნაიდერის შემთხვევაშიც შეიძლება გამოვიყენოთ, უბრალოდ, გავაქროთ ინფორმაცია. დღეს უკვე არსებობს მცირე აპლიკაციები, რომლებიც საშუალებას გაძლევენ, გააქროთ თქვენი პირადი მონაცემები. ერთ-ერთ მათგანს, „TigerText“-ს შეუძლია ვადები დაგაყენებინოთ თქვენს ტექსტურ შეტყობინებებზე<sup>46</sup>. რომლებსაც სურვილისამებრ გააქრობთ სამ დღეში, სამ თვეში ან თქვენს მიერ მითითებულ ვადებში.

სულ ახლახან გერმანულმა კომპანიამ X-Pire-მა განაცხადა<sup>47</sup>, რომ აამოქმედა „ფეისბუქის“ აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ავტომატურად წაშალოს მონიშნული ფოტოები ელექტრონული გასაღების საშუალებით, რომელსაც მოქმედების მოკლე ვადა აქვს. გასაღებს მოიპოვებთ CAPTCHA-ს ამოხსნის შემდეგ, რომლის ამოკითხვა საკმაოდ რთულია, როცა განსაზღვრული ციფრების კომბინაციები გაქვთ ჩასაბეჭდი. როგორც კი ფოტოზე მითითებული ვადა ამოიწურება, აპლიკაცია გასაღების გაქრობას უზუნველყოფს. X-Pire-ს აპლიკაცია „ბუნდოვანი“ აპარატის მსგავსი გამოსავალია ე.წ. ციფრული დავიწყებისთვის. მაგრამ სანამ „ფეისბუქი“ მსგავს აპლიკაციას არ ჩართავს თავის პლატფორმაში, იმის შანსი, რომ მომხმარებელმა ეს მომსახურება აირჩიოს, ნაკლებია და, შესაბამისად, მონაცემთა გაქრობა რეალურად არ იქცევა ნორმად. სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა „ფეისბუქის“ ფინანსური ინტერესები ეჯახება „ბუნდოვანი“ აპარატის მსგავს გამოსავალს, რაც დაიცავდა პირად ცხოვრებას. „ფეისბუქი“ საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს, უფრო მეტი გამჭვირვალობისკენ მიილტვის და არა პირადული ინფორმაციის დაცულობისკენ. „ფეისბუქის“ გადაწყვეტილების დასაცავად, რომ პროფილის ინფორმაციისთვის დეფოლტი საჯარო გახადოს და არა დაცული, მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ „ფეისბუქი“ ვალდებულია, ასახოს საზოგადოების ნორმები, რომლებიც ინფორმაციის სააშკარაოზე გამოტანას ანიჭებს უპირატესობას და არა მათ გასაიდუმლოებას<sup>48</sup>.

<sup>45</sup> *Id.*

<sup>46</sup> იხ. Belinda Luscombe, TigerText: An iPhone App for Cheating Spouses?, TIME; (ბელინდა ლუსკომბი, 26 თებერვალი, 2010, „TigerText: აიფონის აპლიკაცია მეუღლეების მოსატყუებლად? ვებგვერდზე: <http://www.time.com/time/business/article/0,8599,1968233,00.html>.

<sup>47</sup> X-PIRE, <http://www.x-pire.de/> (უკანასკნელად ნანახია 2012 წლის 23 თებერვალს).

<sup>48</sup> იხ. Marshall Kirkpatrick, Facebook's Zuckerberg Says the Age of Privacy Is Over, ReadWriteWeb (ფეისბუქის ცუკერბერგი ამბობს, რომ პირადი ცხოვრების დაცულობის ხანა დასრულდა, 9 იანვარი, 2010. ვებგვერდზე: <http://www.readwriteweb.com/archives/>

(ცუკერბერგის სიტყვები: „ჩვენს ფუნქციად სიახლეების დანერგვას, სისტემის მუდმივ განახლებას მივიჩნევთ, ამ სიახლეებში კი თავის მხრივ ასახვას პოულობს მოქმედი საზოგადოებრივი ნორმები). იხ. Jose Antonio Vargas, The Face of Facebook: Mark Zuckerberg Opens Up (ფეისბუქის სახე: მარკ ცუკერბერგი ღიად საუბრობს), NEW YORKER, Sept. 20 2010, at 54, 63–64.

ასეთი მიდგომა, როგორც ჩანს, არასწორია. როგორც „ბუნდოვანი“ აპარატურის და „გუგლის“ 24 საათიანი თვალთვალის შემთხვევაში დავინახეთ, საზოგადოებრივი ნორმები არ არის ის, რასაც „ფეისბუქი“ ასახავს. სულ პირიქით, სწორედ ამ ნორმების ჩამოყალიბებაში ასრულებენ გადამწყვეტ როლს „გუგლი“ და „ფეისბუქი“. X-Pire-ის მსგავსი ტექნოლოგიის განვითარება, რაც გაგიადვილებთ თქვენს მიერ თქვენს საკუთარ ვებგვერდზე ინფორმაციის წაშლას, უფრო დიდ გავლენას იქონიებს დავიწყების უფლების მოქმედების სფეროზე, ვიდრე საერთაშორისო სასამართლოებისა თუ მარეგულირებელი უწყებების გადაწყვეტილებათა მთელი სერიები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საკამათო საზოგადოებრივი ნორმების შემოღების სირთულეს ამ მშფოთვარე და ჭირვეულ სამყაროში.

ჩემი უკანასკნელი მაგალითი სიტყვის თავისუფლებას ეხება და „გუგლის“ შემთხვევასთან მივყავართ. აქამდე ვამბობდი, რომ სასამართლო შესაძლოა უკეთ იყოს აღჭურვილი იმისთვის, რომ ავტონომიურობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები 24 საათიანი თვალთვალის აკრძალვის ნორმებით ან „ფეისბუქით“ დაარეგულიროს, ვიდრე ღირსებასა და რეპუტაციასთან დაკავშირებული დარღვევები. მაგალითად, ვერაფერს მოუხერხებს „ფეისბუქზე“ მთვრალ მდგომარეობაში გადაღებული ფოტოების განთავსებას, რომლებიც არასდროს ქრება. მაგრამ რეგულაციები ორივე შემთხვევაში დამოკიდებული იქნება განვითარებად ნორმებზე, რომელთა კონტურების წარმოდგენა არამცთუ ოც წელიწადში, ხუთ წელიწადშიც ძნელია. სულ ბოლო ხანებამდე ადამიანი, რომელსაც უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდა, გადაეწყვიტა, ვის შეეძლო ლაპარაკი და ვისთვის შეეძლოთ მოესმინათ მთელ მსოფლიოში, პრეზიდენტი, მეფე ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლე კი არა, ნიკოლ ვონგი გახლდათ, „გუგლის“ მთავარი მრჩეველის მოადგილე, რომელსაც კოლეგები „გადაწყვეტილების მიმღებს“ ეძახდნენ მის გადადგომამდე<sup>49</sup>. ნიკოლ ვონგი ნამდვილი გადაწყვეტილების მიმღები იყო. მას აღვიძებდნენ შუა ღამით, რომ გადაეწყვიტა, რა შინაარსი დადებულიყო ან მოხსნილიყო და არა მარტო Google.com-იდან, არამედ მთელ მსოფლიოში, Google.fr-ზე (საფრანგეთის) თუ Google.de-ზე (გერმანიის) და YouTube-ზე, რომელიც „გუგლმა“ შეიძინა 2006 წელს<sup>50</sup>.

თქვენ შეიძლება აღფრთოვანება არ მოგგვაროთ იმ აზრმა, რომ ერთ ქალს ანდობდნენ ამ წარმოუდგენლად კონტექსტუალური და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული რთული გადაწყვეტილებების მიღებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ სიმართლე ის გახლავთ, რომ გადაწყვეტილების მიმღების ეს მოდელი, როგორი არაადეკვატურიც უნდა იყოს, შეიძლება უკეთესია, ვიდრე სხვა ალტერნატივები. ამჟამად რეპრესიული ქვეყნები და, უნდა ითქვას, დასავლური დემოკრატიებიც მკაცრად ითხოვენ ქსელებში გარკვეული სახის ვიდეოკლიპების დაბლოკვას. მაგალითად, ძლიერ წნეხს განიცდის Comcast და Verizon ინტერნეტზე ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვის გამო. ევროპიდანაც ისმის მოთხოვნები ტერორიზმის მასტიმულირებელი ვიდეოების დაბლოკვაზე. ევგენი მოროზოვი თავის ახალ საინტერესო წიგნში „ნეტის ილუზიები“ დამაჯერებლად ხსნის, რომ რეპრესიულ მთავრობებს, რომელთა მაგალითებად ირანისა და ეგვიპტის ხელისუფლებები მოჰყავს, შეუძლიათ

<sup>49</sup> Jeffrey Rosen, Google's Gatekeepers (გუგლის მცველები), N.Y. TIMES, Nov. 30, 2008, at MM50.

<sup>50</sup> Andrew Ross Sorkin, Dot-Com Boom Echoed in Deal to Buy YouTube, N.Y. TIMES, Oct. 10, 2006, at A1.

ინტერნეტი თავისუფლების ჩასახშობად გამოიყენონ<sup>51</sup>. კიბერ-იდელისტებისგან განსხვავებით, მოროზოვი დარწმუნებულია, რომ რევოლუცია „ტივტერზე“ ჭიკჭიკით არ დაიწყება.

ვონგი ნამდვილად იმსახურებს ლიბერტარიანული კონსერვატორებისა და სამოქალაქო ლიბერტარიანული ლიბერალების პატივისცემას, რადგან ეს ქალი არსებითად სიტყვის თავისუფლებისთვის მყარი დაცვის კოდიფიცირებას ცდილობდა, ისეთი თავისუფლებისთვის, რომელიც უზენაესმა სასამართლომ ცნო საქმეში „ბრანდენბურგი ოპიუს შტატის წინააღმდეგ“<sup>52</sup>. მაგრამ სენატორმა ჯო ლიბერმანმა ისეთი წნეხის ქვეშ მოაქცია ვონგი და მისი კოლეგები, რომ მათ უკან დაიხიეს. YouTube-მა ცოტა ხნის წინ ახალი კატეგორია დაამატა, რომელზე დაწკაპუნებით მომხმარებელი მიანიშნებს, რომ ვიდეოკლიპი მოსახსნელია, რადგან ტერორიზმის პროპაგანდირებას უწყობს ხელს<sup>53</sup>. ეს შემამფოთებელია, რადგან ზედმეტად განავრცობს იმ სტანდარტს, რომელსაც უზენაესი სასამართლო იყენებს ისეთი სიტყვის დასარეგულირებლად, რომელიც ძალადობას აღვივებს. შეიძლება ითქვას, რომ YouTube ლიბერმანს დანებდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომხმარებლის მიერ შექმნილი სისტემა საზოგადოებრივი ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად ვერასდროს ისეთი კეთილსინდისიერებით და სკრუპულოზურობით ვერ დაიცავს სიტყვის თავისუფლებას, როგორც ამას სამუდამოდ არჩეული მოსამართლე აკეთებს და მასავით ვერ გადაწყვეტს მკაცრი წესების გამოყენებით, თუ როდის შეიძლება სიტყვა აღქმული იყოს როგორც საშიში მოქმედების ფორმა.

„გუგლი“ სიტყვის თავისუფლების უკეთესი დარაჯია, ვიდრე „ფეისბუქის“ მსგავსი კომპანიები, რომლებმაც უარი თქვეს, შეერთებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციას Global Network Initiative-ს, რომელიც სიტყვის თავისუფლებისა და პირადი მონაცემების დაცვისთვის იბრძვის<sup>54</sup>. კრიტიკოსი ლი სიგელი ვარაუდობს, რომ 50 წელიწადში შეიძლება „გუგლი“ ისე გავისხნოთ, როგორც დღეს „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას“ ვიხსენებთ, და თუ მართლა ასე მოხდა, ალბათ ნოსტალგიაც გავგიჩნდება „გადაწყვეტილების მიმღების“ მოდელის მიმართ, რომელიც, მიუხედავად შეცდომებისა, მაინც უკეთესად იცავდა სიტყვის თავისუფლებას, ვიდრე სხვა არსებული ალტერნატივები<sup>55</sup>. მაგრამ YouTube-ის კაპიტულაცია გვიჩვენებს, რომ „გუგლის“ მოდელმა „გვენდეთ“ შეიძლება ვერ მოახერხოს სიტყვის თავისუფლების დაცვა სტაბილურად 21-ე საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ „გუგლის“ ამ მოდელის ალტერნატივა, კერძოდ, მსოფლიოში არსებული ყველა ეროვნული მარეგულირებელი უწყების აღჭურვა სადავო ვიდეომასალის ინტერნეტ-სივრცეიდან მოხსნის მოთხოვნის უფლებამოსილებით შეიძლება თავისუფალი სიტყვის დაცვის უფრო სუსტი მექანიზმი აღმოჩნდეს, ვიდრე „გუგლის“ „გადაწყვეტილების მიმღების“ მოდელია დღეს. დაბოლოს, რა თქმა უნდა, გადაურჩება თუ არა „გადაწყვეტილების მიმღების“ მოდელი ბიზნესის უმოწყალო შეტევას

<sup>51</sup> Evgeni Morozov; *The Net Delusion*; 134 (2011).

<sup>52</sup> 395 U.S. 444 (1969). საქმეში „ბრანდენბურგი ოპიუს შტატის წინააღმდეგ“ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთავრობას უფლება არ აქვს დასაჯოს ადამიანი არეულობის ან შუღლის გამომწვევი სიტყვის წარმოთქმისთვის, თუ ეს სიტყვა მოქმედების წაქეზებისკენ ან მოქმედებისკენ პირდაპირ არ არის მიმართული.

<sup>53</sup> იხ. Brian Bennett, *YouTube Is Letting Users Decide on Terrorism-Related Videos* (YouTube მომხმარებელს აძლევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას ტერორიზმთან დაკავშირებული ვიდეოების შესახებ); L.A. TIMES (Dec. 12, 2010), ვებგვერდზე: <http://articles.latimes.com/2010/dec/12/nation/la-na-youtubeterror-20101213>.

<sup>54</sup> Global Network Initiative: <http://www.globalnetworkinitiative.org> (უკანასკნელად ნანახია 2012 წლის 23 თებერვალს).

<sup>55</sup> Lee Siegel, *Twitter Can't Save You* („ტივტერი“ ვერ გადაგარჩენთ), N.Y. TIMES, Feb. 6, 2011, at BR14.

ჟურნალისტიკის მონეტიზაციისთვის, ისე რომ წამყვანმა ვიდეოებმა შესთავაზონ სამიზნე მომხმარებელს ეფექტური პლატფორმა რეკლამის გაყიდვისთვის, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ახლა უფლება მომეცით, შევაჯამო ჩემი მოსაზრებები. მე შევეცადე, ხაზი გამესვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური ფასეულობების დაცვის სირთულისთვის „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ ეპოქაში, ანუ ისეთი სტრუქტურებისა, რომლებსაც კონსტიტუცია არ ზღუდავს ფორმალურად. ერთი მხრივ, მე ვცდილობ, ოპტიმისტური სურათი წარმოგიდგინოთ ჩემს მიერ მოტანილ თითოეულ მაგალითში, იქნება ეს „გუგლის“ 24 საათიანი თვალთვალი, „ბუნდოვანი“ აპარატები, „ფეისბუქური“ წარსულისგან თავის დაღწევა თუ სიტყვის თავისუფლების პროპაგანდა „იუთუბსა“ და „გუგლზე“. თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი წესებისა თუ ტექნიკის დანერგვა, რომლებიც დაიცავს სიტყვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ფასეულობებს ამ ჩვენს ცვალებად სამყაროში. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ავკრძალავთ ყველგან მსუფთვ თვალთვალს, რომ „ბუნდოვან“ აპარატს მივანიჭებთ უპირატესობას, განვაფიქრებთ მონაცემთა გაქრობის ტექნიკას და გვეყოლება სიტყვის თავისუფლების დამცველი და არა შემზღუდველი ხელმძღვანელობა, ისეთი, როგორიც „გუგლს“ და „ტვიტერს“ ჰყავს. მაგრამ მივიღებთ თუ არა ამ კარგ წესებს ან დავნერგავთ თუ არა საჭირო ტექნიკას, რეალურად იმაზეა დამოკიდებული, თუ კონკრეტულად რა სახის წესებსა და ტექნიკას ითხოვს საზოგადოება. ჯოუნსის საქმეში მოსამართლეთა უმრავლესობამ საბოლოო ჯამში ვიწრო განმარტებით მიიღო გადაწყვეტილება GPS თვალთვალის წინააღმდეგ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ სურდა პიროვნული ავტონომიის ახალი, ამორფული უფლების შექმნა, როგორიც როის საქმეში აღიარა. პოლიტიკური პროტესტი და გაშიშვლების საწინააღმდეგო კამპანია დასჭირდა ე.წ. „შიშველი აპარატის“ „ბუნდოვანით“ შეცვლას; „ფეისბუქი“ უხალისოდ დაჰყვა მომხმარებლის მოთხოვნებს (რეალურად კი ევროპიდან წამოსული საჩივრების შიშით დაიხია უკან) და გააიოლა მონაცემთა წაშლა, თუმცა დღესაც დარწმუნებულია, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას პირადი მონაცემების გამოაშკარავება გადაწონის. დაბოლოს, „გუგლმა“, მიუხედავად იმ პასუხისმგებლობის გრძნობისა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისადმი აქვს, ირჩია, არ შეწინააღმდეგებოდა პოლიტიკურ მოთხოვნებს და გაეფართოებინა აკრძალული ენის კატეგორიები „იუთუბზე“, რომლებსაც მომხმარებელი ირჩევს და რომლებიც, შესაბამისად, საზოგადოების ნორმებს ასახავს, იმის ნაცვლად, რომ თავად ჩამოეყალიბებინა სიტყვის თავისუფლების განმამტკიცებელი სტანდარტები.

ასე რომ, შეკითხვაზე, თუ როგორ კანონებსა და ტექნოლოგიას მოითხოვს თანამედროვე ადამიანი – სიტყვის თავისუფლების დამცავს თუ შემზღუდველს – პასუხი ჩვენი გასაცემია, რადგან არჩევანი ჩვენზეა.

კარლო გოდოლაძე

# საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში – პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები

კარლო გოდოლაძე

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი.

## I. შესავალი

მეოცე საუკუნის მიწურულს, კიდევ ერთხელ დაბადებულ (სათავედ ვგულისხმობთ საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიულ რესპუბლიკას) ახალფეხადგმულ საქართველოს სახელმწიფოს ერთი ფრიად „ორიგინალური“ მახასიათებელი დაჰყვა-ქვეყნის უზენაესი კანონის, სამართლებრივი აქტის პერმანენტული და პრაქტიკულად მოუთოკავი ცვლილება. თვალსაჩინოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის შექმნის დღიდან, 1995 წლის 24 აგვისტოდან, დოკუმენტში ერთმანეთის მიყოლებით შედიოდა ცვლილება-დამატებანი და უმთავრესი კანონის დღევანდელ ვერსიას, დიდწილად აღარაფერი აქვს საერთო თავდაპირველ ტექსტთან. ეს მაშინ, როცა აღნიშნული სამართლებრივი აქტი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვიდმეტი წელია რაც ფუნქციონირებს.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების უმთავრესი პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. გაანალიზებული და წარმოჩენილი იქნება ის ფაქტორები, რომელთაც ძირითადი, არსებითი გავლენა მოახდინეს ცვლილებათა არსსა და შინაარსობრივ მხარეზე.

თუკი კონსტიტუციონალიზმს გავიაზრებთ, როგორც კონსტიტუციური წყობის დამფუძნებელ პოლიტიკურ-სამართლებრივ თეორიას<sup>1</sup>. მაშინ ხსენებულ კონტექსტში უპირანი და მართებული იქნება, განვიხილოთ საკონსტიტუციო ცვლილებათა როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ასპექტები. ვინაიდან პოლიტიკური სისტემა როგორც ფენომენი, ერთგვარი

<sup>1</sup> ოთარ მელქაძე. კონსტიტუციონალიზმი. თბილისი, 2008, გვ.16.

შემოქმედებითი ჩონჩხია. რომელიც ფორმირებას, კონსტრუირებას უკეთებს სამართლებრივ მახასიათებელს და მისი შესწავლის გარეშე ცვლილებათა რეალურ არსზე საუბარიც ზედმეტია. მით უმეტეს, იმ გარემოში, რომელშიც საქართველოს ახალდაბადებულ სახელმწიფოს მოუწია პირველსაწყისი და შემდგომი ნაბიჯების გადადგმა.

როგორც აღნიშნავენ, კონსტიტუცია იმდენად სამართლებრივი აქტია, რამდენადაც პოლიტიკური, ვინაიდან სახელმწიფო და ხელისუფლება ის ძირითადი ელემენტებია, რომლის გარშემოც ერთიანდება პოლიტიკური სისტემის ყველა ატრიბუტი<sup>2</sup>. სწორედ ხსენებულ ჭრილში და კონსტიტუციონალიზმისათვის დამახასიათებელი ანალიტიკური ხაზით და რაკურსით მიმოვიხილავთ დღევანდელ დღემდე განხორციელებულ ძირითად ცვლილებებს (იგულისხმება 1999, 2004, 2010 წლებში მომხდარი ცვლილება-დამატებანი). ვეცდებით ჩავწვდეთ პრობლემის სიღრმეებს, თუმცაღა ამისათვის აუცილებელი იქნებოდა ერთგვარი დისციპლინათა-შორისი კვლევა, რაც მოცემულ ეტაპზე ნამდვილად აღემატება ჩვენს ძალებსა და შესაძლებლობებს. წინარე სტატია არის ერთგვარი მცდელობა, თეორიულ-დოქტრინალური კუთხით იქნეს დანახული და გააზრებული წამოწეული საკითხი. თუკი ნაშრომი დასახულ მიზანს მიაღწევს, აღნიშნული უდავოდ გამოიწვევს ავტორის კმაყოფილებას.

შესავლის ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი სამართლის აღიარებული თეორეტიკოსისა და მკვლევარის<sup>3</sup>, ცნობილი უნგრელი პროფესორისა და კონსტიტუციონალისტის ანდრაშ შაიოსა და მისი „შიშის კონსტიტუციონალიზმის“ ფენომენს გავიაზრებთ, მივხვდებით, რომ ხსენებული უმეტესწილად პოლიტიკური შიშია, რომელიც საკვანძო გავლენას ახდენს სახელმწიფოს კონსტიტუციურ კლიმატსა და ლანდშაფტზე. მით უფრო ისეთი ტრანზიციის პერიოდსა და ფაზაში მყოფ ქვეყანაზე, რომელსაც მემკვიდრეობით ჩამოუყალიბებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა და ინსტიტუტები დაჰყვება.

## II. საკონსტიტუციო ლანდშაფტი 1999-2004 წლების საქართველოში

1999 წელი თვისობრივად ერთგვარ წყალგამყოფად უნდა მივიჩნიოთ ცვლილებათა ანალიზის გზაზე. ვინაიდან სწორედ აღნიშნულ წელს განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის პირველი ცვლილება (ძირითადად პოლიტიკური მიზნებით. ვრცლად იხილეთ ქვემოთ), რომელმაც დასაბამი მისცა ცვლილება-დამატებათა უსამანო პროცესს. სანამ უშუალოდ ცვლილების განხილვაზე გადავიდოდეთ, თვალი გადავავლოთ 1995-1999 წლების პოლიტიკურ-სამართლებრივ სურათს საქართველოში.

<sup>2</sup> მითითებული ნაშრომი. გვ.33.

<sup>3</sup> ანდრაშ შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბილისი, 2003, გვ. IV (თევდორე ნინიძის წინათქმა).

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა 54 პარტიამ მიიღო. აღნიშნული 54 პარტიიდან მხოლოდ სამმა მოახერხა პარლამენტში გასვლა. კონსტიტუციით დადგინდა 5 პროცენტისანი საარჩევნო ზღვარი. ამიტომ ბევრი ხმა საერთოდ არ მოხვდა პარლამენტში და, პირიქით, შეეშველა იმ პარტიებს, რომლებმაც ხმების 5 პროცენტზე მეტი მიიღეს პარლამენტში ადგილების ზეპროპორციულ განაწილებაში<sup>4</sup>. წარმოდგენილი ანალიზი მკაფიოდ ასახავს იმ უმთავრეს სურათს, მთავარი მოვლენის უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების შემდგომ რომ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოში. საარჩევნო ბარიერი ეს იყო ერთგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხერხი, რომლითაც პრაქტიკულად მარტივად აღმოიფხვრა პარტიათა თვალუწვდენელი კონგლომერატი, როგორც ეს სახეზე გვექნა 1992-1995 წლების საკანონმდებლო ორგანოში, როცა არ არსებობდა საარჩევნო ზღვარი<sup>5</sup>. ამ ყოველივეს შედეგი კი ის გახლდათ, რომ პარლამენტში ჩამოყალიბდა უმრავლესობა და შეიქმნა ქვეყნის პრეზიდენტის მხარდამჭერი პოლიტიკური გუნდი. პრობლემა სწორედ ის იყო, რომ ერთი პარტია და კონკრეტულად შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირი 1995 წელს მიღებულ ხმათა სულ რაღაც 23 პროცენტით ფლობდა საპარლამენტო ადგილების თითქმის ორ მესამედს<sup>6</sup>. პრაქტიკულად შემდგომი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური სურათი უცვლელია, ერთი გამოკვეთილი საკონსტიტუციო უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკური ძალით. რომელსაც არაფერი უბიძგებს იმისაკენ, რომ სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები სხვა პოლიტიკურ აქტორებთან დიალოგისა და ურთიერთშეთანხმების რეჟიმში განიხილოს.

სწორედ წამოწეული „საკრალური დასაბამით“ მივიდნენ პოლიტიკური აქტორები 1999 წელს საპარლამენტო რუბიკონთან. და მოხდა ქართულ რეალობაში სრულიად ლოგიკური ფაქტი, როგორც იტყვიან მმართველ პარტიაში, „ნუ დააგდებ ძველსა გზასა“, ცნობილი შეგონება. სენტენცია გაითვალისწინეს და 1999 წლის 20 ივლისს პირველად შეცვალეს საქართველოს კონსტიტუცია. შემდგომში ვნახავთ, რომ როგორც 2004, ისე 2008 წლების არჩევნებზე, საარჩევნო ბარიერი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება მმართველი პარტიის ხელში პოლიტიკურ ოპოზიციასთან მანევრირებისას. უნდა ითქვას, რომ ამ მომენტისათვის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მცდარი ნაბიჯი იყო, რადგან ეს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ძლიერ პარტიებს კიდევ უფრო გააძლიერებდა<sup>7</sup>. შესაბამისად, როგორც მართებულად ასკვნის ცნობილი გერმანელი იურისტი ვოლფგანგ გაული: აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილება შეიძლება შევაფასოთ როგორც პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების მიერ ძალაუფლების შესანარჩუნებლად განხორციელებული სტრატეგიული ღონისძიება<sup>8</sup>. ძნელია ზემოთქმულში ეჭვის შეტანა, ვინაიდან არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში მხოლოდ სამი პოლიტიკური ძალა მოხვდა, აქედან ერთი გამოკვეთილი უმრავლესობით. სურათი უცვლელი დარჩა, კოჰაბიტაცია არ შედგა. პრეზიდენტს შეეძლო მშვიდად დაყრდნობოდა საკუთარ უმრავლესობას პარლამენტში. გა-

<sup>4</sup> ვოლფგანგ გაული. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. თბილისი, 2002, გვ. 113.

<sup>5</sup> მითითებული ნაშრომი. გვ. 113-114.

<sup>6</sup> მითითებული ნაშრომი. გვ. 115.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 115.

ზრდილი 7 პროცენტის ბარიერი კი, შემდგომშიც დარჩება ქართული პოლიტიკური თუ სამართლებრივი სივრცის უმთავრეს თემად და საკითხად.

სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებული ერთგვარი არითმია განსაზღვრავს კონსტიტუციური დინამიკის თავისებურებებს<sup>9</sup>. ხსენებული სენტენციის ნათელი დადასტურებაა განხილული პირველი „საკრალური“ ცვლილება უზენაეს კანონში. ცხადია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სამართლის არსენალი ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს დაექვემდებარა. ზემოთქმულს ნამდვილად ვერ გავითვალისწინებთ, როდესაც კონსტიტუციის მეორე ცვლილებას დავაკვირდებით. 2000 წლის 20 აპრილს აჭარის სტატუსი „ავტონომიური რესპუბლიკით“ განისაზღვრა.

კიდევ ერთი კონსტიტუციური ცვლილება 2001 წლის 30 მარტს განხორციელდა, როდესაც კონსტიტუციური კანონით განისაზღვრა, კონსტიტუციური შეთანხმების, ეგრეთ წოდებული „კონკორდატის“ დადების შესაძლებლობა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. საბოლოოდ, 2002 წელს შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს აშკარად სცდება დადებული შეთანხმების (კონკორდატის) სამართლებრივი ანალიზი. თუმცაღა ჩვენი მხრივ ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული „კონკორდატი“ ნამდვილად არ ჯდება საერო და სეკულარული სახელმწიფოს კონცეფციაში. ჩვენი ღრმა რწმენით, უპირანი და მართებული იქნება, თუკი რეალურად მოხდება გააზრება ამ ტიპის სამართლებრივი აქტის საჭიროებისა. როგორც ცნობილი მკვლევარი კარლ ფრიდრიხი წერს: დეფინიციის მიხედვით, კონსტიტუციური ტიპის დემოკრატია ისეთი დემოკრატიაა, რომელიც მთელ ძალაუფლებას უმრავლესობას არ ანიჭებს<sup>10</sup>.

საკონსტიტუციო ცვლილებათა განხილვის გზაზე, უდავოდ გვერდს ვერ ავუვლით და აუცილებლად უნდა განვიხილოთ 2001 წელს დაგეგმილი კონსტიტუციური ცვლილებები. მართალია, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან უარყოფა მოჰყვა, მაგრამ ჩვენ ვნახავთ, რომ პრაქტიკულად იდენტური ცვლილება-დამატებანი დამტკიცდება პოსტშევარდნაძისეულ პარლამენტში 2004 წლის თებერვალში. თანაც ისე, რომ დარღვეული იქნება კონსტიტუციური კანონის პროექტის პუბლიკაციისა და განხილვის ერთგვარი პროცედურა. ეს გადაწყვეტილება არგუმენტირებულია იმით, რომ ცვლილებები არსებითად იმეორებს 2001 წლის გაზაფხულზე პარლამენტში ედუარდ შევარდნაძის მიერ შემოტანილ და გამოქვეყნებულ კანონპროექტს<sup>11</sup>.

ოცდამეერთე საუკუნის პირველ წელს დაგეგმილი რეფორმის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება და სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება, რაც დიდი ხანია სურდა შევარდნაძეს. კონსტიტუციას, წარმოდგენილი ცვლილებებით, ემატებოდა სრულიად ახალი 41-ე თავი „საქართველოს მთავრობა“. ისევე როგორც აქამდე, ამ ცვლილებების მიხედვითაც პრეზიდენტს შეეძლო როგორც მთ-

<sup>9</sup> ოთარ მელქაძე. მითითებული ნაშრომი. გვ. 34.

<sup>10</sup> ფილიპ ლოვო. თანამედროვე დიდი დემოკრატიები. თბილისი, 2002, გვ. 97.

<sup>11</sup> მარინა მუსხელიშვილი. კონსტიტუციის დისკურსული ლეგიტიმაცია. თბილისი, 2006, გვ. 16.

ლიანად მთავრობის გადაყენება, ისე ცალკეული მინისტრების გათავისუფლება თანამდებობიდან<sup>12</sup>. სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება ფართოვდებოდა, ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოსთან მიმართებაშიც. გამოქვეყნებული პროექტის მიხედვით, პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის ოთხი შესაძლებლობა ჰქონდა განსაზღვრული. ეს მაშინ, როცა ცვლილებამდელი Status Quo საერთოდ გამორიცხავდა პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობას.

სრულიად გაუგებარი იყო პრეზიდენტის უფლება მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი აქტების გაუქმების თაობაზე. თუკი ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. ყველაზე საინტერესო მოცემული კუთხით ანალიზისას ის არის, რომ ზემოთქმული უფლებამოსილება, კონსტიტუციური ლოგიკით, საკონსტიტუციო იუსტიციისა და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეა. თვისობრივად ქვეყნის პირველ პირს ამ ველზე სწორედაც რომ არაფერი ესაქმება. ნათელია, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციური პარადიგმებისა და, მით უფრო, ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპის ანულირება და უგულებელყოფა მოხდა, როგორიც ხელისუფლების დანაწილებაა. როგორც ჩანს, პრეზიდენტს სურდა გარკვეული სასამართლო თუ კვაზისასამართლო ფუნქციები ეტვირთა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მართებულად აღვნიშნეთ, სრულიად გაუგებარი და ბუნდოვანია წამოყენებულ წინადადებათა რეალური მიზანი.

ასევე გაუგებარი იყო წინადადება, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს, ერთმეოდა ნორმათა კონკრეტული კონტროლის განხორციელების საშუალება, რითაც პრაქტიკულად კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა მოქალაქეთა ინდივიდუალური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. არადა, სწორედ ასეთმა კონკრეტულმა კონტროლმა საკონსტიტუციო სასამართლო „ნეგატიური“ ტრიბუნალიდან, რომელიც მიმართული იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებებზე უარის სათქმელად (*ultra vires*), შემოქმედებით ინსტიტუტად აქცია<sup>13</sup>. როგორც ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ლუის ლოპეს გუერა აცხადებდა, კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლი იმაზე მეტია, ვიდრე ტექნიკა, რომელიც მიმართულია საპარლამენტო შეტევებისაგან კონსტიტუციის დასაცავად... იგი იქცა კონსტიტუციის განმარტების პროცედურად და იმ წესის შექმნის მექანიზმად, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ საქმეში<sup>14</sup>.

თავის დროზე განხილული კონსტიტუციური ცვლილებები, სრულიად საფუძვლიანად და დამსახურებულად გახდა მწვავე და ფართო კრიტიკის საგანი. უცხოელმა ექსპერტებმა – ლესიგმა, ბლანკენაგელმა, შაიომ და ჰოლმსმა ღია წერილში მიუთითეს, რომ თანამედროვე ქართული სისტემა წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შემთხვევაში სუპერსაპრეზიდენტო

<sup>12</sup> ვოლფგანგ გაული. მითით. ნაშრ. გვ. 302.

<sup>13</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. აირის საქართველო 2003. გვ. 79.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 79.

სისტემად გადაიქცევა<sup>15</sup>. და მართლაც, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი ძალაუფლების განაწილების ქართულ დაბალანსებულ სისტემას სრულიად აცლიდა საფუძველს<sup>16</sup>. რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მხარეს, პრეზიდენტს, როგორც ჩანს, პარლამენტის როლის დაკნინება და იმ პრობლემათა აღმოფხვრა სურდა, უმაღლეს კანონმდებელთა მხრიდან რომ აწყდებოდა. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ნაკლებად საჯარო კულუარული წინააღმდეგობა (წარმოდგენილი კანონპროექტისადმი – ავტორი) გამოიწვია მომავალი პრემიერ-მინისტრის (ზურაბ ჟვანიას) კანდიდატურამ<sup>17</sup>.

კონსტიტუციის მოქმედების პირველი შვიდი წელი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მისმა ამოქმედებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციას. 2001 წლის ბოლოს, სახელისუფლებო კრიზისისა და სტუდენტთა მასობრივი გამოსვლების ფონზე, საზოგადოების ერთ ნაწილში პოპულარული გახდა პრეზიდენტის გადადგომისა და პარლამენტის ვადამდელი დათხოვნის ლოზუნგები. მაგრამ ამ მოძრაობამ ფართო გასაქანი ვერ პოვა, ამის ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ ასეთი მოთხოვნები საფრთხეს შეუქმნიდა საკონსტიტუციო წესრიგს<sup>18</sup>.

ესაა ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთაც მთავარი გავლენა მოახდინეს ქართულ საკონსტიტუციო სურათსა და ლანდშაფტზე 2003 წლის ცნობილ სანოემბრო მოვლენებამდე. (ბუნებრივია, იგულისხმება „ვარდების რევოლუცია“.) პრეზიდენტის გადადგომის შემდგომ საქართველოში პოსტრევოლუციური და ძალზე დინამიკური პროცესები იწყება, რაც, თავისთავად ეხება სახელმწიფოს ძირითად კანონსაც, თუმცა ამაზე ქვემოთ...

### III. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები და პოსტრევოლუციური ძალაუფლების განაწილება

ცნობილი კონსტიტუციონალისტის ჯონ ელსტერის თქმით, მსოფლიოში არსებობს დემოკრატიული კონსტიტუციები, მიღებული არადემოკრატიული გზით, მაგრამ არ არსებობს დემოკრატიული გზით მიღებული არც ერთი ავტორიტარული კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიღების პროცესში მნიშვნელოვანია ორი მომენტი: რამდენად დემოკრატიულია ეს პროცედურა და რამდენად ეფუძნება ახალი კონსტიტუციის მიღება (თუ არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა) ფართო და სრულფასოვან მსჯელობას<sup>19</sup>. ქართულ პოსტრევოლუციურ

<sup>15</sup> ვოლფგანგ გაული. მითით. ნაშრ. გვ. 303-304.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 304.

<sup>17</sup> მარინა მუსხელიშვილი. მითით. ნაშრ. გვ. 18.

<sup>18</sup> დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში. კონსტიტუციური სისტემა საქართველოში. სადისკუსიო მასალა #2. გია გეწაძე, გია ნოდია. გვ. 31.

<sup>19</sup> მარინა მუსხელიშვილი. მითით. ნაშრ. გვ. 15.

სინამდვილეში მოვლენები ისე განვითარდა, რომ არათუ ზემოთ ხსენებული ორი ძირითადი ფაქტორი, არამედ სამართლებრივი განხილვისა და პუბლიკაციის დანაწესიც სრულად იქნა ანულირებული. ვინაიდან 2004 წელს განხორციელებული ცვლილებები უმთავრესწილად დღევანდელ დღემდე ქმნის პოლიტიკურ-სამართლებრივ და საკონსტიტუციო სურათს ქვეყანაში, აუცილებელია ცვლილებათა მაფორმირებელი ყველა ასპექტი განხილულ და გაანალიზებულ იქნეს დეტალურ კონსტიტუციურ პრიზმაში.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესს იანვარ-თებერვალში ახასიათებდა შემდეგი: ცვლილებები მუშავდება კულუარულად და მიიღება ძალიან სწრაფად; მმართველობის ახალი მოდელის შემუშავებელი და განმსაზღვრელი არის მხოლოდ მომავალი ხელისუფლების სამი ხელმძღვანელი (იგულისხმება პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი – ავტორი); პოლიტიკაში ჩართული სხვა ძალები ვერ ახერხებენ პროცესის შეჩერებას ან სხვა მიმართულებით წარმართვას<sup>20</sup>. ასეთ სწრაფ და პრაქტიკულად გაუაზრებელ ცვლილებებს თან ახლავს შესაბამისი სახელისუფლებო არგუმენტაცია და რიტორიკა. ქვეყანა სერიოზულ კრიზისშია, შესაბამისად და თანახმად აღნიშნულისა, ახალ სამთავრობო გუნდს უნდა მიეცეს შესაბამისი უფლებამოსილება, რათა რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით შეძლოს სახელმწიფო სხეულის ჭაობიდან ამოყვანა. ზოგადად, შექმნილი მდგომარეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამართლებრივი დანაწესების უარყოფასა და პოლიტიკური წიაღსვლების დომინირებას. თუკი ჩავუღრმავდებით მოცემულ საკითხს, ნათელი გახდება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა სახელისუფლებო, პოლიტიკური ხაზი უცვლელია. ახალ სახელისუფლებო ელიტას ნამდვილად კარგად ახსოვს ძველი გზის „სისწორე“. შესაბამისად, საკუთარ მოღვაწეობას უზენაესი კანონის ფუნდამენტური, არსებითი გადასინჯვითა და ცვლილებით იწყებს.

აღნიშნული პრობლემები ცხადყოფს პოლიტიკისაგან კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზაციის საფრთხეს. ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება, არის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, იმოქმედოს მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში, ხოლო ახალი კონსტიტუციის შექმნის ან მასში არსებითი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, დემოკრატიული კონსტიტუციის იდეის შესაბამისად, რომელიც ხელისუფლების შეზღუდვაში პოვებს თავის გამოხატულებას<sup>21</sup>. როგორც ჩანს, პოლიტიკური ნება და კონსტიტუციური პარადიგმების დაცვა ყველაზე ნაკლებად იყო ცვლილება-დამატების ავტორთა და შემოქმედთა რეალური საფიქრალი. რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ასკვნია: პოლიტიკისა და კონსტიტუციის მიმართების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნისთვის (როგორც საქართველო) იჩენს თავს, მით უფრო ახალი კონსტიტუციის შექმნის ან არსებითი კონსტიტუციური ცვლილებების ფონზე. იმისათვის, რომ ამ სიტუაციაში არ მოხდეს კონსტიტუციის პოლიტიკური ინტერესებისთვის ინსტრუმენტალიზაცია, აუცილებელია, დემოკრატიული კონსტიტუციების იდეის შესაბამისად მოქმედება, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური ხელისუფლებისთვის თვითშეზღუდვის

<sup>20</sup> საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები. თბილისი, 2005, გვ.107.

<sup>21</sup> ლევან იზორია. საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ნახევრად საპრეზიდენტო? გზა დემოკრატიული კონსოლიდაციისაკენ. თბილისი, 2010, გვ.11-12.

ვალდებულებას ნიშნავს. დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსტიტუცია მხოლოდ ამ ვალდებულების განხორციელებით იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და პოლიტიკის ფუნდამენტის მნიშვნელობას<sup>22</sup>.

წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებათა კანონპროექტს უმწვავესად აკრიტიკებს როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, ისე სამოქალაქო სექტორის ნაწილი. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთგვარი „ორთქლის გამოშვებაა“, რადგან ხსენებული მოთამაშე აქტორები, პრაქტიკულად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენენ ცვლილებათა არსსა და შინაარსზე. ცხადია, რომ საერთოდ აცდენილია სიბრტყეები, რომლებშიც იმყოფებიან კანონპროექტის დამცველები და მათი ოპონენტები. დამცველებს აქვთ პოზიტივისტური აქცენტი ეფექტურ მმართველობაზე, ოპონენტებს – ნორმატიული შეშფოთება კონსტიტუციონალიზმის შეზღუდვასთან დაკავშირებით<sup>23</sup>. თუკი ერთგვარად შევაჯამებთ, რთული არაა იმის მიხედვით, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა საერთო ქართული სურათი უცვლელია. ამ კონტექსტში მთავარი პოლიტიკაა, უფრო ზუსტად სახელისუფლებო ნება-სურვილი, საკუთარ ამბიციებს მოარგოს სახელმწიფოს უმთავრესი სამართლებრივი აქტი. უდავოა, რომ რეალურად კონსტიტუცია მხოლოდ ინსტრუმენტი ძლიერი ხელისუფლების ხელში, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თვალსაჩინოა, რომ მმართველ გუნდში ამ კუთხით სრული კონსენსუსია და საკონსტიტუციო იდეალებსა და ხელისუფლების თვითშეზღუდვის ფუნდამენტურ პრინციპებზე მხოლოდ ერთეული პოლიტიკური წონის მქონე ფიგურები ამახვილებენ ყურადღებას. წინამდებარე ნაშრომის თემას სცდება, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ „რეგულაციური იდეალები“, საკონსტიტუციო ცვლილებათა რუბიკონთან მიახლოებისთანავე, პრაქტიკულად ასრულებენ თვისობრივ არსებობას.

ახლა კი გავანალიზოთ და განვიხილოთ ყველა ის ძირითადი ცვლილება, რომელიც კონსტიტუციამ 2004 წლის თებერვალში განიცადა. მიმოვიხილოთ ხელისუფლების დანაწილების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ვექტორები, ასევე სხვა არსებითი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები. რომლებიც, როგორც მართებულად აღინიშნა, დღევანდელ დღემდე ქმნიან ქართულ საკონსტიტუციო ლანდშაფტს.

კონსტიტუციონალიზმის მთავარი დანიშნულება, დემოკრატიული პათოლოგიებისაგან საზოგადოების და მისი ყოველი კონკრეტული წევრის, ინდივიდის დაცვაა. სწორედ ზემოთქმულია ხსენებული პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიისა და დოქტრინის უმთავრესი იდეა და არსი. წამოყენებული მოსაზრება კი, რეალიზაციის გზაზე, გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო პრინციპის ჯეროვან მოქმედებას, როგორიც ხელისუფლების დანაწილებაა. საბოლოო ჯამში კი, ამ ამოცანას წყვეტს კონსტიტუციონალიზმის კონცეფციის განმახორციელებელი კონსტიტუცია, რომლის მიზანია როგორც სახელმწიფოს (ვგულისხმობთ ხელისუფლებას), ისე ხალხის გონივრული შეზღუდვა<sup>24</sup>. ჯერ კიდევ საფრანგეთის 1789

<sup>22</sup> იქვე, გვ.12.

<sup>23</sup> საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები. გვ. 116.

<sup>24</sup> იქვე, გვ.9, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალურ დონეზე: ბალანსი მის განშტოებათა შორის(ვახტანგ ხმალაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი, ალექსანდრე ნალბანდოვი, ლევან რამიშვილი, დავით უსუფაშვილი, ზურაბ ჟიბლაშვილი).

წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია აყალიბებდა დანაწესს, რომლის თანახმადაც: „ყოველ საზოგადოებას, რომელშიც უზრუნველყოფილი არ არის უფლებების განხორციელება და დამკვიდრებული არ არის ხელისუფლების დანაწილება, არა აქვს კონსტიტუცია“.

ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოს მოწყობისა და ფუნქციონირების ისეთი წესებია, რომელიც გამორიცხავს თვითნებობას მმართველთა მხრიდან და ანარქიას მართულთა მხრიდან<sup>25</sup>. როგორც ცნობილი უნგრელი მეცნიერი და კონსტიტუციონალისტი ანდრაშ შაიო ასკვნის: ხელისუფლების დანაწილებისა და მოწყობის სხვადასხვა გზა არსებობს. საკითხის ნებისმიერ გადაწყვეტას არსებობის უფლება აქვს, თუ თავისუფლების შეზღუდვის საშუალებები გამორიცხული ან თავიდან აცილებულია<sup>26</sup>. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მივდივართ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციონალიზმის კონცეფციის განხორციელებას უზრუნველყოფს მხოლოდ ისეთი მოდელი, რომელიც „ცუდ“ ხელისუფალსაც კი არ აძლევს ქვეყნისთვის დიდი ზიანის მიყენების შესაძლებლობას. ეს კონცეფცია გულისხმობს ხელისუფლების იმგვარ დანაწილებას და მის განშტოებათა ისეთ ურთიერთობას, რომ ვერც ერთმა განშტოებამ ვერ მიითვისოს სხვისი უფლებამოსილება, ვერ აიძულოს სხვა განშტოება, იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ, ვერ იმოქმედოს უკონტროლოდ და დაუსჯელად<sup>27</sup>.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ და პრეზიდენტ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომის შემდგომ ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა 2004 წლის 6 თებერვალს მთლიანად შეცვალეს ხელისუფლების დანაწილების მოდელი და, შესაბამისად, სახელმწიფო სახელისუფლებო მოწყობა, სისტემა საქართველოში. ცვლილებათა ძირითადი შედეგი იყო პრეზიდენტის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გაფართოება, პარლამენტის მნიშვნელოვანი დასუსტება, ხელისუფლების ახალი აღმასრულებელი ორგანოს – მთავრობის – კონსტრუირება და პროკურატურის სისტემის გამოყვანა სასამართლო ხელისუფლების განშტოებიდან<sup>28</sup>. აუცილებელია აღინიშნოს, რომ, მთლიანობაში, ეგრეთ წოდებული „ძლიერი საპრეზიდენტო ხელი“ უცვლელი დარჩა. თუკი ცვლილებათა პოლიტიკურ სარჩულს გავანალიზებთ, მივხვდებით, რომ სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის უფლებამოსილება პრაქტიკულად არანაირად არ ჯდება შეზღუდული მმართველობისა და ხელისუფლების თვით-შეზღუდვის კონცეპტუალურ დოქტრინაში. ცვლილებათა პაკეტი, რომელსაც თავის დროზე (გგულისხმობთ 2001 წლის გაზაფხულს) აქტიურად უწევდნენ ოპონირებას, პოლიტიკურ როლთა შეცვლის შემდგომ აბსოლუტურად მისაღები გახდა. დიდებულად, გენიალურად უთქვამს ლორდ აქტონს:

<sup>25</sup> იქვე, გვ.10.

<sup>26</sup> ანდრაშ შაიო, მითითებული ნაშრომი, გვ.92.

<sup>27</sup> საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები.გვ.12.

<sup>28</sup> იქვე, გვ.19.

„ხელისუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება აბსოლუტურად რყვნის ადამიანს“<sup>29</sup>. როგორც ცნობილი ფრანგი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე სენ-ჟიუსტი ამბობდა: „ხალხს ერთი სერიოზული მტერი ჰყავს – თავისი საკუთარი მთავრობა“<sup>30</sup>.

ყველაზე ნაკლები ცვლილება სასამართლო ხელისუფლებას შეეხო, მაგრამ საგულისხმო ამ კუთხით, ორი კონცეპტუალური ცვლილების საკითხია. პირველი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, ხოლო მეორე პროკურატურის სისტემას ეხება. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას, მთლიანობაში, ხსენებული ინსტიტუტი ალბათობის მაღალი ხარისხით შეძლებს ქართული იუსტიციისა და მართლმსაჯულებისადმი ნდობის გაზრდას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სტანდარტი იქნება კიდევ უფრო მაღალი და, რაც მთავარია, ადამიანის უფლება-თავისუფლებანი პროცესუალურ სამართალწარმოებაში გაცილებით უკეთ იქნება დაცული. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის სამართლებრივ პრინციპთა რეალიზაცია განხორციელდება უფრო მეტი ინტენსივობითა და სიხშირით. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თავისი არსით პროგრესული და უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. მთავარი რისკი კი ამ რთულად განსახორციელებელ გზაზე, ისევ ქართული საზოგადოება და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეგნებისა და კულტურის დონეა.

რამდენადაც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე ისევ შიშთან გვაქვს. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული შიშის ფაქტორის დაძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრაქტიკულად წარმოუდგენელია სისტემის და მით უფრო პოლიტიკურ-სამართლებრივი კონსტრუქციის სრულყოფა და დახვეწა. რაც შეეხება პროკურატურის საკითხს, მიგვაჩნია, რომ მისი როგორც ინსტიტუტის იუსტიციის სამინისტროსადმი სამართლებრივი დაქვემდებარებით, დიდწილად აღმოიფხვრა კითხვათა ის ლეგიტიმური ბლოკი, რომელიც 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებათა შემდგომ გაჩნდა. ბუნებრივია, იგულისხმება პროკურატურის სისტემის გამოყვანა სასამართლო ხელისუფლების განშტოებიდან და მისი უფლებამოსილებისა და ადგილის სახელმწიფო ორგანოთა სისტემურ დონეზე აღარ განსაზღვრა.

უმთავრესი ფაქტორი 2004 წლის თებერვლის პოსტრევოლუციური საკონსტიტუციო ცვლილებების ანალიზის გზაზე, რალა თქმა უნდა, პრეზიდენტისა და პარლამენტის კონსტიტუციური სტატუსი და მათი ურთიერთმიმართების საკითხია. იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს წამოწეული კონცეპტუალური საკითხისა და თემის გააზრება, აუცილებელია მიმოვიხილოთ მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის თეორიულ-დოქტრინალური კონცეფცია. ვინაიდან წარმოდგენილ ცვლილება-დამატებათა ავტორები ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამდნენ ახალი მოდელის როგორც ნახევრად საპრეზიდენტო (შერეულ) სისტემასთან იდენტიფიცირებასა და იდენტურობას.

ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის პირველი საფუძვლიანი მეცნიერული დამუშავება მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება. Duverger იმ მმართველობის

<sup>29</sup> ანდრაშ შაიო, მითითებული ნაშრომი, გვ.8.

<sup>30</sup> იქვე, გვ.8.

ფორმას აღიარებს ნახევრად საპრეზიდენტოდ, რომელშიც პრეზიდენტი: ა) ხალხის მიერაა არჩეული, ბ) ფლობს მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, გ) მთავრობასთან თანაარსებობს, რომლის გადაყენება პარლამენტს შეუძლია<sup>31</sup>. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განვიხილოთ ის რეალური საკონსტიტუციო სურათი, რაც საქართველოს სახელმწიფოში 2004 წლის თებერვლის შემდგომ შეიქმნა.

პრეზიდენტის უფლებამოსილებათა საერთო საკონსტიტუციო ანალიზი ცხადყოფს, რომ, პრაქტიკულად, ცვლილებათა შემდგომ, იგი როგორც კონსტიტუციური სტატუსის მქონე სუბიექტი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურ-გარეგნული თვალსაზრისით არსებობს მთავრობისადმი საპარლამენტო ნდობის ვოტუმი. ხსენებული სამართლებრივი პროცედურა თავისი არსით ფორმალურია, ვინაიდან, თუ ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი მაინც ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და ითხოვს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

მთავრობა მთლიანად პრეზიდენტის კონტროლქვეშაა მოქცეული, ახალი მთავრობის ფორმირება მოსდევს არა პარლამენტის, არამედ პრეზიდენტის არჩევას და იგი რეალურად მხოლოდ პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი (მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად პასუხისმგებელია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე) და მანამ ვერ იქნება გადაყენებული, სანამ ისარგებლებს პრეზიდენტის ნდობით<sup>32</sup>. ერთადერთი გამონაკლისი არის შემთხვევა, როდესაც პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობას უცხადებს მთავრობას. ეს კი მხოლოდ ისეთ ვითარებაშია მოსალოდნელი, როცა საკანონმდებლო ორგანოში სამმეხუთედიანი ოპოზიციური უმრავლესობაა. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით, მხოლოდ 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პირველად საქართველოს მეორე რესპუბლიკის ისტორიაში, განხორციელდა პოლიტიკური ოპოზიციის უბრალო უმრავლესობით გამარჯვება. რაც უდავოდ გამონაკლისი შემთხვევაა და წესს ნამდვილად ვერ დაამტკიცებს. თანახმად აღნიშნული ქართული პოლიტიკური მახასიათებლისა, საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ბოლო ოცი წლის მანძილზე, პირველად დამდგარი პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგი, ჯერჯერობით არ იძლევა იმის თქმის მყარ საფუძველს, რომ საკონსტიტუციო სისტემაში ნებისმიერი შემდგომი ცვლილება რუტინული საარჩევნო გზით განხორციელდება.

საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა, პრაქტიკულად, დემოკრატიისეულ განმარტებაზე დადის, არჩევნები – ამ გზითა და მეთოდით ხელისუფლების შეცვლა და პროცესის ლეგიტიმაციის აღიარება ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორის მხრიდან. როგორც სამუელ ისაშაროვი წერს: თუ ძირისძირობამდე ჩავყვებით, დემოკრატიის ყველა განმარტება, საბოლოოდ, ელექტორული არჩევანის უზენაესობასა და უმრავლესობის მიერ მართვაზე გაცხადებულ პრეტენზიამდე დადის<sup>33</sup>.

<sup>31</sup> ლევან იზორია, მითითებული ნაშრომი, გვ.26.

<sup>32</sup> საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები.გვ.20.

<sup>33</sup> ისაშაროვი სამუელ. მყიფე დემოკრატიები. ჟურნალი საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. 2010 წ. №2, გვ.62.

უფლებამოსილებათა ანალიზის გზაზე უდავოდ გამოსაყოფია რამდენიმე საკვანძო საკითხი. აუცილებელია, შევხვთ სისტემურ ხარვეზს, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს უფლებამოსილებათა გამიჯვნას პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული გამოიხატება შემდეგ პოლიტიკურ-სამართლებრივ მექანიზმებსა და ბერკეტებში. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, პარლამენტის მხოლოდ ფორმალური მონაწილეობით, ნიშნავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერს მინისტრის დანიშვნაზე, უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადააყენოს საქართველოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს ეგრეთ წოდებული ძალოვანი მინისტრები. ამასთან ერთად, სახელმწიფოს პირველ პირს გააჩნია უფლებამოსილება, მოიწვიოს მთავრობის სხდომა და თავჯდომარეობდეს მას. პრეზიდენტის კომპეტენციას განეკუთვნება აგრეთვე მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სამართლებრივი აქტების შეჩერებისა და გაუქმების საკითხი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. უდავოა, რომ მოცემული საკონსტიტუციო დანაწესით, უგულებელყოფილია ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი და საერთო ფუნდამენტური საკონსტიტუციო პარადიგმები.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მკვეთრადაა გაზრდილი პრეზიდენტის უფლებები სამართალშემოქმედებით სფეროში. მაშინ როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძეს რეალურად არ მიეცა უფლებამოსილება, შეეჩერებინა ან გაეუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სამართლებრივი აქტები, ახლად არჩეულ და ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის მქონე პირველ პირს საკანონმდებლო ორგანომ პრაქტიკულად უპრობლემოდ გაუფორმა სასამართლო თუ კვაზისასამართლო უფლებამოსილებანი. თუკი ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამ ტიპის საკონსტიტუციო ცვლილება, როგორც უკვე მართებულად აღინიშნა, პოლიტიკურ როლთა გამო მიუღებელი იყო, ძალაუფლებათა ბალანსის შეცვლის შემდგომ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. როგორც ავტორთა ჯგუფი პირუთვნელად აღნიშნავს: ზემოხსენებული დებულებით პრეზიდენტს დაეკისრა საკონსტიტუციო კონტროლისა და ადმინისტრაციული იუსტიციის ტვირთი, მას მიენიჭა კვაზისასამართლო ფუნქციები, ეს კი სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის სფეროში შეჭრაა<sup>34</sup>.

მოცემულ საკითხზე თავის დასკვნაში მიუთითა ისეთმა ავტორიტეტულმა ინსტიტუციამ, როგორიც ვენეციის კომისიაა. ევროპელი ექსპერტები მრავალ სხვა თემასთან ერთად მითითებული დებულების პრობლემატიკასაც შეეხნენ. ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები, თუმცაღა ისინი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არ გაუთვალისწინებია. საერთო ჯამში, თუკი საკითხს პოლიტიკურ ქრილში შევხედავთ, მივხვდებით, რომ ამ უკანასკნელმა უდავოდ დაიქვემდებარა სამართლის მთელი არსენალი და შესაძლებლობები. პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სამართალი და კონსტიტუციონალიზმი იქცა ეფექტურ და მოქნილ ხერხად ძალაუფლებისა და ხელისუფლების განმტკიცების გზაზე. ბუნებრივია, ამ მოცემულობით კონსტიტუციონალიზმის როგორც ხელისუფლების თვითშეზღუდვის ეფექტური კონცეფციისა და დოქტრინის ჯეროვან რეალიზაციაზე საუბარიც კი ზედმეტია.

<sup>34</sup> საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები. გვ. 22.

სრულიად გაუგებარი და ყოველგვარ საკონსტიტუციო ლოგიკას აცდენილი გახლდათ გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც პრეზიდენტს მიეცა უფლებამოსილება, პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში, გამოეცა კანონის ძალის მქონე დეკრეტები. ამ ყოველივეს ისიც დაემატა, რომ სახელმწიფოს მეთაურსა და პირველ პირს განესაზღვრა უფლება, დეკრეტი-თვე დაემტკიცებინა სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი, დადგენილ დროსა და ვადაში არ დაამტკიცებდა მას. ზემოთქმული კი განხორციელდა იმ ფონზე, როცა ცვლილებამდელი Status Quo დეკრეტების გამოცემის უფლებას ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს ანიჭებდა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თუკი პარლამენტისა და პარლამენტარიზმის ისტორიას გავიხსენებთ, ნათელი გახდება, რომ საკანონმდებლო ორგანოს შექმნის უმთავრესი მიზეზი, სწორედაც საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა და კონსტრუირება გახლდათ.

აქედან მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ, პრეზიდენტი ზუსტად იქ შეიჭრა, სადაც კონსტიტუციური ლოგიკით მას ნამდვილად არაფერი ესაქმება. ხსენებული კიდეც ერთი ნათელი დადასტურებაა, სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან, საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებათა სფეროში შეჭრისა და კონსტიტუციონალიზმის საბაზისო პრინციპისა და პოსტულატის, ხელისუფლების დანაწილების სრული ანულირებისა. ძალზე რთულია ეჭვი შეიტანო ავტორთა კოლექტივის საკმაოდ მკაცრ და კრიტიკულ, ამასთან ობიექტურ და მიუკერძოებელ დასკვნაში: კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა პარლამენტის სტატუსი და შემცირდა მისი როგორც ნორმაშემოქმედებითი, ისე პოლიტიკური წონა<sup>35</sup>.

ხაზგასასმელია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შეზღუდვა საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით. გატარებული ცვლილებების შედეგად, პრაქტიკულად, შეიქმნა მექანიზმი და ბერკეტი, როდესაც საქართველოს მთავრობას აქვს საშუალება, პირდაპირი თუ ირიბი გზით ჩაერიოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, კანონპროექტის მოწონება-არმოწონების თაობაზე, სწორედაც რომ ამ უკანასკნელის როლის ზრდაა კანონშემოქმედებით პროცესში და სხვა არაფერი. უდავოდ მიუღებელია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შეზღუდვა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კანონპროექტი, რომელიც იწვევს ხარჯების ზრდას. თუკი ყველა ასეთი შემთხვევა პარლამენტმა მთავრობასთან უნდა შეათანხმოს, მაშინ მას, პრაქტიკულად, საკუთარი კონსტიტუციური პრეროგატივა და უფლებამოსილება ეცლება ხელიდან, ვინაიდან ძალიან ძნელია მოიძებნოს კანონპროექტი, რომელიც არ იწვევს რაიმე ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ფინანსური ვალდებულების აღებას<sup>36</sup>.

ყოველივე აღნიშნული გვარწმუნებს იმაში, რომ მოცემული ცვლილებებით საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემის წარმმართველი ფიგურა პრეზიდენტია. თუკი გადავხედავთ განვლილ პოსტრევოლუციურ გზას, მივხვდებით, რომ აღნიშნული ცვლილებების

<sup>35</sup> იქვე, გვ.23.

<sup>36</sup> იქვე, გვ.25.

დამსახურებით გატარდა რეფორმათა მთელი სერია, რომლითაც ქვეყანა და მისი უმაღლესი მთავარსარდალი დამსახურებულად ამაყობს. მაგრამ კვლავ პრობლემურია დემოკრატიის კონსოლიდირების საკითხი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში. შესაბამისად, ცალსახად მისასალმებელია, უკვე მერამდენე (დათვლა რთულია), რეფორმის წამოწყება საკონსტიტუციო კუთხით. თუმცა 2010 წელს განხორციელებულ ცვლილება-დამატებებს საფუძვლიანად სტატიის დასკვნით ნაწილში განვიხილავთ. მანამდე კი შევხებით ძალაუფლების განაწილების ვერტიკალურ ვექტორს და შეძლებისდაგვარად დეტალურად მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ ყველა საკვანძო საკითხი და ასპექტი.

საქართველოს უზენაესი დანაწესის, კონსტიტუციის თანახმად: “საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით”. 2004 წელს განხორციელებული ცვლილება-დამატების შედეგად, ჩამოყალიბდა ახალი საკონსტიტუციო ნორმა. რომლის მიხედვითაც: „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითაა“. წარმოდგენილი დამატების გარდა, სხვა არანაირი სახეცვლილება მუნიციპალიზმთან დაკავშირებულ საკითხებს კონსტიტუციურ დონეზე არ განუცდია. მთავარი მოვლენა, ამ კუთხით, სამართლებრივი ანალიზისას, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, მასთან საქართველოს სახელმწიფოს მიერთება და აღნიშნული სამართლებრივი აქტის ფუნდამენტურ პრინციპთა და დანაწესთა სამართლებრივი აღიარება გახლდათ. მუნიციპალიზმის, დეცენტრალიზაციისა და ნონცენტრალიზმის საკითხთა წამოწევა ახალი არ გახლავთ საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში. უმთავრესი თემა და პრობლემა კი, ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფციას უკავშირდება.

მიუხედავად სახელმწიფო ორგანიზმის რთული პრობლემისა სეპარატისტულ ანკლავებთან დაკავშირებით, აუცილებელია ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელზედაც საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება, ჰქონდეს ქმედითი სამართლებრივი ბერკეტი, უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეთა გადაწყვეტა საკუთარი მიხედულების ფარგლებში. შესაბამისად, უპრიანია, მოხდეს ძალაუფლების რეალური გადანაწილება, განფენა ხელისუფლების ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებს შორის.

თვისობრივად, ადგილობრივი თვითმმართველობა და მასთან დაკავშირებული საკითხები ძალიან ფართოა. სწორედ ამიტომ აღნიშნული საკითხის უფრო დეტალურ ანალიზს 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებათა განხილვის გზაზე შემოგთავაზებთ. თემის ამდაგვარი გადაწყვეტა მართებულია იმდენად, რამდენადაც ქვეყნის უზენაეს სამართლებრივ აქტს დაემატა სრულიად ახალი თავი – ადგილობრივი თვითმმართველობა. დასკვნისა და ერთგვარი შეჯამების სახით კი შეგვიძლია მოვიხმოთ ექსპერტთა ერთობ გონივრული რჩევა ქართული

მუნიციპალიზმის სრულყოფასთან დაკავშირებით. ნონცენტრალიზმის პრინციპის რეალიზაციას შედეგად მოჰყვება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში პოლიცენტრული პოლიტიკური, ადმინისტრაციული, საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მუდმივ არსებობას. ეს კი სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს არსებობისა და სწრაფი განვითარების აუცილებელი საფუძველია<sup>37</sup>. როგორც ცნობილი მკვლევარი ალექსანდერ მიხაილოვი აღნიშნავს: ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული კონცეფცია ეყრდნობა სუბსიდიარობის პრინციპს, რომლის თანახმად, ძალაუფლება ზოგადად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის უახლოეს დონეზე<sup>38</sup>.

#### IV. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა და ქალაქუშლების გადანაწილების ახალი ვექტორი

2010 წლის 15 ოქტომბერს ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ – პარლამენტმა, მესამე მოსმენით, საბოლოოდ დაამტკიცა უზენაეს სამართლებრივ აქტში ცვლილება-დამატებანი. ხსენებული უკვე მეორე შემთხვევაა 2004 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია ძირეულ ცვლილებასა და რევიზიას განიცდის. თუკი 2004 წელს განხორციელებულ ცვლილებებს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ არსებობს საკმაოდ კრიტიკული გამოხმაურებები და მოსაზრებები მოცემულ რეფორმაციასთან დაკავშირებით. როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ვაწყდებით უამრავ შენიშვნასა და რეკომენდაციას. შორს წასვლა არ გახლავთ საჭირო, გავიხსენოთ თუნდაც ვენეციის კომისიის ავტორიტეტული დასკვნა და მისი პათოსი. მთლიანობაში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გამოხმაურება ერთობ კრიტიკული და ნაკლებად პოზიტიურია.

აბსოლუტურადგანსხვავებული მდგომარეობაა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილება-დამატებებთან დაკავშირებით. უკლებლივ ყველა კვალიფიციური ექსპერტი და მათ შორის ვენეციის კომისიის (დემოკრატია სამართლის მეშვეობით) ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი ერთხმად აღნიშნავს, რომ, მიუხედავად შენიშვნებისა, განხორციელებული ცვლილებები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის შეუქცევად გზაზე. შეფასებათა პოზიტიური ხაზი ნამდვილად საგულისხმო ფაქტორია ცვლილებათა ანალიზისას. მაგრამ, რომ ღრმად და ფუნდამენტურად ჩავწვდეთ საკითხის არსს, აუცილებელია ცვლილება-დამატებათა ფართომასშტაბიანი განხილვა, რათა ჩავუღრმავდეთ შენიშვნებს, ხარვეზებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოვასწოროთ ზემოთქმული პრობლემა.

<sup>37</sup> იქვე, გვ.79.

<sup>38</sup> იქვე, გვ.82.

უმთავრესი საკითხი, რომელიც განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ანალიზისას წინა პლანზე გამოდის, რეფორმირებული სისტემის მოდალურ არსს უკავშირდება. მმართველობის რომელი მოდელის კონცეპტუალურ არსსა და აგებულებაში ეწერება ახალი საკონსტიტუციო სისტემა?! ზემოხსენებულ პრინციპულ საკითხზე მრავალი განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა. ჩვენი ღრმა რწმენით, გადაჭრითი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მოცემულ საკითხზე არ არსებობს. გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს შესაძლოა არსებობის ძალზე მყარი საფუძვლებიც გააჩნდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიხედვლებით, საკონსტიტუციო ცვლილებათა განხილვა, გაანალიზება უნდა განხორციელდეს პარლამენტარიზმის და, უფრო ზუსტად, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის კონცეფციის ფარგლებსა და ჩარჩოს მიხედვით.

საკითხისა და თემის ამგვარად გააზრება, მართებულია იმდენად, რამდენადაც რესპუბლიკური მმართველობის სხვა მოდალობათა კრიტერიუმები, პრაქტიკულად, არანაირად არ შეესაბამება ახალი საკონსტიტუციო სისტემის ფორმას. მოცემულ შემთხვევაში საუბარია საპრეზიდენტო და ნახევრად საპრეზიდენტო მოდელების არსებით მახასიათებლებსა და კრიტერიუმებზე. პირველ სისტემასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, კითხვები მოხსნილია. რაც შეეხება ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმს, ნათელია, რომ ხსენებული მოდელის მთავარი კრიტერიუმი აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი, იგივე ბიცეფალურობის საკითხი სრულადაა ანულირებული ცვლილება-დამატებათა პროექტის მიხედვით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ახალი და, ამასთან, მყარად დასაბუთებული განხილვა, საშუალებას მოგვცემს, დეტალურად გავიაზროთ 2010 წლის რეფორმა მასთან ყველაზე ახლოს მდგომი მოდელური პარადიგმით.

რადგანაც ცვლილებათა გაანალიზებას რაციონალიზებული პარლამენტარიზმის კონცეფციაზე დაყრდნობით ვგეგმავთ, აუცილებელია შევეხოთ თავად წარმოდგენილი დოქტრინის არსობრივ და ფუნქციურ საკითხებს. საპარლამენტო რეჟიმის რაციონალიზაცია პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ახალი რეჟიმები, რომელთა უმრავლესობა იმპერიების ნანგრევებზე აღმოცენდა, ცდილობდნენ დაწერილი სამართლებრივი წესებით და ფორმალური მექანიზმებით გამოეხატათ საპარლამენტო სისტემის ფუნქციონირების ფორმები და ისინი წარემართათ რაციონალური პერსპექტივით. ასე შემუშავებული კონსტიტუციების უმრავლესობა მოწმობდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ დიდ უნდობლობას<sup>39</sup>.

შესაბამისად, რაციონალიზებული სისტემის მთავარ მიზნად აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობა და პოლიტიკური ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება იქცა. წამოწეული ფუნდამენტური და საბაზისო კონცეფციის გავლენით ჩამოყალიბდა ისეთი სისტემები, რომლებიც დიდწილად უწყობდა ხელს სამთავრობო სტაბილურობას. სწორედ რომ სამთავრობო სტაბილურობის უზრუნველყოფაა რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მთავარი ფუნქცია და არსი.

ქართულ საკონსტიტუციო რეალობაში, შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ პრაქტიკულად სახეზეა არა მხოლოდ რაციონალიზებული, არამედ „ზერაციონალიზებული“ პარლამენტა-

<sup>39</sup> ვილიპ ლოვო. პარლამენტარიზმი. თბილისი, 2005, გვ.102.

რიზმის მოდელი თავისი უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმით და პრემიერ-მინისტრის სისტემური დომენიზაციის მახასიათებლებით. თანახმად ზემოთქმულისა, ვფიქრობთ, დამატებით კითხვებს აღარ უნდა იწვევდეს, თუ რატომ გადავწყვიტეთ საკონსტიტუციო ცვლილებათა რაციონალიზებული პარლამენტარიზმის კონცეპტუალურ პრიზმაში განხილვა.

ანალიზს ნდობა-უნდობლობის ვოტუმის განხილვით დავიწყებთ, ვინაიდან სწორედ აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმია საპარლამენტო სისტემისა და, კონკრეტულად, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მთავარი საზომი. როგორც ვირჯინიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მკვლევარი ევგენი ტანჩევი წერს: რაციონალიზებული პარლამენტარიზმი არის კონსტიტუციური მექანიზმებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია კაბინეტის სტაბილურობის განსამტკიცებლად ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს საპარლამენტო სისტემის ძირითადი თავისებურებები, მთავრობის პოლიტიკაზე საკანონმდებლო ზედამხედველობის ჩათვლით<sup>40</sup>. რაციონალიზებული პარლამენტარიზმის უმძლავრესი იარაღი კი უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმია. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის სრულიად არაორდინალური ფორმულა, რომელიც განსაკუთრებით აძლიერებს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს.

თუკი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, და არა მხოლოდ აღნიშნული ქვეყნების, საკონსტიტუციო ნორმებსა და დანაწესებს გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ ვერსად აღმოვაჩენთ ისეთ სამართლებრივ მექანიზმებს, როგორიც საქართველოს საკონსტიტუციო რეალობაში შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს თავად უნდობლობის პროცედურის დასმის საკითხი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ხსენებულს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/5-ი ესაჭიროება. თუ შედარებითი კონსტიტუციონალიზმის ვრცელ პალიტრას გადავხედავთ, მოცემული რეგულაციის ანალოგს ვერსად აღმოვაჩენთ. მაქსიმუმი, რაც ამ კუთხით დასავლური დემოკრატიული ქვეყნების უზენაესი სამართლებრივი აქტების ანალიზისას შეგვხვდება, 1/5-ითა და 1/4-ით უნდობლობის დასმის საკითხია.

სწორედ ზემოთქმული მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს საქართველოს საკონსტიტუციო სისტემის „ზერაციონალიზაციას“. შესაბამისად ამ ყოველივესი, მართებული იქნება, თუ საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი გამოთქმულ რაციონალურ შენიშვნას გაითვალისწინებს და სისტემას რეალურად მოაქცევს რაციონალიზებული პარლამენტარიზმის ჩარჩოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილება-დამატებანი იქნება ქართული საკონსტიტუციო „ნოვაცია“, რომელიც ძირეულად იქნება აცდენილი საერთო საკონსტიტუციო მოდელებსა და პარადიგმებს.

სრულ გაუგებრობასა და ბუნდოვანებას იწვევს უნდობლობის საკითხის აღძვრასთან დაკავშირებული ცალკე მდგომი პროცედურა და გამოცხადებასთან არსებული პროცედურის ვადები. მიუხედავად ვენეციის კომისიის რიგი შენიშვნების გათვალისწინებისა, ჩვენი ღრმა რწმენით, მოცემული თემები დამატებით სრულყოფას საჭიროებს, რათა, ერთი მხრივ,

<sup>40</sup> რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. თბილისი, 1996, გვ.38-39.

უსასრულოდ არ გაიჭიმოს უნდობლობის პროცედურა და, მეორე მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებას და, კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრს არ მიეცეს საშუალება გარკვეული პოლიტიკური წიაღსვლების გამოყენებისა, რაც, თავის მხრივ, პოსტის შენარჩუნებისა და სამთავრობო კაბინეტის უცვლელობის სერიოზული გარანტი იქნება.

პრობლემურია უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურის ის საკითხები, რომლებიც ახალი პრემიერ-მინისტრის წარდგენას, მთლიანობაში, ნდობა-უნდობლობის მექანიზმს და მის შედეგებს უკავშირდება. თუკი შედარებითი კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას გავიზიარებთ, ვნახავთ, რომ თითქმის ყველა სისტემაში ახალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი უნდა დასახელდეს უნდობლობის წარმდგენი სუბიექტის მხრიდან. ცვლილება-დამატებათა მიხედვით კი, ამისათვის საჭიროა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, რაც ნათელია, რომ ორი კანდიდატის დასახელების საშუალებას იძლევა.

რაციონალიზებულ პარლამენტარიზმსა და ზოგადად კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფციები გვკარნახობს, რომ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება და ახალი მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გაცხადება, უნდა თავსდებოდეს, ექცეოდეს ერთიანი კენჭისყრის ფარგლებში რაც განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებით სრულადაა უგულებელყოფილი. დასასრულს, ამ ყოველივეს, ცალსახად, მთავრობის გადადგომა უნდა მოჰყვეს, ვითარცა ერთადერთი ლოგიკურ-სამართლებრივი შედეგი. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ყველა ამ ტიპის პრობლემურ საკითხზე დამატებით გამახვილდეს ყურადღება, რათა 2013 წელს, როდესაც ცვლილება-დამატებანი სამართლებრივად ამოქმედდებოდა, რბილად რომ ვთქვათ, გაუთვალისწინებელი შედეგები არ მივიღოთ.

ნდობა-უნდობლობასთან დაკავშირებული მსჯელობა და ანალიზი უნდა დავასრულოთ კიდევ ერთი კონცეპტუალური თემის განხილვით. საკითხი სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის მხრიდან უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მიმართ ვეტოს გამოყენების უფლებამოსილებას უკავშირდება. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ცვლილება საერთოდ არ ჯდება კონსტიტუციური სამართლის ლოგიკაში. ფაქტია, რომ მსგავს სამართლებრივ ნორმასა და დანაწესს, პრაქტიკულად, ანალოგს ვერსად მოვუძებნით. მით უფრო გაუგებარია, შემდგომში, საქართველოს პარლამენტის მხრიდან ვეტოს დაძლევისათვის ფორმულირებული 3/5-იანი უმრავლესობა. როგორც მართებულად აღნიშნავენ: მოცემული რეფორმის მთელი სიმძიმე კონსტიტუციის იმ მუხლებზე მოდის, რომლებიც მთავრობის ნდობის (მუხლი 80) და უნდობლობის (მუხლი 81) მიზანშეწონილობას ადგენენ და არეგულირებენ<sup>41</sup>.

მთლიანობაში, შეგვიძლია ცალსახად განვაცხადოთ, რომ ნდობა-უნდობლობისა და განსაკუთრებით უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი სრულიად შეუსაბამოა საერთო საკონსტიტუციო სტანდარტის თვალსაზრისით. შესაბამისად, კიდევ ერთხელ ხა-

<sup>41</sup> ოთარ მელქაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (რეფორმიდან-რეფორმამდე), გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2011, გვ.339.

ზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, არათუ სასურველი, არამედ სავალდებულოც კია, რომ ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი დაუბრუნდეს მოცემული საკითხის განხილვას და საბოლოოდ მოახდინოს პრობლემათა სისტემური და ორგანული სრულყოფა. ამ კუთხით ანალიზისას, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ უმაღლესი კანონმდებელს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი დრო, სანამ 2010 წლის 15 ოქტომბერს მიღებული ცვლილება-დამატებანი ოფიციალურად, სამართლებრივად ამოქმედდება.

ახლა კი განვიხილოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხი ცენტრალურ დონეზე და შევხვთ კლასიკური საკონსტიტუციო ტრიადის სამივე განშტოებას. დავიწყოთ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ცვლილება-დამატებების მიმოხილვით.

კონსტიტუციის საერთო, ზოგადი ანალიზი ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ 2004 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებისაგან განსხვავებით, უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის უფლებამოსილებანი და პოლიტიკურ-სამართლებრივი წონა აშკარად გაიზარდა. ნათელია, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს როლი სახელმწიფოს საგარეო ვექტორის და, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტურ თემებთან დაკავშირებით. ხსენებული კი, რეალიზაციის გზაზე, უმაღლესი კანონმდებლის მხრიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების სამართლებრივ ბერკეტებს გულისხმობს ისეთ ვითარებაში, როდესაც საქართველოს მთავრობა ან ქვეყნის პრეზიდენტი მიმართავს პარლამენტს.

უდავოდ მისასალმებელია იმპიჩმენტის სამართლებრივი პროცედურის დაზუსტების საკითხი. ხაზგასასმელი კი, ამ მხრივ, პარლამენტის როგორც მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტორის უფლებამოსილებანი და მათი სიმყარეა. ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლების და, კონკრეტულად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ზემოთქმული ლეგალური პროცედურის ფარგლებში, დამოუკიდებლად მიმოვიხილავთ.

ცალკე აღვნიშნის ღირსია,, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნის საკითხი და რეგულაცია. საქართველოს უზენაესი კანონისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, რომელიც კანონის ძალის მქონე საკანონმდებლო, ნორმატიული აქტია, შეიცვალა ხსენებული კომისიების შექმნისათვის საჭირო პარლამენტის წევრთა რაოდენობა. უფრო ზუსტად, შექმნის ინიციატორთა 1/4 გამოიცვალა 1/5-იანი საკონსტიტუციო დანაწესით. ამასთან, განმტკიცდა სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმადაც, დროებით კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს. ჩვენი მხრივ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მოცემული რეგულაცია უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით.

რაც შეეხება საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებულ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ პერიპეტიებს, მიგვაჩნია, რომ ხსენებული სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურ სიერცესა და სისტემაში შენარჩუნება მისაღები და მართებული ნაბიჯია. სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნაჩქარევი საკანონმდებლო რეგულაციების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალება და ბერკეტი შეიძლება სწორედ ზემოხსენებული მექანიზმი იყოს. ამასთან ვფიქრობთ, რომ ძირითადი კანონით გაწერილი ორგანული საკითხები, სწორედაც რომ შესა-

ტყვისი ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს, რომელსაც, ბუნებრივია, ჩვეულებრივი მიმდინარე კანონებისაგან განსხვავებული ნორმატიული იერარქია და მიღების სამართლებრივი წესი ექნება.

საბოლოო ჯამში, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ პარლამენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი წონა ცალსახად გაზრდილია. ამ კუთხით პოზიტიური საკანონმდებლო დინამიკა უდავოდ თვალში საცემია. თუმცადა სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქართველოს მთავრობასთან ურთიერთმიმართების საკითხები და, განსაკუთრებით, ნდობა-უნდობლობის მექანიზმი, რომელზედაც ჯეროვნად გავამახვილეთ ყურადღება, დასახვეწია, რადგან საბოლოოდ გაძლიერდეს პარლამენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანოსა და სახელისუფლებო შტოს კომპეტენციები.

ძირეულად შეიცვალა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის უფლებამოსილებანი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუციასთან დაკავშირებული ცვლილება-დამატებანი ცალსახად მოწმობს იმ ფაქტს, რომ არსებითად იცვლება ხსენებული კონსტიტუციური სტატუსის მქონე სუბიექტის ურთიერთმიმართება და უფლებამოსილება. ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობასა და, მეორე მხრივ, ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით, საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტთან მიმართებაში. ნათელია და ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა სპექტრი მცირდება და საბოლოოდ განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს საკონსტიტუციო სისტემის წარმმართველ აქტორად პრემიერ-მინისტრი ყალიბდება.

დეტალურად მიმოვიხილოთ პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებული ცვლილება-დამატებათა რეგულაციური ასპექტები. ცვლილებამდელი ვარიანტით, პრეზიდენტად შესაძლებელია არჩეულიყო პირი, რომელიც იყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე, ამასთან, მიღწეული იყო 35 წლის ასაკს და 15 წელი ცხოვრობდა საქართველოში. რეფორმაციის შედეგად, მოცემული დანაწესიდან საერთოდ ამოიღეს დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნა და შეცვალეს ბინადრობის ცენზთან დაკავშირებული ვადები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მოცემული რეფორმაც დამატებით გააზრებას საჭიროებს. ვფიქრობთ, მკვიდრი მოქალაქეობის საკითხი არ გახლავთ რიგითი თემა. შესაბამისად, უპრიანი იქნება, თუკი ძველი რეგულაცია შენარჩუნდება. ჩვენი მიხედულებით, ეს ყოველივე დამატებით საკონსტიტუციო გარანტიებს შექმნის სახელმწიფოს მეთაურის არსობრივი ფუნქციიდან გამომდინარე.

თითქმის მთლიანადაა შეცვლილი პრეზიდენტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ნორმები. ამ მხრივ, თემის გააზრებისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ პრეზიდენტს აღარ გააჩნია უფლებამოსილება, წარმართოს და განახორციელოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. უთუოდ აღნიშვნას და მისაღმებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოს მეთაურს აღარ ექნება უფლება, შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სამართლებრივი აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

ამ ყოველივესთან ერთად, სახელმწიფოს მეთაურს ჩამოერთვა უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით ან ქვეყნის უზენაესი კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, გა-

დააყენოს მთავრობა და დაითხოვოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები. საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებულია ის ნორმაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს – მთავრობას, პრეზიდენტის თანხმობა სჭირდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენასთან დაკავშირებით.

განხორციელებული რეფორმით საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში დამკვიდრდა ახალი და მეტად საინტერესო სამართლებრივი მექანიზმი და ინსტიტუტი კონტრასიგნაცია. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების დიდი ნაწილი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის წინასწარ თანხმობას ანუ თანახელომწერას. უზენაეს კანონში დეტალურადაა გაწერილი, ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც კონტრასიგნაციას საჭიროებს. ამასთან, საკონსტიტუციო დანაწესის თანახმად, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც თანახელომწერას ანუ კონტრასიგნაციას ითხოვს, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში. ერთადერთი, რაც ზემოთქმული ინსტიტუტის ანალიზისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, სამართლებრივი უსაფრთხოების, კოორდინაციისა და თანამშრომლობის საკითხებია სახელმწიფოს მეთაურსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ბუნებრივია, მოცემული ინსტიტუტია, თავისი მატერიალური რეგულაციით უდავოდ იმსახურებს მოწონებასა და პოზიტიურ გამოხმაურებას.

პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმოხილვის დასასრულს, კიდევ ერთ პრობლემურ თემას შევხებით. საკითხი სახელმწიფოს მეთაურის პარტიულ კუთვნილებასა და თანამდებობრივ შეთავსებას ეხება. ერთმნიშვნელოვნად წინადადებულ ნაბიჯად მიგვაჩნია პრეზიდენტ-არბიტრის კონცეფციის შემოტანა ქართულ საკონსტიტუციო სივრცეში. შესაბამისად, ეჭვს არ იწვევს რეგულაცია, რომლის თანახმადაც, ქვეყნის პრეზიდენტს აღარ შეეძლება პარტიული პოსტისა და თანამდებობის შეთავსება. დასკვნისა და შეჯამების სახით კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მთლიანობაში, სახელმწიფოს მეთაურთან დაკავშირებული ცვლილება-დამატებანი ცალსახად წინადადებული ნაბიჯია სისტემის საბოლოო სრულყოფისა და კონსტრუირების გზაზე.

საკონსტიტუციო ცვლილებათა შედეგად, ახლებურადაა ჩამოყალიბებული აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – მთავრობის კომპეტენციები და სტატუსი. უზენაესი კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურს, მის წინაშე უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშვალდებულება გამოირიცხა და პრეზიდენტს მხოლოდ ცალკეულ საკითხთა დასმისა და მთავრობის სხდომაზე განხილვაში მონაწილეობის უფლება გააჩნია.

მთავრობა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი რომელიც მთავრობის მეთაურია და განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს. ამასთან, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. პრემიერი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტის

წევრებს – მინისტრებს. მისი გადადგომა ან უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთელი სამთავრობო კაბინეტის უფლებამოსილების შეწყვეტას.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად, მთავრობა უფლებამოსილია, მიმართოს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით, საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების თაობაზე. ამ ყოველივეს ემატება ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბერკეტი, როგორიცაა უმაღლესი აღმასრულებლის უფლებამოსილება, მოსთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის რიგგარეშე სესიისა თუ სხდომის მოწვევა.

მთლიანობაში ნათელია, რომ მთავრობის კომპეტენციური არსენალი და უფლებამოსილებათა სპექტრი ცალსახად გაზრდილი და გაფართოებულია. თუკი 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებათა ანალიზისას მრავლად ჩნდებოდა კითხვები მთავრობის კომპეტენციასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მოცემული რეფორმაციით, ხსენებული საკითხები მთლიანად მოიხსნა დღის წესრიგიდან.

აუცილებელია შევეხოთ კიდევ ერთ განხორციელებულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – მთავრობა. პრინციპულად, თუკი კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულ კონცეფციას გავითვალისწინებთ, იმთავითვე ცხადი გახდება, რომ ზემოთქმული ინსტიტუტი თავისი არსითა და ბუნებით, უდავოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების-მთავრობის სტრუქტურული ერთეული გახლავთ.

ერთგვარი შეჯამების კუთხით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის სტატუტები გვაძლევენ იმის თქმის საშუალებას, რომ გაძლიერებულია პარლამენტის და მთავრობის კომპეტენციათა ნუსხა. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი კი პრაქტიკულად ფორმალურ მექანიზმებსა და ბერკეტებს მოიცავს. იმისათვის, რომ განხილული საკონსტიტუციო სისტემა სრულად პასუხობდეს პარლამენტარიზმისა და, უფრო ზუსტად, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პარადიგმებს, აუცილებელია მთავრობისა და პარლამენტის ურთიერმიმართების რაციონალური რეგლამენტაცია. ამასთან, ნდობა-უნდობლობის და, განსაკუთრებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის სისტემური სრულყოფა და დახვეწა.

მიმოხილვა განვაგრძოთ საკონსტიტუციო ტრიადის მესამე წევრზე საუბრით. სასამართლო ხელისუფლებას 2004 წლის მსგავსად, ყველაზე ნაკლები ცვლილება შეეხო. თუმცაღა განხორციელებული ცვლილება-დამატებანი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. მთავარი საკითხი კი, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი უზენაესი ორგანოს სტატუსს უკავშირდება. რეფორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო გახდა იმპიჩმენტის სამართლებრივი პროცედურის განმსჯელი ერთადერთი ორგანო. ხსენებული სფეროდან მთლიანად ამოირიცხა უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება.

კანონმდებელმა შეცვალა მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის რეგულირებაც. თუკი 2005 წელს განხორციელებული ცვლილებით საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზი 30-დან 28 წლამდე შემცირდა, მოცემული რეფორმაციით თავდაპირველი მდგომარეობა აღდგა.

კიდევ ერთი ცვლილება თანამდებობაზე მოსამართლეთა უვადოდ გამწესებას უკავშირდება. ბუნებრივია, ზემოთქმული ცალსახად მართებული ნაბიჯია და დიდწილად შეუწყობს ხელს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. დასასრულს გვინდა შევხებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადარჩევასთან დაკავშირებულ ასპექტს. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა დანაწესი ერთი და იგივე პირის ხელმეორედ აურჩევლობასთან დაკავშირებით რამაც გარკვეული ლეგიტიმური კითხვები დაბადა. თუმცაღა ჩვენი ღრმა რწმენით, მოცემული რეგულაცია ნამდვილად არ გახლავთ უმთავრესი პრობლემა, შესაბამისად, შესაძლებელია ხსენებული ნორმა გარკვეულ რაციონალურ ჩარჩოებში ჯდებოდეს.

ცენტრალურ დონეზე სახელმწიფო სახელისუფლებო ტრიადის მიმოხილვისას გვერდს ვერ ავუქცევთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც სახელმწიფო ფინანსები და მათი კონტროლია. ზემოთ ხსენებული კუთხით ანალიზისას უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ყველა ის პრობლემური დანაწესი, რომელიც 2004 წელს ჩამოყალიბდა, მთლიანად შეიცვალა და გადაისინჯა.

უპირვეს ყოვლისა, გამოსაყოფია მთავრობის უფლებამოსილება პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდგომ, ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით, საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ამასთან, ბიუჯეტის წარდგენის უფლებამოსილება მთავრობის ექსკლუზიურ პრეროგატივაში შედის. გამოირიცხა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ქვეყნის უმთავრესი ფინანსური დოკუმენტის დეკრეტით დამტკიცების წესი, რაც უდავოდ მისასალმებელი და წინადადებული ნაბიჯია. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ, თუკი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ვერ მოახერხებს წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის 3 (სამი) თვის ვადაში მიღებას, მაშინ სახელმწიფო ხარჯთა და ვალდებულებათა შესრულება განხორციელდება წინა წლის საბიუჯეტო მონაცემებისა და პარამეტრების მიხედვით. ხსენებული რეგულაციაც, თავისი არსით, ყოველმხრივ მისაღებია და სრულად შეესაბამება კონსტიტუციონალიზმში ფართოდ დამკვიდრებულ პოსტულატებს.

მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო დინამიკისა, არსებობს რიგი სერიოზული პრობლემები სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებით. აუცილებელია, მოვიხმოთ ვენეციის კომისიის ექსპერტთა საგულისხმო დასკვნა, რომელშიც ხაზგასმულია მთავრობისა და პარლამენტის უფლებრივი ურთიერთმიმართების პრობლემა. უფრო ზუსტად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შეზღუდვა სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში. პარლამენტის უუნარობა, შეცვალოს ბიუჯეტის პროექტი და მოახდინოს მისი რაიმენაირი რევიზია, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების ცვლილების დამტკიცების თაობაზე.

როგორც ცვლილება-დამატებაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი მართებულად აღნიშნავს, ნამდვილად ხელსაყრელი იქნებოდა უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მნიშვნელობის გაზრდა სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში. მთლიანობაში, წინარე საკითხის ანალიზი დამატებით გვარწმუნებს იმაში, რომ საქართველოს მთავრობის კომპეტენციური არსენალი ძალიან ფართოა. შესაბამისად, ყველა საზომით ნათელია, რომ საკონსტიტუციო ვექტორი სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლებისკენაა გადახრილი. ეს ყოველივე კი სახელისუფლებო დისბალანსის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

მიმოხილვის დასასრულს ვეცდებით, შეძლებისდაგვარად დეტალურად გავანალიზოთ სახელისუფლებო ვერტიკალური ვექტორი და ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელოვანი საკითხები. რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ, 2010 წელს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის ერთ მნიშვნელოვან პოზიტივად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ შეივსო საქართველოს კონსტიტუციის ერთი ხარვეზი და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა სახელმწიფო მმართველობის იერარქიული კონსტრუქციის სრულფასოვან ფუძემდებლურ კომპონენტად არის წარმოდგენილი<sup>42</sup>. მუნიციპალიზმთან დაკავშირებული საკითხები დამოუკიდებლად უზენაესი კანონის ცალკე თავით მოწესრიგდა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო აირჩევა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აქვეა გაწერილი, რომ თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას, წინ უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები. რაც შეეხება უფლებამოსილებათა საკითხს, ერმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფო ორგანოთა და თვითმმართველობის უფლებანი. საკუთრივ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებანი კი საკუთარი და დელეგირებულ უფლებათა ნაკრებით განისაზღვრა.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ, ანუ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უფლებამოსილებათა დელეგირების შემთხვევაში, ზემოთქმული სამართლებრივი პროცედურა ხორციელდება, საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. არანაირ ეჭვს არ იწვევს ის, რომ, თუკი რეალურად დამოუკიდებელი და მყარი მუნიციპალური სტრუქტურების ჩამოყალიბება გვსურს, რომლებიც ეფექტურად შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მაშინ აუცილებელია სწორედ კონსტიტუციურ დონეზე განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური და სხვა სახის გარანტიები.

ხსენებული კუთხით ანალიზისას კი, მნიშვნელოვანია გამოვყოთ რიგი მუნიციპალური გარანტიების საკითხებისა. უპირველეს ყოვლისა, ეს ყოველივე ქონებრივ და ფინანსურ ბერკეტებს ეხება. არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეული ორგანოების მხრიდან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულობისა

<sup>42</sup> ოთარ მელქაძე, მითითებული ნაშრომი, გვ.312.

და სამართლებრივი ბოჭვის საკითხი იმავე ერთეულის ტერიტორიაზე. დასასრულს, გვერდს ვერ ავუვლით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმს. რომლის მთავარი დანიშნულება და მიზანი სწორედაც რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელებაა.

კონსტიტუციურ დონეზე გაიწერა თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების საკითხი მუნიციპალური წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე. ამასთან, განმტკიცდა ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური მექანიზმი და ბერკეტი, როგორიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაა.

საკონსტიტუციო დამატების მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო იმ სუბიექტთა შორისაა, რომელთა სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო იუსტიციის განმახორციელებელი ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ამ ყოველივესთან ერთად, საქართველოს უზენაესი კანონით განსაზღვრულია, რომ კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს, კონსტიტუციის მეშვიდე პრიმა თავით განსაზღვრულ დანაწესებთან მიმართებით.

რამდენადაც ვხედავთ, ცვლილება-დამატებათა მუნიციპალური ნაწილი ნამდვილად იმ სახურებს მოწონებასა და გაწეული სამუშაოს დანახვას. მიუხედავად ამისა, ერთგვარი შეჯამების სახით, კვლავაც ვენეციის კომისიის (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად) ევროპელ ექსპერტთა საგულისხმო დასკვნას მოვიხმობთ.

როგორც ისინი პირუთვნელად აღნიშნავენ, აღნიშნული ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის განმტკიცების დონე არ არის საკმარისი. კონსტიტუციის დონეზე უნდა დარეგულირდეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ პრინციპებს არ ექნება საკმარისი დაცვა და საკონსტიტუციო სასამართლო არ დაუშვებს საკმარისად ცხად კრიტერიუმებს, რათა გადაწყვიტოს კომპეტენციათა განსაზღვრასთან დაკავშირებით წარმოშობილი კონფლიქტები და სხვა სახის დაპირისპირებები სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის<sup>43</sup>.

<sup>43</sup> იქვე, გვ.315-316.

## V. დასკვნა

საქართველოს სახელმწიფოში განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილება-დამატება-თა საერთო ანალიზი და განხილვა იძლევა იმის თქმის მყარ საფუძველს, რომ ქვეყნის უზენაეს კანონში შესული ცვლილებები პოლიტიკური მიზნებითაა განპირობებული. რამდენადაც ჩანს, ძლიერი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ხელისუფლებანი ძნელად და, რამდენადაც საერთო პოლიტიკურ-სამართლებრივი სივრცის ანალიზი გვიჩვენებს, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ უგულებელყოფენ კონსტიტუციონალიზმის დოქტრინასა და კონცეპტუალურ არსს.

წინარე დასკვნა შეგვიძლია თამამად გავავრცელოთ როგორც 1999, ისე შემდგომი წლების საკონსტიტუციო ცვლილებათა მიმართ. რაც შეეხება 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის საკითხს, ჯერჯერობით ასე ერთმნიშვნელოვანი მტკიცება ხსენებულ რეფორმაციასთან დაკავშირებით გაჭირდება, ვინაიდან ცვლილება-დამატებათა უდიდესი ნაწილის სამართლებრივი ამოქმედება 2013 წელსაა დაგეგმილი. შესაბამისად, ხსენებული რეფორმის ყველა ასპექტის ჯეროვანი შეფასება მხოლოდ მათი რეალურად ამოქმედების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

შორს წავიყვანს პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი, აკი აღვნიშნეთ კიდევ, რომ ამ ყოველივეს გამოკვლევას ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური კვლევა-ძიება სჭირდება. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზეზთა სათავე ისევ ქართულ საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ. ცხადია, რომ, თუკი სისტემის კონსტიტუციური პარადიგმებით ბოჭვა გვსურს, აუცილებელია ამაღლდეს მოქალაქეობრივი თვითშეგნება, გნებავთ, პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის დონე. როგორც ცნობილი ამერიკელი მკვლევარი დიკ ჰოვარდი კონსტიტუციების საგანმანათლებლო მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: მოქალაქეობრივი განათლება აუცილებელია კონსტიტუციონალიზმის სიჯანსაღისათვის. ხალხი, რომელსაც არ ესმის თავისუფალი მმართველობის ფორმის ცნება, ნაკლებად სარწმუნოა, რომ შეინარჩუნებს მის ქმედითუნარიანობას. კონსტიტუციონალიზმი ეყრდნობა გათვითცნობიერებული მასის პრინციპს<sup>44</sup>.

ნათელია, რომ მანამ, სანამ კონსტიტუციური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი, სამოქალაქო საზოგადოება არ იქნება ბოლომდე კონსტრუირებული, ძნელია, თუ საერთოდ გამოიცილები არ არის, ვისაუბროთ კონსტიტუციონალიზმის კონცეფციის რეალიზაციასა და პრაქტიკულ იმპლემენტაციაზე. როგორც 1776 წლის ვირჯინიის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია აცხადებს: არც ერთი თავისუფალი მმართველობის ფორმა ან თავისუფლების სიკეთე არ შეიძლება შენარჩუნებული იყოს რომელიმე ერის მიერ, თუ მკაცრად არ იქნება დაცული კანონიერება, ზომიერება, სიფხიზლე, ყაირათიანობა, ზნეობრიობა და ფუნდამენტური პრინციპებისაკენ ხშირად მიბრუნება. საქმე ის არის, რომ აღნიშნული შეეხება არა მარტო მეთვრამეტე საუკუნეს, იგი დღესაც აქტუალურია<sup>45</sup>.

<sup>44</sup> რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. თბილისი, 1996, გვ.63.

<sup>45</sup> იქვე, გვ.64.

ანტონინა პერი

# სასამართლო დამოუკიდებლობა სასამართლოს ანგარიშვალდებულებასთან მიმართებაში

## საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის მოსამართლეთა შერჩევის მოდელები

შედარებითი ანალიზი

ნამუშევარი დაიბეჭდა Comparative Law Review-ს თანხმობით, სადაც ის პირველად გამოქვეყნდა 2012 წელს (Vol.3).

### შინაარსი

#### შესავალი

- I. სამართლებრივი წყაროები
- II. მოსამართლეთა რაოდენობა
- III. პროფესიული მოთხოვნები და პროფესიული გამოცდილება
- IV. თანამდებობაზე ყოფნის ვადა
- V. მოსამართლეთა შერჩევაზე უფლებამოსილი ორგანოები
- VI. განსხვავებული და თანმხვედრი აზრები
- VII. დანაკონები

## შესავალი

2006 წლის მარტში „ნიუ-იორკ თაიმსი“<sup>1</sup> იუწყებოდა, რომ ავღანელ მამაკაცს სასიკვდილო განაჩენი ემუქრებოდა სარწმუნოებისაგან განდგომის დანაშაულისათვის – იგი განუდგა ისლამს და ქრისტიანობა მიიღო. როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მოუწოდა ავღანეთის პრეზიდენტს, მოეთხოვა ამ საქმეზე „ლმობიერი გადაწყვეტილების“ მიღება, ხოლო ავღანეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გამოხატა თავისი განზრახვა, დაეცვა საკუთარი დამოუკიდებლობა და წინააღმდეგობა გაეწია ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩარევისათვის<sup>2</sup>.

ჩვენი სასამართლო კულტურისათვის შეუძლებელია იმის გათვითცნობიერება, რომ ადამიანს შეიძლება დაემუქროს სასიკვდილო განაჩენი რელიგიასთან დაკავშირებული პირადი შეხედულების გამო. მაგრამ აბა რას ფიქრობთ მოსამართლეზე, რომელიც კანონის საფუძველზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლობას მოითხოვს ასეთ შემთხვევაში? სასამართლოს დამოუკიდებლობა ზოგადად ლიბერალური დემოკრატიის არსებით დამახასიათებელ თვისებად აღიქმება<sup>3</sup>, ანუ ჩვენ არ გვინდა, რომ მოსამართლეებმა განახორციელონ საკუთარი დამოუკიდებლობა კანონის განმარტებისას და გამოყენებისას? პასუხი ამ კითხვაზე არაერთგვაროვანია. დიახ, ჩვენ გვინდა, რომ მოსამართლეებმა ისარგებლონ დამოუკიდებლობით საქმეების განხილვისას, მაგრამ ისე, რომ ძალზე დამოუკიდებლებიც არ იყვნენ. მოსამართლე ნამდვილად უნდა იყოს ანგარიშვალდებული საზოგადოების, განსაკუთრებით კი დემოკრატიული ინსტიტუტების წინაშე. სინამდვილეში, ვინაიდან სასამართლოების როლი მთელ მსოფლიოში გაიზარდა, ქვეყნების სულ უფრო მზარდი რაოდენობის წინაშე დგება ის პრობლემა, რომელსაც პროფესორი ალან პატერსონი მოკლედ აღწერს როგორც „სასამართლოს დამოუკიდებლობასა და სასამართლოს ანგარიშვალდებულებას შორის არსებული აშკარად დაუძლეველი დაძაბულობის პარადოქსულ სიტუაციას“<sup>4</sup>.

მართლაც, ამ ორი პრინციპის სათანადო ბალანსის დამყარება იშვიათად არის შესაძლებელი და ეს რამდენიმე კონტექსტშია აშკარა, განსაკუთრებით, თუ განვიხილავთ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის მოდელებსა და პროცედურებს. ხშირად ის, თუ როგორ ხდება მოსამართლეთა სამუშაოდ აყვანა, არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული მოცემულობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს მხოლოდ სასამართლოს სოციალურ და პროფესიულ შემადგენლობაზე, იგი ასევე ის ელემენტია, რომელიც მოქმე-

<sup>1</sup> ა. ელიოტი, „ქაბულში, ტესტი შარიათზე“ (Elliott, A. "In Kabul, a Test for Shariah") <http://www.nytimes.com/2006/03/26>.

<sup>2</sup> ჰ. კრიტერი, „კანონი უბრალოდ პოლიტიკის გაგრძელებაა სხვადასხვა საშუალებით: ამერიკელ მოსამართლეთა შერჩევა ოცდამეერთე საუკუნეში“ (Kritzer, H. "Law is the mere continuation of politics by different means: American judicial selection in the twenty-first century"), *DePaul Law Review*, (2007): 423.

<sup>3</sup> პ. რასელი, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ზოგადი თეორიის მიმართულებით“, *სასამართლოს დამოუკიდებლობა დემოკრატიის ხანაში* (Russell, P. "Toward a General Theory of Judicial Independence"), *Judicial Independence in the Age of Democracy*. Eds. P. H. Russell and D. O'Brien. Charlottesville: University Press of Virginia, 2001: 1.

<sup>4</sup> ა. პატერსონი, „მოსამართლეთა დანიშვნის შოტლანდიური საბჭო: ახალი ღვინო ძველ ბოთლებში?“ *მოსამართლეთა დანიშვნა სასამართლოს ძალაუფლების ეპოქაში: კრიტიკული პერსპექტივები მსოფლიოს მასშტაბით* (Paterson, A. "The Scottish Judicial Appointment Board: New Wine in Old Bottles?") *Appointing Judges in an Age of Judicial Power: critical perspectives from around the world*. Eds. P. Russell and K. Malleson. Toronto, Buffalo: University of Toronto Press, 2006.

დებს იმ ურთიერთობებზეც, რომლებსაც სასამართლო სისტემა ამყარებს სხვა პოლიტიკურ მოთამაშებთან, უპირველეს ყოვლისა, ხალხთან და პოლიტიკურ ინსტიტუტებთან. როგორც ჰერბერტ კრიცერი აშშ-თან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩვენ ფუნდამენტური წინააღმდეგობა გვაქვს სამართლის როლზე პოლიტიკაში და პოლიტიკის როლზე სამართალში და ეს ცხადი ხდება ჩვენი ამბივალენტური დამოკიდებულებით იმისადმი, თუ რა სახით ვარჩევთ და ვასაქმებთ მოსამართლეებს“<sup>5</sup>.

ჩვეულებრივ, როდესაც უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვეხებით სასამართლოს მიერ საქმეების განხილვის პრაქტიკას და იშვიათად შევისწავლით სასამართლოების სტრუქტურას და იმას, თუ რა სახით შეუძლია ამ სტრუქტურას ზემოქმედების მოხდენა მათ ფუნქციონირებაზე. სინამდვილეში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები შეიცავს ნორმებს, რომლებიც მნიშვნელოვანი ფასეულობების მატარებელია, ფასეულობებისა, რომლებსაც შესწევთ უნარი, ზეგავლენა მოახდინონ სასამართლოთა სტატუსზე და როლზე საკონსტიტუციო წყობაში. ამის შედეგი ის არის, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი არ არის ნეიტრალური პროცედურა: ნორმები, რომლებიც მოსამართლეთა შერჩევას ეხება, ისევე, როგორც სისტემის ყველა პოზიტიური ნორმა, ფასეულობის მატარებელია. როგორც უ.ჰ.ჰ. უაილერი აღნიშნა: „ნათელია, რომ არ არსებობს ნეიტრალური მდგომარეობა ორ ვარიანტს შორის“<sup>6</sup>. მოსამართლეთა შერჩევის მეთოდი ფესვგადგმულია უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პირს, ჯგუფსა და პოლიტიკურ ინსტიტუციას, რომლებსაც ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. მართლაც, ეკონომიკაში მოსამართლეთა შერჩევა განისაზღვრებოდა როგორც „ენდოგენური“ ცვლადი, ანუ ცვლადი, რომელიც სხვა ცვლადების ფუნქციას წარმოადგენს.

ამ ნაშრომში მოცემულია კარგად ცნობილი ხუთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურების შედარებითი ანალიზი. სამი მათგანი (საფრანგეთი, იტალია და გერმანია) მისდევს სამოქალაქო სამართლის ტრადიციებს, ორი კი (ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო) – საერთო სამართლისას. ჩვენ გვინდა ვისაუბროთ იმ ქვეყნების „შერჩეულ ჯგუფზე“, რომელთა გამოცდილებაზე დაყრდნობით გაგვიადვილდება სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებას შორის ურთიერთკავშირის გაანალიზება.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს პოლიტიკური პროცედურების მეშვეობით ირჩევს, თუმცა არც ერთი მათგანი არ მისდევს „პირდაპირ“ დემოკრატიულ მოდელს<sup>7</sup>. სინამდვილეში ისინი, ჩვეულებრივ, ირჩევენ შუალედურ მოდელს, რომლებიც არსებითად ასახავენ ერთ-ერთს შემდეგი პრინციპებიდან: დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება. ამ ორი პრინციპის შინაარსი თითქოს ნათელია,

<sup>5</sup> ჰ. კრიცერი, „კანონი უბრალოდ პოლიტიკის გაგრძელებაა სხვადასხვა საშუალებით: ამერიკელ მოსამართლეთა შერჩევა ოცდამეერთე საუკუნეში“ (Kritzer, H. "Law is the mere continuation of politics by different means: American judicial selection in the twenty-first century"), ციტ., 423.

<sup>6</sup> უ.ჰ.ჰ. უაილერი *Un'Europa cristiana, Un saggio esplorativo*. Milano: Giuffrè, 2003: 68.

<sup>7</sup> მაგალითად მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები, როდესაც მოსამართლეებს პირდაპირ ხალხი ირჩევს.

მაგრამ ეს ასე არ არის. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ, როდესაც „სასამართლოს დამოუკიდებლობაზე“ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ როგორც გარე, ისე შიდა დამოუკიდებლობას. როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, პირველი ეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას სხვა საკონსტიტუციო ძალაუფლებისგან, ხოლო მეორე მოსამართლეთა დამოუკიდებლობას სხვა მოსამართლეებისგან. მეორე მხრივ, როდესაც „სასამართლოს ანგარიშვალდებულებას“ ეხება საქმე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს განსხვავდება მოსამართლეთა „პასუხისმგებლობისგან“. უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ნორმების დარღვევიდან წამოიჭრება ხოლმე (განსაკუთრებით დავალიანების ან გადასახდელების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით). იგი სრულიად საზიაროა და ყოველთვის საბოლოო არ არის. ამის საწინააღმდეგოდ, ანგარიშვალდებულების გაზიარება შეუძლებელია და იგი გარკვეული სახით ზემოქმედებას ახდენს ეთიკასა და მმართველობაზე (ამ მიზეზის გამო მას ხშირად „საბოლოო პასუხისმგებლობას“ უწოდებენ). დაბოლოს, ანგარიშვალდებულება გულისხმობს „ანგარიშის ჩაბარების ურთიერთობას“ ადამიანებს შორის: ამ კონტექსტში მოსამართლე ანგარიშვალდებული უნდა იყოს არა მარტო წერილობითი ნორმების საფუძველზე, არამედ ადამიანების საზოგადოების და, შესაბამისად, დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართაც.

ამ ორ პრინციპს – დამოუკიდებლობას და ანგარიშვალდებულებას, ჩვეულებრივ, დამხმარე ფუნქცია აკისრია. მათ მისდევნენ მათი უნარის გამო – ლეგიტიმურობა შესძინონ სასამართლოებს. თუმცა ხშირად ხდება, რომ სასამართლოების ლეგიტიმურობის საყრდენების ნაცვლად ისინი „აბსოლუტურ“ პრინციპებად იქცევა ხოლმე. სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით რისკს წარმოადგენს სასამართლოს ზედმეტად დაშორება პოლიტიკური კონტექსტიდან და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან, და პირიქით, ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული რისკია სასამართლოს ზედმეტი პოლიტიზირება (და, შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების ზემოქმედებისთვის მისი დაქვემდებარების გაადვილება). ამგვარი სიტუაციები ხშირად განაპირობებს პოლიტიკურ კრიზისს და ინსტიტუციურ ანტაგონიზმს.

ამ ნაშრომში გთავაზობთ ისეთი ინსტრუმენტების დადგენას, რომლებიც იძლევა ინსტიტუციურ კრიზისთან გამკლავების შესაძლებლობას, რომელიც ხშირად გამოწვეულია ასეთი აბსოლუტიზმებით საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობისა და მათ წევრთა შერჩევის წესებში. ჩვენი აზრით, ამ წესებმა შეიძლება არსებითი როლი ითამაშონ სასამართლოების ლეგიტიმურობის გაზრდაში, განსაკუთრებით სხვა საკონსტიტუციო უწყებებთან მიმართებაში. ამ მიზეზების გამო აუცილებელია, საგულდაგულოდ გაანალიზდეს შემდეგი ექვსი ელემენტი: სამართლებრივი წყაროები და გამჭვირვალობა მოსამართლეთა შერჩევისას, მოსამართლეთა რაოდენობა, პროფესიული მოთხოვნები და მოსამართლეთა პროფესიული გამოცდილება, თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა, მოსამართლეთა დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოები, განსხვავებული და თანმხვედრი აზრები.

ყველა ქვეყანაში, რომელთა სისტემების ანალიზსაც გთავაზობთ, აღნიშნული ელემენტების სრულად გათვალისწინება მოგვცემს ფუნდამენტურ ინფორმაციას საკონსტიტუციო სამართალსა და მმართველობის ფორმას შორის ურთიერთკავშირის გასაგებად.

## I. საპარტლევარი წყაროები

თითოეულ ქვეყანაში, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები ძირითადი კანონმდებლობით არის განსაზღვრული: ეს არის კონსტიტუციები ან კონსტიტუციის რანგის აქტები. ამგვარ მიდგომას მნიშვნელობა ენიჭება და იგი შეესაბამება ამ სასამართლოების კონკრეტულ სტატუსს: სასამართლოთა სტრუქტურა ასახავს იმ „ჰიბრიდულ – მართლმსაჯულებას და პოლიტიკას შორის – როლს“<sup>8</sup>, რომელსაც ყველა ეს სასამართლო ასრულებს. ამ სფეროში რობერტ დალმა<sup>9</sup>, ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ამერიკელმა მეცნიერმა პოლიტიკის სფეროში, აღნიშნა, რომ „უზენაესი სასამართლოს განხილვა მხოლოდ სამართლებრივ ინსტიტუციად ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში მისი მნიშვნელობისა და როლის დაკნინებას ნიშნავს“<sup>10</sup>. შესაძლოა, იმავე მიზეზების გამო, ევროპის ქვეყნების კონსტიტუციათა შემქმნელმა არჩია მოსამართლეთა შერჩევის ისეთი პროცედურები, რომლებიც მხედველობაში იღებენ ბალანსს პოლიტიკურ ძალებს შორის (რაც ინსტიტუციური კომპრომისის ნათელი მაგალითია) და რომელთაც საკონსტიტუციო ლეგიტიმურობაც აქვთ.

შესაბამისად, საფრანგეთში, როგორც ვიცით, საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობას არეგულირებს საფრანგეთის კონსტიტუციის 56-ე მუხლი<sup>11</sup>. ამ ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო საბჭო შედგება ცხრა ჩვეულებრივი და რამდენიმე *ex officio* წევრისაგან, რომელთა რაოდენობა შეესაბამება რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტების რაოდენობას<sup>12</sup>. მხოლოდ ამ უკანასკნელ მოსამართლეებს უკავიათ თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე<sup>13</sup>, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო საბჭოს ჩვეულებრივი წევრები თანამდებობაზე ცხრა წლის ვადით ინიშნებიან და ამ ვადის განახლება არ ხდება.

<sup>8</sup> ი. მენი, „მთავრობა და პოლიტიკა დასავლეთ ევროპაში“ (Meny, Y. *Government and Politics in Western Europe*). Oxford: Oxford University Press, 1990: 299.

<sup>9</sup> რობერტ ალან დალი (დაბ. 1915 წლის 17 დეკემბერს), არის იელის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების გადამდგარი ნამდვილი პროფესორი. სწორედ იელის უნივერსიტეტში მოიპოვა მან 1940 წელს დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში. იგი იყო ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის პრეზიდენტი და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მეცნიერი, ვინც ამ სფეროში დღეს მუშაობს. დაღს ხშირად უწოდებენ ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების „დეკანს“. მან ეს ტიტული მოიპოვა ნაყოფიერი წერის და იმ ფაქტის გამო, რომ ბევრი პოლიტიკური მეცნიერი ჰყავს აღზრდილი.

<sup>10</sup> რ. დალი, „გადაწყვეტილებების მიღება დემოკრატიულ ქვეყანაში: უზენაესი სასამართლო როგორც ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი“ (Dahl, R. „Decision-Making in a democracy: the Supreme Court as national policy-maker.“) *Emory L. J.* 50 (2001): 582.

<sup>11</sup> საფრანგეთის კონსტიტუციის 56-ე მუხლი. „საკონსტიტუციო საბჭოში შევა ცხრა წევრი, რომლებიც თანამდებობაზე ცხრა წლის ვადით ინიშნებიან და ამ ვადის განახლება არ ხდება. საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის განახლება ყოველ სამ წელიწადში მოხდება. სამ წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სამს – ნაციონალური ასამბლეის პრეზიდენტი და კიდევ სამს – სენატის თავმჯდომარე.

გარდა ზემოხსენებული ცხრა წევრისა, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები იქნებიან საკონსტიტუციო საბჭოს *ex officio* წევრები სიცოცხლის ბოლომდე.

თავმჯდომარეს დანიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში თავმჯდომარეს ექნება გადაწყვეტი ხმის უფლება“.

<sup>12</sup> თუმცა მხოლოდ ყოფილმა პრეზიდენტებმა ორიოლმა და კოტიმ ისარგებლეს ამ შესაძლებლობით. არც ერთ მათ შემდგომ პრეზიდენტს იგი არ გამოუყენებია.

<sup>13</sup> თუმცა მხოლოდ ყოფილმა პრეზიდენტებმა ორიოლმა და კოტიმ ისარგებლეს ამ შესაძლებლობით. არც ერთ მათ შემდგომ პრეზიდენტს იგი არ გამოუყენებია.

იტალიის კონსტიტუციის<sup>14</sup> 135-ე მუხლი ადგენს, რომ *Corte Costituzionale* უნდა შედგებოდეს თხუთმეტი წევრისაგან და ხუთ-ხუთი წევრის დანიშვნის უფლებამოსილებას ანიჭებს იტალიის პარლამენტს ერთობლივ სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტს და ჩვეულებრივ და ადმინისტრაციულ უზენაეს სასამართლოებს.

აშშ-ის კონსტიტუციით, უზენაესი სასამართლოს წევრთა შერჩევის პროცესი იმართება ერთადერთი სამართლებრივი ნორმით<sup>15</sup>. ეს ნორმა შეტანილია აშშ-ის კონსტიტუციის მე-2 კარის II მუხლში, რომელიც ამბობს:

„სენატის კონსულტაციით და თანხმობით, პრეზიდენტი დანიშნავს უზენაესი სასამართლოს [...] მოსამართლეს“. ცხრა მოსამართლე თანამდებობაზე „სამუდამოდ“ დარჩება<sup>16</sup>, ანუ ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეები მთელი ცხოვრების განმავლობაში დაიკავებენ ამ თანამდებობას, თუ თავად არ მოისურვებენ გადადგომას ან პენსიაზე გასვლას.

განსხვავებული სიტუაციაა გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს (*Bunderversfassungsgericht*, შემდგომში *BVerfGG*) შემადგენლობასთან და ფუნქციებთან დაკავშირებული ოფიციალური პროცედურა ჩამოყალიბებულია ძირითად კანონში, 93-ე და მე-100 მუხლებში (ფუნქციები), 94-ე მუხლში (შემადგენლობა) და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ნაწილებში, ასევე ჩვეულებრივ კანონებში. მხოლოდ ძირითად კანონშია ნათქვამი, რომ „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის ნახევარი არჩეული იქნება ბუნდესტაგის, ხოლო ნახევარი – ბუნდესტრატის მიერ“. ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითადი კანონი არ ადგენს სასამართლოს წევრთა რაოდენობას – ეს რაოდენობა დადგენილია ჩვეულებრივი კანონით, რომელიც ასევე განსაზღვრავს ბუნდესტაგის და ბუნდესტრატის მიერ დანიშვნის ყველა დეტალს.

<sup>14</sup> 135-ე მუხლი. საკონსტიტუციო სასამართლოში შევა თხუთმეტი წევრი. მესამედს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მესამედს – პარლამენტი ერთობლივ სხდომაზე და მესამედს – ჩვეულებრივი და ადმინისტრაციული უზენაესი სასამართლოები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან ჩვეულებრივ და ადმინისტრაციულ უმაღლეს სასამართლოთა მოსამართლეებს, მათ შორის გადამდგარ მოსამართლეებს შორის, ასევე უნივერსიტეტების იურისპრუდენციის პროფესორებს და სულ მცირე ოცი წლის სამუშაო გამოცდილების მქონე იურისტებს შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები დაინიშნებიან ცხრა წლით. ამ ვადის ათვლა თითოეულ შემთხვევაში დაიწყება მოსამართლის მიერ ფიცის დადების დღიდან. ეს მოსამართლეები ხელახლა არ ინიშნებიან.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვისას მოსამართლე ტოვებს თანამდებობას და წყვეტს თავისი ფუნქციების შესრულებას.

სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, თავისი წევრებიდან აირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობას დაიკავებს სამი წლის განმავლობაში. მისი ხელახლა არჩევა შესაძლებელია, მხოლოდ ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია პარლამენტის, რეგიონული საბჭოს წევრობასთან, იურისტის პრაქტიკასთან და კანონით დადგენილ ნებისმიერ დანიშვნასა და თანამდებობასთან.

რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურების შემთხვევაში, გარდა სასამართლოს ჩვეულებრივი მოსამართლეებისა, აუცილებელია თექვსმეტი წევრის არსებობა, რომლებიც აირჩევიან კენჭისყრით იმ მოქალაქეთა სიიდან, რომელთაც აქვთ აუცილებელი კვალიფიკაცია სენატში ასარჩევად. ამ სიას პარლამენტი ამზადებს ცხრა წელიწადში ერთხელ კენჭისყრის გზით და ამისათვის იყენებს ჩვეულებრივი მოსამართლეების დანიშვნისას მოქმედ პროცედურებს.

<sup>15</sup> დ. გოლდბერგი და მ. კოზლოვსკი, „ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პოლიტიკა“ (Goldberg, D. and Kozlowsky, M. “The Politics of Choosing United States Supreme Court Justices”) *Brennan Center for Justice at NYU School of Law* (2009): 6.

<sup>16</sup> აშშ-ის კონსტიტუცია, მუხლი III, ნაწილი 8, § 1.

მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები ამჟამად გაერთიანებულ სამეფოშიც დეტალურად არის განსაზღვრული: აქტი 2005 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, ცდილობს უკიდურესად გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის III კარი ძალზე დაწვრილებით არეგულირებს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურას.

ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ოფიციალური დანიშვნის მექანიზმები მუდამ საკონსტიტუციო ნორმებით რეგულირდება. ამას, როგორც ჩანს, ორი მიზეზი აქვს: ერთი მხრივ, კონსტიტუცია ხაზს უსვამს ამ სასამართლოების კონკრეტულ სტატუსს და, მეორე მხრივ, მიზნად არის დასახული კონსტიტუციის მეშვეობით მნიშვნელოვანი ინსტიტუციური შეთანხმების ლეგიტიმაცია.

თუმცა, თუ ოფიციალური დანიშვნის მექანიზმები მუდამ რეგულირდება, მოსამართლეთა შერჩევის რეალური პროცესი ყოველთვის ასე არ ხდება. ჩვეულებრივ, ეს პროცესი იმართება არაფორმალური ტრადიციებით, რომლებიც არ არის საყოველთაოდ ცნობილი და ადვილად ამოსაცნობი. ნებისმიერ შემთხვევაში, გამჭვირვალობის ამ ნაკლებობის ხარისხი განსხვავებულია: ის მინიმალურია გერმანიაში და გაერთიანებულ სამეფოში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივი კანონებით ან იმავე საკონსტიტუციო კანონით მიღწეულია გარკვეული დეტალიზაცია. ის უფრო მაღალია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც „დაუწერელ პროცედურებს“ ფუნდამენტური როლი აკისრია. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ არაფორმალური ამერიკული პროცედურები მთლიანად დაბალანსებულია მაღალი დონის საჯაროობით და როგორც ინსტიტუციური, ისე არაინსტიტუციური ორგანოების ზოგადი ჩართულობით (გაიხსენეთ საჯარო მოსმენები სენატში, ამერიკელ ადვოკატთა ასოციაციისა და ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა). ეს ელემენტები სრულებით არ არსებობს საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც მცირე მოცულობის ოფიციალური რეგულირება არ ბალანსდება საკმარისი ხარისხის გამჭვირვალობითა და საზოგადოების ჩართულობით.

## II. მოსამართლეთა რაოდენობა

მნიშვნელოვანი საკითხები იჩენს თავს მოსამართლეთა რაოდენობის გაანალიზებისას. თუ იტალიასა და გერმანიაში დიდი სასამართლოები აქვთ, რომლებიც შედგება, შესაბამისად, 15 და 16 მოსამართლისგან, საფრანგეთსა და აშშ-ში უფრო მომცრო სასამართლოებია, ცხრა მოსამართლის შემადგენლობით. შუაშია გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო, რომელიც, საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის 23-ე მუხლის თანახმად, 12 მოსამართლისგან შედგება.

დიდი თუ მცირე ზომის სასამართლოების არსებობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სასამართლოთა ფუნქციონირებაზე. ჩვეულებრივ, სასამართლოს გადაწყვეტილებათა უფრო

მაღალი ხარისხის გონივრულობის უზრუნველსაყოფად უფრო დიდი ზომის სასამართლოები იქმნება. ეს თვისება მოითხოვება სასამართლოებისთვის, რომლებიც საკონსტიტუციო სისტემაში წონასწორობის გუშაგებად აღიქმებიან (და სწორედ ეს ვითარებაა იტალიასა და გერმანიაში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოებს ოფიციალურად აქვთ დაკისრებული ასეთი გარანტიის როლი).

მეორე მხრივ, მცირე ზომის სასამართლოების შემთხვევაში, საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ მათ შეუძლიათ ისეთი გადაწყვეტილებების გამოტანა, რომლებსაც ნაწილობრივი ხასიათი აქვთ და რომლებსაც მთელი შემადგენლობა არ იზიარებს. მცირე ზომის სასამართლოში უფრო ადვილია პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პოზიციებზე ყურადღების გამახვილება. ამ მხრივ, სასარგებლო იქნება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გამოცდილების გახსენება – აქ იდეოლოგიური განწყობები თვალსაჩინოა.

### III. პროფესიული მოთხოვნები და პროფესიული გამოცდილება

საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ფასეულობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მაღალი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნა. მართლაც, ცხადია, რომ, როდესაც ძალზე დეტალურად არის განსაზღვრული პროფესიული მოთხოვნები, ნაკლები ხარისხით იქნება „დისკრეცია“ მოსამართლეთა დანიშვნისას (შესაბამისად, უფრო მაღალი ხარისხის სასამართლო დამოუკიდებლობას მივიღებთ). უწყება (ხშირად პოლიტიკური), რომელსაც მინიჭებული აქვს მოსამართლეთა დანიშვნის უფლებამოსილება, კანდიდატს შეარჩევს არა სუბიექტური ან იდეოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით, არამედ ობიექტურ, მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (რომლებშიც არ ექნება ადგილი პოლიტიკური ნიშნით შეფასებას), რომლებიც დამსახურებას გაითვალისწინებს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ პროფესიონალები შედიან, გაატარებს იურიდიული კულტურისათვის ტიპურ *modus operandi*-ს.

ასეთი სიტუაციაა იტალიაში, გერმანიაში და საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის გატარების შემდეგ გაერთიანებულ სამეფოშიც. პირველ ორ ქვეყანაში ზუსტი პროფესიული მოთხოვნებია დაწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისათვის. იტალიის კონსტიტუციის 135-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან ჩვეულებრივ და ადმინისტრაციულ უმაღლეს სასამართლოთა მოსამართლეებს, მათ შორის გადამდგარ მოსამართლეებს შორის, ასევე უნივერსიტეტების იურისპრუდენციის პროფესორებს და, სულ მცირე, ოცი წლის სამუშაო გამოცდილების მქონე იურისტებს შორის“. შესაბამისად, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოში სამი პროფესიული კატეგორიაა წარმოდგენილი: აკადემიური წრეების, სასამართლო სისტემის

წარმომადგენლები და იურისტები. თუმცა კანონმდებლობაში ორი საერთო კრიტერიუმი დადგენილი: სამსახურის ხანგრძლივობა და ხარისხი იურისპრუდენციაში.

გერმანიის ძირითადი კანონი აცხადებს, რომ ბუნდესტაგი და ბუნდესტრატი შეარჩევენ, სულ მცირე, სამ-სამ პროფესიონალ მოსამართლეს, რომლებსაც სამი წელი ნამუშევარი უნდა ჰქონდეთ მოსამართლეებად ფედერალურ უზენაეს სასამართლოში (ასე რომ, მთლიანობაში, პროფესიონალ მოსამართლეთა შეფარდება დანარჩენებთან უნდა იყოს ექვსი თექვსმეტთან). დანარჩენი მოსამართლეები არიან არაპროფესიონალი იურისტები, თუმცა კანონი ითვალისწინებს, რომ არაპროფესიონალი მოსამართლეები კვალიფიციურნი უნდა იყვნენ სასამართლო კარიერისათვის (პრაქტიკაში ეს გულისხმობს მეორე საჯარო გამოცდის გავლას მაღალი ქულებით; ამ გამოცდის გავლა სავალდებულოა ყველა იურიდიულ პროფესიაში სამუშაოდ) და ამ გზით განამტკიცონ სასამართლოს სამართლებრივი ხასიათი.

დაბოლოს, საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტი აწესებს რამდენიმე მოთხოვნას გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სასამართლოში დასანიშნად: მაგალითად, კანდიდატს ნამუშევარი უნდა ჰქონდეს მაღალ თანამდებობაზე სასამართლო სისტემაში სულ მცირე 2 წლის განმავლობაში ან იგი უნდა ყოფილიყო კვალიფიცირებული პრაქტიკოსი სულ მცირე 15 წლის განმავლობაში (25-ე მუხლი).

აღნიშნული წესებისა და პრინციპების შესასაბამისად, ქვემოთ მოცემული მონაცემები მნიშვნელოვან ფაქტებს გვიჩვენებს: მართლაც, 1-ელ, მე-2 და მე-5 ცხრილებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ იტალიელ, გერმანელ თუ ბრიტანელ მოსამართლეთა უმეტესობა იყო ჩვეულებრივი თუ ადმინისტრაციული მოსამართლე, ანუ არ იყო ჩართული პოლიტიკაში. ვითარება განსხვავებულია საფრანგეთში, სადაც (იხ. მე-4 ცხრილი) სასამართლოს წევრთა უმეტესობას აქვს საჯარო მოხელედ მუშაობის პროფესიული გამოცდილება და, მეტიც, სადაც ექვსს, ცხრა მოსამართლიდან, პოლიტიკური წარსული აქვს აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ცხადია, კონკრეტული კვალიფიკაციის ნაკლებობა მოსამართლედ დასანიშნად (და არა მარტო ხარისხი იურისპრუდენციაში)<sup>17</sup> შესაბამის ზეგავლენას ახდენს სასამართლოს შემადგენლობაზე და, რა თქმა უნდა, ეს მონაცემები ხელს უწყობს იმას, რომ *Conseil Constitutionnel* პოლიტიკური ძალაუფლების გარკვეულ დანამატად იქნეს განხილული.

ეს უკანასკნელი მსჯელობა არ ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს. შტატებში, ისევე როგორც საფრანგეთში, არ არსებობს საკონსტიტუციო ნორმა, რომელიც დააწესებდა მინიმალურ სტანდარტს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად. თუმცა ცხადია, რომ პრაქტიკაში რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინება ხდება. მაგალითად, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში მზარდი მნიშვნელობა მოიპოვა პოლიტიკური დანიშვნის ფორმამ – „კრიტერიუმზე დამყარებულმა დანიშვნამ“<sup>18</sup>. თეთრმა სახლმა და იუსტიციის დე-

<sup>17</sup> უისკარ დესტენის პრეზიდენტობის ხანიდან წამოვიდა ტენდენცია, რომ დაენიშნათ იურიდიული გამოცდილების მქონე კანდიდატები, თუმცა მიტერანი პირადი ლოიალურობის ტრადიციულ სტანდარტებს ეყრდნობოდა. იხ.ა. სტოუნი, „მართლმსაჯულებრივი პოლიტიკის დაბადება საფრანგეთში, საკონსტიტუციო საბჭო შედარებით პერსპექტივაში“ (Stone, A. *The Birth of Judicial politics in France, the constitutional Council in comparative prospective*, Oxford: Oxford University press, 1992).

<sup>18</sup> ა. იალოფი, „სწრაფვა მართლმსაჯულებისაკენ: საპრეზიდენტო პოლიტიკა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა“ (Yalof, D. A. *Pursuit of Justice: Presidential Politics and the selection of Supreme Court nominees*). Chicago: University of Chicago Press, 1999: 240 ff.

პარტამენტმა დააწესეს კრიტერიუმები, რომლებსაც გამოიყენებდნენ დანიშვნისას. ეს კრიტერიუმები მოიცავდა კანდიდატის დემოგრაფიულ იდენტობას, თუმცა ასევე მის ასაკს, სქესს და სამართლებრივ შეხედულებებსა თუ იდეოლოგიას (კრიტერიუმები, რომელთა იდენტიფიცირება ხშირად არ არის ადვილი). პოლიტიკის ყველა ამ სახესხვაობას დღემდე მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მაგალითად, 2008 წელს არსებობდა საერთო თანხმობა, რომ შემდეგი კანდიდატი უნდა ყოფილიყო ესპანური წარმომავლობის და, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ქალი (მოსამართლე ოკონორი, ერთადერთი ქალი სასამართლოში, სასამართლოდან მალე უნდა წასულიყო). ამან გამოიწვია მოსამართლე სონია სოტომაიორის დანიშვნა. აშშ-ში ნახევრად მოსამართლეებს, რომლებიც შეესაბამებიან არა მარტო მაღალ „პროფესიულ“ სტანდარტებს, არამედ, ასევე მაღალ „წარმომადგენლობით“ სტანდარტებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც აღიარებულია უზენაესი სასამართლოს პოლიტიკური ძალაუფლება, პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას, არამედ ისეთ სასამართლოსი, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს ამერიკელი ხალხის მრავალფეროვანი „მისწრაფებები“. მე-5 ცხრილი ადასტურებს ამ ანალიზის დასკვნას: ყველა მოსამართლეს აქვს მნიშვნელოვანი აკადემიური წარსული ან მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება. შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ყველა მოსამართლე აშკარად წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ მოლოდინს.

დაბოლოს, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებენ თუ არა ისინი პროფესიულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საკონსტიტუციო თუ უზენაესი სასამართლოს რეალურ შემადგენლობაზე, მათ შორის მოსამართლეთა აკადემიურ თუ პროფესიულ კვალიფიკაციაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ზემოთ თქმული.

**– საფრანგეთში, სადაც პროფესიული მოთხოვნები არ არის დადგენილი:**

- მოსამართლეთა 5/9 შეისწავლიდა პოლიტიკურ მეცნიერებებს, სწავლობდა ENA-ში: 55.5%
- მოსამართლეთა 5/9 დანიშვნამდე მუშაობდა ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ თანამდებობაზე: 55.5%
- 8/9-ს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული წარსული აქვს: 88.9%

**– იტალიაში, სადაც ძალზე მკაცრი მოთხოვნებია დადგენილი:**

- მოსამართლეთა 15/15-ს აქვს ხარისხი იურისპრუდენციაში: 100%
- მოსამართლეთა 7/15 იყო პროფესორი, 6/15 – მოსამართლე და მხოლოდ 2/15-ია იურისტი
- მოსამართლეთა 10/15-ს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული წარსული აქვს: 66.7% (2/3)

– გერმანიაში, სადაც მოთხოვნები არსებობს:

- მოსამართლეთა 13/16-ს აქვს დოქტორის ხარისხი იურისპრუდენციაში: 81.3%; 10/16 იყო პროფესორი (62.5%)
- 6/16 მოსამართლეა
- მოსამართლეთა 8/16-ს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული წარსული აქვს: 50%

– აშშ, სადაც არ არსებობს ოფიციალურად დადგენილი მოთხოვნები:

- მოსამართლეთა 5/9-ს აქვს ჰარვარდში მიღებული (2-ს იელში, 1-ს კოლუმბიაში) ხარისხი იურისპრუდენციაში: 55.6%
- 5/9 იყო პროფესორი
- 4/9 მოსამართლეა. 4/9-ს ეკავა პოლიტიკური თანამდებობა: 44.4%

– გაერთიანებულ სამეფოში, სადაც არსებობს ოფიციალურად დადგენილი მოთხოვნები:

- მოსამართლეთა 8/12 სწავლობდა კემბრიჯის ან ოქსფორდის უნივერსიტეტში: 66%
- 12/12-ს აქვს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება
- მოსამართლეთა 4/12-ს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული წარსული აქვს: 33.3%

## IV. თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა

მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა ერთ-ერთ იმ ინსტრუმენტად არის მიჩნეული, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეუძლია. მართლაც, ჩვეულებრივ, კონსტიტუციები ხანგრძლივ ვადებს ითვალისწინებს იმავე თანამდებობაზე ხელახალი დანიშვნის გარეშე. ამის მიზანია წარმომადგენლობით ორგანოებთან ძლიერი პოლიტიკური ერთგვაროვნების აღკვეთა. ფაქტობრივად ასეთ შემთხვევაში არსებობს კონტროლიდან „საკუთარი თავის კონტროლზე“ გადასვლის საფრთხე<sup>19</sup>.

<sup>19</sup> De Siervo, U. *La Corte costituzionale nel nostro sistema costituzionale*, Pavia 29 march 2011. Web. 9 April 2011. <[http://giurisprudenza.unipv.it/docsDidattica/rigano/DeSiervo\\_Pavia\\_20010329.pdf](http://giurisprudenza.unipv.it/docsDidattica/rigano/DeSiervo_Pavia_20010329.pdf)>.

საფრანგეთში საკონსტიტუციო საბჭოს უბრალო წევრები 9 წლის ვადით ინიშნებიან ხელახალი არჩევის უფლების გარეშე (გარდა *ex officio* წევრებისა, როგორებიც არიან, მაგალითად, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები, რომლებიც სამუდამო ვადით ინიშნებიან)<sup>20</sup>. იგივე 9 წლიანი ვადა იტალიაში, სადაც მუდმივი წევრები არ არსებობენ. 1970 წლამდე გერმანიაში სამუდამო ვადა გათვალისწინებული იყო პროფესიონალი მოსამართლეებისთვის, ხოლო სახალხო მსაჯულებისთვის კი 8 წელი იყო გათვალისწინებული. საკონსტიტუციო მოსამართლეები 12 წელი იმყოფებიან თანამდებობაზე და მათი ხელახლა დანიშვნა არ ხდება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოები ძირითადად საშუალო და გრძელ ვადას ამჯობინებენ (რომელიც განახლებას არ ექვემდებარება).

ამის საპირისპიროდ, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში ჩვენ გვხვდება „სამუდამო“ ვადით დანიშვნა. საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის 33-ე მუხლის თანახმად, „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები აღნიშნულ თანამდებობას სამუდამოდ იკავებენ (მანამ, სანამ სათანადოდ იქცევიან), მაგრამ შესაძლებელია გათავისუფლებული იქნენ თანამდებობიდან ორივე პალატის და პარლამენტის მიმართვის საფუძველზე“. ამასთან, ბრიტანელი მოსამართლეების მსგავსად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, თუ ისინი 1995 წლის 31 მარტის შემდეგ დაინიშნენ მოსამართლის თანამდებობაზე, ვალდებული არიან, 70 წლის ასაკში გავიდნენ პენსიაზე, ხოლო სხვა შემთხვევაში – 75 წლის ასაკში<sup>21</sup>.

ანალოგიურად, აშშ-ის უზენაესი სასამართლო, 1789 წელს, მისი შექმნის დღიდან, „თანამდებობაზე სამუდამოდ დანიშნული“ მოსამართლეებისგან შედგებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს წევრი მხოლოდ გადადგომის, პენსიაზე გასვლის ან სიკვდილის შემთხვევაში ტოვებს სასამართლოს. ეს ექსტრემალური ვარიანტი პოლიტიკების იმ ხარისხის პროპორციულია, რომელიც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა დანიშვნას ენიჭება. ახლახან ჩვენ ვიხილეთ სასამართლოს უზუცესი და შესაძლოა, ყველაზე ლიბერალი მოსამართლის – ოთხმოცდაათი წლის პოლ სტივენსის პენსიაზე გასვლა. ეს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელი პრეზიდენტის ჯერალდ ფორდის დანიშნული იყო 1975 წელს, ლიბერალთა ამომრჩეველების გმირად იქცა. სტივენსი ცნობილი ხდება განსხვავებული აზრის მქონე პირად საქმეზე „ბუში გორის წინააღმდეგ“<sup>22</sup>. რომლის შედეგადაც დადგინდა ჯორჯ დაბლიუ ბუშის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. სტივენსმა შემდეგი კომენტარი გააკეთა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით:

„თუმცა ჩვენ ალბათ ვერასდროს შევიტყობთ აბსოლუტური სიზუსტით წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულის ვინაობას, დამარცხებულის ვინაობა სრულიად აშკარაა: ეს არის ჩვენი ერის ნდობა მოსამართლის, როგორც კანონის უზენაესობის მიუკერძოებელი დამცველის მიმართ“<sup>23</sup>.

<sup>20</sup> თუმცა მხოლოდ ყოფილმა პრეზიდენტებმა ორიოლმა და კოტიმ ისარგებლეს ამ შესაძლებლობით. არც ერთმა შემდგომ პრეზიდენტს იგი არ გამოუყენებია.

<sup>21</sup> იხ. 1993 წლის აქტი მოსამართლეების პენსიების და პენსიაზე მათი გასვლის შესახებ.

<sup>22</sup> 121 S. Ct. 525.

<sup>23</sup> [http://abcnews.go.com/Politics/Supreme\\_Court/justice-john-paul-stevens-retires-us-supreme-court/story?id=9615609](http://abcnews.go.com/Politics/Supreme_Court/justice-john-paul-stevens-retires-us-supreme-court/story?id=9615609) (last visited March 2011).

თავისი წარსულის მიუხედავად, სტივენსმა სწორედ ობამას პრეზიდენტობის დროს გადაწყვიტა სასამართლოს დატოვება. როგორც ვიცით, ობამამ სტივენსი ელენა კაგანით შეცვალა, კანდიდატით, რომელსაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. მართლაც, სენატში გამართული საჯარო მოსმენების დროს რესპუბლიკელები წინააღმდეგი იყვნენ მისი დანიშვნის, რადგან, მათი თქმით, „ძნელია, იმსჯელო იმაზე, თუ ჰარვარდის იურიდიული სკოლისთვის თანხების მოზიდვაში შეძენილი გამოცდილება რამდენად კვალიფიციურს გახდის მას ქვეყნის უზენაეს სასამართლოში ადგილის დასაკავებლად“<sup>24</sup>.

მიუხედავად ამისა, ელენა კაგანმა (პირველმა ქალმა, რომელიც ჰარვარდის იურიდიული სკოლის დეკანი იყო) თავის სიცოცხლეში პირველად დაიკავა მოსამართლის ადგილი 2009 წლის 5 იანვარს (ერთხელ მთავარ პროკურორად იყო დანიშნული იმავე ობამას მიერ).

დასკვნის სახით ვიტყვით, რომამ ანალიზის მსვლელობაში შემდეგი რამ შევნიშნეთ: თანამდებობაზე ყოფნის როგორც „გრძელვადიან“, ასევე „სამუდამო“ პერიოდს ერთი და იგივე მიზანი აქვს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობას შეუწყოს ხელი. თუმცა სხვადასხვა არგუმენტაციის გასაგებად, რომლებიც ამგვარ არჩევანს ასაბუთებს, საჭიროა დავადგინოთ, თუ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი როგორ მიესადაგება დანიშვნის დებულებებს. მართლაც, ეს არის ჩვენი ანალიზის არსი: ურთიერთობა (წონასწორობა) პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის მოსამართლეების დანიშვნის კონტექსტში.

## V. მოსამართლეების დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ერთი განხილული ქვეყანა არ ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოთა მოსამართლეების შერჩევის პირდაპირ დემოკრატიულ მოდელს: ჩვეულებრივ, მოსამართლეებს ირჩევს ან ნიშნავს რამდენიმე უფლებამოსილი პირი (ორგანო). ესენი შეიძლება იყვნენ პოლიტიკური ორგანოები ან არ იყვნენ და მათ შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ ცალკე ან სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან ერთად. ფაქტების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი წინა პირობა არის იმის გაგება, რომ პოლიტიკური პირები (ორგანოები), რომლებიც ცალკე იღებენ გადაწყვეტილებას, პოლიტიკების ნიშნებს ატარებენ. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური უწყებების არარსებობა და თანამშრომლობა დამოუკიდებლობის ნიშანია. ამ სქემის გამოყენებით შეგვიძლია დავაკვირდეთ იმას, თუ როგორ ნიშნავენ საფრანგეთში მოსამართლეებს ყველაზე შესატყვისი ინდივიდუალური პირები: მართლაც, ცხრა მოსამართლიდან სამს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს, სამს – ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარე, ხოლო სამს – სენატის თავმჯდომარე. დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები გადაწყვეტილებას ყოველგვარი თანამშრომლობის გარეშე იღებენ, უფრო მეტიც, თავისი

<sup>24</sup> <http://www.redstate.com/jrichardson/2010/04/04/stevens-retirement-makes-way-for-second-obama-scutus-pick/> (last visited march 2011)

შეხედულებისამებრ წყვეტენ, თუ ვინ დანიშნონ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკრეტული კვალიფიკაცია არც კი არის საჭირო დანიშვნისთვის, მათ შორის არც ხარისხი იურისპრუდენციაში<sup>25</sup>. 2008 წლის საკონსტიტუციო რეფორმა იმის მცდელობა იყო, რომ ეს აქტივი გაეუმჯობესებინა და მისთვის პოლიტიკური ბლოკის ფორმა მიენიჭებინა. მართლაც, ახალი 56-ე მუხლი აღნიშნავდა: *“les nominations effectuées par le président de chaque assemblée sont soumises au seul avis de la commission permanente compétente de l’assemblée concernée”*. შესაბამისად, კანდიდატებს აფასებს მუდმივმოქმედი კომისია. მართალია, ეს მნიშვნელოვანი რეფორმაა, რომელიც ზრდის პარლამენტის პრეროგატივას მოსამართლეების დანიშვნის დროს, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ პარლამენტი მხოლოდ რჩევას იძლევა, რომელიც არასდროს არ არის სავალდებულო შესასრულებლად. უფრო მეტიც, როდესაც საფრანგეთის კონსტიტუცია აღნიშნავს, რომ „მხოლოდ მუდმივმოქმედი კომისიას შეუძლია კანდიდატების შეფასება“. ამით იგი ხაზს უსვამს, რომ საერთო მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური უწყებების უფლებამოსილების დაცვა, სამართალწარმოების პროცედურის გამჭვირვალობის და ფართო საზოგადოების ჩართულობის შემცირება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს სისტემები ნაკლებად წარმომადგენლობითია სასამართლოს დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ყველა ეს მოსაზრება სავსებით შეესაბამება იმ სირთულეებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს შეხვდა ლეგიტიმურობის მიღწევის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი მონტესკიეს – ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის ავტორის სამშობლოა, ამ ქვეყანაში ძალაუფლება ერთადერთ ორგანოში – პარლამენტშია თავმოყრილი. სახალხო სუვერენიტეტისა და სასამართლო ხელისუფლების უზენაესობის პრინციპების განუხრელი განხორციელება არ ტოვებდა სივრცეს იურიდიული, გარეშე კონტროლის დასაწესებლად კანონმდებლობაზე. მართლაც, როგორც ვიცით, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა, ის მხოლოდ „აბსტრაქტულ განხილვას“ (ანუ აპრიორულ განხილვას) ახორციელებდა. სწორედ 1974 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ (რომელმაც გაზარდა საპარლამენტო უმცირესობებისადმი აპელირების უფლება, სადაც სამოცი დეპუტატი და სენატორი შედიოდა) და 1997 წელს *Déclaration des Droits de l’Homme et du Citoyen*-ის სავალდებულოდ აღიარებამ გახადა საბჭო უფრო გავლენიანი. დაბოლოს, 2008 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ (რომელიც *“Réforme Balladur”*-ის სახელით იყო ცნობილი) უზრუნველყო ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განხილვა და ცალკეული პირებისთვის იმის შესაძლებლობა, რომ ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე დააყენონ არაკონსტიტუციურობის საკითხი (მაშინაც კი, თუ ამ რეფორმის რეალური ინოვაციურობა კვლავაც ეჭვქვეშაა)<sup>26</sup>.

აშშ-ში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა ხდება ისეთი პროცედურით, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ორ ძირითად ინსტიტუტს შორის. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის ოფიციალური პროცედურა მარტივია: როდესაც

<sup>25</sup> უისკარ დესტენის პრეზიდენტობის ხანიდან წამოვიდა ტენდენცია, რომ დაენიშნათ იურიდიული გამოცდილების მქონე კანდიდატები, თუმცა მიტერანი პირადი ლოიალურობის ტრადიციულ სტანდარტებს ეყრდნობოდა. იხ. ციტატა: ასტოუნი, მართლმსაჯულებრივი პოლიტიკის დაბადება საფრანგეთში, საკონსტიტუციო საბჭო შედარებით პერსპექტივაში (Stone, A. *The Birth of Judicial politics in France, the constitutional Council in comparative perspective*, cit.).

<sup>26</sup> Fabbrini, F. “La loi organique sul controllo di costituzionalità in via incidentale e lo scrutinio preventivo del Consil Constitutionnel.” *Quaderni Costituzionali* 1 (2010): 124.

ვაკანსია ჩნდება (სასამართლოს წევრის გადადგომის ან გარდაცვალების გამო), პრეზიდენტი სენატის რჩევით და თანხმობით ასახელებს კანდიდატს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტიტუციაში ერთმნიშვნელოვნად არ არის ფორმულირებული, სენატის „რჩევის და თანხმობის“ პრეროგატივა ინტერპრეტირებულია როგორც უფლებამოსილება, რომ ხმების უმრავლესობით დამტკიცოს მოსამართლეობის კანდიდატები.

თუმცა შერჩევის ფაქტობრივი პროცესი გართულებულია რამდენიმე ფაქტორით, როგორც არის არაოფიციალური მონაწილეების როლი, როგორც ცალკეული პირების, ასევე ჯგუფების სახით, რომლებიც ღრმად არიან დაინტერესებულნი კანდიდატების დასახელებასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებით. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრების გარდა, აღნიშნული არაოფიციალური მონაწილეები შესაძლოა სამ კატეგორიასთან იყვნენ დაკავშირებული: იურისტების საზოგადოება, სხვა ინტერესჯგუფები და პოტენციური მოსამართლეები. ყველაზე დიდი და მძლავრი საზოგადოება არის ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია. ამ ასოციაციის კომიტეტი სწავლობს პრეზიდენტის მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, რომლებიც დამტკიცებას ელოდებიან და აფასებს მათ როგორც „სავსებით კვალიფიცირებულს“, „კვალიფიცირებულს“ ან „არაკვალიფიცირებულს.“ გამოცდილება მეტყველებს, რომ ერთხმად მინიჭებული რეიტინგი „სავსებით კვალიფიცირებული“ აადვილებს სენატის მიერ დამტკიცებას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის განხილვისას არ უნდა დავაკნინოთ სენატის როლი: როგორც ჯეიმს მედისონი აღნიშნავდა, სენატის როლის ფორმირებისა და მხარდაჭერის საქმეში „აღმასრულებელი ხელისუფლება და სენატი დანიშვნებისა და შეთანხმებების საკითხებში განიხილებიან როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედნი და ერთმანეთთან კოორდინირებულად მოქმედნი“<sup>27</sup>. მედისონის თქმით, პრეზიდენტი და სენატი იყოფენ ძალაუფლებას II მუხლის საფუძველზე. რამდენიმე მომდევნო პრეზიდენტმა გამოხატა აზრი II მუხლის საფუძველზე დანიშვნის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. თუმცა ისინი ძირითადად პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებას იცავდნენ. ამ იურიდიული დისპუტების ის ნაწილი, რომელიც სენატის როლს ეხება, უდავოდ მნიშვნელოვანია. კერძოდ, სენატის უფლებამოსილების რეალიზებას, რომ დამტკიცოს ან უარყოს სასამართლოს წევრობის პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატები, შედეგად მოჰყვა ის, რომ სასამართლოს არსებობის მანძილზე დასახელებული 148 კანდიდატიდან 28 კანდიდატი დაიწუნეს<sup>28</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატების 18% (ხუთიდან ერთი) დაწუნებული იყო. კონკრეტულად კი, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატები პირდაპირ გადაეცემიან განსახილველად სენატის იურიდიულ კომიტეტს, რომელიც მრავალმხრივ ინფორმაციას აგროვებს მათ შესახებ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კანდიდატების საჯარო მოსმენებს აწყობს. ამის მთავარი მიზანია საჯარო მტკიცებულების ან კომენტარების მოპოვება „მომავალ“ მოსამართლესთან

<sup>27</sup> ჯ. მედისონი „შეერთებული შტატების სენატს, 1813 წლის 6 ივლისი“ პრეზიდენტების გზავნილებისა და სტატიების კრებული, 1789-1897 წ.წ. გამომცემელი ჯ.დ. რიჩარდსონი, ვაშინგტონი დი-სი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1897, 1: 531 (Madison, J. "To the Senate of the United States, July 6, 1813." *A Compilation of the Messages and Papers of the Presidents, 1789-1897*. Ed. J. D. Richardson. Washington, DC: Government Printing Office, 1897, 1: 531.)

<sup>28</sup> დ. სევიჯი, „უზენაესი სასამართლო და ამერიკის მთავრობის უფლებამოსილებები“, მე-2 გამოცემა, ვაშინგტონი დი-სი: CQ Press, 2009: 551 (Savage, D. *The Supreme Court and the powers of the American government*. 2nd ed. Washington DC: CQ Press, 2009: 551).

დაკავშირებით, მათ შორის პირადი და სენსიტიური ინფორმაციისა რელიგიასთან, იდეოლოგიასთან და პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებითაც კი. ამის მერე კომიტეტი კენჭს უყრის თავის რეკომენდაციას სენატის მოქმედებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც კანდიდატურა განსახილველად გადაეცემა სენატორებს, რომლებიც სათანადო დებატების შემდეგ კენჭს უყრიან მის დამტკიცებას, რასაც მარტივი უმრავლესობა წყვეტს (თუმცა უმცირესობაში მყოფ სენატორთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ დაბლოკონ კანდიდატურის დამტკიცება ობსტრუქციის გზით, რომელიც გაფართოებულ დებატებს იყენებს დამამტკიცებელი კენჭისყრის ჩატარების თავიდან ასაცილებლად). სენატის მოქმედებაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას: ერთია პრეზიდენტის პოლიტიკური სიძლიერე სენატში, ასეთ შემთხვევაში უმრავლესობის სენატორები, რომლებიც პრეზიდენტის პარტიას წარმოადგენენ, თავმჯდომარეობენ იურიდიულ კომიტეტს და გეგმავენ საკითხის გატანას კენჭისყრაზე. მეორე ფაქტორია პრეზიდენტის სიძლიერე. ჩვეულებრივ, პრეზიდენტებს, რომლებიც ფართო საჯარო აღიარებით სარგებლობენ, მეტი უპირატესობა აქვთ: საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერა მათი კანდიდატების მიმართ ოპოზიციას აფერხებს<sup>29</sup>. დაბოლოს, სენატის დანიშვნის უფლებამოსილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „გაყოფილი მთავრობის“ პერიოდში, ანუ, როდესაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება სხვადასხვა პარტიის ხელშია. მაგალითად, პრეზიდენტების წარმატება 87.9%-ს აღწევდა სენატის მხრიდან უზენაესი სასამართლოს კანდიდატების დამტკიცებასთან მიმართებაში მაშინ, როდესაც თეთრ სახლსა და სენატს ერთი და იგივე პოლიტიკური პარტია აკონტროლებდა. გაყოფილი მთავრობის პირობებში ეს ციფრი 54.5 %-მდე ეცემა<sup>30</sup>!

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშკარაა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პოლიტიკური ბუნება და პოლიტიკური როლი. თუმცა ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების უმრავლესობის მოსამართლეებით დაკომპლექტების პროცესისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ შერჩევაზე გავლენას ახდენს გამჭვირვალობის სათანადო ხარისხი, რომელიც ხსნის იმ მრავალრიცხოვან კვლევებს, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს. უფრო მეტიც, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურის გამჭვირვალობა, რომელიც ინტერესჯგუფების, მედიის და პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური აქტორების მონაწილეობითაც მიიღწევა, ნაწილობრივ ხელს უწყობს ამ სასამართლოს პოლიტიკური ბუნებისა და როლის ლეგიტიმაციას.

მოსამართლეების შერჩევის პროცედურა განსხვავებულია გერმანიაშიც: 16 მოსამართლეს კერძო უფლებამოსილი პირები თუ ორგანოები კი არ შეარჩევენ, არამედ მათ ხმათა ორი მესამედით ირჩევენ. კანდიდატების ნახევარს ფედერალური პარლამენტი – ბუნდესტაგი ასახელებს, ხოლო მეორე ნახევარს – ფედერალური საბჭო – ბუნდესტრატი<sup>31</sup>. კერძოდ, ბუნ-

<sup>29</sup> ლ. ბაუმი, უზენაესი სასამართლო. Washington DC: CQ Press, 2007: 44 (Baum, L. *The Supreme Court*. Washington DC: CQ Press, 2007: 44).

<sup>30</sup> დ. გოლდბერგი და მ. კოზლოვსკი, „ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პოლიტიკა“ (Goldberg, D. and Kozlowsky, M. „The Politics of Choosing United States Supreme Court Justices“ cit., 6.).

<sup>31</sup> ბუნდესტაგი არის საკანონმდებლო ორგანო, ხოლო ბუნდესტრატი არის ორგანო, რომლის საშუალებით *Länder* ეხმარება ფედერალური კანონების მიღებაში და *Bund*-ის ადმინისტრირებაში. იხ. ციტატა ჰ.დ. ფიშერის ნაშრომიდან „გერმანული მართლმსაჯულების სისტემა და იურიდიული ენა“. ნიუ-იორკი: Routledge and Cavendish, 2009. (The *Bundestag* is an organ of the legislature, while the *Bundestrat* is an organ through which the *Länder* assist in the passing of federal law and in the administration of the

დესტაგი ირჩევს თავის რვა მოსამართლეს არაპირდაპირ, თორმეტკაციანი იურიდიული შესარჩევი კომიტეტის საშუალებით. მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, გერმანიაში *BVerfGG*-ის თექვსმეტი მოსამართლე აირჩევა უფრო დემოკრატიული პროცედურით, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის ორივე პალატის ჩართულობას. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა ფედერალური ხელისუფლების ლეგიტიმაციის ორივე წყაროს ასახავს: ხალხს (ბუნდესტაგის საშუალებით) და გერმანიის მიწებს *Länder* (ბუნდესტრატის საშუალებით).

პოლიტიკების უმცირესი ხარისხი, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური შეხედულებით, ახასიათებს იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს. მოსამართლეების შერჩევის პროცედურა უფრო დაბალანსებულია ორი კრიტერიუმის გამო: პირველია, რომ სამიდან ორ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს კოლეგიალური დანიშვნა, მეორე კი ის არის, რომ ამ საქმეში სახელმწიფოს ყველა ხელისუფლება მონაწილეობს. როგორც ვიცით, იტალიის კონსტიტუციის 135-ე მუხლის თანახმად<sup>32</sup>, საკონსტიტუციო სასამართლო – *Corte Costituzionale* თხუთმეტი წევრისგან შედგება. კონსტიტუციის მიხედვით, ხუთ-ხუთი წევრის დანიშვნა ევალებათ იტალიის პარლამენტს ერთობლივ სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ჩვეულებრივ და ადმინისტრაციულ უმაღლეს სასამართლოებს. ეს ნორმა კომპრომისის შედეგია, რომელიც ითვალისწინებს როგორც სამართლებრივ, ასევე პოლიტიკურ მოსაზრებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა მონტესკიეს ძალაუფლების დანაწილებას გვაგონებს<sup>33</sup>. მართლაც, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სასამართლოს (თვალსაჩინო) ნაწილს სასამართლო ხელისუფლება შეარჩევს<sup>34</sup>. თუმცა მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევაში პოლიტიკაც მონაწილეობს: ჩვეულებრივ, საპარლამენტო ნომინაციები პარტიებს შორის იმავე წესით ნაწილდება, როგორც ეს პარლამენტში მიღებული და აღინიშნება ტერმინით *lottizzazione*<sup>35</sup>. ამ მოვლენის მიუხედავად, კანდიდატების არჩევისას

*Bund. In Fisher, H. D. The German Legal System and Legal Language. New York: Routledge and Cavendish, 2009).*

<sup>32</sup> 135-ე მუხლი. საკონსტიტუციო სასამართლოში შევა თხუთმეტი წევრი. მესამედს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მესამედს – პარლამენტი ერთობლივ სხდომაზე და მესამედს – ჩვეულებრივი და ადმინისტრაციული უზენაესი სასამართლოები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან ჩვეულებრივ და ადმინისტრაციულ უმაღლეს სასამართლოთა მოსამართლეებს, მათ შორის გადამდგარ მოსამართლეებს შორის, ასევე უნივერსიტეტების იურისპრუდენციის პროფესორებს და სულ მცირე ოცი წლის სამუშაო გამოცდილების მქონე იურისტებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები დანიშნებიან ცხრა წლით. ამ ვადის ათვლა თითოეულ შემთხვევაში დაიწყება მოსამართლის მიერ ფიცის დადების დღიდან. ეს მოსამართლეები ხელახლა არ ინიშნებიან.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვისას მოსამართლე ტოვებს თანამდებობას და წვეტს თავისი ფუნქციების შესრულებას.

სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, თავისი წევრებიდან აირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობას დაიკავებს სამი წლის განმავლობაში. მისი ხელახლა არჩევა შესაძლებელია, მხოლოდ ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია პარლამენტის, რეგიონული საბჭოს წევრობასთან, იურისტის პრაქტიკასთან და კანონით დადგენილ ნებისმიერ დანიშვნასა და თანამდებობასთან.

რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის შემთხვევაში, გარდა სასამართლოს ჩვეულებრივი მოსამართლეებისა, აუცილებელია თექვსმეტი წევრის არსებობა, რომლებიც აირჩევიან კენჭისყრით იმ მოქალაქეთა სიიდან, რომელთაც აქვთ აუცილებელი კვალიფიკაცია სენატში ასარჩევად. ამ სიას პარლამენტი ამზადებს ცხრა წელიწადში ერთხელ კენჭისყრის გზით და ამისათვის იყენებს ჩვეულებრივი მოსამართლეების დანიშვნისას მოქმედ პროცედურებს.

<sup>33</sup> Celotto, A. "Rappresentanza e Corte costituzionale." *Rappresentanza politica, gruppi di pressione, élites al potere, Atti del Convegno di Caserta, 6-7 maggio 2005*. Ed. L. Chieffi. Torino: Giappichelli, 2006:179 ss.

<sup>34</sup> ასევე არაპოლიტიკური უფლებამოსილი ორგანოები და პირები.

<sup>35</sup> "Lottizzazione" – არის იტალიური პოლიტიკური ტრადიცია, რომლის თანახმად, პოლიტიკური პარტიების წონასწორობა ერთნაირი უნდა იყოს პარლამენტსა და საკონსტიტუციო სასამართლოში. რაც კონკრეტულად ნიშნავს, რომ, როდესაც

იტალიაში სასამართლოს დამოუკიდებლობა შეხედულებების კონსოლიდაციით აღინიშნება: მისი გადაწყვეტილებები განიხილება „ხელმოუწერლად და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე, რაც პარტიული კუთვნილების დადგენას ძალზე ართულებს“<sup>36</sup>.

თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 2004 წელს პარლამენტმა განიხილა რეფორმის პროექტი n. 4862<sup>37</sup>, რომლის მე-40 მუხლი ითვალისწინებს ცვლილებას სასამართლოს ჩვეულებრივ შემადგენლობაში: ერთი მხრივ, წამოყენებული იყო წინადადება როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის, ასევე ჩვეულებრივი და ადმინისტრაციული უმაღლესი სასამართლოების დანიშნულ მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების შესახებ (ხუთიდან ოთხამდე) და, მეორე მხრივ, საპარლამენტო ნომინაციების გაზრდის შესახებ (ხუთიდან შვიდამდე). ეს უკანასკნელი ნომინაციები უნდა დაევალოს ფედერალურ სენატს, ინტეგრირებულს რეგიონებისა და ავტონომიური პროვინციების პრეზიდენტებთან. ეს წინადადება გაკრიტიკებული იქნა ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ ეს რეფორმა ამცირებს იმ მოსამართლეთა რაოდენობას, რომლებიც არ არიან არჩეული პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით და მეორე, ის ანიჭებს ფედერალურ სენატს (და არა პარლამენტის ერთობლივ სხდომას) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის დასახელების უფლებამოსილებას, რითაც რეფორმის პროექტი წარმოაჩენს იდეას საკონსტიტუციო სასამართლოში „ფედერალური ფაქტორის“ შეტანის შესახებ, რაც რადიკალურად ცვლის ამ ორგანოს ბუნებას (რომლის მიხედვითაც იგულისხმება, რომ მიუკერძოებელი უნდა იყოს). ამ პოზიციის თანახმად, სასამართლოს ახალი შემადგენლობა შეძლებდა ძირეულად შეეცვალა ამ ორგანოს ხასიათი. ეს განსაკუთრებით ეხება მის, როგორც არბიტრის როლს სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში<sup>38</sup>.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს შერჩევის პროცედურას. მართალია, ეს არის სასამართლო, რომელიც მოქმედებს საერთო სამართლის/პრეცედენტული სამართლის ტრადიციის ქვეყანაში, მისი შექმნის უპირველესი არგუმენტაცია ის იყო, რომ გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო პარლამენტიდან გამოეყო და ამით უზრუნველყო უფლებამოსილებათა მკაფიო ოფიციალური გამიჯვნა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოში დანიშვნის პროცესი მნიშვნელოვნად არის ფოკუსირებული ჩვეულებრივი პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაზე. საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის 27-ე მუხლის თანახმად, კანდიდატებს შეარჩევს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დამნიშნელი კომისია, რომელიც შედგება სასამართლოს თავმჯდო-

მოსამართლე თანამდებობას ტოვებს და პარლამენტის პოლიტიკური წონასწორობა უცვლელია (ანუ შესაბამისი პოლიტიკურ პარტიას უმრავლესობა აქვს), მომდევნო მოსამართლის კანდიდატურა იმავე პოლიტიკურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს, რომელმაც წინა კანდიდატი დაასახელა.

<sup>36</sup> მ. ვოლკანსეკი, „პოლიტიკური ძალაუფლება და სასამართლო კონტროლი იტალიაში“. შედარებითი პოლიტიკური კვლევები 26 (1994): 492.

Volcansek, M. "Political Power and Judicial Review in Italy." *Comparative political studies* 26 (1994): 492.

<sup>37</sup> Atti Parlamentari, XIV Legislatura, Camera dei deputati, იტალიის კონსტიტუციის II ნაწილის საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ წინადადება (*Disegno di legge costituzionale recante "Modifiche di articoli della Parte II della Costituzione"*), რომელსაც ხელს აწერენ ბერლუსკონი, ფინი და სხვები, პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გადაცემულია 2004 წლის 30 მარტს, ბეჭდვის # 2544.

<sup>38</sup> Caretti, P. De Siervo, U. *Istituzioni di diritto pubblico* Torino: Giappichelli Editore, 2004: 381.

მარისგან, თავმჯდომარის მოადგილისგან და რეგიონული მოსამართლეების დანიშვნაზე პასუხისმგებელი ორგანოების თითო წარმომადგენლისგან (ინგლისი და უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია). ამ სამი წევრიდან მხოლოდ ერთი უნდა იყოს არაპროფესიონალი. ეს სპეციალური კომისია ირჩევს ერთ კანდიდატურას, რომელიც ლორდ-კანცლერთან იგზავნება და რომელსაც შეზღუდული უფლება აქვს საიმისოდ, რომ დაიწუნოს აღნიშნული კანდიდატურა ან მოსთხოვოს კომისიას გადაწყვეტილების შეცვლა. პრემიერ-მინისტრის როლი ამჟამად შუამავლამდეა დაყვანილი, რომელიც ლორდ-კანცლერის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას დედოფალს გადასცემს დანიშვნის მიზნით<sup>39</sup>. საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ აქტის 27-ე მუხლი განმარტავს, შერჩევა უნდა იყოს „დამსახურების მიხედვით“ და „სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის მიზნით არჩევანის გაკეთების დროს კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება გაერთიანებული სამეფოს ყველა ნაწილის სამართალთან მიმართებაში“.

## VI. განსხვავებული და თანმხვედრი აზრები

ბოლო ასპექტი, რომელიც რამდენიმე საინტერესო სტიმულის გამო ხელს უწყობს მართლმსაჯულებისა და პოლიტიკის ურთიერთობის მიმოხილვას, არის განსხვავებული და თანმხვედრი აზრების გამოქვეყნების შესაძლებლობა. ეს გარემოება, რომელიც შეიძლება აშკარად უკავშირდება პრეცედენტის ანალიზს, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მართლმსაჯულებისა და პოლიტიკის ურთიერთობაზე მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის შესაძლო გავლენის გამოსავლენად. როგორც ვიცით, კონტინენტური ევროპის სასამართლოები, გერმანიის გამოკლებით, კოლეგიალურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის კონკრეტულ საშუალებას წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, საერთო სამართლის სასამართლოები მშვიდობიანად იღებენ განსხვავებულ და თანმხვედრ აზრებს. ეს ელემენტი ხაზს უსვამს თითოეული მოსამართლის ინდივიდუალობას, იძლევა მოსამართლეთა პოზიციებზე ყურადღების გამახვილების და მათი პოლიტიკური ლოიალობის დადასტურების საშუალებას. აშშ-ში მოსამართლეთა გადაწყვეტილებების და შეხედულებების გამჭვირვალობა ხშირად ერთმანეთის საპირისპირო ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიური მიმართულებების გამოვლენის იარაღია. ამ კონტექსტში უპრიანი აგავისხენოთ აშშ-ის მაგალითი: აშშ-ის უკანასკნელი უზენაესი სასამართლოს ვადა, რომელიც ივნისში დასრულდა, ყველაზე ქარიშხლიანი იყო უახლეს ისტორიაში, ვინაიდან ხუთი ოთხის წინააღმდეგ, იდეოლოგიურ საფუძველზე, უფრო მეტი გადაწყვეტილება იყო მიღებული, ვიდრე სასამართლოს ისტორიის ნებისმიერ სხვა მომენტში. უზენაესი სასამართლოს იურიდიული მოხელეების წრეში გავრცელებულ ჭორებს თუ დავუჯერებთ, მოსამართლეებს შორის დაძაბულობა უფრო

<sup>39</sup> კ. მელსონი, „უზენაესი საბჭოს ევოლუციური როლი“, საჯარო სამართალი(2011): 43. (Maleson, K. "The evolving role of the Supreme Court" *Public Law* (2011): 43.)

ძლიერია, ვიდრე ეს 2000 წელს იყო საქმეზე „ბუში გორის წინააღმდეგ“. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებიდან მოკლე ხანში ჯონ ჯ. რობერტ უმცროსმა 2005 წელს საჯაროდ განაცხადა, რომ ის შეეცდებოდა, სასამართლოში ერთსულოვნებისა და კოლეგიალურობისთვის შეეწყო ხელი. თანამდებობაზე ყოფნის პირველი თვეების განმავლობაში სასამართლომ მოახერხა მისი ამ მიზნის მიღწევა და გამოსცა აზრების სერია 9 ნოლის წინააღმდეგ. მაგრამ ჰარმონიის ხანმოკლე პერიოდი უცებ დასრულდა, პროცენტული თანაფარდობა 5 გადაწყვეტილება 4 გადაწყვეტილების წინააღმდეგ, როდესაც ოთხი ლიბერალი ერთად გამოხატავდა განსხვავებულ აზრს, 80 პროცენტამდე გაიზარდა 2004 წლის 55%-თან შედარებით. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში სასამართლო პოლარიზებული გახდება და იქ გავლენიანი კონსერვატიული ბლოკი და საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ლიბერალური ბლოკი იქნებიან. მოსამართლე სტივენსი, ყველაზე მცოცხანი და ალბათ ყველაზე ლიბერალი მოსამართლე, თავს ოპოზიციის ლიდერად მიიჩნევს<sup>40</sup>.

თუმცა აშშ-ის მაგალითი არ არის ყველაზე ტიპური შესაძლო ვარიანტებიდან, რადგან განსხვავებული და თანმხვედრი აზრების არსებობა ყოველთვის არ იწვევს დაყოფას და დანაწევრებას. მაგალითად, გერმანიაში, სადაც მიღებულია განსხვავებული აზრები, ახლახან გადაწყვეტილებათა მხოლოდ 9% იყო მიღებული ხმათა უმრავლესობით. თუმცა გადაწყვეტილებებს ნამდვილად ხშირად იღებდნენ ერთხმად. გასაგებია, რომ სასამართლოს პრესტიჟი ამით იზრდებოდა და იყო სრული გამჭვირვალობა, რომელიც სასამართლოს ლეგიტიმურობას ანიჭებს. მეორე მხრივ, იტალიასა და საფრანგეთში განსხვავებული აზრების არარსებობა ხელს უწყობს ისეთი სასამართლოების შექმნას, რომელთა გაგება და პოლიტიკურ სქემაში კლასიფიცირება რთულია<sup>41</sup>. ამჟამად განსხვავებული აზრების არარსებობას შეუძლია გააუარესოს ურთიერთობა ინსტიტუტებს შორის და გაართულოს პირდაპირი ურთიერთობა ხალხთან.

## VII. დასკვნები

ჩვენმა ანალიზმა გვაჩვენა, თუ რამდენად მყარად არის დაკავშირებული საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა „ინსტიტუციური წონასწორობის“ მარეგულირებელ წესებთან. სასამართლოების სტრუქტურის კარგ ცოდნას შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს მათი ფუნქციონირების შესახებ. ამ თვალსაზრისით ჩვენ განვიხილეთ ექვსი „სტრუქტურული“ ელემენტი (სამართლებრივი წყაროები, მოსამართლეთა რაოდენობა, პროფესიული მოთხოვნები, დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგა-

<sup>40</sup> ჯ.როზენი „განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე ჯონ პოლ სტივენსი“. 2007 წლის 23 სექტემბერი. <<http://www.nytimes.com/>>. (Rosen, J. "The Dissenter, Justice John Paul Stevens." 23 Sept. 2007 <<http://www.nytimes.com/>>.)

<sup>41</sup> Celotto, A. "Rappresentanza e Corte costituzionale." cit., (34?).

ნოები, განსხვავებული და თანმხვედრი აზრები), რაც ავლენს იმ მნიშვნელობას, რომელსაც თითოეული ქვეყანა ანიჭებს სასამართლოს დამოუკიდებლობას ან პირიქით, სასამართლოს ანგარიშვალდებულებას.

ამ ელემენტებიდან პირველის ანალიზმა აჩვენა, რომ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოებისთვის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები ძირითადად ფუნდამენტური კანონების პრეროგატივაა. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი მხრივ, კონსტიტუცია ხაზს უსვამს ამ სასამართლოების განსაკუთრებულ სტატუსს, მეორე მხრივ კი, ამის მიზანია, მოხდეს კონსტიტუციის ფარგლებში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური კომპრომისი. აშშ-ში არსებული მდგომარეობის გამოკლებით, საკონსტიტუციო რეგულირება ნაკლებად ხასიათდება კანდიდატების დანიშვნასთან დაკავშირებული არაფორმალური პრაქტიკის სათანადო გამჭვირვალობით. ეს განაპირობებს პოლიტიკური უწყებების მოქმედების მეტ თავისუფლებას მოსამართლეთა დანიშვნისას, ასევე პოლიტიკის მეტ გავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაზე.

მეორე სტრუქტურული ელემენტი, რომელიც მოსამართლეების რაოდენობას უკავშირდება, იმაზე მიუთითებს, რომ, მაშინ როდესაც იტალია და გერმანია (აგრეთვე გაერთიანებული სამეფო) დიდ სასამართლოებს ირჩევენ, საფრანგეთი და აშშ მომცროს სასამართლოებს ამჯობინებენ. პირველი ვარიანტი გამართლებულია დამოუკიდებელი და დაბალანსებული გადაწყვეტილებებისკენ სწრაფვით, რომლებიც სავსებით თავისუფალია პოლიტიკური გავლენებისგან, მეორე ვარიანტი კი ტიპურია ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც მისაღებად მიიჩნევს სასამართლოს შიგნით იდეოლოგიური პოზიციების არსებობას.


მესამე ელემენტი, რომელიც გაანალიზდა, იყო პროფესიონალური მოთხოვნები მოსამართლედ დანიშვნისთვის. იტალიაში, გერმანიაში და გაერთიანებულ სამეფოში შესაბამისი კონსტიტუციები ითვალისწინებს მკაცრ პროფესიონალურ შესარჩევ კრიტერიუმებს. ეს შეესაბამება მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მაქსიმალური პროფესიონალური სტანდარტი. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ, როდესაც პროფესიონალური მოთხოვნები დაკონკრეტებულია, სათანადო უფლებამოსილი პირების პოლიტიკური თავისუფალი ნების ხარისხი უფრო დაბალი იქნება (ხოლო მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხი უფრო მაღალი). მართლაც, უფლებამოსილი ორგანოები და პირები (ხშირად პოლიტიკური ნიშნების მქონე), რომლებსაც მოსამართლეთა დანიშვნა აკისრიათ, კანდიდატებს სუბიექტური ან იდეოლოგიური კრიტერიუმების თანახმად კი არ არჩევენ, არამედ მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (რომლებიც პოლიტიკური შეფასებებისგან თავისუფალია და კონცენტრირებულია ღირსებებზე). სიტუაცია სრულიად განსხვავებულია საფრანგეთში, სადაც სპეციალური კვალიფიკაცია არ არის საჭირო დანიშვნისთვის, იურისტის ხარისხიც კი არ არის სავალდებულო<sup>42</sup>. როგორც ვხედავთ, ეს ფაქტები გვიბიძგებს, განვიხილოთ სასამართლო

<sup>42</sup> უისკარ დესტენის პრეზიდენტობის ხანიდან წამოვიდა ტენდენცია, რომ დაენიშნათ იურიდიული გამოცდილების მქონე კანდიდატები, თუმცა მიტერანი პირადი ლოიალურობის ტრადიციულ სტანდარტებს ეყრდნობოდა. იხ. ციტატა: ა.სტონი, მართლმსაჯულებრივი პოლიტიკის დაბადება საფრანგეთში, საკონსტიტუციო საბჭო შედარებით... პერსპექტივაში (Stone, A. *The Birth of Judicial politics in France, the constitutional Council in comparative prospective*, cit.)

როგორც პოლიტიკური ძალაუფლების დანამატი. მართლაც, უფლებამოსილი ორგანოების მოქმედების თავისუფლებას მოსამართლეთა დანიშვნის დროს ორი შედეგი მოჰყვება: სასამართლოს წევრებს უმეტესად საჯარო სამსახურის პროფესიული გამოცდილება აქვთ და მათი პოლიტიკური წარსული აღმასრულებელ ან საკანონმდებლო შტოს უკავშირდება. აშშ-ის შემთხვევაში ამ სიტუაციას სხვა სპეციფიკური ასპექტებიც აქვს, რომლებიც დემოგრაფიული, სექსუალური და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იდეოლოგიური კრიტერიუმებიდან გამომდინარეობს. მათი ამოცანაა ისეთი მოსამართლის მოძებნა, რომელიც დააკმაყოფილებს არა მარტო მაღალ პროფესიულ სტანდარტებს, არამედ მაღალ „წარმომადგენლობით“ სტანდარტებსაც. აშშ-ში, სადაც აღიარებულია სასამართლოს პოლიტიკური ძალაუფლება, პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას, არამედ ისეთი სასამართლოსი, რომელსაც ამერიკელი ხალხის სხვადასხვა მისწრაფება შეუძლია წარმოადგინოს.

რაც შეეხება მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს, ჩვეულებრივ, სახელმწიფოები გრძელვადიან ვადებს აწესებენ ხელახალი დანიშვნის უფლების გარეშე, რათა ალკვე-თონ პოლიტიკური ჰომოგენურობა წარმომადგენლობით ორგანოებთან. ეს განსაკუთრებით ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს და გაერთიანებულ სამეფოს, სადაც მოსამართლეებს თანამდებობა სამუდამოდ უკავიათ.

მეხუთე (და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი) ელემენტი, რომელიც გაანალიზდა, ეხება მოსამართლეთა დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოების ტიპოლოგიას. ამ ნაწილში ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ მოსამართლეების შერჩევის პროცედურები არის ის წერტილი, სადაც მართლმსაჯულება და პოლიტიკა იკვეთებიან. მართლაც, ქვეყნების უმრავლესობაში საკონსტიტუციო მოსამართლეები ინიშნებიან პოლიტიკური პროცედურის საფუძველზე, საკითხავი კი ის არის, როგორია ამგვარი პოლიტიზირების რეალური ხარისხი. აღნიშნული ელემენტის შეფასების მცდელობისას ჩვენ საფრანგეთი და იტალია, შესაბამისად, პირველ და ბოლო ადგილზე მოვათავსეთ. როგორც ჩანს, მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა საფრანგეთში კვლავაც ზედმეტადაა პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ, მაშინ როდესაც იტალიური პროცედურები გარკვეულწილად „მეტყველებს“ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე (რაც იმის წყალობით ხდება, რომ დანიშვნის პროცედურებში მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოები არიან ჩართული). შუაში არიან გერმანია და გაერთიანებული სამეფო, სადაც მოსამართლეებს ირჩევენ უფრო „დემოკრატიული“ და „მიუკერძოებელი“ მეთოდებით (რომლებშიც მონაწილეობენ პარლამენტის ორივე პალატა და მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი კომისიები). თუმცა ჩვენ შუაში ვხედავთ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც მოსამართლეების შერჩევის პროცედურები დაბალანსებულია გამჭვირვალობის და თანამშრომლობის მაღალი ხარისხით.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩვენ შევიტანთ ლურჯ და წითელ ელემენტებს, რომლებიც, შესაბამისად, ანგარიშვალდებულებას და დამოუკიდებლობას შეიძლება დავუკავშიროთ.

|               | სამართლებრივი წყაროები                        | რაოდ. | პროფესიული მოთხოვნები                                                      | თანამდ. ყოფნის ვადა    | უფლებამოსილი ორგანოები                                           | განსხვ. და თანმხვ. აზრები |
|---------------|-----------------------------------------------|-------|----------------------------------------------------------------------------|------------------------|------------------------------------------------------------------|---------------------------|
| საფრან.       | კონსტ. მუხლი 56                               | 9     | /                                                                          | 9 წელი, არ განახლდება  | 3 – რესპ. პრეზ.<br>3 – სენატის თავმჯ.<br>3 – ნაც. ასამბ. თავმჯდ. | არა                       |
| იტალია        | კონსტ. მუხლი 135                              | 15    | 1 – უმაღ. სასამ.<br>2 – უნივ. პროფ.<br>3 – იურისტი<br>20 წ. (მუხლი 135(2)) | 9 წელი, არ განახლდება  | 5 – რესპ. პრეზ.<br>5 – პარლამ.<br>5 – მაგისტრ.                   | არა                       |
| გერმანია      | მუხლ. 93-100<br>LF + sez. 3-10<br>St. C       | 16    | – 3 მოსა-მართლე (უმაღ. ფედ. სას.)<br>– იურისტები                           | 12 წელი, არ განახლდება | ბუნდესტაგი<br>ბუნდესტრატი (2/3)                                  | კი                        |
| აშშ           | კონსტ. მუხლი II, პ. 2                         | 9     | კრიტერ. დამყ. დანიშვნა, გამჭვირვალობა                                      | სამუდამო               | აშშ-ის პრეზიდ. + სენატი                                          | კი                        |
| გაერტ. სამეფო | აქტი საკონსტ. რეფ. შესახებ, კარი III, მუხ. 23 |       | – მაღალი თანამდ. სასამართლ. – 2 წ.<br>– იურიდიული პრაქტიკა – 2 წ.          | სამუდამო (70 წლამდე)   | მოსამ. დამნიშვნ. კომისია<br>ლორდ-კან-ცლერი                       | კი                        |

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვემოთ მოცემული ცხრილი ადასტურებს, რომ საფრანგეთში ანგარიშვალდებულების სასარგებლო ელემენტების ყველაზე დიდი რაოდენობაა, ხოლო იტალიაში – დამოუკიდებლობის ელემენტებისა. ასევე ყურადღება გავამახვილეთ გამჭვირვალობაზე, რომელიც აშშ-ისთვისაა დამახასიათებელი. ამ უკანასკნელ ელემენტს შეუძლია დააბალანსოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურების პოლიტიზირება (ელემენტი, რომელიც საფრანგეთს მოსწონს).

|               | დამოუკიდებლობა | ანგარიშვალდებულება | გამჭვირვალობა |
|---------------|----------------|--------------------|---------------|
| საფრანგეთი    | 1              | 4                  |               |
| იტალია        | 5              |                    |               |
| ბერმანია      | 4              | 1                  |               |
| აშშ           | 1              | 3                  | 1             |
| გაერო. სამეფო | 4              | 1                  |               |

ბოლო კითხვა, რომელიც ბუნებრივად ჩნდება ამ ნაშრომის საფუძველზე, არის შემდეგი: შესაძლებელია თუ არა, გამოიძებნოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის „საუკეთესო“ გზა? რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების ამ ორგანოების მზარდი როლი სულ უფრო მეტ პრობლემას აჩენს მათი ლეგიტიმურობის კუთხით: მოსამართლეების დაქირავების პროცესი, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას, თეორიულად საუკეთესო გზაა პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ პრაქტიკაში არ არსებობს შერჩევის „საუკეთესო“ სისტემა. შეგვიძლია ჩვენს თავს ვკითხოთ, რომელია მოსამართლეების შერჩევის საუკეთესო მეთოდი – მერიტოკრატიული თუ პოლიტიკური? ჩვენი აზრით, პასუხი არის არა ერთ-ერთი მათგანი, არამედ ორივე. ვფიქრობთ, რომ სწორი პასუხის მოსაძებნად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ ხელისუფლების რომელი ფორმაა ჩართული. მოკლედ, შერჩევის საუკეთესო სისტემა უნდა ათვითცნობიერებდეს სასამართლოს მოწყობის როლს ძალაუფლების დაბალანსების საქმეში. შესაბამისად, იტალიაში მართლმსაჯულების რეფორმასთან დაკავშირებით მიმდინარე დებატებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ან ანგარიშვალდებულებაზე გავლენის მოხდენის ან მათი მოდიფიცირების მცდელობა იურიდიული რეფორმის გზით (რაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურასაც მოიცავს), უნდა დაუპირისპირდეს საკონსტიტუციო წყობის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ბურჯს და, უპირველეს ყოვლისა, იმ წესებს, რომლებითაც იმართება სხვადასხვა ძალაუფლების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მთავრობის ფორმა.

## დანართი

### იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა (ცხრილი #1)<sup>43</sup>

|                   | დანიშვნა               | განათლება | პროფესიული გამოცდილება                                                | პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გამოცდილება                                   |
|-------------------|------------------------|-----------|-----------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|
| ლატანცი (2010)    | საკასაციო სასამართლო   | სამართალი | ჩვეულებრივი მაგისტრეტი, ხანგრძლივი გამოცდილება საკასაციო სასამართლოში |                                                                             |
| ფინოკიარო (2002)  | “                      | “         | ჩვეულებრივი მაგისტრეტი                                                |                                                                             |
| კრისკულო (2008)   | “                      | “         | “                                                                     | მოსამართლეთა ასოციაცია (თავმჯდომარე), მოსამართლეთა უმაღლესი საბჭო (1990-94) |
| მადალენა (2002)   | სააღრიცხვო სასამართლო  | “         | სააღრიცხვო მაგისტრეტი                                                 | მინისტრთა კაბინეტები                                                        |
| კვარანტა (2004)   | სახელმწიფო საბჭო       | “         | ადმინისტრაციული მოსამართლე                                            | მინისტრთა კაბინეტები                                                        |
| გალო (2004)       | რესპუბლიკის პრეზიდენტი | “         | უნივერსიტეტი, ფისკალური სამართალი                                     | ფინანსთა მინისტრი (კიამპი)                                                  |
| კასეზე (2005)     | “                      | “         | უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული სამართალი                               | მინისტრი (სახელმწიფოს მართვა) (კიამპი)                                      |
| საულე (2005)      | “                      | “         | უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართალი                                  |                                                                             |
| ტესაურო (2005)    | “                      | “         | უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართალი                                  | ანტისატრასტო უწყება (თავმჯდომარე)                                           |
| გროსი (2009)      | “                      | “         | უნივერსიტეტი, იტალიური სამართლის ისტორია                              |                                                                             |
| დე სიევრო (2002)  | პარლამენტი             | “         | უნივერსიტეტი, საკონსტიტუციო სამართალი                                 | მემარცხენე, პრივატულობის დაცვის უწყება (წევრი)                              |
| მაცელა (2005)     | “                      | “         | სახელმწიფო პროკურორი                                                  | მემარჯვენე, მინისტრი (სახელმწიფოს მართვა) (ბერლუსკონი) მინისტრთა კაბინეტები |
| სილვესტრი (2005)  | “                      | “         | უნივერსიტეტი, საკონსტიტუციო სამართალი                                 | მემარცხენე, მოსამართლეთა უმაღლესი საბჭო (1990-94)                           |
| ნაპოლიტანო (2006) | “                      | “         | ადმინისტრაციული მოსამართლე                                            | მემარჯვენე, მინისტრთა კაბინეტები                                            |
| ფრიგო (2008)      | “                      | “         | სისხლის სამართლის ადვოკატი                                            | მემარჯვენე, სისხლის სამართლის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე              |

<sup>43</sup> 2011 წლის მარტი <http://www.corteconstituzionale.it/actionCollegio.do>. უგო დე სიევრო სასამართლოდან 2011 წლის აპრილში წავიდა, პაოლო მადალენამ მუშაობა თავის თანამდებობაზე 2011 წლის ივლისში დაასრულა. 2011 წლის სექტემბერში მარტა კარტაბია დაინიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გარდაცვლილი ანა მარია საულეს ადგილას.

## გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა<sup>44</sup> (ცხრილი #2)

|                             | დანიშვნა           | განათლება                                                        | პროფესიული გამოცდილება                | პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გამოცდილება                                      |
|-----------------------------|--------------------|------------------------------------------------------------------|---------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|
| ფერდინანდ კირკპოფი          | NA, პირველი სენატი | იურ. დოქტორი (ჰაიდელბერგი), სამართალი                            | უნივერსიტეტის პროფესორი, მოსამართლე   |                                                                                |
| კრისტიანე ჰოფმან-დენ-ჰარდტი | “                  | იურ. დოქტორი (იოჰან-ვოლფგანგ-გოეთეს უნივერსიტეტი), სამართალი     | უნივერსიტეტის პროფესორი და მოსამართლე | მაინის ფრანკფურტის სოციალურ საკითხთა დეპარტ. თავმჯდ.; ჰესეს იუსტიციის მინისტრი |
| ბრუნ-ოტო ბრაიდი             | “                  | იურ. დოქტორი (ჰამბურგი), სამართალი                               | საჯარო სამართლის პროფესორი            |                                                                                |
| რეინჰარდ გაიერი             | “                  | იურ. დოქტორი (დრეზდენი), სამართალი                               | მოსამართლე                            |                                                                                |
| მიკაელ აიხ-ბერგერი          | “                  | იურ. დოქტორი (მაინცი), სამართალი                                 | მოსამართლე                            | ბადენ-ფიურტემბერგის მინისტრთა კაბინეტი                                         |
| ვილჰელმ შლუკებიერი          | “                  | სამართალი (Justus-Liebig-Universität Gießen)                     | მოსამართლე                            | ფედერალური კანცელარია (იუსტ. და ადმინისტრაციის დეპარტამენტი)                   |
| იოჰანეს მაზინგი             | “                  | იურ. დოქტორი (ფრაიბურგი), სამართალი და ფილოსოფია                 | პროფესორი                             |                                                                                |
| ანდრეას ლ. პაულუსი          | “                  | იურ. დოქტორი (მიუნჰენი), სამართალი                               | პროფესორი                             |                                                                                |
| ანდრეას ფოსკუპლე            | NA, მეორე სენატი   | იურ. დოქტორი (Ludwigs-Maximilians-Universität Munich), სამართალი | პროფესორი                             | ბავარიის შსს-ს რეფერენტი                                                       |
| ზიგფრიდ ბროსი               | “                  | იურ. დოქტორი (მიუნჰენი)                                          | პროფესორი                             | ბავარიის სახელმწ. კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი                           |
| ლერკე ოსტერლოჰი             | “                  | იურ. დოქტორი საჯარო ფინანსების სამართლის ინსტიტუტი (ჰამბურგი)    | პროფესორი                             |                                                                                |
| უდო დი ფაბიო                | “                  | იურ. დოქტორი (ბონი), სამართალი                                   | მოსამართლე და პროფესორი               | მუნიციპალური ადმინისტრაციის მოხელე                                             |

<sup>44</sup> 2011 წლის მარტი <http://www.bundesverfassungsgericht.de/en/judges.html>.

|                      |   |                                                        |            |                             |
|----------------------|---|--------------------------------------------------------|------------|-----------------------------|
| რუდოლფ მელინგჰოფი    | “ | სწავლობდა მიუნსტერის უნივერსიტეტში                     | მოსამართლე |                             |
| გერტრუდე ლიუბე-ვოლფი | “ | იურ. დოქტორი (ფრაიბურგი)                               |            |                             |
| მიკაელ გერპარდტი     | “ | იურ. დოქტორი                                           | მოსამართლე | ბავარიის შს მინისტრი        |
| ჰერბერტ ლანდაუ       | “ | სწავლობდა სამართალს (Justus-Liebig-Universität Gießen) | მოსამართლე | იუსტიციის ფედერ. სამინისტრო |

საფრანგეთის *Conseil Constitutionnel*-ის შემადგენლობა<sup>45</sup> (ცხრილი #3)

|                          | დანიშვნა                          | განათლება                                | პროფესიული გამოცდილება*                                   | პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გამოცდილება** |
|--------------------------|-----------------------------------|------------------------------------------|-----------------------------------------------------------|---------------------------------------------|
| დებრე (2007)             | რესპუბლიკის პრეზიდენტი            | პოლიტიკური მეცნ., პარიზი, სამართალი      | ჩვეულებრივი მაგისტრატა                                    | მოადგ., მინისტრი, ნაც. ასამბ. სპიკერი       |
| სტიანმეცი (2004)         | რესპუბლიკის პრეზიდენტი            | პოლიტიკური მეცნ., პარიზი, ENA            | პრეფექტი                                                  | მინისტრთა კაბინეტები                        |
| გვილენშმიდტი (2004)      | სენატის თავმჯდომარე               | პოლიტიკური მეცნ., პარიზი, სამართალი      | ჩვეულებრივი მაგისტრატა                                    | მინისტრთა კაბინეტები                        |
| დენო დე სენ მარკი (2007) | სენატის თავმჯდომარე               | პოლიტიკური მეცნ., პარიზი, სამართალი, ENA | სახელმწიფო საბჭო (თავმჯდომარის მოადგილე)                  | მინისტრთა კაბინეტები                        |
| კანივე (2007)            | ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარე | სამართალი, ENM                           | ჩვეულებრივი მაგისტრატა, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე |                                             |
| მიშელ შარასი (2010)      | რესპუბლიკის პრეზიდენტი            | ხარისხი იურისპრუდენციაში                 | პოლიტიკოსი                                                | მინისტრთა კაბინეტი, სენატის წევრი           |
| ჰიუბერ ჰანე (2010)       | სენატის თავმჯდომარე               | სამართალი, ENM                           | ადმინისტრაციული მაგისტრატა, უნივერსიტეტის პროფესორი       | სხვადასხვა სამთ. კომისიის წევრი             |
| ჟაკ ბარო (2010)          | ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარე | პოლიტიკური მეცნიერებები                  | ეროვნული და ევროპული მასშტაბის პოლიტიკოსი                 | მინისტრთა კაბინეტი, პარლამენტის წევრი       |
| კლერ ბაზი-მალორი (2010)  | ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარე | პოლიტიკური მეცნიერებები                  | ადმინისტრაციული ფუნქციები                                 | სახელმწიფო სამსახური                        |

<sup>45</sup> 2011 წლის მარტი [www.conseil-constitutionnel.fr](http://www.conseil-constitutionnel.fr).

\* სასამართლოებში, ადვოკატად, უნივერსიტეტებში...

\*\* მინისტრთა კაბინეტი და/ან სხვა უმაღლესი რანგის ადმინისტრაციული სამსახური.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა<sup>46</sup> (ცხრილი #4)

|                            | დანიშვნა     | განათლება                                          | პროფესიული გამოცდილება*                                                  | პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გამოცდილება                                  |
|----------------------------|--------------|----------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|
| ჯონ ჯ. რობერტსი (2005)     | ჯორჯ უ. ბუში | სამართლის დოქტორი, ჰარვარდის სამართლის სკოლა, 1979 | იურიდიული მოხელე, აშშ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კოლუმბიის ოლქში  | აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, ლონალდ რეიგანის ასოცირებული მრჩეველი           |
| ანტონინ სკალია (1986)      | რეიგანი      | სამართლის ბაკალავრი, ჰარვარდის სამართლის სკოლა     | პროფესორი, აშშ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კოლუმბიის ოლქში         |                                                                            |
| ენტონი მ. კენედი (1988)    | რეიგანი      | სამართლის ბაკალავრი, ჰარვარდის სამართლის სკოლა     | საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი, სააპელ. სასამართლოს მოსამართლე        |                                                                            |
| კლარენს თომასი (1991)      | ბუში         | სამართლის დოქტორი, იელის სამართლის სკოლა           | ადვოკატი, აშშ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კოლუმბიის ოლქში          | აშშ-ის დასაქმებაში თანასწორ შესაძლებლობათა კომისიის თავმჯდ.                |
| რუთ ბადერ გინსბურგი (1993) | კლინტონი     | სამართლის ბაკალავრი, კოლუმბიის სამართლის სკოლა     | სამართლის პროფესორი, აშშ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კოლუმბ. ოლქში |                                                                            |
| სტივენ ჯ. ბრეიერი (1994)   | კლინტონი     | სამართლის დოქტორი, ჰარვარდის სამართლის სკოლა       | სამართლის პროფესორი, მოსამართლე                                          | აშშ მოსამართლეთა კონფერენციის წევრი                                        |
| სემუელ ენთონი ალიტო (2006) | ჯორჯ უ. ბუში | NA                                                 | მოსამართლე, ადვოკატი                                                     |                                                                            |
| შონია სოტო-მაიორი (2009)   | ბარაკ ობამა  | სამართლის დოქტორი, იელის სამართლის სკოლა           | ადვოკატი, მოსამართლე                                                     |                                                                            |
| ელენა კაგანი (2010)        | obama        | სამართლის დოქტორი, ჰარვარდის სამართლის სკოლა       | იურიდიული მოხელე, პროფესორი                                              | აშშ-ის მთავარი პროკურორის საშინაო პოლიტიკის საკითხებში ასისტენტის მოადგილე |

<sup>46</sup> <http://www.supremecourt.gov/about/biographies.aspx>.

\* სასამართლოებში, ადვოკატად, უნივერსიტეტებში...

გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა<sup>47</sup> (ცხრილი #5)

|                                      | დანიშვნა                                  | განათლება                                            | პროფესიული გამოცდილება                                            | პოლიტიკური ან ადმინისტრაციული გამოცდილება                                                                                                             |
|--------------------------------------|-------------------------------------------|------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ლორდი ფილიპსი                        | მოსამართ-<br>ლეთა დამნიშ-<br>ნავი კომისია | სამართალი                                            | მოსამართლე                                                        |                                                                                                                                                       |
| ლორდი ჰოუპი                          | “                                         | სამართალი, კემბრი-<br>ჯი, ედინბურგი                  | შოტლანდიის ადვოკატთა<br>კოლეგიის წევრი, მოსა-<br>მართლე           | დედოფლის ადვო-<br>კატი                                                                                                                                |
| ლორდი<br>სავილ<br>დე ნიუ-<br>დიგეიტი | “                                         | სამართალი, ოქს-<br>ფორდი                             | მოსამართლე                                                        | ვაჭრობისა და მრეწ-<br>ველობის დეპარტა-<br>მენტის კომიტეტის<br>თავმჯდომარე                                                                             |
| ლორდი<br>როჯერი                      | “                                         | სამართალი, გლა-<br>ზგო, ოქსფორდი                     | უნივერსიტეტი, მოსამართლე,<br>მთავარი პროკურორი                    |                                                                                                                                                       |
| ლორდი<br>უოკერი                      | “                                         | კემბრიჯი                                             | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>მოსამართლე                           |                                                                                                                                                       |
| ლედი<br>ჰეილი                        | “                                         | კემბრიჯი                                             | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>პროფესორი, მოსამართლე                | სამართლის კომისია                                                                                                                                     |
| ლორდი<br>ბრაუნი                      | “                                         | სამართალი, ოქს-<br>ფორდი                             | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>მოსამართლე                           | ლორდთა პალა-<br>ტის ევროკავშირის<br>შერჩეული კომიტე-<br>ტის ქვეკომიტეტ<br>“E”-ს (სამართალი<br>და ინსტიტუტები)<br>თავმჯდომარე 2005-<br>დან 2007 წლამდე |
| ლორდი<br>მენსი                       | “                                         | სამართალი, ოქს-<br>ფორდი                             | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>მოსამართლე                           |                                                                                                                                                       |
| ლორდი<br>კოლინსი                     | “                                         | სამართალი, კემბრი-<br>ჯი, კოლუმბია (აშშ)             | სოლისიტორი, მოსამართლე                                            |                                                                                                                                                       |
| ლორდი<br>კერი                        | “                                         | სამართალი, დედო-<br>ფლის უნივერსი-<br>ტეტი, ბელფასტი | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>გვირგვინის ადვოკატი, მოსა-<br>მართლე |                                                                                                                                                       |
| ლორდი<br>კლარკი                      | “                                         | სამართალი, საზლ-<br>ვაო და კომერ-<br>ციული           | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>მოსამართლე                           |                                                                                                                                                       |
| ჯონ<br>დიასონი                       | “                                         | სამართალი                                            | ადვოკატთა კოლეგიის წევრი,<br>უზენაესი სასამართლოს<br>მოსამართლე   |                                                                                                                                                       |

<sup>47</sup> <http://www.supremecourt.gov.uk/about/biographies.html>.

### საკონსტიტუციო სასამართლოების შედარებითი ანალიზი (ცხრილი #13)

|                                                                                  | საფრანგეთი                                                                                 | გერმანია                                                | იტალია                                                                 | გაერთიანებული სამეფო               | აშშ                     |
|----------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|------------------------------------|-------------------------|
| სახელწოდება                                                                      | <i>Counseil Constitutionnel</i>                                                            | <i>Bundersverfassungsgericht</i>                        | <i>Corte Costituzionale</i>                                            | <i>The Supreme Court</i>           | <i>US Supreme Court</i> |
| დაარსების თარიღი                                                                 | 1958                                                                                       | 1949                                                    | 1948                                                                   | 2005                               | 1787                    |
| მოსამართლეთა რაოდენობა                                                           | 9                                                                                          | 16                                                      | 15                                                                     | 12                                 | 9                       |
| ვადა                                                                             | 9 წელი                                                                                     | 12 წელი                                                 | 9 წელი                                                                 | სიცოცხლის განმავლობაში (70 წლამდე) | სიცოცხლის განმავლობაში  |
| დამნიშნავი უწყება                                                                | რესპუბლიკის პრეზიდენტი (3), სენატის თავმჯდომარე (3), ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარე (3) | Bundestag (8)<br>Bundesrat (8)                          | რესპუბლიკის პრეზიდენტი (5), პარლამენტი (5), უმაღლესი სასამართლოები (5) | მოსამართლეთა დამნიშნავი კომისია    | პრეზიდენტი და სენატი    |
| სასამართლო განხილვის პრაქტიკის სახე                                              | ცენტრალიზებული                                                                             | ცენტრალიზებული                                          | ცენტრალიზებული                                                         | დეცენტრალიზებული                   | დეცენტრალიზებული        |
| კონკრეტული განხილვა: არაპირდაპირი აპელირება ჩვეულებრივი სასამართლოების მეშვეობით | არა                                                                                        | კი                                                      | კი                                                                     | კი                                 | კი                      |
| აბსტრაქტული განხილვა: სახე                                                       | A priori                                                                                   | A posterior                                             | A posterior                                                            | არა                                | არა                     |
| დაწესებული ბეზი, რომელთაც შეუძლიათ აბსტრაქტული განხილვის ინიცირება               | რესპუბლიკის პრეზ., სენატისა და ასამბ. თავმჯდომარე, 60 სენატორი, 60 მოადგილე                | ფედერალური მთავრობა, რეგიონული მთავრობა, 1/3 ბუნდესტაგი | მთავრობა, რეგიონული მთავრობები                                         |                                    |                         |
| განსხვავებული/თანმხვედრი აზრი                                                    | არა                                                                                        | კი                                                      | არა                                                                    | კი                                 | კი                      |

ანიტა როდინა

# დროებითი ღონისძიების არსი და პრობლემური საკითხები ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

ანიტა როდინა\*

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
ლატვიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

## მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე სტატიაში ავტორი აანალიზებს ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს დროებითი ღონისძიების ინსტრუმენტის გამოყენების გამოცდილებას მოქალაქეთა საკონსტიტუციო სარჩელების განხილვისას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სტატიაში განხილულია სასამართლოს ის გადაწყვეტილებებიც, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოება არ ითვალისწინებს. ამგვარად, ეს ნაშრომი გვაძლევს პასუხს კითხვაზე, შეუძლია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს, შეაჩეროს საქმის განხილვა საერთო იურისდიქციის სასამართლოებში და საკანონმდებლო პროცედურები.

---

\* იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სამართლისა და პროცედურის ასისტენტ-პროფესორი, ლატვიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

## 1. თემის აქტუალობა

ერთ-ერთი საპროცედურო საკითხი – დროებითი ღონისძიება – საკონსტიტუციო სარჩელის განხილვას უკავშირდება. თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად ერევა პოლიტიკის შემუშავებაში. ეს ახალი ამბავი არ არის იმ ქვეყნებში, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ მოდელს მისდევნენ. თუკი აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის სუბიექტებს – პარლამენტს, დეპუტატთა განსაზღვრულ რაოდენობას, ქვეყნის პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლება აქვთ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, მაშინ სასამართლოც, პირდაპირ თუ ირიბად, შეიძლება ჩართული აღმოჩნდეს პოლიტიკურ პროცესებში. ლატვია გამონაკლისს არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში. პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთქმედების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, ინტერ ალია, დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით, მოსარჩელეთა მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ რთულ კითხვებზე უწევს პასუხის გაცემა, როცა ის საკანონმდებლო აქტებით მოუწესრიგებელ პროცედურულ საკითხებს განიხილავს, მაგალითად, აქვს თუ არა მას საერთო სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების უფლება. თუმცა ყველაზე რთული და პოლიტიკურად სენსიტიური საკითხი, რისი შესწავლაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოუხდა, გახლავთ სასამართლოს მიერ საკანონმდებლო პროცესის შეჩერების შესაძლებლობა. ეს საკითხი ძალზე აქტუალური გახდა 2012 წლის დასაწყისში ჩატარებული რეფერენდუმის დროს. რეფერენდუმი ტარდებოდა ლატვიური ენისთვის ერთადერთი ოფიციალური ენის სტატუსის შენარჩუნების გადასაწყვეტად. ამ „რეფერენდუმმა“ წამოსწია წინ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებათა მოქმედების სფერო და დროებითი ღონისძიების გამოყენება მის პრაქტიკაში.

## 2. დროებითი ღონისძიება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19(2) მუხლის მიხედვით ლატვიის მოქალაქემ შეიძლება შეიტანოს სასამართლოში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაცვის საშუალებაა ქვეყანაში<sup>1</sup>. ადამიანს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ სამართლებრივი აქტის (ნორმის) კონსტიტუციასთან შესაბამისობის გასარკვევად, რომლის მიზებითაც დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები. თუმცა, ლატვიის კანონით, დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა, და არა *actio popularis*, რაც ნიშნავს, რომ მოქალაქე უნდა დაემორ-

<sup>1</sup> Rodiņa A. Konstitucionālās sūdzības teorija un prakse Latvijā: Rīga, Latvijas Vēstnesis, 2009, 17.-31. lpp.

ჩილოს სხვადასხვა პროცედურულ და მატერიალურ შეზღუდვებს, მათ შორის, უნდა დაიცვას სუბსიდიარობის პრინციპი. სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ამოწურული უნდა იქნეს ყველა არსებული და ქმედითი სამართლებრივი საშუალება<sup>2</sup>. ჩვეულებრივ, ლატვიის მოქალაქისთვის სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალება ეროვნულ დონეზე გახლავთ ე.წ. საერთო იურისდიქციის სასამართლო ან სასამართლო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტი, სადაც შეაქვს სარჩელი კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევის შესახებ<sup>3</sup>. აი, აქ დგება ის დრო, თუკი სუბსიდიარობის პრინციპი დაცულია, როცა სასამართლოს შეუძლია დროებითი ღონისძიება გამოიყენოს.

დროებითი ღონისძიების სამართლებრივი საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მე-19(2) მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ „საკონსტიტუციო სარჩელის (განცხადების) შეტანა არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს“<sup>4</sup>. ამგვარად, დროებითი ღონისძიება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებაა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, **შეაჩეროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება**. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ ითვალისწინებს რომელიმე სხვა სახის დროებით რეგულაციას.

ლატვიის სასამართლოს დროებითი ღონისძიების გამოცდილება უნიკალური არ არის. მსგავსი პროცედურული ინსტიტუტი სხვა ქვეყნებშიც არის გათვალისწინებული. მაგალითად, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის შესახებ აქტის 50-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს ტრიბუნალს, რომ მან მიიღოს დროებითი გადაწყვეტილება იმ მიზნით, რომ „გადადოს ან შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება იმ საქმეში, რომელსაც სარჩელი ეხება, თუკი ეს გადაწყვეტილება, განაჩენი ან სხვა სახის ჩანაწერი, გამოიწვევს ისეთ შეუცვლელ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც საზიანო იქნება მოსარჩელისთვის, ან სადაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესია, ან მოსარჩელის კიდევ ერთი ინტერესი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს“<sup>5</sup>. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 32-ე მუხლი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, გამოიყენოს დროებითი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუკი ეს „აუცილებელია სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად, გარდაუვალი საფრთხის მოსაგერიებლად ან, თუკი არსებობს სხვა სერიოზული მიზეზი საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასაცავად“<sup>6</sup>. დროებითი ღონისძიება გაგებულია აგრეთვე როგორც სასამართლოს უფლება, შეაჩეროს კანონის ძალაში შესვლა<sup>7</sup>.

<sup>2</sup> საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების კანონის ნორმების შესაბამისობა კონსტიტუციასთან; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება No 2010-71-01: [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/Judgment%202010-71-01-par-ex\\_\\_ENG.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/Judgment%202010-71-01-par-ex__ENG.pdf).

<sup>3</sup> „გაჭრობის შესახებ კანონის ძალაში შესვლისთვის საჭირო პროცედურების“ შესახებ კანონის მე-19(5) მუხლის ლატვიის კონსტიტუციის 105-ე მუხლთან და დანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის შესაბამისობის საკითხი კონსტიტუციასთან. იხ. ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2009-113-0106 საქმეზე, ნაწილი 14. [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/spriedums\\_2009-113-0106.htm](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/spriedums_2009-113-0106.htm)

<sup>4</sup> კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ: <http://www.satv.tiesa.gov.lv/?lang=2&mid=9>.

<sup>5</sup> პოლონეთის აქტი საკონსტიტუციო ტრიბუნალის შესახებ: <http://www.trybunal.gov.pl/eng/index.htm>.

<sup>6</sup> გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (Gesetz über das Bundesverfassungsgericht) <http://www.iuscomp.org/gla/statutes/BVerfGG.htm#32>.

<sup>7</sup> კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. იურიდიული ტექსტები, გვ.29. Bonn: Internationales, 1996, p. 29.

სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოსაც ისეთივე ფართო უფლებამოსილებები აქვს დროებითი ღონისძიების გამოყენებისთვის, როგორც გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სლოვენიის კანონის 39-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს კანონის ან სხვა სახის რეგულაციის (ან მისი ნაწილის), ან ზოგადი აქტის მოქმედება საზოგადოებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად [...]“<sup>8</sup>. მაგრამ, თუ სლოვენიის სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად მიიღო, მაშინ პლენუმს უფლება აქვს, შეაჩეროს სადავო ინდივიდუალური აქტი, „თუ მას გამოსასწორებლად რთული და საზიანო შედეგები მოჰყვება“<sup>9</sup>. ასეთივე ვითარება გვაქვს ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოში.

### 3. დროებითი ღონისძიების შინაარსი საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის მიხედვით

ლატვიის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (მუხლი მე-19 (2), პუნქტი მე-5) შეიცავს პრეზუმფციას, რომ კონსტიტუციური სარჩელის შეტანამ არ უნდა გამოიწვიოს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღოს, ანუ შეაჩეროს სასამართლოს გადაწყვეტილება გამონაკლის და განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „[...] დროებითი ღონისძიება უნდა მიიჩნეოდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების განსაკუთრებულ პროცედურად [...]“<sup>10</sup>. დროებითი ღონისძიების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ გამოვიყენებთ როგორც გადაწყვეტილების გადავადების ინსტრუმენტს, თუ მოსარჩელე უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. უფრო მეტიც, მხედველობაშია მისაღები მეორე მხარის სამართლებრივი გარკვეულობა, ანუ ის, რომ გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ მიიღო, აღსრულდება. აქ შემდეგი პრინციპიც არის დასაცავი: მანამ, სანამ სხვაგვარად არ გადაწყდება, ივარაუდება, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ კონსტიტუციური სარჩელის შინაარსს, შეიძლება გამოჩნდეს და სინამდვილეში გვაქვს კიდევ ისეთი შემთხვევები პრაქტიკაში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება აუცილებელია.

<sup>8</sup> სლოვენიის რესპუბლიკის აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ [//www.us-rs.si/media/constitutional.court.act.full.text.pdf](http://www.us-rs.si/media/constitutional.court.act.full.text.pdf).

<sup>9</sup> იქვე, მუხლი 58.

<sup>10</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes 27.03.2012. lēmums lietā Nr. 2012-07-01, 4.p. Npublicēts.

საკონსტიტუციო სასამართლო არ განსაზღვრავს ფაქტობრივ პირობებს, რომელთა არსებობის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დროებითი ღონისძიება გამოიყენოს. ვინაიდან დროებითი ღონისძიება განსაკუთრებული პროცედურული ღონისძიებაა, ამიტომ ის მხოლოდ მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად გამოიყენება<sup>11</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერჯერობით ორჯერ აქვს ეს ზომა გამოყენებული თავის პრაქტიკაში. პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელთა შედეგად, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, შესაძლოა ამ უკანასკნელის აღსრულება შეუძლებელი გახადოს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „მას შეიძლება იმ შემთხვევაში მოსთხოვონ დროებითი ღონისძიების გამოყენება, თუკი არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს მომავალში საფრთხე დაემუქრება ან მისი აღსრულება შეუძლებელი იქნება“<sup>12</sup>. ბუნებრივია, რომ აზრი აღარ ექნებოდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელებას, თუკი გვეცოდინებოდა, რომ საბოლოო შედეგის განჭვრეტა შეუძლებელია, ანდა ისეთ შემთხვევებში, როცა საკონსტიტუციო სამართალწარმოება აზრს კარგავს სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს, შეაჩეროს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება<sup>13</sup>. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსთხოვეს, შეეჩერებინა სასამართლოს გადაწყვეტილება (რომელიც უძრავი ქონების აღწერასა და შეფასებას ეხებოდა და არა გასხვისებას), მან უარი განაცხადა დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე<sup>14</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და შეაჩერა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში, სადაც პირს სისხლის სამართლის სასჯელი – ფულადი ჯარიმა ჰქონდა მისჯილი კანონის შესაბამისად. სწორედ ამ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს არკვევდა საკონსტიტუციო სასამართლო. საქმის შესწავლისას სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეს, რომელსაც ჯარიმის გადახდა ჰქონდა დაკისრებული, ყოველთვიურად ექვითებოდა 30% სოციალური დახმარებიდან, რომელსაც ის იღებდა<sup>15</sup>. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეჩერდებოდა, მაშინ პირი განაგრძობდა სასჯელის მოხდას, ანუ ჯარიმის გადახდას. თუმცა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ შეიძლებოდა უაზრო გამხდარიყო. ფული ეკვივალენტია, რომელიც შეიძლებოდა ამ ადამიანს დაბრუნებოდა, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა საქმეს. მოკლედ, ფაქტს, რომ ფულადი ჯარიმის ანაზღაურების გამარტივებული პროცედურა ლატვიაში ფორმულირებული არ ყოფილა, შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

<sup>11</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 1. Kolēģijas 20.06.2008. lēmums, 6.2.p. Nepublicēts.

<sup>12</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes 20.01.2012. lēmums lietā Nr. 2012-03-01, 6.p.  
[http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012-03-01\\_ricibas\\_sedes\\_lēmums.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012-03-01_ricibas_sedes_lēmums.pdf).

<sup>13</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes 31.08.2005. lēmums, 3.p. Nepublicēts.

<sup>14</sup> იქვე, გვ.2.

<sup>15</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 2. Kolēģijas 29.04.2008. lēmums, 8.p. Nepublicēts.

მეორე, საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ შეუძლია დროებითი ღონისძიების გამოყენება, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას მოსარჩელისთვის სერიოზული ზიანი მოჰყვება<sup>16</sup>. ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საქმეში, რომელშიც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილებოდა. ხსენებული ნორმა უზრუნველყოფის გაყიდვის პროცედურას აწესრიგებდა. მოსარჩელე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას ითხოვდა, რადგან მის უძრავ ქონებაზე, რომელიც ამავდროულად მის საცხოვრებელ ადგილსაც წარმოადგენდა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აუქციონი დაწყებულიყო<sup>17</sup>. ნათელი იყო, რომ ხსენებული გადაწყვეტილება რომ შერულებულიყო, მოსარჩელე კარგავდა საცხოვრებელ ადგილს, ანუ ქონებასაც და ეკისრებოდა დამატებითი ვალდებულებებიც (მაგალითად, გადაუხდელი იპოთეკური სესხი, უზრუნველყოფის შემცირებული ღირებულების გამო, სხვა სახლის დაქირავება საცხოვრებლად და ა.შ.). შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ადამიანს სერიოზული ზიანი ემუქრებოდა და გადაწყვეტილების შეჩერება შეესაბამებოდა ამ ინსტიტუტის არსს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ წყვეტს სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერების საკითხს *ex officio*. აუცილებელია, ინდივიდუალურმა პირმა დასაბუთებული კერძო საჩივარი და მტკიცებულებები წარმოადგინოს სასამართლოში და ახსნას, თუ რატომ ითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოსგან გადაწყვეტილების შეჩერებას<sup>18</sup>. თუ ეს პროცედურა დაცული არ იქნა, საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, არ გამოიყენოს დროებითი ღონისძიება<sup>19</sup>.

#### 4. დროებითი ღონისძიება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში: საკონსტიტუციო სასამართლოს განუსაზღვრელი უფლებები?

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ძირითადად რეგულირდება კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით<sup>20</sup>. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ურთიერთმო-

<sup>16</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 1. Kolēģijas 20.06.2008. lēmums, 6.2.p. Nepublicēts.

<sup>17</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes 5.03.2010. lēmums lietā Nr. 2010-08-01, 2.p. Nepublicēts.

<sup>18</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 2. Kolēģijas 8.04.2010. lēmums, 9.p. Nepublicēts.

<sup>19</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 1. Kolēģijas 21.04.2010. lēmums, 9.p. Nepublicēts.; Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 2. Kolēģijas 3.03.2010. lēmums, 6.p. Nepublicēts.

<sup>20</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი <http://www.satv.tiesa.gov.lv/?lang=2&mid=10>.

ქმედება მხოლოდ ორ შემთხვევაშია გათვალისწინებული. სამოქალაქო საპროცესო ნორმები მაშინ გამოიყენება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმისწარმოებაში პროცედურული ვადებისა და სანქციების – ფულადი ჯარიმის – გამოყენების აუცილებლობა წამოიჭრება. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობითა და რეგლამენტით დაურეგულირებელ საპროცესო საკითხებს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და ეს პრინციპი დაცულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით. დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილ მოთხოვნებს, რომლებიც სხვა კანონებში გათვალისწინებული არ არის, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს დაურეგულირებელ საპროცესო საკითხებად.

#### 4.1. სასამართლო საქმისწარმოების შეჩერება – არის თუ არა ეს დროებითი ღონისძიება?

2012 წლის 21 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე მიიღო მოთხოვნა ლატვიის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის (Latvijas Krājbanka) გაკოტრების გახმაურებულ საქმეში. ბანკის გაკოტრებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კერძო თუ საზოგადოებრივ რესურსებს. მოსარჩელების ჯგუფმა (დაზარალებულებმა) მოითხოვა დროებითი ღონისძიების გამოყენება საქმეში, სადაც საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების შესახებ კანონის რამდენიმე ნორმა იყო გასაჩივრებული<sup>21</sup>. ნორმები ძირითადად საქმის წარმოების ადმინისტრატორის უფლებებს ეხებოდა. ვინაიდან პარალელურად გაკოტრების საქმე საერთო სასამართლოში განიხილებოდა, მოსარჩელებმა თხოვნით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ შეეჩერებინა კონკრეტული სამოქალაქო საქმის წარმოება<sup>22</sup>. ანუ დროებითი ღონისძიების გამოყენებით, მოსარჩელებს რეალურად გაკოტრების საქმისწარმოების შეჩერება სურდათ.

კონსტიტუციის 85-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტია, მისი უფლებამოსილებები ფუნქციურად არის გამიჯნული დანარჩენი სასამართლო სისტემისგან. სასამართლო ინსტიტუტების გამიჯვნა აბსოლუტურია, არც ერთ მათგანს უფლება არა აქვს, განახორციელოს სხვისი მანდატი. „საერთო იურისდიქციის სამართლებრივ სისტემაში მოქცეული სასამართლოები უფლებამოსილი არიან, განიხილონ სამოქალაქო დავები, სისხლის სამართლის საქმეები და ადმინისტრაციული სარჩელები. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ სასამართლოებს, კანონის მიხედვით, არა აქვთ ნორმატიული ბუნების აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება. ამიტომ 1996 წელს ლატვიაში შეიქმნა სასამართლო, რომელიც ამ სისტემაში არ შედის – საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციის 85-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, განიხილოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან

<sup>21</sup> Par lietas ierosināšanu: LR Satversmes tiesas 1. Kolēģijas 8.03.2012. lēmums. [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012\\_24\\_ieros.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012_24_ieros.pdf).

<sup>22</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes 27.03.2012. lēmums lietā Nr. 2012-07-01, [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/rs\\_lēmums\\_2012-07-01.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/rs_lēmums_2012-07-01.pdf).

და სხვა კანონებთან შესაბამისობის საკითხი<sup>23</sup>. სასამართლო ინსტიტუტების ფუნქციური განაწილების პრინციპის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, საერთო სასამართლოების კომპეტენციაში ჩაერიოს, *inter alia*, შეაჩეროს საქმის წარმოება. ცხადია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტულ სამოქალაქო საქმეში ჩარევისგან და საშუალება უნდა მისცეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს, ყველაზე შესაფერისი საპროცესო ზომები შეარჩიოს კონკრეტულ საქმეში“<sup>24</sup>. ამგვარად, კონსტიტუციის 85-ე მუხლს თუ გავითვალისწინებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა სასამართლო ინსტიტუტების სამართალშეფარდების პროცესში ჩარევის უფლებამოსილება არ უნდა მიენიჭოს. ეს დასკვნა კი, თავისთავად, ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება საერთო იურისდიქციის სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების შეჩერებაზე.

ადამიანი ყოველთვის ცდილობს, ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს მისთვის სასურველი და სასარგებლო შედეგების მისაღწევად, *inter alia*, მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსაც, რათა ამ უკანასკნელმა განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც მის იურისდიქციას არ ექვემდებარება. მაგრამ ამ დიდი ბანკის შემთხვევაში ყველა ე.წ. სამართლებრივი „იარაღი“ იმისათვის, რომ დავა საკონსტიტუციო ჩარჩოებში გადაწყვეტილიყო, საერთო სასამართლოს ეპყრა ხელთ, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19(2) მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის აღძვრა შესაბამისი სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის შეწყვეტას იწვევს საერთო იურისდიქციის სასამართლოში მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიტანს დასკვნას“. ანუ კანონშემოქმედმა გაითვალისწინა, რომ თუ ერთსა და იმავე დავას განიხილავენ საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმისწარმოებას უნდა მიაღწიოს უპირატესობა<sup>25</sup>. ანალოგიურად, სამოქალაქო საპროცესო კანონის 214-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ საერთო სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმის მხარის ან მესამე მხარის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის განხილვა დაიწყო<sup>26</sup>, თუმცა რამდენადაც ამ სტატიის ავტორისთვის არის ცნობილი, სასამართლოს არ შეუწყვეტია საქმე ამ შემთხვევაში. სასამართლოს გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი არ იყო სტატიაზე მუშაობისას და ამიტომ შეუძლებელია სასამართლოს არგუმენტების შეფასება.

<sup>23</sup> „იმ პროცედურის შესახებ, რომლის საფუძველზე გაქირავდება უფასო ბინები უძრავი ქონების სააგენტოს მართვაში მყოფ საცხოვრებელ სახლებში“ სახელმწიფო სააქციო საწარმოს – უძრავი ქონების სააგენტოს რეგლამენტის შესაბამისობის საკითხი „სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობების მიერ საცხოვრებელი დახმარების“ შესახებ კანონის მე-2, მე-10 და მე-11 მუხლებთან, „საცხოვრებელი ფართის ქირავნობის“ შესახებ კანონის მე-40 მუხლთან, „სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის საცხოვრებელი სახლების პრივატიზაციის“ შესახებ კანონის გარდამავალი დებულებების მე-4 მუხლთან. იხ.: ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 04-03(99) საქმეზე, ნაწილი I: <http://www.satv.tiesa.gov.lv/?lang=2&mid=19>.

<sup>24</sup> LR Satversmes tiesas Rīcības sēdes lēmums 27.03.2012. lietā Nr. 2012-07-01, 7.p. [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/rs\\_lemums\\_2012-07-01.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/rs_lemums_2012-07-01.pdf).

<sup>25</sup> Rodiņa A. Konstitucionālās sūdzības teorija un prakse Latvijā: Rīga, Latvijas Vēstnesis, 2009, 184.lpp.

<sup>26</sup> სამოქალაქო საპროცესო სამართალი: LR likums. Latvijas Vēstnesis Nr. 326/330 (1387/1391), 03.11.1998.

## 4.2 საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება, შეაჩეროს საკანონმდებლო პროცედურა

### 4.2.1 საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება ე.წ. „საზღვრის შესახებ შეთანხმების“ საქმეზე

ერთ-ერთი ყველაზე რთული და მოცულობითი საქმე, რომელიც კი საკონსტიტუციო სასამართლოს ოდესმე განუხილავს, ე.წ. ლატვია-რუსეთის „საზღვრის შესახებ შეთანხმების“ საქმეა. 2007 წლის დასაწყისში ლატვიის პარლამენტის („Saeima“) წევრებმა წარადგინეს სარჩელი, რომლითაც სადავოს ხდიდნენ „მინისტრთა კაბინეტისთვის 1997 წლის 7 აგვისტოს პარაფირებული, ლატვიის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ლატვია-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმების პროექტის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ კანონის შესაბამისობას „ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 4 მაისის დეკლარაციის პრეამბულასთან და მე-9 მუხლთან, ასევე ლატვიის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ლატვია-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ 2007 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისობას ლატვიის კონსტიტუციის<sup>27</sup> („Satversme“) მე-3 მუხლთან<sup>28</sup>. საგანგებოდუნდა აღინიშნოს, რომ საზღვრის შესახებ შეთანხმება არ იყო რატიფიცირებული, ანუ Saeima-ს მიერ დამტკიცებული<sup>29</sup>. Saeima-ს მიერ დამტკიცებამდე საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისობის სადავოდ გახდის უფლება, რომელიც გამოყენებული იყო ამ შემთხვევაში, ერთადერთი გზაა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით გათვალისწინებული საკონსტიტუციო კონტროლის *a priori* ფორმის განსახორციელებლად<sup>30</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ Saeima-ს დეპუტატებისგან სარჩელი მიიღო 2007 წლის 2 მაისს – მას შემდეგ, რაც Saeima-მ 2007 წლის 27 აპრილს პირველი წაკითხვით მიიღო კანონპროექტი ლატვიასა და რუსეთს შორის გაფორმებული საზღვრის შესახებ შეთანხმების

<sup>27</sup> „მინისტრთა კაბინეტისთვის 1997 წლის 7 აგვისტოს პარაფირებული ლატვიის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ლატვია-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმების პროექტის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ კანონისა და „ლატვიის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ლატვია-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმების“ შესახებ კანონის პირველი მუხლის სიტყვების „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებული საზღვრების დაურღვევლობის შესახებ პრინციპის დაცვა“ შესაბამისობაზე „ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 4 მაისის დეკლარაციის პრეამბულასთან და მე-9 მუხლთან, ასევე ლატვიის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ლატვია-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ 2007 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისობაზე ლატვიის კონსტიტუციის („Satversme“) მე-3 მუხლთან. იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 2007-10-0102 საქმეზე. [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/judg\\_2007\\_10\\_0102.htm](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/judg_2007_10_0102.htm).

<sup>28</sup> „3. ლატვიის სახელმწიფოს ტერიტორია, საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილ საზღვრებში, შედგება ვიქიმესგან, ლატგალესგან, კურზემესა და ზემგალესგან“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://saeima.lv/en/legislation/constitution/>.

<sup>29</sup> „68. ყველა საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც არეგულირებს საკითხებს, რომლებიც შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს საკანონმდებლო პროცესის მეშვეობით, მოითხოვს Saeima-ს მხრიდან რატიფიცირებას“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://saeima.lv/en/legislation/constitution/>.

<sup>30</sup> ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს ლატვიის მიერ ხელმოწერილი ან გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებების (ასევე Saeima-ს მიერ შესაბამისი შეთანხმების დამტკიცებამდე) კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მუხლი 16, პუნქტი 2.

<http://www.satv.tiesa.gov.lv/?lang=2&mid=9>;  
იხ. ასევე ჰ. სტაინბერგერი, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელები“ (Steinberger H. Models of Constitutional Jurisdiction). CDL\_STD (1993) 002, p. 5-10. <http://www.venice.coe.int/docs/1993/CDL-STD%281993%29002-e.pdf>.

რატიფიცირებაზე<sup>31</sup>. ეს სარჩელი შეიცავდა მოთხოვნას, **შეჩერებულიყო საზღვრის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება, ანუ მისი დამტკიცება Saeima-ს მიერ**. Saeima-ს დეპუტატებმა თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებისას მიუთითეს, „არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ [...]შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების [...]აღსრულება. საზღვრის შესახებ შეთანხმება საგანგებო საერთაშორისო შეთანხმებაა და მხარეებს არ შეუძლიათ მისი ცალმხრივად დენონსირება ან გამოყოფა [...]“. ვინაიდან Saeima-ს სურს საზღვრის შესახებ შეთანხმების დამტკიცება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას<sup>32</sup>. ამგვარად – რაც შეეხება სარჩელის არსებით მხარეს – Saeima-ს დეპუტატებმა მოითხოვეს **Saeima-ში საკანონმდებლო პროცედურის შეჩერება**. ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე – არის თუ არა ნებადართული Saeima-ს საკანონმდებლო პროცედურაში ჩარევა, იმის გათვალისწინებით, რომ „არც კონსტიტუცია და არც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი არ არეგულირებს ლატვიის მიერ ხელმოწერილი ან გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების შეჩერების საკითხს. ამ სახის რეგულირებას არც საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი იძლევა“<sup>33</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენციის გაანალიზებისას დაადგინა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებდა, რომ საზღვრის შესახებ შეთანხმება მართლაც არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-3 მუხლს, მაშინ საფრთხე შეექმნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. თუმცა იმავე დროს საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ საზღვრის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება, როგორც ასეთი, არ უშლიდა ხელს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან იმ მომენტში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა დამოკიდებული იყო სახელმწიფოს სხვა საკონსტიტუციო ინსტიტუციების ქმედებებზე (მაგალითად, სახელმწიფოს პრეზიდენტის ქმედებებზე, რომელმაც უნდა განახორციელოს Saeima-ს გადაწყვეტილებები საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირების შესახებ, რაც შეიძლება გაკეთდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ამოქმედების შემდეგ).

ლატვიისთვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ძალაუფლების განაწილება მისი მოქმედების საფუძველია. იგი „საკუთარ თავს ავლენს სახელმწიფო ძალაუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებებად დაყოფით, რომლებიც დამოუკიდებელი და ავტონომიური ინსტიტუციების მიერ ხორციელდება. ზემოხსენე-

<sup>31</sup> Saeima-ს რეგლამენტის მიხედვით (მუხლი 114, პუნქტი 2, ქვეპუნქტი 3) 2) მხოლოდ ორი წაკითხვაა საჭირო საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირების შესახებ კანონპროექტების მისაღებად. Saeima-ს რეგლამენტი.  
<http://saeima.lv/en/legislation/rules-of-procedure>

<sup>32</sup> LR Satversmes tiesas 10.05.2012. lēmums par pieteikuma iesniedzēja lūgumu lietā Nr. 2007-10-0102, გვ. 3.  
[http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2007\\_10\\_0102\\_lasijums.htm](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2007_10_0102_lasijums.htm).

<sup>33</sup> იქვე, გვ. 6.

ბული პრინციპი უზრუნველყოფს მათ შორის ბალანსსა და ურთიერთკონტროლს<sup>34</sup>. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, საკანონმდებლო ძალაუფლება ლატვიაში მინიჭებული აქვს ორ სუბიექტს: Saeima-ს და, ასევე, ხალხს<sup>35</sup>. საკონსტიტუციო სასამართლო, ძალაუფლების განაწილების პრინციპის შესაბამისად, წარმოადგენს სასამართლო ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს „სასამართლო სისტემის მხრიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლებების კონტროლს“<sup>36</sup>.

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს შეუზღუდავი უფლებები. კონსტიტუციის 85-ე მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, ითვალისწინებს რა, რომ: „საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აგვარებს სპეციფიკურ დავებს სამართლებრივი ნორმების იმ მოქმედ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, რომლებსაც უპირატესი ძალა აქვთ“<sup>37</sup>. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სპეციფიკურ დავებს ან ქმედებებს ნეგატიური კანონმდებლის სახით. „საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტიტუციის 85-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს Saeima-ს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობა, მაგრამ მას არა აქვს უფლებამოსილება, დაადგინოს, თუ რა სახის კანონები უნდა გადასინჯოს Saeima-მ და როდის უნდა იქნეს ეს კანონები მიღებული“<sup>38</sup>. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ: „ემორჩილება რა ძალაუფლების განაწილების პრინციპს, საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლება, შეაჩეროს Saeima-ში კანონის მიღების პროცედურა“<sup>39</sup>.

თავად Saeima-ს ჰქონდა უფლება, რომელიც მან ამ შემთხვევაში არ განახორციელა, რათა შეეჩერებინა საკანონმდებლო პროცედურა ან საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება. ეჭვგარეშეა, რომ Saeima-ს გადაწყვეტილება – არ შეეჩერებინა საკანონმდებლო პროცედურა – იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება. Saeima-ს დაკისრებული აქვს პოლიტიკური კურსის ფორმირება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა Saeima-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საქმეს და რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობაზე, Saeima-ს მოვალეობა იყო საკანონმდებლო პროცედურის

<sup>34</sup> ტელეკომუნიკაციების ტარიფთა საბჭოს შესახებ Saeima-ს 1999 წლის 29 აპრილის დადგენილების პირველი და მეოთხე პუნქტების შესაბამისობის შესახებ ლატვიის რესპუბლიკის Satversme-ს (კონსტიტუციის) პირველ და 57-ე მუხლებთან და სხვა კანონებთან. იხ. ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 03-05 (99) საქმეზე, ნაწილი 1. <http://www.satv.tiesas.gov.lv/?lang=2&mid=19>.

<sup>35</sup> „64. Saeima-ს და, ასევე, ხალხს აქვთ უფლება, აწარმოონ საკანონმდებლო პროცესი კონსტიტუციით დადგენილი პროცედურების შესაბამისად და კონსტიტუციითვე დადგენილი მოცულობით“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია. <http://saeima.lv/en/legislation/constitution/>.

<sup>36</sup> „სასამართლო ძალაუფლების შესახებ“ კანონის გარდამავალი დებულებების მე-7 პუნქტის მეორე წინადადებისა და მე-17 პუნქტის (კანონის 2008 წლის 14 ნოემბრის ფორმულირებით) შესაბამისობის შესახებ ლატვიის რესპუბლიკის Satversme-ს (კონსტიტუციის) პირველ, 83-ე და 107-ე მუხლებთან. იხ.: ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 2009-11-01 საქმეზე, ნაწილი 5. [http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/judg\\_2009\\_11.htm](http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/judg_2009_11.htm).

<sup>37</sup> პროკურატურის შესახებ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის; მე-4 მუხლის პირველი პუნქტის; მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის; 22-ე მუხლისა და 50-ე მუხლის შესაბამისობის შესახებ ლატვიის რესპუბლიკის Satversme-ს (კონსტიტუციის) პირველ, 58-ე, 82-ე, 86-ე და 90-ე მუხლებთან. იხ.: ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 2006-12-01 საქმეზე, ნაწილი 9.2. [http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/judg\\_2006-12-01.htm](http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/judg_2006-12-01.htm).

<sup>38</sup> LR Satversmes tiesas 10.05.2012. lēmums par pieteikuma iesniedzēja lūgumu lietā Nr. 2007-10-0102, გვ. 10. [http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/2007\\_10\\_0102\\_lasijums.htm](http://www.satv.tiesas.gov.lv/upload/2007_10_0102_lasijums.htm).

<sup>39</sup> იქვე.

შეჩერება. საკანონმდებლო აქტები არ ადგენს, რომ პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირება უნდა შეჩერდეს, თუმცა ეს ვალდებულება გამომდინარეობს ძალაუფლების განმახორციელებელ ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპიდან. ბოლოს და ბოლოს, ძალაუფლების განმახორციელებელი ინსტიტუციების მიზანია ლატვიის, როგორც სამართალზე დაფუძნებული სახელმწიფოს, ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

#### 4.2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება, შეაჩეროს რეფერენდუმი

კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, ელექტორატის ერთ მეათედს შეუძლია წარუდგინოს Saeima-ს კანონპროექტები<sup>40</sup>. 2011 წლის ბოლოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაგროვა 187, 378 ამომრჩევლის, ანუ იმ მოქალაქეთა 12.14 პროცენტის ხელმოწერები, რომელთაც აქვთ უფლება, კენჭი უყარონ Saeima-ს უკანასკნელ გადაწყვეტილებას „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით<sup>41</sup>. ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა დებულებებს რუსული ენის, როგორც მეორე სახელმწიფო ენის, სტატუსის შესახებ<sup>42</sup> და თუმცა არც საზოგადოება და არც პოლიტიკური ელიტა არ იყვნენ დარწმუნებული, შეგროვდებოდა თუ არა ხელმოწერათა აუცილებელი რაოდენობა, კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, კანონი „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ წარედგინა სახელმწიფოს პრეზიდენტს, რომელმაც იგი განსახილველად პარლამენტს წარუდგინა. 2011 წლის 22 დეკემბერს Saeima-მ უარყო ამომრჩევლების მიერ კონსტიტუციაში შესატანად წარდგენილი შესწორებები<sup>43</sup>. შესაბამისად, კანონი „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ უნდა წარდგენილიყო რეფერენდუმის ჩასატარებლად, ვინაიდან კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, თუ Saeima არ მიიღებს ხალხის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისი შინაარსის შეუცვლელად, კანონპროექტი წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნული მასშტაბის რეფერენდუმის ჩასატარებლად<sup>44</sup>. ეროვნული რეფერენდუმი ზემოხსენებული კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით 2012 წლის 18 თებერვალს ჩატარდა<sup>45</sup>.

<sup>40</sup> „65. კანონპროექტები Saeima-ს შეიძლება წარუდგინონ პრეზიდენტმა, კაბინეტმა ან Saeima-ს კომიტეტებმა, შემდგომად Saeima-ს არა ნაკლებ ხუთი წევრისგან ან წინამდებარე კონსტიტუციაში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და აქვე განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტორატის ერთმა მესამედმა“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://saeima.lv/en/legislation/constitution/>.

<sup>41</sup> ხელმოწერები ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებებთან დაკავშირებით 1-დან 30 ნოემბრამდე შეგროვდება <http://web.cvk.lv/pub/public/30189.html>.

<sup>42</sup> კანონპროექტი „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“. <http://web.cvk.lv/pub/public/30190.html>

<sup>43</sup> Latvijas Republikas 11. Saeimas rudens sesijas sešpadsmitā (ārkārtas) sēde 2011. gada 22. decembrī. <http://saeima.lv/lv/transcripts/view/99>.

<sup>44</sup> „78. ამომრჩევლებს, რომელთა რაოდენობა შეადგენს არა ნაკლებ ელექტორატის ერთი მეათედისა, უფლება აქვთ, წარუდგინონ პრეზიდენტს სრულყოფილად ჩამოყალიბებული კანონპროექტი კონსტიტუციაში ან კანონში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით, ხოლო პრეზიდენტმა ეს კანონპროექტი უნდა წარუდგინოს Saeima-ს. თუ Saeima რ მიიღებს ამ კანონპროექტს მისი შინაარსის შეუცვლელად, კანონპროექტი წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნული მასშტაბის რეფერენდუმის ჩასატარებლად“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://saeima.lv/en/legislation/constitution/>.

<sup>45</sup> რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა, რომ 273,347 ამომრჩეველმა მისცა ხმა კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას, ხოლო 821,722 ამომრჩეველი ამის წინააღმდეგი იყო. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 79-ე მუხლი ადგენს, რომ

ეროვნულ რეფერენდუმზე დაყენებული საკითხი, ერთი შეხედვით, დაკავშირებული იყო კონსტიტუციის „ჩვეულებრივ“ შესწორებებთან, თუმცა ამ შემთხვევაში შესწორებები ეხებოდა ძალზე მნიშვნელოვან საკითხს – სახელმწიფო ენას და ერთადერთ სახელმწიფო ენად ლატვიური ენის დარჩენის შესაძლებლობას. საზოგადოებაში განსხვავებული აზრები იყო რუსული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შესახებ, ლატვიაში იმის განხილვაც კი დაიწყო, საერთოდ შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის მე-4 მუხლის<sup>46</sup> შესწორება. ანალოგიურად, სახელმწიფოს პრეზიდენტმა, როდესაც Saeima-ს ხალხის მიერ ჩამოყალიბებული კანონპროექტი წარუდგინა, განმარტა, რომ „რუსული ენისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება ნიშნავს ლატვიაზე როგორც ეროვნულ სახელმწიფოზე უარის თქმას და კონსტიტუციის არსთან – იმ იდეებთან, რომლებსაც ემყარება ლატვიის რესპუბლიკა და მისი აღდგენილი დამოუკიდებლობა – წინააღმდეგობაში შესვლას“<sup>47</sup>. ამავე დროს, სახელმწიფოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის 78-ე მუხლი არ აძლევს სახელმწიფოს პრეზიდენტს არჩევანის საშუალებას – წარუდგინოს თუ არ წარუდგინოს Saeima-ს ამომრჩეველების მიერ ინიცირებული კანონპროექტი. მე ვასრულებ აღნიშნულ მუხლში ჩამოყალიბებულ მოვალეობას და წარუდგენ Saeima-ს კანონპროექტს გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა მიმაჩნია, რომ საჭიროა საკონსტიტუციო კუთხით შეფასება იმისა, დასაშვებია უნდა იყოს თუ არა ამგვარი კანონპროექტების განხილვა“<sup>48</sup>.

ვინაიდან პოლიტიკური ელიტა ეძებდა გზებს ეროვნული რეფერენდუმის შესაჩერებლად, ეროვნულ რეფერენდუმამდე, 2012 წლის 12 იანვარს, Saeima-ს დეპუტატებმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომელშიც სადავოს ხდიდნენ „ეროვნული რეფერენდუმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ“ კანონის დებულების, სახელმწიფოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებისა და Saeima-ს პრეზიდიუმის მოსაზრების შესაბამისობას კონსტიტუციის დებულებებთან<sup>49</sup>. თუმცა განსახილველი საკითხის ყველაზე საინტერესო ასპექტი ის ფაქტი იყო, რომ მომჩივნებმა ითხოვეს დროებითი ღონისძიების გამოყენება ამ შემთხვევაშიც, ანუ მათ მოითხოვეს „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით ეროვნული რეფერენდუმის შეჩერება. 2012 წლის 20 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის ინიცირების შესახებ და განმწესრიგებელ სხდომაზე ასევე განიხილა საკითხი – აქვს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება, შეაჩეროს ეროვნული რეფერენდუმის პროცედურა<sup>50</sup>.

რეფერენდუმის ჩასატარებლად წარდგენილი კონსტიტუციის შესწორებები მიღებული იქნება, თუ მათ ხმას მისცემს ხმის უფლების მქონე ადამიანების სულ მცირე ნახევარი. მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა სამსახურის მოსახლეობის რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის 18 თებერვალს ლატვიის 1,545,004 მოქალაქეს ჰქონდა ხმის უფლება. შესაბამისად, რეფერენდუმის შედეგები აჩვენებს, რომ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას მხარი არ დაეჭირა, ვინაიდან რეფერენდუმში შესწორებების სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა 772,502-ზე, ანუ ხმის უფლების მქონე ადამიანების ნახევარზე ნაკლები იყო. იხ. რეფერენდუმი „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით. <http://web.cvk.lv/pub/public/30287.html>.

<sup>46</sup> „4. ლატვიის რესპუბლიკის ოფიციალური ენაა ლატვიური ენა. ლატვიის ეროვნული დროშა იქნება წითელი თეთრი ზოლით“. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია. <http://saeima.lv/en/legislation/constitution>

<sup>47</sup> Valsts Prezidenta 2011. Gada 20. Decembra vēstule Nr. 261 LR Saeimas priekšsēdētājam S. Āboltīnam. <http://www.president.lv/images/modules/items/PDF/likumdosanas-iniciativa20122011.pdf>

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> Pieteikums Nr. 5/2012. Nepublicēts

<sup>50</sup> Par lietas ierosināšanu un lūgumu sasaukt Satversmes tiesas rīcības sēdi: LR Satversmes tiesas 2. Kolēģijas 20.01.2012. lēmums. [http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012\\_5\\_ierosin\\_deputati\\_tautas\\_nobalsosana.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012_5_ierosin_deputati_tautas_nobalsosana.pdf)

განმწესრიგებელ სხდომაზე იმ საკითხის გადაწყვეტისას, შეაჩეროს თუ არა ეროვნული რეფერენდუმი – ისევე, როგორც „საზღვრის შესახებ შეთანხმების“ შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საკითხი იყო მოუწესრიგებელი საპროცედურო საკითხი, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა, საკმარისი იყო თუ არა სარჩელში მოცემული არგუმენტები მის დასაკმაყოფილებლად, იმის დადგენის გზით, დაემუქრება თუ არა საფრთხე მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების აღსრულებას ან თუ მისი აღსრულება საერთოდ შეუძლებელი გახდება. განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, *inter alia*, მიუთითებს, რომ „კონსტიტუცია არ ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას, ჩაერიოს საკანონმდებლო პროცედურაში“<sup>51</sup>. უნდა განიმარტოს, რომ ეროვნული რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა, ამ შემთხვევაში იყო საკანონმდებლო პროცედურის განხორციელება, როგორც ის განსაზღვრულია კონსტიტუციაში. თუმცა განმწესრიგებელ სხდომაზე ასევე დადგინდა, რომ „სარჩელი[...] არ იძლევა მნიშვნელოვან არგუმენტებს, რომლებიც დაასაბუთებდა დროებითი ღონისძიების გამოყენებას № 2012-03-01 საქმის არსებით განხილვამდე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს საფუძველი, შეაჩეროს [...] „ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით გამოცხადებული ეროვნული რეფერენდუმი“<sup>52</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ავტორი აფასებს როგორც წინააღმდეგობრივს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ იგი ვერ ჩაერევა საკანონმდებლო პროცედურაში, თუმცა, ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს ის კი არ აღუნიშნავს, რომ მას არა აქვს ეროვნული რეფერენდუმის შეჩერების უფლება, არამედ მან მიუთითა, რომ ამ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი არგუმენტები ეროვნული რეფერენდუმის შესაჩერებლად. ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი ეროვნული რეფერენდუმის შესაჩერებლად. ამგვარად, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა გადაწყვეტილებებისგან „საზღვრის შესახებ შეთანხმების“ საქმეზე. ერთ შემთხვევაში („საზღვრის შესახებ შეთანხმების“ საქმეში) დადგინდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს საკანონმდებლო პროცედურაში, მაგრამ მეორეში (ეროვნული რეფერენდუმის საქმეში) საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა ეროვნული რეფერენდუმის შეჩერების – ანუ საკანონმდებლო პროცედურაში ჩარევის შესაძლებლობა. ეს ბადებს კითხვას – როგორ შეესაბამება ეს დასკვნა ძალაუფლების განაწილების პრინციპს, რომელსაც თავად საკონსტიტუციო სასამართლო ცნობს? ასევე, ჩნდება კითხვა ერის უფლებასთან დაკავშირებით, გადაწყვიტოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები რეფერენდუმის გზით. საკანონმდებლო პროცედურა, რომელსაც ეხებოდა საქმე მოცემულ შემთხვევაში, ლატვიაში რეგულირდება კონსტიტუციით და Saeima-ს რეგლამენტით. არც ერთი ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი არ ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების უფლებას – საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას – ზეგავლენა მოახდინოს და განსაზღვროს საკანონმდებლო პროცედურა. კანონმდებელს რომ მოესურვებინა საკონსტიტუციო

<sup>51</sup> LR Satversmes tiesas rīcības sēdes 20.01.2012. lēmums lietā Nr. 2012-03-01, გვ. 8.  
[http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012-03-01\\_ricibas\\_sedes\\_lēmums.pdf](http://www.satv.tiesa.gov.lv/upload/2012-03-01_ricibas_sedes_lēmums.pdf)

<sup>52</sup> იქვე.

სასამართლოსთვის ამგვარი საკანონმდებლო პროცედურის შეჩერების უფლების მინიჭება, იგი მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული შესაბამის სამართლებრივ მარეგულირებელ დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმოქმედოს როგორც ნეგატიურმა კანონმდებელმა და შეამოწმოს მიღებული კანონების კონსტიტუციურობა, მაგრამ არ უნდა არეგულირებდეს და განსაზღვრავდეს კანონების მიღებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეინარჩუნოს ექსკლუზიური საკონსტიტუციო კონტროლის უფლება, ხოლო საკანონმდებლო ფუნქციები Saeima-ს და ხალხს დაუტოვოს. თითოეულმა ინსტიტუციამ უნდა შეასრულოს მისთვის დადგენილი ფუნქციები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ინსტიტუციამ შეინარჩუნოს და დაიცვას საკუთარი დამოუკიდებლობა – მისი ფუნქციონირების საყრდენი. სხვა ინსტიტუციებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოსაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლება – განახორციელოს მართლმსაჯულება – ანუ დაიცვას პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის ჩამოყალიბებას, მათ შორის ძალაუფლების განაწილების პრინციპი.